რუსთავის ისტორიული მუზეუმი
Rustavi Historical Museum

რუსთავი
RUSTAVI
IV

რუსთავის ისტორიული მუზეუმი

Rustavi Historical Museum

რუსთავი
RUSTAVI

IV

ეძღვნება
გიორგი ლომთათიძის
ხსოვნას, მისი დაბადებიდან
100 წლისთავზე

Tributed
to the **GEORGE LOMTATITDZE'S**
Memory, at his 100th Birthday
Anniversary

თბილისი, Tbilisi
2014

კრებული მიძღვნილია ცნობილი არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლომთათიძის ხსოვნისადმი.

კრებულში იბეჭდება რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრების - გიორგი ლომთათიძის უმცროსი კოლეგა-მოწაფეების, ასევე, ექსპედიციის ახალი თაობის წარმომადგენლების ნაშრომები და გამოკვლევები;

კრებულში, აგრეთვე, შეტანილია გიორგი ლომათათიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მოგონებები და წერილები.

კრებული გამიზნულია რუსთავისა და შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისთვის.

რედაქტორი: **ნაზი პაჭიკაშვილი**
Editor: **Nazi Pachikashvili**

სარედაქციო ჯგუფი: † მერი ჩხატარაშვილი, ეკა ჯანდიერი, მანანა ხავთასი, ზურაბ მაღრაძე
Editorial Group: † Mary Chkhatarashvili, Eka Jandieri, Manana Khavtasi, Zurab Magradze

ინგლისური თანგმანი: ცირა გელენავა-ვოლობუევა
English translation: Tsira Gelenava-Volobueva

დიზაინი და დაკაბადონება: გელა ბაბაკიშვილი
Design and layout: Gela Babakishvili

ISSN 1512-2611

შინაარსი
Contents

რედაქტორისაგან 5
Editorial 6

ნ. პაჭიკაშვილი - გიორგი ლომთათიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა) 9
N. Pachikashvili - George Lomtatidze (life and work)

მოგონებეები
Memoirs

თ. პაატაშვილი - გიორგი ლომთათიძე, რუსთავის მუზეუმის ფუძემდებელი 15
T. Paatashvili - George Lomtatidze, Founder of the Rustavi Museum

ლ. ბასიაშვილი - გიორგი ლომთათიძე და რუსთავი 18
L. Basiashvili - George Lomtatidze and Rustavi

ც. ჩიკოიძე - მოგონებები გოგი ლომთათიძეზე 20
Ts. Chikoidze – The Reminiscences Memories of George Lomtatidze

ე. ჯანდიერი - არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე რუსთავსა და ჯავახეთში (მცირე მოგონებანი ჩემი მასწავლებლისა და მეცნიერ - ხელმძღვანელის ხსოვნის აღსანიშნავად - დაბადებიდან 100 წლისთავისათვის) 25
E. Jandieri - Archaeologist George Lomtatidze in Rustavi and Javakheti (Brief Memoirs in Remembrance of My Teacher and Academic Advisor – due to his 100th Birthday Anniversary)

თ. იმნაძე - გიორგი ლომთათიძის არქივი 38
T. Imnadze - George Lomtatitdze’s Archive

გამოკვლევები
Studies

თ. არჩვაძე - რუსთავში აღმოჩენილი სფეროკონუსები (კატალოგითურთ) 41
T. Archvadze - Sphere-cones Discovered in Rustavi (with catalogue)

მ. ჩხატარაშვილი - ქართული მინის წარმოების ისტორიისათვის 58
M. Chkhatarashvili – Due to the Georgian glass manufacturing history

ი. გაგოშიძე - აბრეშუმის გზა და საქართველო 109
I. Gagoshidze - The Silk Road and Georgia

ი. დემეტრაშვილი - ქვამტყორცნი იარაღების კვალი რუსთავის ნაქალაქარზე 111
I. Demetrashvili - Traces of the stone-throwing Tools in Rustavi City-Site

მ. ხავთასი - რუსთავში აღმოჩენილი გულსაკიდი ჯვრები 120
M. Khavtasi - Pendant Crosses Discovered in Rustavi

მოგონებანი გიორგი ლომთათიძის გარდასულ მოწაფეებზე
Memoirs about George Lomtatitdze's Departed Followers

განუყრელი სამეული: ცისანა, მერი, თინა 133
Inseparable Trio: Tsisana, Mary, Tina

ჩემი გულითადი მეგობარი - თინა არჩვაძე 136
My best friend - Tina Archvadze

ცისანა ჩიკოიძე 138
Tsisana Chikoidze

მერი ჩხატარაშვილი 139
Mary Chkhatarashvili

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს - სოსო ჯაფარიძე 141
The Man for whom the whole City has been mourning - Soso Japaridze

რედაქტორისაგან

რუსთავის ისტორიულ (ყოფილ მხარეთმცოდნეობის) მუზეუმში, მისი დაარსებიდან - 1950 წლიდან დღემდე, მრავალრიცხოვანმა და მდიდარმა არქეოლოგიურმა, ნივთიერმა და სამეცნიერო-დოკუმენტურმა მასალამ მოიყარა თავი. დიდძალი საარქივო დოკუმენტაციით შეივსო მუზეუმის არქივი 2006 წელს; ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებული კუხეთის (რუსთავის) არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიშები, დღიურები, გამოკვლევები, საველე ანაზომები, ფოტოანაბეჭდები სრულად გადაეცა მუზეუმს.

მათი ნაწილი გამოყენებული და გამოქვეყნებულია რუსთავისა და საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიის მკვლევართა ცალკეულ ნაშრომებსა და მონოგრაფიებში. ნივთიერი მასალისა და სამეცნიერო დოკუმენტაციის შესწავლა-პუბლიკაციის კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კუხეთის (რუსთავის) არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების კრებულმა - „რუსთავმა“. ექსპედიციამ შრომების სამი ტომი გამოსცა: პირველში გამოქვეყნდა რუსთავის პირველი გამთხრელი არქეოლოგების მ. ივაშჩენკოს, გ. ლომთათიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომები, მეორეში - რუსთავის ციხის ცალკეული უბნების გათხრების ანგარიშები, ხოლო მესამე მიეძღვნა შუასაუკუნეების სასახლის შესწავლის შედეგებს. მაგრამ, კუხეთის (რუსთავის) ექსპედიციის გაუქმების შემდეგ, კრებულის გამოცემა შეწყდა. გამოუქვეყნებელი დარჩა დიდძალი მასალა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსთავის მუზეუმი ტრადიციულად, მისი დაარსების დროიდან მჭიდროდ თანამშრომლობდა რუსთავის ექსპედიციასთან და აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის არქეოლოგიურ საკვლევა-ძიებო საქმიანობაში. ბოლო წლებში კი ცენტრის ექსპედიცია მხოლოდ მუზეუმის მიერ მოზიდული სახსრებით მუშაობდა. ამდენად, 2006 წელს, რუსთავის მუზეუმმა თითქმის უპრობლემოდ შეძლო შენაცვლებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციას.

იმავე წელს მუზეუმის ექსპედიცია, კუხეთის (რუსთავის) არქეოლოგიური ექსპედიციის ყოფილი წევრების ც. ჩიკოიძის, მ. ჩხატარაშვილის და ე. ჯანდიერის შემადგენლობით, ახალი ენერგიით შეუდგა გ. ლომთათიძის მიერ წამოწყებულ, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელ, რუსთავის ნაქალაქარის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას.

2007-2008 წლებში მუზეუმის ექსპედიციამ რუსთავის ციხის შესწავლა განაახლა, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს.

რუსთვის მუზეუმმა კუხეთის (რუსთავის) არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების კრებულის - „რუსთავის“ აღდგენაც ივალდებულა. კრებულის დამფუძნებლებთან ც. ჩიკოიძესა და მ. ჩხატარაშვილთან შეთანხმებით, მუზეუმის ეგიდით გამოცემული კრებული გააგრძელებს მუზეუმში თავმოყრილი ექსპედიციის სამეცნიერო-დოკუმენტური ანგარიშების, გამოუქვეყნებელი ნაშრომებისა და ცალკეული მასალების - მინის, კერამიკის, მონეტების, ლითონის ნივთების კატალოგების გამოქვეყნებას.

წინამდებარე კრებული „რუსთავი“ (ტომი IV) კი ეძღვნება ცნობილი არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, რუსთავის მუზეუმის ფუძემდებლისა და ექსპედიციის ხელმძღვანელის (1949-1971 წლებში) გიორგი ლომთათიძის სხოვნას, მისი დაბადებიდან 100 წლისთავზე. კრებულში იბეჭდება გიორგი ლომთათიძის კოლეგების წერილები და მოგონებები, ასევე - ექსპედიციისა და მუზეუმის თანამშრომლების, ცალკეული მკვლევარების სამეცნიერო ნაშრომები. კრებულს ერთგვარად ამძიმებს წიგნის ბოლოში, კრებულის პროფილისთვის თითქოსდა უადგილოდ, დართული ნეკროლოგები, რომლის გამოქვეყნება, რუსთავის ექსპედიციის წევრების, შესანიშნავი კოლეგებისა და მეგობრების თითქმის ერთდროული გარდაცვალებით გამოწვულმა დიდმა ტკივილმა განაპირობა.

Editorial

Since its inception – from 1950 to the present, numerous and rich archaeological, substantial and scientific material have been gathered in the historical museum of the city (former Museum of Local Lore). The archive of the museum was filled with a large amount of archival documents in 2006. All scientific reports, diaries, studies, field measurements, photo prints of the Kukheti archaeological expedition, closed down due to the reorganization of the O. Lordkipanidze's Archaeological Research Center, were fully handed over to the Pustavi museum.

Some of them are used and published in the individual works and monographs of the researchers of Rustavi and Georgian medieval history. In terms of studying and publishing the substantial and scientific materials, the miscellany of the Kukheti (Rustavi) Archaeological Expedition of the O. Lortkipanidze's Archaeological Research Center – "Rustavi" played an important role. The expedition published three volumes of work: in the first volume unpublished papers of M. Ivanchenko and G. Lordkipanidze, the pioneer archaeologists - excavators of Rustavi, were brought out; in the second - the excavation reports of the various areas of Rustavi fortress, while the third was devoted to the study of the results of a medieval palace. But after the cancellation of the Kukheti (Rustavi) expedition the publication of the miscellanea was also aborted. And a large amount of materials was left unpublished.

It should also be noticed that, since its inception, the City Museum traditionally has closely cooperated with Rustavi expedition and has actively participated in archaeological research works of the city. However, in recent years, the expedition of the centre has been working only thanks to the resources obtained by the museum. Thus, in 2006, the City Museum was easily able to substitute the expedition of the archaeological research Centre.

That same year, the museum expedition, composed of the former members of the Kukheti (Rustavi) archaeological expedition, Ts. Chikoidze, M. Chkhatarashvili and E. Jandieri, with new energy restarted archaeological research of the old settlement of Rustavi city, launched but still unfinished by G. Lortkipanidze.

In 2007-2008, the museum expedition renewed its research of the Rustavi fortress which is still underway.

Rustavi museum also took over responsibility to recover the miscellanea of the proceedings of the Kukheti (Rustavi) archaeological expedition– "Rustavi". By agreement with the founders of this work, Ts. Chikoidze and M. Chkhatarashvili, the miscellanae, issued under the the auspices of the museum will continue publication of the archaeological expedition's scientific documentary reports, unpublished works and issuing catalogues of various materials - glass, ceramics, coins, metal things, collected in the museum.

The presented miscellany of "Rustavi" (Volume IV) is devoted to the memory of the well-known archaeologist and a public figure, a founder of the Rustavi Museum and a head of the expedition (1949-1971 years), George Lomtatitdze, to his 100th Birthday Anniversary. The letters and memoirs of George Lomtatitdze's colleagues, as well as scientific works of expedition members and the museum staff, along with the papers of the separate researchers are published in this miscellany. The attached obituaries, allegedly inappropriate for the profile of the given collection, somewhat aggravate the given booklet by the end of it, but their publication was conditioned by the great pain of the Rustavi expedition members, caused because of the almost simultaneous death of our wonderful colleagues and friends.

გიორგი (გოგი) ლომთათიძე

(1914-1971)

ნაზი პაჭიკაშვილი

გიორგი ლომთათიძე

(ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი მომენტები)

გიორგი (გოგი) ლომთათიძეს 2014 წლის 26 ნოემბერს დაბადებიდან 100 წლისთავი უსრულდება. იგი, 1971 წელს, ნაადრევად - 56 წლის ასაკში გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მან თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მეცნიერებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების არაერთი ფურცელი, რომელთა გარეშეც საქართველოს ისტორია სრულყოფილად ვერ დაიწერებოდა.

გიორგი ლომთათიძე დაიბადა 1914 წლის 26 ნოემბერს, დაბა ცხინვალში, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ლომთათიძის ოჯახში. დედა - ზინაიდა ოქროპირიძეც ფართოდ განათლებული, ქართული ტრადიციების მქონე ოჯახის შვილი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ლომთათიძის, როგორც ადამიანისა და მოქალაქის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ბიძის - ცნობილი ექიმისა და მკურნალის ბესო ოქროპირიძის ოჯახთან ახლო ურთიერთობამ.

საშუალო განათლება თბილისის I საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში მიიღო. ამ სკოლას - უწინდელ პირველ გიმნაზიას - ძველისძველი ტრადიციები ჰქონდა. მის კედლებში აღიზარდა ქართული კულტურის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე; ოციან წლებში, როცა აქ გიორგი ლომთათიძე სწავლობდა, სკოლას სათავეში ედგა შესანიშნავი აღმზრდელი და მასწავლებელი, შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ლიტერატურის მკვლევარი, მიხეილ ზანდუკელი. მას მხარს უმშვენებდნენ გამოჩენილი პედაგოგები - სკოლაში ზნეობრივი სიწმინდის, მეგობრობისა და სიყვარულის სული ტრიალებდა. ბავშვებს მხოლოდ „საგნებს“ კი არ ასწავლიდნენ, არამედ ადამიანს, მოქალაქეს ზრდიდნენ, კეთილშობილი პატრიოტიზმის გრძნობას უღვივებდნენ მათ.

ოჯახისა და მასწავლებელთაგან ადრიდანვე ჩანერგილი წიგნის კითხვისა და საერთოდ თვითგანვითარებისადმი მისწრაფება და სიყვარული იმდენად პოხიერ ნიადაგს პოულობს გ. ლომთათიძის ბუნებაში, რომ სკოლის ბოლო კლასის მოსწავლეს, ზოგად საგანმანათლებლო საგნებში დაგროვილ საფუძვლიან ცოდნასთან ერთად, ქართული, რუსული და უცხოურიდან თარგმნილი სიტყვაკაზმული მწერლობის უმთავრესი და ძირითადი ნაწილი უკვე „შთანთქმული“ ჰქონდა. ასეთი წიგნიერი, 17 წლის ახალგაზრდა 1931 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლისას მომავალ სამოღვაწეო სფეროდ ირჩევს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათაგან ყველაზე ფართოსა და საინტერესო დისციპლინას - გეოლოგიას, რომელსაც 1936 წელს ამთავრებს. აქ იგი ფართო თეორიულ მომზადებასთან ერთად პრაქტიკული მუშაობის საკმარის გამოცდილებასაც იძენს. უნივერსიტეტში მიღებული სოლიდური ცოდნა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, კარგად გამოსჭვივის მის საფუძვლიან სადიპლომო ნაშრომში და განსაკუთრებით ლ. დავითაშვილის „პალეონტოლოგიის“ თარგმნაში (რუსულიდან), რომელიც

თბილისში 1938 წელს გამოვიდა; აგრეთვე „გეოლოგიურ ტერმინოლოგიაში“ (თბილისი, 1941 წ.), რომელიც გ. ლომთათიძემ მაცია ფოფხაძესა და კოტე ჯავრიშვილთან თანამშრომლობით შეადგინა.

1938-1941 წწ. გიორგი ლომთათიძე სწავლას აგრძელებს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ზოგადსა და საქართველო-კავკასიის არქეოლოგიას, არქეოლოგიური დაზვერვებისა და თხრის მეთოდიკის საფუძვლებს.

1938 წელი ფრიად მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გამოდგა გ. ლომთათიძის სამეცნიერო ცხოვრებაში. ამ წლიდან მოკიდებული მისი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ზემოხსენებულ ინსტიტუტის (მოგვიანებით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის) ყოველდღიურ სამეცნიერო თუ საორგანიზაციო საქმიანობასთან. 1943- 47 წლებში იგი იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ხოლო 1965 – 1971 წწ. შუასაუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების გამგე. პარალელურად 1945-1947 წლებში გიორგი ლომთათიძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე (1946-52 წწ.), აქვე - აღმოსავლეთმცოდნეობისა და საქართველოს სამხატვრო აკადემიაში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს.

იმავე 1938 წელს გიორგი ლომთათიძე ებმება ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას თაოსნობით 1937 წელს დაარსებულ „მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში“, რომლის მიზანსაც ქართლის (იბერიის) დედაქალაქის - მცხეთისა და არმაზისხევის არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლა წარმოადგენდა. ექსპედიციაში გ. ლომთათიძეს ველზე მუშაობის პარალელურად უხდებოდა მოპოვებული მასალის წესრიგში მოყვანა, აღნუსხვა და პირველადი შესწავლაც, მონაპოვარი კი მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას მრავალრიცხოვანი და ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონის მომცველი ჰქონდა. ბუნებრივია, რომ გიორგი ლომთათიძემ თავისი პირველი ორი სამეცნიერო ნაშრომი სწორედ მცხეთის სიძველეებს მიუძღვნა. მათგან ერთი -„არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში“ შეიცავს დაბა მცხეთაში, მეორე მსოფლიო ომამდე წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების პირველს, სხარტს, დროისათვის შესაძლებელად სრულ მეცნიერულ-პოპულარულ მიმოხილვას.

მეორე ნაშრომი „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში“ უაღრესად საინტერესო არქეოლოგიური გამოკვლევაა, რომელიც, დღემდე, ბრინჯაოს ხანის მკვლევართათვის სახელმძღვანელო ნაშრომად რჩება. მცხეთის სიძველეებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გიორგი ლომთათიძის თანაავტორობით შესრულებული მონოგრაფიული ნაშრომი „არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით“, რომელშიც თვალსაჩინოდ გამოიკვეთა გ. ლომთათიძის დიდი შრომა და ერუდიცია. მასვე ეკუთვნის ამ ნაშრომის რუსული თარგმანი.

მეორე მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გ. ლომთათიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში 1948-1949 წლებში იწყება, როდესაც მისი სამეცნიერო მუშაობის პრობლემატიკა ფართოვდება და მდიდრდება შუასაუკუნეთა საქართველოს არქეოლოგიური თემატიკით. იგი დაკავშირებული იყო, ერთის მხრივ, ნიკო ბერძენიშვილის მიერ წამოწყებულ ისტორიულ-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასთან ქვემო ქართლის მიწა-წყალზე, ხოლო მეორე მხრივ, ასეთივე ხასიათის სამუშაოებთან,

რაც თბილისში ფართოდ გაშლილ ახალმშენებლობათა უბანზე გაჩაღდა.

1949 წლიდან გ. ლომთათიძის სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა კუხეთის რუსთავს. ძველი ნაქალაქარის უბნებზე, ახალი ქალაქის მშენებელთა მიერ დაზიანებული სამაროვნები და მრავალფენიანი კულტურული ფენები გადაუდებელ შესწავლას საჭიროებდა. 1949 წელს, ივ.ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტში შექმნილ რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციას გიორგი ლომთათიძე ჩაუდგა სათავეში, რომელსაც გარდაცვალებამდე, 1971 წლამდე უცვლელად ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში ექსპედიციამ რუსთავის ნაქალაქარსა და ციხეზე გეგმაზომიერი სამუშაოების ჩატარების შედეგად, გამოავლინა და შეისწავლა სხვადასხვა ტიპის (საცხოვრებელი, სამეურნეო) ნამოსახლარი და სამაროვნები, რომელთა კვლევას გ. ლომთათიძემ არაერთი სტატია და გამოკვლევა მიუძღვნა. მათგან აღსანიშნავია: „რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები“ (1955 წ.) და „ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით“ (1988 წ.), რომლებშიც ამომწურავად გადმოგვცემს მისი ხელმძღვანელობით მომუშავე ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების უმთავრეს შედეგებს. განხილულია ნაქალაქარზე გამოვლენილი კომპლექსები: სამაროვნები, ნამოსახლარები და იქ აღმოჩენილი მასალა, სასიმაგრო, საცხოვრებელი, სამეურნეო ნაგებობანი, უამრავი ნივთი და მონეტა; მოცემულია ქალაქის სტრატიგრაფიული შკალა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება. გაცოცხლებულია ქალაქის ხანგრძლივი, მძიმე და რთული თავგადასავალი. დასახულია კვლევის ძირითადი გეზი და შემდგომი მუშაობის უმთავრესი პრობლემები.

დიდი ღვაწლი მიუძღვის გიორგი ლომთათიძეს რუსთავის მუზეუმის დაარსების საქმეში, რომელიც მისი ინიციატივითა და დიდი ბრძოლის შედეგად დაფუძნდა 1950 წელს. მისივე თემატური გეგმის მიხედვით მოეწყო მუზეუმის პირველი და მეორე საგამოფენო ექსპოზიცია.

თბილისისა და რუსთავის პარალელურად, გ. ლომთათიძის სამეცნიერო პრობლემატიკასა და პრაქტიკულ საქმიანობაში შუასაუკუნეების სრულიად ახალ-ახალი ძეგლები შემოდის; მისი უშუალო ხელმძღვანელობით ან უახლოესი მონაწილეობით ითხრება: თეთრიწყაროს ნადარბაზევი, უჯარმის ციხე-ქალაქი, ციხე-გოჯი, ურბნისი, თელავი, ალვანი, იყალთო, კვეტერა, არმაზისხევი, ჯავახეთის ახალქალაქი, ვარდციხე, გეგუთი, გელათი, იყალთო, ნაჭივჭავები, სხალტბა და სხვ., რომელთაც ავტორმა ასეულობით (200-მდე) გამოკვლევა, სტატია თუ სამეცნიერო ანგარიშის სახით შედგენილი და უხვად ილუსტრირებული ნაშრომი უძღვნა. გ. ლომთათიძის შრომებს შორის საგანგებოდ უნდა გამოიყოს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ტომეულისთვის დაწერილი ნაშრომები „,ყოფა და კულტურა არქეოლოგიური მასალების მიხედვით“ IV-V და VI-X საუკუნეებში, რომელშიც გიორგი ლომთათიძემ, მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობით დაგროვილი დიდი ცოდნისა და ერუდიციის წყალობით, არქეოლოგიურ ძეგლებსა და მრავალრიცხოვან ნივთიერ მასალაზე დაყრდნობით, წარმატებით აღადგინა და წარმოაჩინა შუასაუკუნეების საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა. ეს ნაშრომები, მათი აქტუალობისა გამო, გოგი ლომთათიძის გარდაცვალების შემდეგ, ახალი რედაქციით 1977 წელს, მონოგრაფიად - „საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII საუკუნეებში“ ხელახლა გამოიცა.

გიორგი ლომთათიძე იყო არა მხოლოდ ფართო თვალსაწიერის მქონე მკლევარ-არქეოლოგი, არამედ ბრწყინვალე პუბლიცისტიც. მის მიერ გათხრილი ძეგლებისა თუ საქართველოს ისტორიის

ცალკეულ თემებზე, უპირატესად მათი პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს გაზეთებისა და ჟურნალების გვერდებზე აქვეყნებდა სტატიებსა და ნოველებს. იგი იყო მრავალი გაზეთის საგანგებო კომისიის წევრი და შეურიგებლად ებრძოდა ენობრივი ნორმების დამახინჯებას, ასევე უცხო სიტყვების უადგილოდ, მოუზომავად გამოყენებას. გ. ლომთათიძეს დიდი შრომა აქვს გაწეული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის შესაქმნელადაც.

გოგი ლომთათიძე იყო თავისი კოლეგებისა და წინაპართა ღვაწლის დიდი დამფასებელი. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ურთიერთობა ექვთიმე თაყაიშვილთან. იგი წლების განმავლობაში, სამშობლოში დაბრუნებულ, უკვე ხანდაზმულ ექვთიმე თაყაიშვილს უანგაროდ ეხმარებოდა პირადი არქივის მოწესრიგებაში, ნაშრომების რედაქტირებაში, როგორც მის სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგ. მან დიდ მამულიშვილთან - ექვთიმე თაყაიშვილთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის წვრილმანი დეტალებიც კი მისთვის ჩვეული გულმოდგინებით და საინტერესოდ ასახა დღიურებში, რომელიც საფუძვლად დაედო მის კიდევ ერთ მონოგრაფიას - „ქართული კულტურის მატიანე ექვთიმე თაყაიშვილი“ (1990 წ) .

გოგი ლომთათიძეს ათეულობით მემორიალური წერილი, ბიოგრაფია თუ ნეკროლოგი აქვს გამოქვეყნებული ე. თაყაიშვილზე, ივ. ჯავახიშვილზე, ნ.მარზე, გ. ჩუბინიშვილზე, გ. ნიორაძეზე და სხვ. იყო ქართული, რუსული, ინგლისური ენების ბრწყინვალე მცოდნე და ამ ენებზე 25-მდე წიგნის, ბროშურის, სტატიის მთარგმნელი; შესანიშნავი პედაგოგი და კოლეგა, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი და მისი კულტურული მემკვიდრეობის ერთგული და უანგარო დამცველი.

გიორგი ლომთათიძეს ბევრი დაუსრულებელი გეგმა და განუხორციელებელი ოცნება დარჩა. მას განსაკუთრებით დიდი სურვილი ჰქონდა გაეთხარა თმოგვი, წუნდა, სამშვილდე, რომლებიც დღესაც ელიან არქეოლოგის წერაქვს. იმედს ვიტოვებთ, რომ ახლი თაობა პატივისცემითა და მოწიწებით მოიხსენიებს გიორგი ლომთათიძის ღვაწლს და ოდესმე შეძლებს მისი ოცნებების ასრულებას.

მოგონებანი

გიორგი ლომთათიძეზე

თამარ პაატაშვილი

გიორგი ლომთათიძე

რუსთავის მუზეუმის ფუძემდებელი

1944 წლის გაზაფხულზე დაიწყო რუსთავის მშენებლობა და პირველი ბარის დაკვრისთანავე იგი არქეოლოგთა ყურადღების არეში მოექცა. პირველ წლებში არქეოლოგები მეთვალყურეობას უწევდნენ მშენებლობას და მცირე თხრასაც აწარმოებდნენ. 1949 წლის აპრილში კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ექსპედიცია მოავლინა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსთავის მიწის წიაღის ფართო მეცნიერულ შესწავლას.

მე წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი რუსთავის პირველი ექსპედიციის წევრი და მემუშვა ბატონ გოგის ხელმძღვანელობით.

ამ დღიდან ჩემი შრომითი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა ქალაქ რუსთავსა და მის მუზეუმს, ხოლო ეს ორივე - ქალაქ რუსთავის წარსული და მისი მუზეუმიც ბატონ გოგის ზრუნვის საგანი გახდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

1950 წლის ზაფხულში, როდესაც ექსპედიცია რუსთავის ნაქალაქარზე მუშაობდა, გვესტუმრა რესპუბლიკისა და ქალაქის ხელმძღვანელ ამხანაგთა დიდი ჯგუფი, რომელმაც საქმიანი ინტერესი გამოიჩინა ძეგლისა და საერთოდ განათხარი მასალისადმი. ბატონმა გოგიმ შემდეგ გვითხრა, რომ იმათი მოსვლა რუსთავში მუზეუმის გახსნის საკითხის მზადებასთან იყო დაკავშირებული.

იმავე წლის ბოლოს მუზეუმის გახსნის საკითხი დადებითად გადაწყდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში. ხოლო როდესაც ახლად - ჯერ მხოლოდ ქაღალდზე დაარსებული მუზეუმის დირექტორის დანიშვნის საკითხი დაისვა, კანდიდატის შერჩევა ისევ ბატონ გოგის სთხოვეს. ასე გავხდი მე რუსთავის მუზეუმის დირექტორი.

და ამ დღიდან დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა. თანამშრომლობას რომ ვამბობ ჩემს თავს კიდევ ერთხელ ვაძლევ ნებას ისეთივე სითამამე გამოვიჩინო, როგორიც მაშინ გამომიჩენია ხოლმე. თუ რაიმე საკითხში წინააღმდეგობას წავაწყდებოდი მე ახალგაზრდული სითამამით ვაწუხებდი ბატონ გოგის და ისიც დაუზარებლად, ჩვეული ენერგიით მეხმარებოდა ყველა საქმის ბოლომდე მიყვანაში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი თავის პირველ პირში და მხოლობით რიცხვში მოხსენიება იმ სითამამეს არ მიეწერება. შვიდი წლის განმავლობაში მე - დირექტორი - ერთადერთი მუშაკი ვიყავი მუზეუმისა, თუ არ ჩავთლით დამლაგებელს, რომელიც ნახევარ საშტატო ერთეულს წარმოადგენდა.

რუსთავის მხარეთმცოდნეობის დირექტორად დავინიშნე 1951 წლის თებერვალში. რუსთავში ჩასვლისთანავე მითხრეს, რომ შენობა უკვე გამოყოფილია და რემონტიც დაწყებული გვაქვსო. აღმოჩნდა, რომ მუზეუმისთვის სწორედ ის შენობა გამოუყვიათ, რომელშიც ექსპედიციას ბინა ჰქონდა. ეს იყო ხის ერთ სართულიანი დროებითი ნაგებობა ნაქალაქარის ტერიტორიაზე. მშენებლობის დასაწყისში იქ რესტორანი გაეხსნათ და იმის მისანიშნებლად თუ სად მდებარეობდა მუზეუმი მე ხშირად მიხდებოდა სწორედ იმ რესტორანის - „მოდინახეს" ხსენება. ექსპედიციის

მუშაობის დროს იმ ბარაკში ვიყავით თავშეფარებულები. მართალია თავზე გვაწვიმდა, მაგრამ ეს შენობა მაინც ყველაზე შესაფერად გვეჩვენებოდა ექსპედიციის ბაზად, რადგან ჯერ ერთი - იქვე ვთხრიდით, მეორეც - შენობა საკმაოდ მოზრდილი იყო და ყველა ვეტეოდით. ერთი პაწია ოთახი, სადაც სამი საწოლი ძლივს ეტეოდა, ქალებს გამოგვიყვეს, ხოლო დანარჩენი ბრეზენტით იყო გაყოფილი; ნაწილი მუშებს ეკავა - ორმოცამდე კაცი გვყავდა; მეორე ნაწილში მოთავსებული იყო განათხარი მასალა, ინვენტარი, სამუშაო და სასადილო მაგიდები, იქვე ეძინათ ექსპედიციის წევრ მამაკაცებს და მათთან ერთად ბატონ გოგისაც.

სწორედ იმ შენობის რემონტი, უფრო სწორი იქნება ვთქვა - სახურავის რემონტი იყო დაწყებული ჩემი რუსთავში ჩასვლის დროისათვის.

მუზეუმისათვის ამაზე უფრო შეუფერებელ, შენობას ადამიანი ვერ წარმოიდგენდა. ერთადერთი არგუმენტი, რომელიც ქალაქის მაშინდელ ხელმძღვანელობას შეეძლო ამ შენობის სასარგებლოდ მოეყვანა ის იყო, რომ ის ციხის ნანგრევებთან ახლოს, ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მაგრამ ეს ხომ კონსერვაცია-რეკონსტრუქციაქმნილი, დაცული და დათვალიერებისათვის მომზადებული ნაქალაქარი არ იყო? ამ დროისათვის ჩვენი წინა წლის თხრილების ადგილას სამედიცინო ქალაქის კორპუსები იყო უკვე წამომართული და მუზეუმიც სადღაც საავადმყოფოს ეზოს უკან იყო მოქცეული.

აი ამ დღიდან და ამ საკითხით დაიწყო ჩემი და ბატონი გოგის ერთობლივი ბრძოლა მუზეუმისათვის.

მე შემთხვევით არ ვიხმარე ეს სიტყვა - ბრძოლა. იმას, რომ მუზეუმისათვის სხვა, უფრო შესაფერისი შენობისა და ადგილის მონახვა იყო საჭირო, ნამდვილად ბრძოლა და დარწმუნება ესაჭიროებოდა. ამ უვარგისი შენობის მოსაწესრიგებლად უკვე საკმაოდ დიდი თანხა იყო დახარჯული და ასე, მუზეუმის გაუხსნელად მისი მიტოვება, ახალი შენობის მოძებნა და მუზეუმისათვის შესაფერი სახის მიცემა ისევ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ეს კი ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელობისათვის წარმოუდგენლად ძნელი იყო.

დავიწყეთ იმით, რომ ჩემი დირექტორად დანიშვნიდან სულ რამდენიმე კვირის შემდეგ ბატონმა გოგიმ მუზეუმში - სწორედ ზემოხსენებულ შენობაში ჩამოგვიტანა მთელი განათხარი მასალა. უნდა აღვნიშნო, რომ ეს პირველი და ისიც გაუხსნელი მუზეუმი იყო რესპუბლიკაში, რომელსაც ისტორიის ინსტიტუტმა განათხარი მასალა მისცა. მანამდე ასეთი რამ პრაქტიკაში არ ჰქონია. და ეს სწორედ ბატონი გოგის ინიციატივა იყო. მან მიზნად დაისახა საქმით დაემტკიცებინა ის, რასაც სიტყვით ვერ მიეღწია. ის უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ხელთ გვქონდა ისე აემეტყველებინა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობას დაენახა რის პატრონები ვიყავით და რატომ ვთხოულობდით უკეთეს შენობას.

ამიტომ ბატონმა გოგიმ თვითონ შეადგინა თემატურ - საექსპოზიციო გეგმა. ამ გეგმაში მან თითოეულ ექსპონატს მიუჩინა კუთვნილი ქრონოლოგიური ადგილი. ეს დიდი სამუშაოა და უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის უკვე ძნელი აღარ იყო გეგმაში მითითებული ექსპონატის მოძებნა და ტექნიკური დამუშავების შემდეგ ექსპოზიციაში ადგილის მიჩენა.

ამის პარალელურად მიმდინარეობდა საბჭოთა პერიოდის თემატური - საექსპოზიციო გეგმის დამუშავება, მასალების შეკრება, ინვენტარის დამზადება და სხვა სამუშაოები.

ასე დადგა 1952 წლის ბოლო. ამ პერიოდისათვის მუზეუმში ვიტრინები დავდგით, მასალა გავშალეთ, დავიწყეთ შერჩევა და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენეჯერ, მოვიწვიეთ

ხელმძღვანელები შენობის საკითხზე მსჯელობისათვის. და აი ყინული გალღვა. მუზეუმისათვის სხვა, უფრო შესაფერი შენობის გამოძებნის საკითხი დადებითად გადაწყდა.

არც ახლად შერჩეული შენობა იყო მოსაწონი, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს, და ჩვენც 1952 წლის დეკემბრის მიწურულს მუზეუმი გასახსნელად მზად გვქონდა.

მუზეუმის ოფიციალურად გახსნის წინა დღეს ექსპოზიციის მისაღებად ქალაქის მთელი ხელმძღვანელობა მოვიდა და მოხდა მათთვის სრულიად წარმოუდგენელი რამ. მუზეუმის ექსპოზიციამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მაშინდელმა მმართველმა, ქალაქის დიდმა მოამაგემ - ნესტორ ასალოს ძე გიორგაძემ იქვე, ყველას გასაგონად გამოაცხადა: „... ქალაქში ასეთი განძი გვქონდეს და მე ჩამოსულ სტუმარს ვერ ვაჩვენო, ისეთი მუზეუმი რად მინდაო. ამ შენობაში მე ვერავის ვერ მოვიყვან, სანამ შიგნით შემოვა კაცი ისეთ საშინელ შთაბეჭდილებას ახდენსო“.

იმავე საღამოს შედგა რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროს საგანგებო სხდომა, სადაც გადაწყდა ჩვენთვის მოეცათ ახალი შენობა.

ამ შენობასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მახსენდება.

რუსთავის მაშინდელ მცხოვრებთათვის ცნობილი იყო, რომ ეს სახლი ქალაქის მდივნისათვის შენდებოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, მუზეუმისათვის ყველაზე შესაფერად გვეჩვენებოდა, მაგრამ ნატვრასაც კი ვერ ვბედავდით. ბატონმა გოგიმ კი ნატვრაც გაბედა და სიტყვაც ჩააგდო.

მაშინ კულტურის სამინისტრო ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული და მინისტრთა საბჭოსთან არსებობდა კულტსაგანმანათლებლო საქმეთა კომიტეტი. ამ კომიტეტის ხელმძღვანელი იყო ვალერიან ხატიაშვილი, როგორც ბევრს ახსოვს, დიდხანს გაზეთ „კომუნისტის” რედაქტორად ნამუშევარი საქმიანი და ენერგიული კაცი. აი ამ ხატიაშვლისათვის ბატონ გოგის საუბარში უთქვამს, რომ ქალაქში არის მუზეუმისათვის საუკეთესო შენობა და დაუსახელებია კიდეც რომელ შენობაზე იყო ლაპარაკი. ცოტა ხნის შემდეგ, ხატიაშვილი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე შეხვედრია ზედგინიძეს - რუსთავის იმდროინდელ ქალქკომის მდივანს და ეშმაკურად უთქვამს: გავიგე ძალიან კარგ შენობას გვაძლევ მუზეუმისთვისო და დაუსახელებია სწორედ ის სახლი, რომელიც მისთვის იყო აშენებული. ამ ამბავს კინაღამ შევეწირეთ მე და ქალაქის კულტურის განყოფილების გამგე.

ორი თვის შემდეგ - 1953 წლის პირველ მარტს სწორედ იმ შენობაში გავხსენით კიდეც მუზეუმი.

ეს იყო ჩვენი დიდი გამარჯვება. და ამ გამარჯვებას ბატონი გოგის დიდი ზრუნვისა და დიდი შრომის შედეგად მივაღწიეთ.

ლუიზა ბასიაშვილი

გიორგი ლომთათიძე და რუსთავი

გიორგი (გოგი) ლომთათიძეს გავეცანი მცხეთაში, ჩემი მოწაფეობის პერიოდში, არქეოლოგიური გათხრების დათვალიერებისას; გაირკვა, რომ მასთან ნაცნობობა ჩემს მშობლებსაც აკავშირებდათ.

გავიდა ხანი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად რუსთვში მომიხდა გადასვლა. მუშაობა დავიწყე რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ამჯერად გ.ლომთათიძე გავიცანი როგორც რუსთვის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

მუზეუმის ყოფილი დირექტორის თამარ პაატაშვილის გადმოცემით, ხოლო შემდეგში ჩემი მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში, რუსთავის მუზეუმის ცხოვრებაში არ მომხდარა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც გოგი ლომთათიძეს არ მიეღოს აქტიური მონაწილეობა, არასოდეს არ იგრძნობოდა, რომ იგი მუზეუმის უშუალო თანამშრომელი არ იყო. ჩვენი საქმიანობის ჭეშმარიტ გულშემატკივარს ყველაფერი აინტერესებდა და აღელვებდა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის მას რუსთავის მუზეუმის დაარსებასა და მისი პირველი არქეოლოგიური გამოფენის მოწყობის საქმეში.

ბატონი გოგი რუსთვის არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა 1949-1950, 1951, 1959, 1960 - 1962, 1965 წლებში. ჭეშმარიტი ენციკლოპედიური ცოდნით შეიარაღებული მკვლევარი, ფრიად განსწავლული არქეოლოგი, ჩვენი ქალაქის ცოცხალ მატიანედ იქცა.

ამიტომაც იყო, რომ თითოეული არქეოლოგიური ძეგლის, თუ უკვე სამუზეუმო ექსპონატად ქცეულ აღმოჩენის რაობის გასარკვევად თუ დასადგენად, სისტემატურად გვიხდებოდა მისი შეწუხება.

1966 წელს, როდესაც ქართველი ხალხი, საბჭოთა და სხვა ქვეყნების ხალხთან ერთად, ემზადებოდა დიდი შოთა რუსთაველის იუბილესათვის, ქ. რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინაშე დაისახა ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა, გამოფენაზე საკადრისად უნდა წარმოგვედგინა რუსთაველის ხანა, რომელიც მრავლისმეტყველად იყო წარმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

ჩვენი ქალაქი, საიუბილეო დღეებში ელოდა სტუმრებს, არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც. და აი, სწორედ ამ საპასუხისმგებლო, დაძაბულ პერიოდში ისევ გ. ლომთათიძე ამოგვიდგა გვერდში და ჩვეული გულისხმიერებით გვეხმარებოდა მასალის საგამოფენოდ შერჩევაში, დათარიღებაში თუ სხვა საექსპოზიციო საქმიანობაში.

მიუხედავად საგრძნობლად შერყეული ჯანმრთელობისა, მან ჭეშმარიტი მეცნიერის, პატრიოტი მამულიშვილის საკადრისად გაიყო ჩვენთან ერთად ეს მძიმე, შრომატევადი საქმიანობა.

ახლოვდებოდა საზეიმო დღეები, ძალზე ვღელავდით. ჩვენი განახლებული ექსპოზიცია ელოდა პირველ დამთვალიერებელს. მახსოვს მზადების ბოლო დღეებში ჩამობრძანდნენ: ირ. აბაშიძე, გ. წერეთელი, რ. თვარაძე, ნ. აგიაშვილი და სხვანი. ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ სიტყვებით მოგვმართეს:

„რუსათავის მუზეუმი ერთი ყველაზე ახალგაზრდა მუზეუმია ჩვენში და ბარაქალა, ამ მუზეუმის

მუშაკებს, რომ ასე კარგად გაუმართავთ იგი. აგერ კარზედ მოგვადგა დიდი რუსთაველის იუბილე და აბა, თქვენ იცით, ძვირფასო მეგობრებო, როგორ შეხვდებით ამ თარიღს, სტუმრებს, რომლებიც მრავლად ჩამოვლენ.

ჩვენდა საბედნიეროდ, ბევრი ძვირფასი ექსპონატით დავუჯილდოვებივართ ამ მადლიან მიწას, ჩვენი მამა- პაპათა სისხლით გაპოხილ მიწას, მოვუაროთ მას“.

დადგა საზეიმო დღეები, გ. ლომთათიძე დილიდან დაღამებამდე კვლავ ჩვენთანაა. იგი ყველგან მეგზურობას უწევს ჯგუფ-ჯგუფად მოსულ საბჭოთა თუ უცხოელ სტუმრებს ხან ნაციხვარზე, ხან მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში, გვამხნევებს, გვაიმედებს, გვიწინასწარმეტყველებს საქებარ მასპინძლობას.

მართლაც, გ. ლომთათიძის მონდომებამ, დიდმა შრომამ და დახმარებამ საჩინო შედეგი გამოიღო.

ჩვენი ქალაქის მკვიდრთ დღესაც კარგად ახსოვთ ლამაზად თმაშევერცხლილი ჭაბუკური სიმხნევით მოსიარულე, დარბაისლურად მოსაუბრე, ღრმად განათლებული, დიდი შინაგანი კულტურის ინტელიგენტი, ადამიანი, რომელიც უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა თანამშრომლთა, ნაცნობთა თუ მცირე ხნით შემხვედრთა გულში.

ბატონი გოგი ცხოვრობდა ჩვენი ქალაქის ცხოვრებით, იგი რუსთავის მოქალაქეებს ხვდებოდა გათხრებზე, „სოციალისტური რუსთავის“-ს ფურცლებზე, სალექციო დარბაზებში თუ რადიოს საშუალებით.

კიდევ ერთი მაგალითი: განახლებულმა ექსპოზიციამ მუშაკები კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ მუზეუმის მომცრო შენობა მოთხოვნებს მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა.

კვლავ გვიდგება მხარში ბატონი გოგი და ჩვენთან ერთად ჯერ ქალაქის ხელმძღვანელობის წინაშე, ხოლო შემდეგში საქართველოს მინისტრთა საბჭოშიც შუამდგომლობს მუზეუმის გაზრდის, გაფართოების, რუსთავის არქეოლოგიურად შესწავლის, განახლების, თუ სხვა სასიკეთო საკითხების მოგვარებისათვის.

მისი საბედისწერო დადუმების წინა დღეს, საწერ მაგიდაზე დარჩა დაუმთვრებელი მიმართვა: „ისევ რუსთავის შესახებ“.

აი ასეთი უანგარო და ჭეშმარიტი ამაგდარი იყო გ. ლომთათიძე რუსათვისა და რუსთაველებისათვის.

რუსთავის მოქალაქეებს ახსოვთ, თუ რა ბევრი შრომა დახარჯა მან რუსთავის, ისტორიულად „ბოსტან-ქალაქად“ წოდებული კულტურულ - ადმინისტრაციული ცენტრის კულტურული ფენების გამოსავლინებლად, შესასწავლად, ახსოვთ და მუდამ ეხსომებათ კაცი, რომლის ცდამ და ზრუნვამ ესოდენ ბევრი შესძინა ჩვენი ქალაქის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

ცისანა ჩიკოიძე

მოგონებები გიორგი ლომთათიძეზე [1]

დიდი პატივია ჩემთვის დღეს ბატონ გოგიზე საუბარი, ბუნებრივია ვღელავ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უნდა გავიხსენო იგი და მეორეც იმიტომ, რომ თითქოს უნდა შევაფასო და ჩემი აზრი გამოვთქვა მასზე.

ბატონი გოგი ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, ყველა მისი მოწაფისათვის იყო არა მხოლოდ პედაგოგი, რომელმაც გვასწავლა, შეგვაყვარა და გვაზიარა არქეოლოგიას, არამედ ის იყო ჩვენი უახლოესი მეგობარი, ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, რომელიც ყოველთვის გვერდში გვედგა, მაგრამ არასოდეს არ წაშლილა ჩვენს შორის უფროს-უმცროსისა და მოსწავლე-მასწავლებლის ზღვარი. მე ყოველთვის ვიყავი მის მიმართ მოკრძალებული, მორიდებული, რომელსაც ვერასოდეს სიტყვას ვერ შევუბრუნებდი, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს წინ იყო ძალზედ ერუდირებული და ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება. იგი იყო მკაცრი და ამავე დროს ლმობიერი, მომთხოვნი და მოსიყვარულე, დამრიგებელი და მკაცრი მსაჯული.

კარგადაა ცნობილი მისი დამსახურება ქართული არქეოლოგიის წინაშე. დღესაც ბევრი ითქვა მისი ნიჭისა და შემოქმედების შესახებ. მის სახელთანაა დაკავშირებული მედიავისტური არქეოლოგიის განვითარება. დიდი ღვაწლი მიუძღვის მას შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში, რომელსაც იგი მისთვის ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით ხელმძღვანელობდა. მისი ხელმძღვანელობით ითხრებოდა ქალაქები: რუსთავი, უჯარმა, ურბნისი, თბილისი, ახალქალაქი, კვეტერა, თელავი, ვარციხე და სხვ. რომელთა დიდი ნაწილი მისი მოწაფეების საკვალიფიკაციო თემებად იქცა; მომზადდა მონოგრაფიები ქალაქებზე - თელავის, ვარციხის, ახალქალაქის, თბილისისა და ახლა უკვე რუსთავის შესახებაც. ხელოსნურ ნაწარმზე-ფაიანსის, მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის, სამშენებლო კერამიკისა და მინის შესახებ.

აქვე მინდა გულისტკივილითა და მწუხარებით მოვიხსენიო ბატონი გოგის მოწაფეები, ამ თემების შემსრულებლები, რომლებიც გამორჩეულად უყვარდა მას და ზოგიერთი მათგანი დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის: ესენი არიან ნ. უგრელიძე, ჯ. ჯღამაია, გ. ნასიძე, მ. მიწიშვილი და სულ ახლახან წასული თ. არჩვაძე.

გოგი ლომთათიძე ყოველთვის იდგა ახალგაზრდების გვერდით. არასოდეს არ ფარავდა წყენასა და სიხარულს. თუ რამე მოეწონებოდა ჩვენს მიერ გაკეთებული, გულუხვი ქებით გვიწონებდა საქმიანობას.

[1] მოხსენება წაკითხულია გ. ლომთათიძის დაბადებიდან 90 წლისთვისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე 2004 წლის 26 ნოემბერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის კვლევის ცენტრში.

**რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1959 წელი, საველე სამუშაოების ბოლო დღე - თოვს.
სხედან: მერი ჩხატარაშვილი, გიორგი ზამთარაძე, დგანან: ცისანა ჩიკოიძე,
მარინა მიწიშვილი, გოგი ლომთათიძე, ნუციკო უგრელიძე, ლია კორძაია,
სოსო ცინცაძე, ემზარ შალიკაშვილი, თინა არჩვაძე.**

ერთხელ, მახსოვს, რუსთავში ველზე გვესტუმრა მაშინდელი მთავრობის მეთაური, ცოტა უცხვირპირო კაცი იყო. პირველად ჩემთან მოვიდა უბანზე პირქუშად, არც მოგვსალმებია და არც არაფერი გვკითხა. მეც არ შევეგებე. (ალბათ ესეც ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით მომივიდა); შემდეგ ბატონ გოგისთან დამასმინა, უზრდელად შემხვდაო. ბატონმა გოგიმ მაშინვე დამიცვა, მას ასეთები არ სჩვევიაო, შემდეგ კი მისაყვედურა: სტუმარს ასე არ ხვდებიანო.

მახსოვს, რუსთავის ექსპედიციაში, საღამოობით როგორ დაუზარებლად დაჯდებოდა ხოლმე რუსთავის მუზეუმის პატარა შენობაში მასალის გასატარებლად, ჩვენ გვერდით მოგვისვამდა, ატარებდა მასალას და გვასწავლიდა ჩვენც. ეს ისეთი საინტერესო პროცესი იყო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. სამუშაო დამღლელი და მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, გარდა არქეოლოგიისა საუბრობდა ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, კინოსა და თეატრზე. განსხვავებულ აზრს თუ გამოვთქვამდით ძალიან ბევრს გვეკამათებოდა და უბრალოდ არ გვითმობდა, ისევ ჩვენ

ღიმილით და ძალიან მოკრძალებით ვთმობდით.

როდესაც ველზე რაიმე საინტერესო აღმოჩნდებოდა ისე უხაროდა და ისე გულწრფელად გამოხატავდა სიხარულს, რომ არ შეიძლებოდა არ გადაგდებოდა. თელავში გაითხარა კახეთის მეფეთა სასახლის ნაშთები. მისი გეგმა და სავარაუდო რეკონსტრუქციის ნახაზი გააკეთა ბატონმა ლეო რჩეულიშვილმა - ბატონი გოგის უახლოესმა მეგობარმა და თელავის დიდმა პატრიოტმა.

ბატონ გოგის ხელში ეჭირა ეს გეგმა, ბედნიერი და აღტაცებული გაჰყურებდა ალაზნის ველს, კავკასიონს, ალავერდს და მისთვის ჩვეული დაუფარავი ემოციით თქვა: ასეც ვიცოდი, იცოდა ქართველმა მეფემ სად და როგორ უნდა გაემართა თავისი რეზიდენცია, რომ რაც შეიძლება მეტად დამტკბარიყო ქართველი კაცი თავისი შესანიშნავი ბუნებისა და გარემოს ცქერით.

ბატონი გოგი სიხარულს გულში ვერ იტევდა, ყველასთვის უნდოდა გაეზიარებინა. 1968 წელია, ბატონი გოგი იწყებს კვეტერის ამ მართლაც უბრწყინვალესი ქალაქის გათხრას. ჩვენ თელავში ვთხრიდით არტოზანის სამონასტრო კომპლექსს, ერთ დღესაც მოვიდა კაცი და გვითხრა - გოგი ლომთათიძე კვეტერაზე გიბარებთო. ამის მიზეზი იყო გალავანში აღმოჩენილი პატარა ეკლესია, რომელმაც ასე რიგად გაახარა ბატონი გოგი. და ვერ მოისვენა სანამ ჩვენც არ გვაჩვენა. ის საღამო ძალზე ლამაზი პურ-მარილით დამთავრდა.

მახსოვს, ერთხელ თელავში ექსპედიციის დროს, ბატონი გოგი ჩემს სახლში ცხოვრობდა, თავს ეხვეოდნენ რაიკომის წარმომადგენლები, დაატარებდნენ თავიანთ „მამულებში“, ხან სეტყვის დაშლას აჩვენებდნენ, ხან კი ვენახებს და ა.შ. მათთან ერთად, როგორც მასპინძელი, მეც ხშირად დავდიოდი. ერთხელ, ჩემს სახლში პურ-მარილი გაიმართა, თამადა რაიკომის მდივანი იყო. ყველაფერი ძალიან ლამაზად მიდიოდა, უცებ რაიკომის მდივანი ადგა და სტალინის სადღეგრძელო დალია. ბატონმა გოგიმ ძალზე მშვიდად განაცხადა: ამ სადღეგრძელოს მე არ დავლევო და დალია საქართველოს სადღეგრძელო. შემდეგ ადგა და აივანზე გავიდა. ეს მეხის გავარდნასავით იყო. ამ დროს ერთი ჩემი მეზობელი, რომელიც ამ სუფრას ესწრებოდა ადგა, სადღაც გავიდა, რამდენიმე წუთში დაბრუნდა და სტალინის სურათი მოიტანა. ჩვენ შევფიქრიანდით, რომ ამას უსიამოვნება მოყვებოდა, მაგრამ ბატონ გოგის გაეღიმა, და აივნიდან ეზოში ჩავიდა. ასე დამთავრდა ეს მისთვის საგანგებოდ მოწყობილი ვახშამი.

ბატონი გოგი იყო ძალზე პრინციპული და ცოტა ჯიუტიც. ასეთი ხასიათით მოიპოვა მან რუსთავის მუზეუმის შენობა, რომელიც ვინმე გავლენიანი პიროვნების საცხოვრებლად აშენდა. ეს არ იყო მაშინ ადვილი საქმე.

1950 წელს სწორედ გ. ლომთათიძის ძალისხმევით დაარსდა რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. პირველი დირექტორი იყო თ.პაატაშვილი. 1966 წელს რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, გ. ლომთათიძისვე ხელმძღვანელობით განახლდა არქეოლოგიური გამოფენა, ხოლო 1969 წელს, უკვე მუზეუმის გაფართოებულ შენობაში (რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსთავის მუზეუმის ამჟამინდელ დირექტორს ლ. ბასიაშვილს,) მოეწყო ახალი არქეოლოგიური ექსპოზიცია, რომელიც მთლიანად ექსპედიციამ იდო თავს და ამჟამად რუსთავში არის რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო მუზეუმი.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი ბატონი გოგის შემართება, სიყვარული და ერთგულება თავისი საქმისადმი, ყველა იმ ძეგლის მიმართ, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ითხრებოდა, მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ რუსთავი მისთვის ყველაზე გამორჩეული ძეგლი იყო და მისი ბოლოდროინდელი კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს ობიექტს წარმოადგენდა.

60-იან წლებში, როდესაც განახლდა რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია და ბატონმა გოგიმ ციხის გათხრა დაიწყო, შექმნა ახალი ჯგუფი, რომელიც ძირითადად დაკომ-პლექტდა სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი, ახლად უნივერსიტეტდამთავრებული თანამშრომლებისაგან. ადვილი წარმოსადგენია რამდენი ოფლისღვრა და ენერგიის დახარჯვა უწევდა ბატონ გოგის მათ აღზრდაზეც და ძეგლის გათხრაზეც. მე ძალიან მეამაყება, რომ ბატონი გოგი ამ კოლექტივით კმაყოფილი იყო.

ბატონმა გოგიმ დიდი ღვაწლი დასდო რუსთავის არქეოლოგიურ შესწავლას, მაგრამ სამწუხაროდ მას აღარ დასცალდა მის მიერ შვიდი კამპანიის შედეგების სრული გამოქვეყნება. მისი შეჯამებული ნაშრომი გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ კრებულში „რუსთავი “ (1988 წ.).

ბატონმა გოგიმ შეადგინა და დაგვიტოვა რუსთავის ციხე-ქალაქის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური სქემა, რომელიც ძირითადად დღესაც რჩება ძალაში. მანვე დასახა კვლევის ძირითადი გზები და შემდგომი მუშაობის უმთავრესი პირობები. რუსთავის ექსპედიცია დღესაც, ძირითადად, ამავე გზით აგრძელებს მუშაობას მისივე მოწაფეების ხელმძღვანელობით და მონაწილეობით.

მე არ ვიცი რამდენად წარმატებით გავართვით თავი ამ რთული და საინტერესო ძეგლის გათხრას, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ისეთივე ენთუზიაზმითა და სიყვარულით ვმუშაობდით ყველა ჩვენგანი - მისი მოწაფეები, როგორც ჩვენზე უფროსი, ისე ჩემი თაობა, როგორც ამას ბატონი გოგი ასრულებდა და ჩვენც გვინერგავდა. მე დღესაც დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ გოგის იმისათვის რომ გვასწავლა და გვაზიარა არქეოლოგიის რთულსა და საპატიო საქმეს.

მოგეხსენებათ, არქეოლოგიური მეცნიერება რამდენი მოულოდნელობებით არის აღსავსე. ახალმა აღმოჩენებმა ბევრი რამ ახალი წარმოაჩინა, დააზუსტა და გარკვეული ცვლილება შეიტანა ძეგლის სტრატიგრაფიაში, ქრონოლოგიაში და მის გააზრებაში.

წარმომიდგენია, როგორ გაიხარებდა ბატონი გოგი იმ საინტერესო აღმოჩენების გამო, რომელმაც ბევრი ახალი სიტყვა თქვა არა მარტო რუსთავის ქალაქისა და მისი ყოფა-ცხოვრების შესახებ, არამედ საერთოდ, შუასაუკუნეთა ქალაქის ისტორიისათვის.

ძნელია ბატონი გოგის გახსენება მისი მეუღლის ქ-ნ ნინო ღოღობერიძის გარეშე, რომელიც ყოველთვის მხარში ედგა მას სიკვდილის შემდეგაც კი. მახსენდება გოგის კმაყოფილი და სიამაყით აღსავსე სახე, როდესაც ნინოს როიალთან მჯდომარეს და ამღერებულს ხედავდა.

მე მინდა ბატონ გოგისთან ერთად გავიხსენო ბატონი სანდრო კალანდაძე - მისი უერთგულესი მეგობარი და ამდენად ჩვენთვისაც უახლოესი პიროვნება: სიკეთით, სიყვარულით და კეთილშობილებით გამორჩეული კაცი. ერთი პატარა ეპიზოდი მინდა მათთან დაკავშირებით მოვიგონო.

ვაბარებთ გამოცდას საკანდიდატო მინიმუმისათვის სპეციალობაში. კომისიის თავმჯდომარე იყო ბატონი სანდრო. კომისიაში შედიოდნენ ბატონი გოგი და ოთარ ლორთქიფანიძე, თავის ქებაში არ ჩამომართვათ და სუყველა (ხუთივე ლომათათიძის მოწაფე) ძალზე კარგად ვიყავით მომზადებული. გამოცდის დღეს ბატონი სანდრო ავად გახდა, რადიკულიტი შეეყარა, გამოცდა არ გადადეს და დანიშნეს ბატონი სანდროს სახლში. მივედით, ბუნებრივია ძალზე ვღელავდით. გამოცდა დაიწყო, ყველანი შესანიშნავად ვპასუხობდით. გამომცდელები ეშხში შევიდნენ და უამრავ შეკითხვებს გვისვამდნენ. ძალიან ამაყად იჯდა ბატონი გოგი და იქამდე მივიდა, რომ

ბატონ სანდროს უსაყვედურა, პალეოლითიდან ძალზე ცოტა კითხვებს აძლევო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაზე ძალიან ამ პერიოდის გვეშინოდა. ეს ალბათ იგრძნო ბატონმა სანდრომ და გოგის ღიმილითა და იუმორით უპასუხა: ნუ მიმიყვან იქამდე, როლები არ შეიცვალოს და ამ ახალგაზრდებმა ჩვენ არ ჩაგვჭრანო. ასე დამთავრდა გამოცდა. გამოვედით კაბინეტიდან და ბატონი სანდროს იმ პატარა და გემრიელ ბინაში დაგვხვდა გაშლილი სუფრა, რომელიც საგულდაგულოდ მოემზადებინა ქალბატონ სარას და ბატონ კიაზო ფიცხელაურს. ის საღამო ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში დარჩა, როგორც განუმეორებელი, რომელიც არასოდეს არ წაიშლება.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ბატონ გოგის განსაკუთრებით უყვარდა ქალაქი რუსთავი და დიდი შრომა აქვს მასში ჩადებული, მაგრამ მას არ დასცალდა მიღებული შედეგის სრულად გამოქვეყნება. ჩვენ ყოველთვის ვთვლიდით თავს ვალდებულად, რომ შეძლებისდაგვარად გვეპატრონა რუსთავისთვის ამ გაჭირვებულ წლებში. მოვახერხეთ რამდენიმე არქეოლოგიური კამპანიის ჩატარება, რაშიც ძალიან დაგვეხმარა ქალაქის ხელმძღვანელობა, გამოვაქვეყნეთ რუსთავისადმი მიძღვნილი ორი კრებული, მესამეც გადაცემულია დასაბეჭდად, რომელიც ბატონი გოგის ამ საიუბილეო თარიღსა და მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება.

მე იმედი მაქვს, რომ რუსთავის არქეოლოგიური შესწავლა კვლავ გაგრძელდება ისეთი ინტერესით და სიყვარულით როგორც ის დაიწყო ბატონმა გოგიმ და გააგრძელეს მისმა მოწაფეებმა. ჩვენ კი ვეცდებით ეს ინტერესი და სიყვარული გადავცეთ ჩვენს შემდგომ თაობებს.

ეკა ჯანდიერი

არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე

რუსთავსა და ჯავახეთში

(მცირე მოგონებანი ჩემი მასწავლებლისა და მეცნიერ - ხელმძღვანელის ხსოვნის აღსანიშნავად - დაბადებიდან 100 წლისთავისათვის)

1950-იან წლებში მე ჯერ ისევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა გაკვეთილების შემდეგ, ჩემს თანაკლასელებთან ერთად, ჩიტაძის ქუჩიდან თავდაღმართზე სირბილით დაშვებულები ტყაპა-ტყუპით გამოვრბოდით რუსთაველის პროსპექტზე - ხან იქვე კინოში შევცვივდებოდით ხოლმე (მაგ. „ტარზანის“ ან სხვათა სანახავად), ხან ნაყინს მივირთმევდით „ალექსანდრეს“ ბაღში...

- და ამ დროს ხშირად წავაწყდებოდით ხოლმე რუსთაველის პროსპექტზე დინჯი, მაგრამ რაინდივით მტკიცე ნაბიჯებით მომავალ ერთ ახოვან, მხარბეჭგაშლილ, მშვენიერი გარეგნობის ქართველ ვაჟკაცს, რომელსაც ქარი უწეწავდა ფაფარივით აყრილ ხშირ თმას.

სკოლიდან თავდახსნილი აცელქებული ბავშვები ძალაუნებურად მონუსხულივით თვალს გავაყოლებდით ხოლმე მას: მოგვწონდა იგი, უდავოდ შესამჩნევი ფიგურა გახლდათ. სახეზე გონიერების ფრთოსანი ღიმილი გადასდიოდა. აშკარად ემჩნეოდა, რომ იგი ძირძველი თბილისელი იყო, თავისი ხალხის პირმშო და ქალაქის მკვიდრი. მოდიოდა და თან მოჰქონდა რუსთაველის პროსპექტი. ნაცნობ-მეგობრებთან ხშირად ჩერდებოდა, ესალმებოდა, ებაასებოდა. ათი გამვლელიდან - შვიდი აუცილებლად უკან მიხედავდა და სიამოვნებით თვალს გააყოლებდა მას.

შემდეგ გავიგე რომ ეს კაცი - კარგი ქართველი მამულიშვილი და თავისი ქვეყნის სიძველეთა მკვლევარი მეცნიერი **გიორგი ლომთათიძე** გახლდათ. ერთი-ორჯერ მამასთან ერთად შევხვდი მას ქუჩაში, კაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მოიკითხეს, მამამ წარმადგინა მასთან - ჩემი შვილია, ისტორიკოსობას აპირებსო.

მე მაშინ საჩუმათოდ მქონდა გაგებული მისი მამის ალექსანდრე ლომთათიძის ოჯახური ტრაგედია... ამ ვითარების არსს კი უფრო მოგვიანებით ჩავწვდი - როცა მიამბეს, თუ როგორ კინაღამ შვილიც იმსხვერპლა მამის პოლიტიკურმა უბედობამ - თუ არა აკად. სიმონ ჯანაშიას დროული და გადამწყვეტი ჩარევა საბჭოთა მთვრობის დონეზე, განთავისუფლების თხოვნით, რის შემდეგაც მან ბ-ნი გოგი ლომთათიძე თავის ქვეყანასა და ოჯახს დაუბრუნდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ბ-ნ გოგის, მეუღლესთან - ნინო ღოღობერიძესთან ერთად, ჩვენს სანათესაო ოჯახში შევხვდი. გიორგი ლომთათიძე - ცნობილი ექიმის ბესო ოქროპირიძის დისშვლი იყო. თავადაც ძალზე ერუდირებული და ფრიად განსწავლული ახალგაზრდა კაცი ძალზე უყვარდათ და სასურველი სტუმარი გახლდათ ბარბარე ჯანდიერისა და ექიმ გიორგი ვაჩნაძის ოჯახში.

მაშინ გამომკითხა ბატონმა გოგიმ ჩემი უახლოესი მიზნები და იქვე გადაწყდა, რომ რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მიმიღებდა ლაბორანტ-არქეოლოგად. ეს იყო 1960 წელს. მანამდე კი მე უკვე მიღებული მქონდა არქეოლოგის „ნათლობა“ ვანის ექსპედიციაში ქ-ნ ნინო

ხოშტარიასთან და გადაწყვეტილიც მქონდა შემესწავლა ჩემი ქვეყნის უძველესი კულტურა და ყოფა. ასე დავუკავშირდი მე ჩემს მომავალ მასწავლებელსა და მეცნიერ-ხელმძღვანელს გიორგი ლომათათიძეს. მე, რა თქმა უნდა, კმაყოფილი და გახარებული ვიყავი: საშუალება მეძლეოდა ჩემი ბავშვობის ოცნება ამესრულებინა - ფეხდაფეხ შემომევლო ჩემი ქვეყანა და ვზიარებოდი მისი დიდებული წარსულის მიწისზედა თუ მიწისქვეშა ძეგლებს, დავკავშირებოდი მეცნიერულ საზოგადოებას და მათთან ერთად, მათი ხელმძღვანელობით მეღვაწა ქვეყნის სასიკეთოდ.

რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1959 წელი
დგანან: თინა არჩვაძე, ცისანა ჩიკოიძე,
სხედან: გიორგი ზამთარაძე, თინა ქუთელია, ლია კორძაია, ლილი ფარცხალაძე,
იულონ გაგოშიძე, მერი ჩხატარაშვილი.

რუსთავის ექსპედიციაში დამხვდნენ ჩემი თანატოლი გოგოები: თინა არჩვაძე, ნანა მამაიაშვილი, მარინა მიწიშვილი, ცისანა ჩიკოიძე, მერი ჩხატარაშვილი. ამ ჯგუფს მეც მივემეტე. ექსპედიციაში ორი ვაჟიც იყო - ბესიკო ჯორბენაძე და ჯამლეტ ჯღამაია. მოგვიანებით რუსთავის ექსპედიციას შემოემატა ახალგაზრდა ვახტანგ ჯაფარიძე. ეს იყო რუსთავის ექსპედიციის ძირითადი ბირთვი, რის საფუძველზეც შემდეგ - 1965 წელს ბ-ნმა გოგიმ ჩამოაყალიბა შუა

საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი განყოფილება.

ჩვენს ექსპედიციას წლების განმავლობაში თავდადებული სამსახური და მეზობლობა გაუწია ქ. რუსთავის მკვიდრების - ისააკ და დარიკო ჯაბანაშვილების ოჯახმა; უსაზღვროდ უყვარდათ და პატივს სცემდნენ ბ-ნ გოგის და მასთან ერთად ჩვენც. მათი ორი ქალიშვილი მარიკა და ქეთინო ჯაბანაშვილები დღემდე მეგობრობენ ჩვენთან.

1950 წელს ბატონმა გოგიმ საფუძველი ჩაუყარა რუსთავის მხარეთმცოდნეობის (ამჟამად რუსთავის ისტორიული მუზეუმი) დაარსებას ქ. რუსთავში და მის დირექტორებთან - თამარ პაატაშვილთან, შემდეგ - ლუიზა ბასიაშვილთან და მათ თანამშრომლებთან ერთად, აღჭურვა მისი ფონდები და საექსპოზიციო დარბაზები უძველესი სამაროვნისა და ჩვენს მიერ ახლად გათხრილი რუსთავის ციხის ტერიტორიაზე მრავლად გამოვლენილი არქეოლოგიური ექსპონატებით.

ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკად. ნიკო ბერძენიშვილისა და არქეოლოგიის სექტორის გამგის აკად. ანდრია აფაქიძის ხელშეწყობით, 1961 წელს მე ჩამრიცხეს არქეოლოგიის სექტორში, ბ-ნი გოგის განყოფილებაში. ეს წლები ჩემთვის ახალგაზრდული ბედნიერების მოგონებად დამრჩა.

ბატონმა გოგიმ - ამ ენციკლოპედიური ცოდნისა და განათლების მქონე ადამიანმა, უაღრესად კულტურულმა და ერუდირებულმა პიროვნებამ, მხურვალე მამულიშვილმა და პატრიოტმა თავისი ქვეყნისა - უამრავი რამ გვასწავლა ჩვენ, მის მოსწავლეებს. გოგოები განყოფილების ყველა ძირითად საქმიანობაში ვიყავით ჩაბმული: საველე თუ კამერალური კვლევა, სამეცნიერო-თემატური თუ საგამომოცემლო საქმიანობა - ეს იყო ჩვენი მუშაობისა და კვლევის ძირითადი გეგმა და მიმართულება, რომელსაც დიდი რუდუნებით, სიცოცხლის ბოლმდე სათავეში ედგა და მწყემსავდა ბ-ნი გოგი ლომთათიძე.

თავის „წიწილებს“ გვეძახდა ხოლმე. ხშირად იცოდა თქმა: „მართალია მე სულ გოგოები მყავს, მაგრამ ბიჭებსა სჯობიანო“. ჩვენც გვეამაყებოდა შექება და დიდად მეგობრულად და სიყვარულით ვიყავით განწყობილი მის მიმართ, თავგამოდებით ვასრულებდით უფროსი მასწავლებლის ყველა დავალებას.

ძალზე ხალასი იუმორის პატრონი იყო: როცა კარგ ხასაიათზე იყო, გულიანად ხითხითებდა ხოლმე, გვაცინებდა გურული კუთხური გამონათქვამებით. იმ დროს თვალები ეჭუტებოდა, სახე ებადრებოდა და სათვალე უპრიალებდა. იშვიათი სმენა და მეხსიერება ჰქონდა - ვერაფერს გამოაპარებდი, ავტობუსის რახრახშიც კი. მაგრამ თუ რაიმეზე გაჯავრდებოდა, რაც იშვიათად ხდებოდა, მაშინ სახე ექუფრებოდა, თვალები თითქოს უკან ჩაეძირებოდა და სათვალეც ბუნდდებოდა. მაგრამ არასოდეს მახსოვს - ჩვენისთანა „წიწილებისთვისაც“ კი უხეში სიტყვა ეკადრებინოს ან დავემცირებინეთ აბუჩად ამგდები გამონათქვამებით. მისი საქმიანი შენიშვნაც კი, შინაგანი ბუნებითი ტაქტიანობის გამო, - ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი იყო ხოლმე ყოველი ჩვენთაგანისთვის, რომელიც აუცილებლად ყურად უნდა გვეღო. - ჩვენ ყველას გვიყვარდა ბ-ნი გოგი, ხალისიანი, დახვეწილი ინტელიგენტი, ნიჭიერი, მრავალმხრივი განათლების მქონე მეცნიერი, უსაზღვროდ შეყვარებული თავისი ქვეყნის უძველეს კულტურაზე, დიდი პატრიოტი და დამფასებელი ქართველი ხალხის ნიჭისა და უნარისა.

ერთი წლის მუშაობის შემდეგ მან, სხვა თანამშრომლებთან ერთად, უკვე ჩამაბარა რუსთავში გასათხრელი უბანი და გეგმით გამიფორმა საკვლევი თემა, რომელსაც ეწოდებოდა: „რუსთავის ფორტიფიკაციული ნაგებობა“. რამდენიმე წლის განმავლობაში მე ვასრულებდი მას. იმთავითვე

ეს თემა რუსთავის ციხის მთელი პერიმეტრის შესწავლას გულისხმობდა, მაგრამ ბ-ნი გოგის გარდაცვალების შემდეგ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, რუსთავში არც უბანი და არც საკვლევი თემა მე აღარ შემრჩა... მას ჩემი კოლეგები უვლიან.

ბოლნისი, 1960 წ.
მარცხნიდან: თამარ იმნაძე, ცისანა ჩიკოიძე, ჯამლეტ ჯღამაია, გოგი ლომთათიძე.
ეკა ჯანდიერი, ნანა მამაიაშვილი, მერი ჩხატარაშვილი

იმ 60-იან წლებში ბ-ნი გოგის ხელმძღვანელობით ჩვენ ქვემო ქართლის სანახები არაერთხელ შემოვიარეთ: ვიმოგზაურეთ ბოლნისში, დმანისში, ქვეშის ციხეზე, ფარცხისში, ფიტარეთში, ალგეთისა და ხრამის ხეობების ძეგლებზე. გვიამბობდა საქართველოს ადრეფეოდალური ხანის ისტორიას, გვაცნობდა არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებს, გადაღებული გვაქვს უამრავი ფოტოსურათი. გვიჩვენებდა ახლად მონაპოვარ და მუზეუმებში დაცულ არქეოლოგიურ მასალებს: თბილისის, განჯისკარის, რუსთავის, თელავის, კახეთ-ალვანისა და სხვა პუნქტებიდან მოტანილ კერამიკას, ფაიანსს, მინას, სამკაულებს, იარაღს, სამშენებლო და უამრავ სხვა მასალებს.

გვაგზავნიდა სამეცნიერო მივლინებებში კონფერენციებზე და სესიებზე - ბაქოში, ერევანში, ყირიმში და რუსეთის სხვა ქალაქებში. ვიმუშავეთ ერმიტაჟში და შუა აზიის მუზეუმებში.

უამრავ დროსა და ენერგიას ხარჯავდა თითოეული ჩვენთაგანის თეზისებისა და გამოსაქვეყნებელი სტატიების რედაქტირებაზე, შესანიშნავად ფლობდა ქართულ, რუსულ,

ინგლისურ ენებს. ჰქონდა უმდიდრესი სიტყვიერი მარაგი.

იმდროისათვის (40-50-იანი წლებიდან მოყოლებული) ჩვენი ხელმძღვანელი ხომ უკვე ცნობილი მეცნიერ - მკვლევარი გახლდათ - უშუალო მონაწილე და გამთხრელი ცნობილი არქეოლოგიური ძეგლებისა, ავტორი და გამომცემელი კლდეეთისა და არმაზისხევის სამაროვნებიდან მომდინარე მასალებისა - თავის კოლეგებთან - ბატონებთან ანდრია აფაქიძესთან, გერმანე გობეჯიშვილთან და ალექსანდრე კალანდაძესთან ერთად; იგი იყო მცხეთა I დიდი არქეოლგიური ექსპედიციის მონაპოვართა პუბლიკაციის რუსულ ენაზე მთარგმნელიც.

***

იმავე 60-იან წლებში, ბ-ნი გოგის ხელმძღვანელობით, რუსთავის ციხის გათხრებს დაემატა განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ფეოდალური ციხე-ქალაქების თელავისა და ჯავახეთის ახალქალაქის კვლევაც.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ექსპედიციების შემზადება, მოწყობა და საველე სამუშაოების განხორციელება ბატობი გოგის უდიდესი ფიზიკური, სულიერი და გონებრივი ძალისხმევისა და მოთმინება-გამძლეობის შედეგია. მის ხელნაწერთა არქივის ერთი მოზრდილი ნაწილი სწორედ ამ ექსპედიციების შესამზადებელ დოკუმენტაციას უჭირავს.

1960 წელს დაიწყო ისტორიული, ქართული ჯავახეთის სიძველეთა კვლევა. ეს კი, ერთგვარად, საავტომობილო გზატკეცილის უკანონო მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. გზატკეცილის გაჭრამ ძველი ციხე-ქალაქის ახალქალქის დასავლეთი ზღუდე-გალავანი ჩამოანგრია და მშენებლობაც გაჩერდა. საქმეში არქეოლოგები ჩაერთვნენ. ვისთან და რომელ უწყებაში არა აქვს ბ-ნ გოგის მიწერილი მოხსენებები, თხოვნები, წერილები და განმარტება-დასაბუთებანი. მისი ადრესატები იყვნენ იმდროინდელი საბჭოთა ნომენკლატურის წარმომადგენლები: მინისტრთა საბჭოს პირველი მოადგილე მ. კაჭარავა, გზატკეცილთა სამმართველოს უფროსი გ. რობიტაშვილი, მთავარი ინჟინერი გრ. კოპალეიშვილი, ახალქალაქისა და ასპინძის რაიკომის პირველი მდივნები სპარტაკ მატოიანი და ლევან ისაკაძე, აღმასკომის საგზაო განყოფილების უფროსები, მშენებლები, ინჟინრები და სხვანი და სხვანი მრავალნი, რომელთაც უნდა გადაეწყვიტათ ჯავახეთის ახალქალაქში მშენებლობის უწინარესი საქმიანობა - კანონიერი, სამეცნიერო-არქეოლოგიური გათხრების დაგეგმვა, დაფინანსება და განხორციელება, ადგილზე ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა და მიწის სამუშაოების წარმოებისათვის ექსპედიციის უზრუნველყოფა მუშახელითა და ტექნიკით.

ბ-ნი გოგის არქივში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის დოკუმენტური მასალა მიმოწერისა და მეცნიერული დასაბუთების სახით, რომელიც, არქეოლგიური სექტორის გამგესთან ბ-ნ ანდრია აფაქიძესთან შეთანხმებით, იმ წლებში წარდგენილი და განხილული იყო სამეცნიერო საბჭოზე ისტორიის ინსტიტუტის დირექტორთან აკად. ნიკო ბერძენიშვილთან ერთად. ეს არის მეცნიერულად დამუშავებული როგორც უახლოესი, ისე პერსპექტიული გეგმები, რომელთა განხორციელება უშუალოდ უნდა მოჰყოლოდა ჯავახეთის ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქისა და ადმინისტრაციული ცენტრის - ახალქალაქის არქეოლოგიურ გათხრებს; ხოლო შემდეგ - გავრცელებულიყო მთელი მხარის უძველესი ძეგლების საყოველთაო საკვლევაძიებო სამუშაოებზე. ბ-ნი გოგი ხაზგასმით აღნიშნავდა: „თუ სადმე უნდა გაიხსნას, დაუყოვნებლივ,

მუზეუმი, პირველ რიგში ეკუთვნის ჯავახეთსა და მის ცენტრს ახალქალაქს. ეს საკითხი საგანგებო ყურადღების ღირსია"; და იქვე - „დასახული არქეოლოგიური სამუშაო საფუძვლად უნდა დაედოს ახალქალაქის ციხე-ქალაქის ნაშთების გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლას".

აკად. ნიკო ბერძენიშვილი უდიდესი ყურადღებით მოეკიდა ჯავახეთში არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებას. მისი საუბრის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ „... წუნდა ადრე საშუალ საუკუნეებისათვის ისეთივე ძეგლია, როგორც, ვთქვათ, რომელიმე უჯარმა - მასზე ადრინდელი, მაგრამ დაახლოებით იმავე ხანებში გამქრალი - ისევე, როგორც ურბნისი და სხვა ამ რიგის ქალაქები ...." იგი მიმოიხილავს ჯავახეთის ძველ სამოსახლოთა ისტორიულ გეოგრაფიას. წყაროებზე დაყრდნობით იხსენიებს ჯავახეთს - როგორც **ა ლ ა ს ტ ა ნ ე ლ ე ბ ი ს ფ ე ო-დ ა ლ უ რ ს ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ს;** მიმოიხილავს საღამოს ტბის პირას აღმართულ ქვის სვეტის **– „ხ ე ლ ი ს"**, როგორც იურდიული დოკუმენტის მნიშვნელობას; აღნიშნავს კუმურდოს ტაძრის ქართულ წარწერებს, ჯაყელთა ისტორიას და უფლებას ჯავახეთის სანახებზე; ჩამოთვლის აბულის, განძანის, ვარდისციხისა თუ ვარდისუბნის გამაგრებულ გორა-ნამოსახლარებს, იხსენებს იმ ძეგლებს, რომელიც მას შემოვლით უნახავს 1933 წლის მოგზაურობის დროს. ამის გამო, ხაზგასმით მიუთითებს: „ფეოდალური ხანის არქეოლოგია ხომ მარტო ერთი ძეგლის გათხრა არ არის. - აქ უსათუოდ მ თ ე ლ ი ს გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს კვლევა და ამას კი ფართო არქეოლოგიური მუშაობა უნდა სდევდეს და წინ უძღოდესო. ჩვენი ისტორიული გეოგრაფია სწორედ ამან უნდა გაამდიდროს; სწორედ ამ დროის არქეოლოგიამ უნდა მისცეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ცოცხალი მასალა ისტორიულ გეოგრაფიას ...., აი ასეთი დაგეგმვის გათვალისწინების შემდეგ შეიძლება წამოწყება და ნაყოფიერად წარმართვა თქვენი მუშაობისა ჯავახეთში. თუკი კავკასიონის სამხრეთი კალთებისა და შავიზღვისპირეთის არქეოლოგია იგეგმება და ისწავლება, რატომ არ შეიძლება დაიგეგმოს რომელიმე კახეთის, ჯავახეთისა თუ სხვა მხარის არქეოლოგია? ეს ძალიან გაგვიმდიდრებდა ღარიბი წერილობითი წყაროების მიხედვით შექმნილ წარმოდგენასო. „- რაკი შემთხვევა მოგვეცა, იგი ჯეროვანად უნდა გამოვიყენოთ და მან უნდა ჩაუყაროს საფუძველი ჯავახეთის შესწავლას". - ასე წარმოედგინა სამუშაოთა დასაწყისი აკად. ნიკო ბერძენიშვილს 1960 წლისათვის, გიორგი ლომთათიძესთან პირისპირ საუბარში.

ასე დაიწყო ბ-მა გოგიმ ახალქალაქის ციხის გათხრები 1960 წლის აგვისტო-ოქტომბერში. ეს იყო შუასაუკუნეების ძეგლების შემსწავლელი პირველი სტაციონალური არქეოლოგიური ექსპედიცია ჯავახეთში, რომელიც ახალქალაქის გარდა, უფრო ძველი ძეგლების გამოვლენასა და აღნუსხვას ითვალისწინებდა ამ მხარეში.

ჯავახეთ-ახალქალაქის არქეოლოგიური ექსპედიცია ბ-მა გოგიმ დააკომპლექტა ძირითადად კუხეთის რუსთავის ექსპედიციის წევრებით: ჯავახეთში პირველად ვიყავით: თინა არჩვაძე, ცისანა ჩიკოიძე, მერი ჩხატარაშვილი, ჯამლეტ ჯღამაია, დები ირინა და ნანა მამაიაშვილი, ეკა ჯანდიერი. მან ახალი წევრებიც შემოგვიმატა: თამრიკო იმნაძე, დათო ხახუტაშვილი, გაიოზ მაჭუტაძე. ექსპედიციაში ჩასვლისთანავე, თავის „წიწილებს", ანუ ჩვენ, გოგოების ჯგუფს, მიანდო მან 25-ჰექტარიანი ციხე-ქალაქის თითქმის მთელ პერიმეტრზე განლაგებული ძირითადი პუნქტების გათხრა. ყველა ჩვენთაგანს ჩააბარა თავისი საპასუხისმგებლო უბანი და მოსთხოვა ნაგებობათა ნაშთებისადამონაპოვარიმასალისაღნუსხვადაპირველადიაღწერილობითიანგარიშისწარდგენა. მის დროს გაითხარა გალავნის დასავლეთი და აღმოსავლეთი ზღუდეების ნაწილი, ციტადელის სამხრეთი ფასადის სამივე კოშკის ძირები, ქარვასლის კამაროვანი შენობის გრძივი ჭრილი,

მეჩეთის ირგვლივი თხრილი, პასკევიჩის დროინდელი 100 მ-იანი ყაზარმის დიდი კოშკის ნაშთი. ნაქალაქარის ვრცელ ტერიტორიაზე კი გაითხარა სამოსახლო კვარტალებში შემოსასვლელი მეორე კარიბჭე, რომლის ფასადზე ჩადგმული, XI საუკუნის, ბაგრატ IV-ის დროინდელი, ქართული ასომთავრულ-წარწერიანი ქვა - მეფის დედის, მარიამ დედოფლის მოხსენიებით - ბ-მა გოგიმ მოხსნა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაპიდარიუმში დაავანა - სხვა მნიშვნელოვან დეტალებთან ერთად. ნაქალაქარის სამოსახლო კვარტალებში, კონცხის ჩრდილოეთ ქიმზე, ჯამლეტ ჯღამაიამ გათხარა ძველქართული ჯვარგუმბათოვანი (უკვე აფეთქებული) ეკლესიის საძირკველი, სადაც ჩადგმული იყო ფოთლოვანი და გეომეტრიულორნამენტიანი ქვაჯვარების ბაზები - ნიშანი პირველი ქრისტიანობისა ჯავახეთ-ახალქალაქის მხარეში. ქალაქის დასავლეთი ზღუდის გარეთა ფერდობზე კი მიკვლეულ იქნა ბაზალტით ნაგები ზეთსახდელის სამეურნეო მოწყობილობა და კერამიკის ადგილობრივი წარმოების სახელოსნო უბნები.

ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1960 წ.
ექსკურსია აბასთუმანში.
წინა პლანზე: დავით ხახუტაიშვილი, ნინო ღოღობერიძე;
შუა ზოლში: ახალქალაქელი მძღოლები, ეკა ჯანდიერი, თამრიკო იმნაძე,
ჯამლეტ ჯღამაია, ცისანა ჩიკოიძე, თინა არჩვაძე, გოგი ლომთათიძე,
მერი ჩხატარაშვილი, გაიოზ მაჭუტაძე; ზემოთ: ემზარ შალიკაშვილი.

ახლქალაქის პირველადი ანაზომები შეასრულა მაშინ ახალგაზრდა არქიტექტორმა თეზიკო ჯაფარიძემ, საველე ფოტოები - იური პახომოვმა, კამერალური მასალებისა - მიშა კოზლოვსკიმ, კერამიკის გრაფიკული და ფერადი ჩანახატები კი ნინო თოფურიძემ და ციალა მჩითავიშვილმა.

ყოველივე ეს მონაცემები, ბ-მა გოგიმ წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე, თავის პირველად ანგარიშში ჩართო და ჩამოაყალიბა, ეს მისი ხელნაწერი მასალა 300 გვ. აჭარბებს და დიდი ხანია გამოქვეყნებას ელოდება, დღიურებთან და საარქივო ჩანაწერებთან ერთად.

ახალქალაქში ჩვენს ურთულეს გათხრებს არც პატარა ბავშვური ეშმაკობები აკლდა: სიცხით გათანგული გოგოები გაიოზ მაჭუტაძეს ზოგჯერ ერთი მაღალი კოშკის ქიმზე შემოვასკუპებდით ხოლმე - „ატანდას“ დავავალებდით: - „დაგვისტვინე, ბიჭო, ბატონი გოგის გამოჩენისთანავეო”; - და სულის მოსათქმელად ჩამუხლულებს ისიც გულისწამღებად დაუსტვენდა - „მოდის, მოდისო“! ... და ჩვენც მაშინვე კისრისტეხით ვუბრუნდებოდით ჩვენ-ჩვენ უბნებს. - შემდეგ კი გაკვირვებულები ვეკითხებოდით ხოლმე: „საიდან იცით ბ-ნო გოგი, ჩვენ სად ვისხედითო? - ისიც - „წითელქუდას მგელივით“ გაგვეხალისებოდა ხოლმე: „მაშ სათვალე რისთვის მიკეთია თუ ამოდენა მინდორზე კუნტრუშით მორბენალ თქვენს თეთრ - „სოკო“ ქუდებსაც ვერ დავინახავდიო“. ჩვენც მასთან ერთად ისე ვხალისობდით და ვკისკისებდით თითქო მთელი დღის დასიცხულებს წყურვილიც კი არ გვეგრძნო. ... ეს - ფრიად შრომისუნარიანი, მეგობრული, გონიერი, საინტერესო და ხალისიანი ექსპედიცია იყო, დაუვიწყარი დღეები თითოეული ჩვენთაგანისთვის...

ახალქალაქის პირველი ექსპედიციის მუშაობის 2,5 თვის განმავლობაში არცერთი დღე არ ყოფილა, როცა ჩვენ, წევრები, ადგილზე გავჩერებულიყავით: მოვათავებდით თუ არა საველე სამუშაოებს, მაშინვე შემოვსკუპდებოდით ხოლმე ჯანჯღარა სატვირთო მანქანის ძარაზე - და დღენიადაგ დავრახრახებდით მთელი ჯავახეთის ზეგანზე გაშლილ - მაგრამ აბორიგენ ქართველთაგან დაცლილ, აწ უკვე უცხო ტომით დასახლებულ სოფლებსა და ძველქართული ეკლესია-მონასტრების მოსახილველად.

ბ-ნ გოგის განუყოფელ გზამკვლევად ხელთ ეპყრა ივანე როსტომაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის ჩანაწერები.

ჩვენმა ექსპედიამ მოინახულა 50-ზე მეტი ძეგლი: უმეტესად მკვდარი ნასოფლარები, გამაგრებული გორა-ნამოსახლარები, პატარა ქართული დარბაზული ეკლესიები - განგებ ამოტეხილი ქართული ასომთავრული წარწერებით, გამოქვაბული - მონასტრები, ხიდები, ქვაჯვარები და ქართული სასაფლაოები - ცხვრისა და ცხენის ქანდაკებებით დამშვენებული.

ვიყავით ამირანის გორაზე, ვარდისციხეზე, არაგვაში, განძაში, გოკიაში, „დუხობორებთან“ - ბოგდანოვკაში (აწ ნინოწმინდა), ხანჩალის ტბაზე, თავფარავნისა და საღამოს ტბის ირგვლივ სოფლებში და ძლივს გადარჩენილ ეკლესიებში: ღრტილაში, ღულალისში, მერენიასა და სამსარში, სათხეში, ფოკაში, ყაურმასა და ჯიგრაშენში, ვაჩიანში, ზრესკში, ბარალეთში, მურჯახეთში, ხოსპიოში, კოთელიაში, კაჭიოში, ხერთვისში, წუნდაში, ასპინძაში, თმოგვზე და ვარძიაში, ტაბაწყურში და ჭობარეთში, კარწახში - საიდანაც რუსი მესაზღვრეების ხელშეწყობით გადავხედეთ წართმეული ჯავახეთის სანახებს - ყველისციხესა და გათურქებულ ნასოფლარებს. ბ-ნ გოგის დღიურში ჩახატულიც კი აქვს მინდორში მიმობნეული ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ქვის დეტალი, რომელიც დღეს აღარცკი არსებობს. მოვინახულეთ სამცხის ძეგლებიც: ახალციხის რაბათი, საფარა, ზარზმა, ვალე და აბასთუმანი.

დაუვიწყარია ჯავახეთის I ექსპედიციის ახალგაზრდული შემართება, დაუოკებელი ენერგია, ცნობისმოყვარეობა, ხალისი და რახრახა გზებზე ატეხილი სიცილ-კისკისი. ყველეფერი გვახარებდა, ყველაფერზე ვიცინოდით. ჩვენს მოგზაურობას თითქმის განუყრელად თან დასდევდა ახალქალაქის რაიკომ-აღმასკომის საპატრულო მანქანების მთელი კოლონა - თავისივე თავკაცების დასაცავად, რომლებსაც ჩვენი წყალობით თუ ეღირსებოდათ ხოლმე თავიანთი კაბინეტებიდან გამოსვლა და კარტოფილის მინდვრების გარდა, თავიანთი რაიონის სიძველეთა გაცნობა. ეს საამო მოგზაურობა - თავგადასავლები დიდ იუმორთან და კურიოზებთან იყო ხოლმე დაკავშირებული.

ერთხელ აბასთუმანში ღამე ობსერვატორიის სააქტო დარბაზში გავათენეთ, სკამებზე „გვეძინა“ და არც გვეძინა. ბ-მა გოგიმ დაგვტუქსა - მოისვენეთო. თინა არჩვაძე აწრიპინდა: „ბატონო გოგი, ხმელია სკამები“; მან კი კუთხიდან შემოსძახა - „რბილი კიდევ თქვენი „გრუზავიკიაო“, - ატყდა სიცილი.

ულამაზესი იყო ჭობარეთში, მწყემსებთან და მეტყევეებთან გატარებული ღამე - მართალაც რომ ჯავახეთში „.... მთვარე იდგა მზესავითა, კალმახი და ქერის პური წინ გვეყარა ბზესავითა“ - ახალდდაკლული ცხვრის ყაურმით, სასმელითა და სიმღერით გახალისებული, ბედნიერი იყო ბ-ნი გოგი, ბავშვივით გახარებული და მოლხენილი.

კუმურდოში ერთმა მცხოვრებმა ბ-ნ გოგის დიდის ამბით ამცნო: „Таварищ землемер! (მიწისმზომელები ვეგონეთ) – Здес все армянски буква ест“ (სამეტყველო სტილი დაცულია). ბ-მა გოგიმ შეხედა და შესთავაზა - „Прочти по – армянски -ո“. ბიჭი ურცხვად გაიღრიჭა და გამოძრომა დააპირა: „эта буква вверх – нагами стоит, если повернут вниз – будет по – нашему“ .... ცხადია, ბ-მა გოგიმ ბიჭი „გაანათლა“ და წარწერებიც ქართულად წაუკითხა, რის შემდეგაც აბეზარი კაცი იქიდან გაიპარა ...

ზოგჯერ ძალზე ჯავრობდა კიდეც ჩვენი ხელმძღვანელი: ახალქალაქის ციხის გათხრებზე „შემთხვევით“ შემოხეტებული ზოგი მოქალაქე განგებ გაუძღვებოდა ხოლმე ბ-ნ გოგის რაღაც ორმოსთან და დააყენებდა ხოლმე იქ ჩაგდებულ სომხურწარწერიან საფლავის ქვასთან, რომელსაც არამცთუ სტრატიგრაფიული, ქრონოლოგიური კავშირიც კი არა ჰქონდა ახალქალაქის შუასაუკუნეების კოშკებთან, ქარვასლასთან, აბანოსთან, ნასახლართა ოთახებთან; - სამაროვანი კი, თუნდაც ახალი და თანამედროვე, აქედან შორს იყო... მაშინ სინანულით იქნევდა თავს ჩვენი მასწავლებელი და ამბობდა „რა ეშველება აქაურობასო“. ... ეს პრობლემა დღემდე რჩება არა მარტო მეცნიერულად, არამედ უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურად გადასაწყვეტიც, რასაც მხოლოდ ეროვნულ - ქართული სახელმწიფოებრივი სიმტკიცე და მდგრადობა უშველის ამ მხარის ქართულ-ადმინისტრაციული მმართველობის განხორციელების საქმეში.

მაშინაც იშვიათი იყო ახალქალაქში ქართული ოჯახების ხილვა; ასეთ გამონაკლისთა რიცხვში იყო ახალქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის თამარ ლაზარაშვილის, რაიონის მთავარი ექიმის იაშა გოცირიძისა და ჩვენი მასპინძლის ვანო კოპტონაშვილის ოჯახები. ძალზე ეცინებოდა ხოლმე ბ-ნ გოგის ვანო კოპტონაშვილის ჯავახურ კილოზე, გულიანად ხითხითებდა, ჩაწერილიც კი აქვს დღიურებში „ჯავახური მარგალიტები“. ძია ვანოს და დეიდა მაროს სამივე ქალიშვილი სურათა, ვენერა და ციალა კოპტონაშვილები ჩვენდამი უაღრესად კეთილგანწყობილნი იყვნენ; დები ერთადერთი ქართული სკოლის მასწავლებლები იყვნენ - ბ-ნ გოგისგან ბევრ საინტერესო ამბებს ისმენდნენ და ისინიც ეცნობოდნენ თავიანთი მშობლიური კუთხის გარდასულ დროთა ისტორიას.

ციალა კი ჩვენი თანატოლი და მეგობარი იყო და ისიც ჩვენთან ერთად მოგზაურობდა ყველგან. - ახლა აღარცერთი ეს ოჯახი ახალქალაქში აღარ არის, იაშა და ვენერა გოცირიძეები ამოწყვიტეს ტერორისტმა არაკაცებმა... მარტო ციალა კოპტონაშვილმა დისშვილებთან ერთად გამოასწრო მკვლელებს და თბილისსა და ბორჯომს შეაფარეს თავი. ცისანა ახლაც მიუსაფარი და ეულია...

ახალქალაქის ექსპედიციაში სტუმარიც ჩამოგვდიოდა ხოლმე: გვეწვივნენ ეთნოგრაფი ქ-ნი ნინო ღოღობერიძე (ბ-ნი გოგის მეუღლე), ბატონები ანდრია აფაქიძე, კუკური თუშიშვილი, ოთარ ღამბაშიძე, არქიტექტორი და ხელოვნებათმცოდნე ლეო რჩეულიშვილი; ძალიან დაგვანაღვლიანა ახალგაზრდა მწერლის - გურამ რჩეულიშვილის დაღუპვის ამბავმა... მოგვინახულეს ლელა ბოჭორიშვილმა და ემზარ შალიკაშვილმა (ცისანა ჩიკოიძის დედამ და მეუღლემ), თინა არჩვაძის ძმამ - გიორგიმ („შახიმ“) და გაგვახარეს.

... ექსპედიცია დამთავრდა საშვიდნოემბროდ და ჩვენც დაღლილები, მაგრამ კმაყოფილები და ბედნიერები, თბილისს დავბრუნდით.

ბ-ნი გოგი მომავლის იმედებით იყო სავსე, კვლავ აპირებდა ჯავახეთში მიბრუნებას. შთაბეჭდილებებით დამუხტულმა ჯავახეთზე კინოსცენარის წერაც კი დაიწყო, რაც რუსთაველის 800 - წლისათვის იუბილეს მიუძღვნა (სცენარი დაუმთავრებელი დარჩა).

1963 წელს მან მეორე თემის დამუშავებაც დამავალა (რუსთავთან ერთად) და საკვალიფიკაციოდ გადმომცა ახალქალაქის I ექსპედიციის მასალები. აქედან მოყოლებული, ჩემს სამუშაო გეგმაში აისახა „ჯავახეთის ახალქალაქის“-ს საველე - არქეოლოგიური და სამეცნიერო-საკვალიფიკაციო კვლევა, მაგრამ მომდევნო წლებში ექსპედიციის დაფინანსება ფერხდებოდა.

1966-67 წწ-ში ბ-ნი გოგის რჩევით, მონაწილეობა მივიღე გამოქვაბულ-მონასტრის ვანის-ქვაბების არქეოლოგიურ გათხრებში ბ-ნი გივი გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით.

1968-69 წლებში ბ-ნი გოგის ხელმძღვანელობით მოხერხდა ახალქალაქის საველე სამუშაოების განახლება. ჩემთან ერთად ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ჯუანშერ (ბახო) ამირანაშვილი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, მერი ჩხატარაშვილი. ითხრებოდა ნაქალაქარზე შემორჩენილ ნამოსახლართა ნაშთები. დიდად ემადლიერებოდა ბ-ნი გოგი ბახო ამირანაშვილს, გული საგულესა ჰქონდა: „ეკა მარტო არ არისო“. მართლაც ძმად და მეგობრად გვერდში მედგა ბახო იმ მძიმე წლებში, რის გამოც მას გულრწფელად მადლობას ვუხდი.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელის მიერ საკვალიფიკაციოდ გათვალისწინებული დავალებები 1968 წლიდან მოყოლებული 1991 წლამდე ხშირი წყვეტილებით მიმდინარეობდა, საველე ექსპედიცების დაუფინანსებლობის გამო, რადგან ეს ძეგლი არც ისტორიის ინსტიტუტისა და არც არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საფინანსო-საბიუჯეტო გეგმაში არ იყო დამტკიცებული. ამ სამწუხარო ვითარებამ კი დღემდე გამოიწვია სამუშაოების სრული შეწყვეტა ახალქალაქში.

მიუხედავად წყვეტილებისა და შეზღუდვებისა, ბ-ნი გოგი ოპტიმიზმით იყო გამსჭვალული ჯავახეთის სიძველეთა პერსპექტიული შესწავლის მიმართ. მან 1970 წელს ვარძიის გამოქვაბულთა გათხრაზე მიავლინა ახალგაზრდა ვახტანგ ჯაფარიძე. იმავე დროს მან განაგრძო სხვა ძეგლთა შესწავლის პერსპექტიული გეგმის შედგენაც. ისევ გაჩაღდა მიმოწერა - დასაბუთებანი ციხე-ქალაქ თმოგვის მომავალი გათხრების დაფინანსებისათვის, მაგრამ ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა...

1971 წელს ბ-ნი გოგი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი ამ ცხოვრებიდან უდროოდ

ექსკურსია დმანისში, 1960 წ.
მარცხნიდან: მძღოლი, ჯამლეტ ჯღამაია, გოგი ლომთათიძე, მერი ჩხატარაშვილი, ცისანა ჩიკოიძე (ნიშაში), ნანა მამაიაშვილი, დათო ხახუტაშვილი, ემზარ შალიკაშვილი, თამრიკო იმნაძე, ეკა ჯანდიერი.

წასვლა დიდი დანაკლისი იყო არამარტო ჯავახეთის ძეგლების შესწავლის შეფერხების საქმეში, არამედ მთლიანად შუასაუკუნეთა საქართველოს არქეოლოგიის განყოფილების შემდგომი მუშაობისათვის. მეცნიერებას გამოაკლდა ღრმად განსწავლული, დიდი ნიჭისა და ენერგიის მქონე მკვლევარი, ქვეყნასა და ქალაქს დააკლდა ერუდირებული, დახვეწილი ინტელიგენტი, გულმხურვალე მამულიშვილი...

***

ბატონი გოგის გარდაცვალების შემდეგ, მის დაარსებულ განყოფილებას სათავეში ჩაუდგნენ ჯერ ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძე, შემდეგ კი ისტ. მეცნიერებათა დოქტორი რამინ რამიშვილი. ასევე, მოხერხდა რუსთავის ციხის არქეოლოგიური გათხრების გაგრძელება - ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული სახსრებით, შემდეგ კი რუსთავის მერიის მესვეურთა ხელშეწყობით გამოყოფილი ფინანსებით.

ექსპედიციას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ბ-ნი გოგის აღზრდილი მოწაფეები: მარინა მიწიშვილი (1972 წ.), ნინო უგრელიძე (1973-75 წწ), ცისანა ჩიკოიძე (1976 -2006 წწ); 2006 წლიდან - დღემდე კი მას ხელმძღვანელობს ისტ. მეცნ. დოქტორი ნაზიბროლა პაჭიკაშვილი.

ამ წლებში გაითხარა რუსთავის ციხის სამივე გალავანი, კოშკებით და ბურჯებით (IV-XIII სს), გვირაბიანი კარიბჭე (IX-XI სს), სასახლე (XI-XIII სს), ორივე აბანო (VII, XII-XIII სს), ეკლესიის ნაშთი (XIV-XVII სს) და მრავალი სამეურნეო სათავსო (IX-XI და XII-XIII სს).

გავიდა წლები .... ბ-ნი გოგის აღზრდილი ყველა მოწაფე დღეს თავისი დარგის კვალიფიციური მეცნიერია ... ამ ხნის განმავლობაში ისიც გამოიკვეთა, რომ ბ-ნი გოგის აღზრდილ არქეოლოგებს ღირსეულად დაუდგნენ გვერდში ახალი თაობის არქეოლოგები: მერაბ კინწურაშვილი, სოსო ჯაფარიძე, ნაზი პაჭიკაშვილი, დავით კვინიკაძე, მანანა ხავთასი და სხვ.

ახალქალაქის ექსპედიცია, 1960 წ. ზარზმა.
ქვემოდან: მერი ჩხატარაშვილი, თამრიკო იმნაძე, ახალქალაქელი მუშა, ეკა ჯანდიერი, გაიოზ მაჭუტაძე, ჯამლეტ ჯღამაია, გოგი ლომთათიძე, ახალქალაქელი მუშა, დათო ხახუტაშვილი.

2006 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად, მის დაქვემდებარებაში არსებული თითქმის ყველა არქეოლოგიური ექსპედიცია გაუქმდა. რუსთავის ექსპედიციამ კი, მისი ყოფილი წევრისა აწ რუსთავის ისტორიული მუზეუმის დირექტორის ნაზი პაჭიკაშვილის ძალისხმევით, რუსთავის მუზეუმის საფარქვეშ გააგრძელა არსებობა. დღეს რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია მუზეუმის თანამშრომელთა მონაწილეობით კვლავ თავდადებით და ერთგულად იღწვის როგორც საველე-არქეოლოგიურ, ისე საფონდო, სარესტავრაციო და სამუზეუმო საქმიანობაში. მუზეუმის თანამშრომლებმა, ნაზი პაჭიკაშვილის თაოსნობით, რამდენჯერმე განაახლეს და გაამდიდრეს ექსპოზიცია ახლად გამოვლენილი მეტყველი მასალებით. ისინი სპეციალურ კრებულებში სისტემატიურად აქვეყნებენ საანგარიშო სამეცნიერო სტატიებს და პოპულარულ ნარკვევებს. რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია, მუზეუმთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი კერაა საქათველოში.

რაც შეეხება ჯავახეთს, მიუხედავად საველე-არქეოლოგიური სამუშაოების სირთულისა და დაუფინანსებლობის გამო, ხშირი წყვეტილებისა, ჯავახეთის შუასუკუნეთა ცენტრის - ახალქალაქის უმეტესი ნაწილი გაითხარა 1968-76 და 1986-91 წწ-ში ჩვენი ხელმძღვანელობით.

არქიტექტორ კოტე მელითაურის მიერ ხელახლა აიზომა ციხე-ქალაქის მთელი პერიმეტრი -გალავანი ზღუდე-კოშკებით, კარიბჭეებით, მიწისქვეშა გვირაბებით; გამოვლინდა ქარვასლისა და ნაქალაქარის საცხოვრებელ - სამეურნეო, ძველ - ქართული "ჯავახური" დარბაზული ტიპის ნაგებობათა ნაშთები, სამლოცველოები, სამაროვანი და სხვა. დადგინდა ძეგლის 5 - ქრონოლოგიური ეტაპი: გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის, ადრეშუასაუკუნეების (V-VII, IX-X სს), განვითარებული შუასაუკუნეების (XI-XIII სს), გვიანი შუასაუკუნეებისა (XVI-XVIII სს) და XIX-ს-ის კუთვნილი ნაშთების მიხედვით (- თურქეთიდან გადმოსახლებულ მოახალშენეთა ჩათვლით). ჯავახეთის პლატოზე და ხეობებში დაზვერილი და აღწერილია 400 -ზე მეტი ძეგლი. ფოტო სამუშაოები შეასრულა ნიკოლოზ არჩვაძემ. ახალქალაქის საფონდო მასალა გადაცემულია და ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. გამოქვეყნებულია რამდენიმე სპეციალური ნაშრომი.

მიუხედავად ხანგრძლივი შეფერხებებისა, 1984 წელს შევასრულე ჩემი მასწავლებლისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის ბ-ნი გოგი ლომთათიძის დავალება და „ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიულ-არქეოლოგიურ გამოკვლევას" სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯავახეთის შუასაუკუნეთა ძეგლების გათხრა არქეოლოგიის კვლევის ცენტრში დღემდე უპერსპექტივოდ რჩება, თუ არა სამომავლო ახალმშენებლობათა და ცენტრის მესვეურთა სავარაუდო გულმოწყალება (?) ...

ბ-ნი გოგის ვრცელი (300 - გვერდიანი) საარქივო მასალა, მათ შორის ახალქალაქის I არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებიც, აგრეთვე, ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომიც, დიდი ხანია გამოქვეყნებას ელის ...

ვიმედოვნებ, რომ ბ-ნი გოგის გეგმების განხორციელებას ჯავახეთში - შუა საუკუნეთა ძეგლების შესწავლის საქმეში - ახალგაზრდა თაობა ახალი ენერგიით შეძლებს.

... გიორგობის წმინდა მადლი შეეწიოს უანგარო მამულიშვილის ბ-ნ გიორგი ლომთათიძისა და მისი თანამეცხედრის ქ-ნ ნინო ღოღობერიძის სულებს; სასუფეველი დაუმკვიდრდეს ჩვენი სამეგობროდან წასულთა სულებსაც .... †

თ ა მ ა რ ი მ ნ ა ძ ე

გიორგი ლომთათიძის არქივი

გიორგი ლომთათიძის პირადი არქივი კორნელი კეკელიძის სახელობის ინსტიტუტს (ახლანდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) 1994 წელს 17 ივნისს შემოსწირა მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნინო ღოღობერიძემ.

საარქივო მასალა დამუშავდა 2007-2008 წლებში. შედგა კატალოგი, დაერთო პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.

სარქივო ფონდებში დაცულია გიორგი ლომთათიძის ბიოგრაფია, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალებიც, ბიბლიოგრაფია, თარგმანები, მიმოწერა.

გიორგი ლომთათიძის ძირითადი საკვლევი საგანი იყო ანტიკური და შუასუკუნეების საქართველოს ნაქალაქარები, მათი ნივთიერი კულტურა. მას ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მოწესრიგების საქმეში, რისი ამსახველი მასალები დაცულია მის პირად არქივში.

გიორგი ლომთათიძე ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერულ მონაპოვარს. ქართული მწერლობისა და ქართული ენის მიმართ თავის შენიშვნებს ყოველთვის მეცნიერულად და პროფესიული დასაბუთებით აწვდიდა რედაქტორებსა და ავტორებს.

გიორგი ლომთათიძე იშვიათი გულმოდგინებით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების ზრდას, რასაც მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით ასრულებდა, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო მისთვის.

გიორგი ლომთათიძის არქივი მოიცავს მისი მოღვაწეობის პერიოდის მასალას, გეოლოგიას, არქეოლოგიური გათხრების მასალებს: არმაზისხევი, მცხეთა, სამთავრო, ბაგინეთი, კლდეეთი, რუსთავი, ხვამლი, ქვემო ქართლი, თბილისი, უჯარმა, ურბნისი, მესხეთ-ჯავახეთი, ახალქალაქი, ვარძია, თმოგვი, კახეთი, თელავი, ალვანი, კვეტერა.

ექვთიმე თაყაიშვილი და მასთან მუშაობის პერიოდი, ენათმეცნიერება. შრომები: „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები“, „წინაპართა ნაკვალევი“, „მასალები საქართველოს არქეოლოგიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსათვის“, „მასალები საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის“, „ქართული ქვეყნების კულტურა და ყოფა I-XIII საუკუნეებში“, „საქართველოს კულტურული სახე გვიანანტიკურ და გარდამავალ ხანაში“, „საქართველოს კულტურა საქართველოს ისტორიის მრავალტომეულისათვის“, „ფეოდალური არქეოლოგიური ძეგლები“, სხვადასხვა რეცენზიები, შენიშვნები, მისალმებები, დახასიათებები.

გიორგი ლომთათიძის ზემოთ ხსენებული შრომების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია საქართველოს ისტორიის დაწერა.

გამოკვლევები

თ ი ნ ა ა რ ჩ ვ ა ძ ე

რუსთავში აღმოჩენილი სფეროკონუსები [1]

შუასაუკუნეების ხანის კერამიკულ ნაწარმს შორის ყურადღებას იქცევს მონაცრისფეროდ გამომწვარი, სქელკედლიანი, ვიწრო პირ-ყელის მქონე ჭურჭელი, რომელიც ლიტერატურაში სფეროკონუსის სახელით არის ცნობილი; თუმცა ასეთი სახელწოდება ყოველთვის არ გამოხატავს სინამდვილეს, რადგან ხშირად გვხვდება ჭურჭელთა სხვა ფორმებიც: კვერცხისებური, სფერული, ვიწრო ძირდაბრტყელებული და სხვ. ამის მიუხედავად ამ ჭურჭელთა საერთო დამახასიათებელი ნიშანი სფერული ზედა ნახევარი და კონუსის მაგვარი ძირია, რის გამოც ჭურჭლის დადგმა ვერ ხერხდება. სფერულ ზედა ნაწილს მიძერწილი აქვს დაბალი, შესქელებული პირ-ყელი, რომელსაც ვიწრო ნახვრეტი აქვს.

სფეროკონუსური ჭურჭლის გავრცელების არეალი შუასაუკუნეებში საკმაოდ დიდია: ეგვიპტე, სირია, პალესტინა, შუა აზია, ამიერკავკასია, ყირიმი, ვოლგისპირეთი და სხვ.

სფეროკონუსისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურა მცირეა (Городцев В., 1926; Ленц Э., 1904; Джанполадян Р М., 1958; Караханян Г. О., 1954; Ахмедов Г., 1959; Hobson R., 1932; ჯაფარიძე ვ.ვ., 1956). თუმცა გარკვეული ცნობები მათ შესახებ გვხდება ცალკეულ ანგარიშებსა და ნაშრომებში. ფართოდ გავრცელების მიუხედავად სფეროკონუსურ ჭურჭელთა წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ საკითხები არქეოლოგთა შორის დღემდე დავას იწვევს.

ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად სფეროკონუსური ჭურჭელი საქართველოშიც გვხვდება. სადღეისოდ, ისინი აღმოჩენილია თბილისში, დმანისში, რუსთავში, ჟინვალში (09-X-75-100), უჯარმაში, გრემში, მარნეულში, სოფ. რუსთავში (ისტორიული შიდა ქართლი). ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით ისინი ჯერჯერობით არ ჩანს დასავლეთ საქართველოში. აქვე დავძენთ, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით, მათი რიცხვი საქართველოში გაცილებით მცირეა.

რუსთავის განათხარში სფეროკონუსური ჭურჭელი 18 ერთეულს შეადგენს. მათგან ორი ერთეული აღმოჩენილია ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ხოლო 16 - ნაციხარზე. ყველა ფრაგმენტულია და მთელი ფორმის დადგენა ძნელდება. ამდენად, მათი შესწავლისას პარალელური მასალის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რუსთავში აღმოჩენილი ყველა სფეროკონუსი ხელოსნური ნაწარმია. ისინი დამზადებულია ხელის ჩარხზე სორსოლების გამოყენების ხერხით (ჭურჭლის შიდაპირზე კარგად ჩანს კონცენტრული ღარები). როგორც ჩანს, ჭურჭელი პირქვე კეთდებოდა: ჯერ ჭურჭლის ზედა ნაწილი ამოყავდათ, შემდეგ ხდებოდა ძირის თანდათანობით დაგრძელება, პირმოყრა. ეს ეტყობა ზოგიერთი ნიმუშის ძირის ნაწილს შიდა მხრიდან (რ-65-5629). ჭურჭლის ქვედა ნაწილის ზედაპირის მოსწორების შემდეგ სფეროკონუსს დაბალი პირ-ყელი ეძერწებოდა და საჭირო შემთხვევაში იმკობოდა.

თიხა, რომლისგანაც სფეროკონუსებია დამზადებული წვრილმარცვლოვანია, განლექილი,

[1] ნაშრომი შესრულებულია 1981 წელს, ერთვის კატალოგი

მკვრივი მასის მქონე, რომელიც გამოწვის შედეგად იძლევა მტკიცე კეცს. კეცი კარგად არის შეცხობილი; მიუხედავად ამისა, კეცის დამუშავების მიხედვით რუსთავში აღმოჩენილი სფეროკონუსები ერთნაირი არაა. ზოგი მათგანი ნაკლებად არის განლექილი და საკმაო რაოდენობით აქვს მინარევებიც (№№ 04-81-5, რ-65-696, რ-61-3244, რ-59-80-434).

რუსთავში აღმოჩენილ სფეროკონუსების უმრავლესობას კეცი ნაცრისფერი ან მონაცრისფერო აქვს, ასეთი რვა ერთეულია (რ-61-4168, რმმ №1592, 04-74-893, 1366, 04-81-282, რ-65-6297, რ-59-508, რ-62-4360).

გვხვდება მომწვანო-მოყვითალო (რ-61-3244, 04-81-5); მომწვანო-მონაცრისფერო - 5 ერთეული (რ-65-5989, 5629,6461; რ-59-867, 80, 434), მოყავისფრო-მოყვითალო (რ-65-6096) და მოშავო-ლეგად გამომწვარი (რ-61-3344) ნიმუშებიც. იმ სფეროკონუსებსაც კი, რომელთა კეცი გადანატეხში ღია ფერისაა მოყავისფრო-მოყვითალო, ზედაპირი მაინც მონაცრისფრო აქვს. რიგ შემთხვევაში კეცი გადანატეხში ორფერია (რ-65-6096, რ-61-3244), რაც არათანაბარი გამოწვის შედეგი უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, კეცის ფერი დამოკიდებულია თიხის შემადგენლობაზე, მის დამუშავებაზე და გამოწვის ტემპერატურაზე. ნ. მინკევიჩ-მუსტაფაევას დაკვირვებით ორენ-ყალას სფეროკონუსები, რომლებსაც მოყვითალო კეცი აქვთ, ბოლომდე არ არიან გამომწვარი და ხასიათდებიან სითხის გამტარობით; მაშინ როცა მონაცრისფერო-მომწავანოდ გამომწვარი -პირიქით სითხეს არ ატარებენ და ამდენად გამოწვის ხარისხი მაღალი აქვთ (Минкевич-Мустафаева Н.В., 1959, 181). გ. ახმედოვი კეცის ფერის სხვაობას .ქრონოლოგიური თვალსაზრისით ხსნის. იგი ყვითლად გამომწვარ ჭურჭლებს უფრო ადრეულად, IX-XIII სს. მიიჩნევს (Ахмедов Г., 1959, 222).

როგორც აღვნიშნეთ, რუსთავის სფეროკონუსების კეცი უმთავრესად მონაცრისფერო-მომწვანო ფერისაა. ასეთივე კეცი აქვთ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილ სფეროკონუსების დიდ უმრავლესობას. ეს კი გამოწვის კლინკერული რეჟიმის შედეგია, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ გამოწვის ტემპერატურის თანდათანობით მომატებით და შემდეგ, შესაბამისად, მისი თანდათანობით შემცირებით მიღწეულ იქნას თიხის მასის შეცხობა (Сычева Н. С., 1980 10). ამგვარად გამომწვარი ჭურჭელი ქვის სიმტკიცეს ღებულობს. სწორედ ამიტომ არის სფეროკონუსების კეცი მტკიცე, ცეცხლგამძლე. ნ. ვაკტურსკაია ვარაუდობს, რომ სფეროკონუსების გამოწვა ხდებოდა არა საყოფაცხოვრებო მოხმარების ჭურჭელთან ერთად, არამედ საგანგებო ქურებში (Вактурская Н.Н., 1959, 315). ვარაუდის გამოთქმისას იგი ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ მ. მასონის მიერ ქ. ტერმეზში გათხრილია სფეროკონუსის გამოსაწვავი ქურები. ორენ-ყალის მაგალითზე, სადაც ასევე სფეროკონუსის გამოსაწვავი ქურებია გათხრილი, კარგად ჩანს, რომ სფეროკონუსებთან ერთად, იმავე ქურაში გამოიწვებოდა სხვადასხვა დანიშნულების წვრილი ჭურჭელი: ჭრაქები, სამარილეები და სხვა (Минкевич-Мустафаева И.В., 1959, 181). მოსაზრება იმის შესახებ, რომ სფეროკონუსები ისეთივე ქურებში გამოიწვებოდა, როგორც ჩვეულებრივი სხვა ჭურჭელი, ჯერ კიდევ 20-იან წლებში გამოთქვა ვ. ვიატკინმა (Вяткин В.Л., 1926, 57, 58). არქეოლოგიური ფაქტების მოშველიებით ეს მოსაზრება დამაჯერებელი ჩანს.

ჩვენს მიერ შესწავლილი სფეროკონუსების ერთ ნაწილს ზედაპირი დაფარული აქვს მომწვანო-მოცისფრო (რ-65-6096, რ-61-4168, 04-81-5) და მომწვანო-მოყვითალო (რმმ 1592, რ-65-5989, 04-74-1366) ანგობის თხელი ფენით. ზოგ მათგანს ზედაპირთან ერთად შიდაპირიც

აქვს დაფარული მოთეთრო და მოთეთრო-მონაცრისფერო ანგობის თხელი ფენით (რმმ 1592 - 2 ერთ., რ-61-4168). რ. ჯანფოლადიანისა და გ. ახმედოვის აზრით, სფეროკონუსების შიდა ზედაპირის ანგობით დაფარვა კეცის გაუმტარობის მისაღწევად ხდებოდა (Джанполадян Р.М., 1958, 202; Ахмедов Г., 1959, 222).

კეცის გარდა, რუსთავში აღმოჩენილი სფეროკონუსები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ზომით, ფორმით და შემკულობით. ფრაგმენტულობისა და სიმცირის მიუხედავად განათხარი მასალა ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

ზომის მიხედვით რუსთავის სფეროკონუსებში ორი ჯგუფი გამოიყო. ერთ მათგანში ერთიანდება დიდი ზომის მასიური ჭურჭლის კედლის ნატეხები (რ-61-4168, 04-74-893, რ-59-508, რ-60-1632). ისინი მონაცრისფროდაა გამომწვარი და ძალზე სქელი კედლები აქვს (1,5-1,8 სმ). ორი მათგანი სადაა, ერთი - ორნამენტირებული - შვეული წიბოებითა და შტამპური ორნამენტით (მრგვალი საბეჭდავით) შემკული. ფრაგმენტულობის გამო ზომის დადგენა ჭირს. ზომით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან დანარჩენი ნიმუშებისაგან. სფეროკონუსები, ჩვეულებრივ, პატარა ზომის ჭურჭლებია - საშუალოდ 9-15 სმ (თბილისი, დმანისი, ორენ-ყალა, დვინი, ხორეზმი), არის უფრო დიდებიც: ანისიდან - 15-20 სმ და ხორეზმიდან - 20-22 სმ. (სსმ-ის ფეოდ. განყ. ფონდი № ა 2224, 2-34-1; Ахмедов Г. 1959, 222; Вактурская Н. Н., 1959, 303; Джанполадян Р. М. 1958, 203).

რუსთავში აღმოჩენილი დიდი ზომის სფეროკონუსების კეცის ნატეხების მიხედვით ამ ჭურჭელთა სიმაღლე 20 სმ-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. მასივური დიდი ზომის სფეროკონუსები, საერთოდ, ნაკლებად არის გავრცელებული. საყურადღებოა, რომ 1872 წ. ტრიპოლიში (სირია) ძველი შენობის ნანგრევებში აღმოჩენილი იქნა სამოციოდე სფეროკონუსი. ისინი წრიულად იყვნენ განლაგებულნი; მათ ცენტრში იდგა ასეთივე ფორმის ყველაზე დიდი ზომის სფეროკონუსი (Городцев В.,1926, 152). როგორც ჩანს, ამ დიდი სფეროკონუსიდან ხდებოდა მასში მოთავსებული ნივთიერების პატარა ჭურჭლებში განაწილება. საყურადღებოა ერთი ფაქტიც. ახსიკეთში (უზბეკეთი, ნამანგანის ოლქი) ნაპოვნია სფეროკონუსის ორი ნატეხი. მათ თევზის ფორმა აქვთ. ერთი მათგანი წარმოადგენს პატარა სფეროკონუსს, რომელიც მიძერწილი ყოფილა უფრო დიდი ზომის ძირითად ჭურჭელზე. ასეთი პატარა სფეროკონუსი რამდენიმე უნდა ჰქონოდა მიძერწილი დიდ ჭურჭელს (Джанполадян Р. М., 1958, 207).

რუსთავში აღმოჩენილი ყველა დანარჩენი სფეროკონუსი (15 ერთეული) პატარა და საშუალო ზომისაა. შედარებით სრულად შემორჩენილი ნიმუშების მიხედვით, მათი სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 12-14 სმ-ს. მათ კეციც შედარებით თხელი აქვთ (1-1.3 სმ). ფორმის მიხედვით ისინი სფეროკონუსური, უფრო - კვერცხისებური მოყვანილობისა არიან.ზოგიერთი პირ-კედლის ნატეხი და პარალელური მასალის გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ რუსთავურ ნიმუშებს შორის სფერული სფეროკონუსები უნდა ყოფილიყო (04-81-5, რ-61-3244, 3344) და ასევე გვერდებდაბრტყელებულიც (რ-65-6096).

განსხვავებული კორპუსის მიუხედავად, რუსთავში აღმოჩენილ სფეროკონუსურ ჭურჭელს პირ-ყელი ერთნაირი აქვს - დაბალი, შესქელებული პირ-ყელი, ვიწრო ნახვრეტით (პ-დმ.-3 სმ.; ნახვრეტის დმ.-1 სმ). პირი უშუალოდ არის მხარეზე მიძერწილი, ყელი დაბალი და გამოყვანილი აქვს, რის გამოც თავის დახურვა, მოკვრა ადვილდება.

ფრაგმენტულობის გამო ძნელდება რუსთავში აღმოჩენილი სფეროკონუსების ორნამენტული

დეკორის დადგენაც. სფეროკონუსები იმკობა ჯერ კიდევ ნედლ მდგომარეობაში. აქ გვხვდება შემკობის რამოდენიმე ხერხი: ამოკაწრვა, დაძერწვა, საბეჭდავით ორნამენტის დატანა, ყალიბიდან ორნამენტის ამოყვანა. ეს უკანასკნელი ხერხი მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჩანს გამოყენებული (რ-59-80, 434). გვხვდება რამდენიმე სრულიად სადა ნატეხიც (რ-61-3244, 04-81-5, რ-59-508, 04-74-893). ზოგჯერ ერთიდაიმავე ჭურჭელზე სამი ხერხია გამოყენებული: ამოკაწრვა, დაძერწვა და შტამპური ორნამენტი (რ-59-867, რ-65-5989, რ-61-4168). უფრო ხშირად გამოყენებულია დაძერწვისა და ორნამენტის შტამპით დატანის ხერხი (რ-65-6461). ორნამენტული მოტივებიდან რუსთავის სფეროკონუსებზე გვხვდება კონცენტრული ღარები, რელიეფური წიბოები, ღილაკები, დატვიფრული ვარდულები. ერთ ნიმუშზე თითქოს შეიმჩნევა რელიეფური ცხოველის გამოსახულება (რ-62-4360). დატვიფრისას თითქოს ყოველთვის მრგვალი საბეჭდავია გამოყენებული.

დვინის, ანისის, ორენ-ყალის და სხვათა სფეროკონუსებისგან განსხვავებით, ჩვენს მიერ შესწავლილ სფეროკონუსების არცერთ ნატეხზე არაა შემორჩენილი რაიმე ნიშანი ან წარწერა. მხოლოდ ერთ შემთხვევეში იწვევს ეჭვს მრგვალი საბეჭდავით დატანილი, არასრულად შემორჩენილი ნატვიფრი ორნამენტი (რ-61-3341), რომელიც შესაძლოა არაბული დამწერლობის იმიტაციას წარმოადგენდეს. წარწერა ან რაიმე ნიშანი არა აქვს საქართველოს სხვა პუნქტებში აღმოჩენილ სფეროკონუსებსაც. დვინისა და ანისის სფეროკონუსებზე წარწერები და ნიშნები ამოკაწრულია გამოწვის შემდეგ. წარწერათა უმეტესობა ქალთა და მამაკაცთა სახელებია. გვხვდება ასეთიც „ალაჰის სახელით“. ერთნაირ ნიშნებიანი ჭურჭლები გვხვდება ერთად და სხვადასხვა ადგილებში.

არის ორენოვანი წარწერებიც - არაბული და სომხური ასოებით დაწერილი სახელი „ომარ“ (Кафадарян К., 1952, 183, 184; Караханян Г. О., 1954, 14; Джанполадян Р. М. 1958, 212). რაც შეეხება ორენ-ყალაში აღმოჩენილთ, აქ ერთი შემთხვევის გარდა, წარწერები დატვიფრულია გამოწვამდე. აქაც მეტწილად სახელებია; თუმცა გვხვდება წარწერა „რატლ“, რაც აღნიშნავს შუასაუკუნეების ხანის საზომ ერთეულს და ასევე „შესვი ჯანმრთელობისთვის“ (Ахмедов Г. 1972, 51). აფრასიაბში აღმოჩენილ ერთ სფეროკონუსზე დატვიფრულია “ფახტ ვახტ“ - „გამარჯვება“ (Вяткин В. Л., 1926, 58). ხოლო სირიაში ნაპოვნია სფეროკონუსი, რომელსაც აქვს წარწერა „დამზადებულია ჰამაში“, „მუჰამედ“ და სხვ. (Городцев В., 1926,161).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გამოწვის შემდეგ შესრულებულ წარწერებში და ნაშთებში მიგვითითებენ ჭურჭლის შიგთავსზე (რაც შიგ ასხია) ან მის ტევადობაზე (Марр Н., 1934, 96). ამ აზრს არ ეთანხმებიან გ. კარახანიანი და რ. ჯანფოლადიანი. მათ ეს წარწერები (მხედველობაში აქვთ ადამიანთა სახელები და ნიშნები) მიაჩნიათ მეპატრონის (შეძენის შემდეგ) ნიშნად (Караханян Г. О., 1954, 14; Джанполадян Р. М., 1958, 213). რაც შეეხება გამოწვამდე მიღებულ ნიშნებსა თუ წარწერებს, ისინი გამოსახავენ ხელოსანთა სახელებს, (მაგ. ორენ-ყალაში არის ასეთი წარწერა: „გააკეთა ფადლუნმა ბაილაკანში“ (Гюзалян Л., 344); ისევ ორენ-ყალაში გვხვდება წარწერები ზომის ერთეულების, დამზადების ადგილის და სხვათა შესახებ. ასეთი წარწერები ფეოდალური ხანის კერამიკაზე ხშირადაა.

რუსთავში აღმოჩენილ სფეროკონუსებს შორის (სიმცირის მიუხედავად) არ გვხვდება ორი ერთნაირი ნიმუში. ზუსტი ანალოგი არ მოეძებნებათ მათ საქართველოსა და მის გარეთ აღმოჩენილ სფეროკონუსებს შორისაც. აქვე დავძენთ, რომ გარკვეული სიახლოვე შეინიშნება

რუსთავის ორ ნიმუშსა (რ-61-3244, 04-81-5) და თბილისში აღმოჩენილ (სსმ-ის ფეოდ. განყ. ფონდი № ა 2221, 2224) სფეროკონუსებს შორის კეცის დამუშავებისა და პირ-ყელის მოყვანილობაში. ამის მიუხედავად ორნამენტული მოტივებისა და ზოგჯერ ფორმების მსგავსება, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ აღმოჩენილ, განსაკუთრებით სამხრეთ აზერბაიჯანის, მასალებში აშკარად შეინიშნება (ვარდულები, ვაზის მტევნის გამოსახულების იმიტაცია, რელიეფური ლილვაკები და სხვ.). ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ქვეყნების მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის კავშირსა და მათი განვითარების საერთო ხაზს.

რ. ჯანფოლადიანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამჟამად სფეროკონუსების თავდაპირველი წარმოშობის ცენტრის დადგენა ჭირს. სხვადასხავა პუნქტებში აღმოჩენილ სფეროკონუსებს ბევრი რამ აქვთ საერთო (რაც მათი საგანგებო დანიშნულებიდან უნდა გამომდინარეობდეს), მაგრამ ამავე დროს გააჩნიათ თავისებურებანი, რაც მჟღავნდება, როგორც კეცის დამუშავებაში, ასევე ფორმასა და ორნამენტში. რაც მთავარია, არსად არ ხერხდება მათი განვითარების ევოლუციის თვალის გადევნება. ფეოდალურ ხანაში ჭურჭელი ვრცელ ტერიტორიაზეა გავრცელებული (აზია-ევროპა). ლოკალური თავისებურებანი გვიჩვენებენ, რომ ისინი ერთი ცენტრიდან არ მომდინარეობენ. ასე მაგალითად, ამიერკავკასიისა და შუა აზიის სფეროკონუსებისაგან მკვეთრად განსხვავდებიან ვოლგისპირეთში - (სარაი-ბერქე, ბილიარი, ბოლგარი) აღმოჩენილი ნიმუშები. ამ უკანასკნელთ კეცი აგურისფერი აქვთ, თავი მასივური, მომცრო-დაბალი ზომისა. ორნამენტი თითქმის არ აქვთ, წარწერებიც - იშვიათად დასტურდება (ბოლგარი); ბილიარში აღმოჩენილ სფეროკონუსებს მონაცრისფერო ფერი აქვთ, ხოლო სარაი-ბერქეში სუსტად გამოსახული პირ-ყელი (Казаринов В. А., 1880-1882, 19).

ფრაგმენტულობის მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ რუსთავში აღმოჩენილ სფეროკონუსებს ბევრი რამ აქვთ საერთო სხვა პუნქტებში აღმოჩენილ ნიმუშებთან, მაგრამ ამავე დროს აქვს მისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც (კეცის დამუშავება, ჭურჭლის მოცულობა - დიდი ზომა, ორნამენტული მოტივების კომბინაცია). მიუხედავად ამისა, სადღეისოდ მათ ადგილობრივ წარმოებაზე მსჯელობა ძნელდება; თუმცა არაა გამორიცხული იმის ვარაუდიც, რომ ისეთი რანგის ქალაქს, როგორიც რუსთავი იყო ფეოდალურ ხანაში, სადაც მაღალ დონეზე იდგა როგორც მოჭიქული ისე მოუჭიქავი კერამიკის წარმოება, სფეროკონუსებიც ადგილობრივ ეწარმოებინათ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სფეროკონუსური ჭურჭელი არ არის აღმოჩენილი ისეთი რაოდენობით, როგორც ეს სომხეთსა (მაგ. მხოლოდ ანისში 700 ერთეული, Орбели И.А 1910, 73) და აზერბაიჯანშია, სადაც მათი გამოსაწვავი ქურებიც გაითხარა, რომელთაგან თითოეულში 150-200 სფეროკონუსია ნაპოვნი. ასეთი რაოდენობრივი სხვაობა ფეოდალური ხანის საქართველოსა და სამხრეთ აზერბაიჯანის სხვა სახეობის ჭურჭელთა შორის არ შეინიშნება. ცხადია, ამას ახსნა უნდა მოეძებნოს. სიმცირის მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სფეროკონუსური ჭურჭლის წარმოება ხდებოდა. ამას ადასტურებს თბილისში აღმოჩენილი წარმოების წუნები. ჯერ ერთი, სფეროკონუსების თავისებურმა - ბირთვისებურმა ფორმამ (სსმ-ის ფეოდ. განყ. ფონდი №1491) 50-იან წლებში ბ. შელკოვნიკოვს მათი ადგილობრივი წარმოება ავარაუდებინა (Шелковников Б.,1952, 33). შემდგომ წლებში კი ერეკლე II-ის მოედანზე აღმოჩენილმა წუნებმა (თბილისის ისტორიული მუზეუმი № ბ-1194-57, ბ - 1155-57) უფრო დამაჯერებელი გახადა ეს ვარაუდი.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, სფეროკონუსური ჭურჭლის დანიშნულების შესახებ აზრთა

სხვადასხვაობაა და დღემდე საბოლოოდ არ არის დადგენილი მათი დანიშნულება.

ვ. არციხოვსკიმ ჩამოაყალიბა ყველა ის მოსაზრება, რაც მათი დანიშნულების შესახებ არის გამოთქმული (Арциховский В., 1947, 160- 161), მაგრამ უპირატესობა ვერც ერთ მათგანს ვერ მიანიჭა:

1. სფეროკონუსები გამოიყენებოდა როგორც რეზონატორები. ამ აზრმა გავრცელება ვერ ჰპოვა.
2. სფეროკონუსები გამოიყენებოდა, როგორც არქიტექტურული შემკულობა. თითქოს მათ წამოაცმევდნენ ჯოხებზე და ასე ამკობდნენ კოშკებსა და ჭიშკრებს. ამ აზრს ანვითარებდა ვ. კაზარინოვი (Казаринов В.А., 1880-1882, 115). როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. არციხოვსკი, ჩვენამდე შემორჩენილ ფეოდალური ხანის არქიტექტურულ ძეგლებზე ასეთი შემკულობა არ გვხვდება.
3. სფეროკონუსები გამოიყენებოდა ვერცხლისწყლის შესანახად და გადასატანად. აქედან მიიღო მან სახელწოდება „ვერცხლისწყლის“ ჭურჭელი. ამ მოსაზრებას საბაბი მისცა იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთი სფეროკონუსის კედელზე აღმოჩნდა ვერცხლისწყლის კვალი. ამ მოსაზრებას იზიარებდა ჩესტერი, ხოლო შემდეგ ე.კვერფელდტი, ი. ორბელი, კ. კაფადარიანი (Кверфельдт Э.К., 1947,73; Орбели И.А, 1910, 73; Кафадарян К. 1952, 183, 184). მაგრამ როგორც სამართლიანადაა აღნიშნული განათხარ სფეროკონუსურ ჭურჭელთა რაოდენობა ბევრად აღემატება ვერცხლისწყლის იმ ოდენობას, რომელიც შუასაუკუნეებში შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული.
4. სფროკონუსების გამოყენება უკავშირდებოდა წყლის კულტს. ეს მოსაზრება გამოთქვა ზ. ვინოგრადოვმა (Виноградов З., 1922, 75-119) და იგი მექის წმინდა წყარო «ზემ-ზემს“ დაუკავშირა.
5. სფეროკონუსები თითქოს წარმოადგენდნენ გასანათებელ საშუალებას - ლამპებს. ამ მოსაზრებას ანვითარებდა ა. ლიხაჩოვი (Лихачев А., 1884, 157). არცერთ სფეროკონუსზე არ შეიმჩნევა ჭვარტლი და გასანათებლად გამოუყენებელია, რადგან არ აქვს ნახვრეტი ჰაერის რეგულაციისათვის. იგი მოუხერხებელია ნავთის ჩასასხმელად და პატრუქის ამოსაღებად.
6. სფეროკონუსები განკუთვნილი იყო სხვადასხვა სურნელებათა შესანახად ან გადასატანად. ამ აზრს იზიარებდა ი. ორბელი და გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ სინდიყის გადაზიდვის გარდა, იგი იხმარებოდა წამლებისა და ნელსაცხებელთა შესანახადაც. ამ აზრს იზიარებს გ. კარახანიანი და რ. ჯანფოლადიანი (Караханян Г.О., 1954, 15; Джанполадян Р.М., 1958, 210).
7. სფეროკონუსები მიჩნეულია ხელყუმბარებად (ჭურვებად), მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. არციხოვსკი, ისინი ნაპოვნია X საუკუნის ფენებშიც, როცა ჯერ კიდევ არ იყო დენთი.
8. სფეროკონუსები გამოიყენებოდა როგორც ყუმბარები, რომლებიც ივსებოდა ნავთით და ანთებული იტყორცნებოდა მტრის ბანაკში (Вяткин В. Л., 1926, 58). ამის დასამტკიცებლად მიუთითებენ აფრასიაბზე აღმოჩენილ სფეროკონუსზე, რომლზედაც არაბულ ენაზე

ამოტვიფრულია წარწერა «ფახტ“ - გამარჯვება. ვ. არციხოვსკის ეს აზრი უფრო დამაჯერებლად მიაჩნია. ეს მოსაზრებაც ბოლომდე გაზიარებული არ არის. როგორც თავის დროზე ა. ლიხაჩოვმა აღნიშნა, ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს მათივე მდიდრული ორნამენტული შემკულობა (Лихачев А., 1884, 34-65).

როგორც დავინახეთ, ამჯერად ჭურჭლის თავდაპირველი დანიშნულების განსაზღვრა ძალზე ძნელდება. ჩვენი თვალსაზრისით, შუასაუკუნეებში მას მრავალმხრივი დანიშნულება უნდა ჰქონოდა და ალბათ, უფრო ძვირადღირებული თუ ძნელად შესანახი სითხის გადასატან თუ შესანახ ჭურჭელს წარმოადგენდა.

თიხის სფეროკონუსების გარდა, ცნობილია ასევე მინის, ქვის და ლითონის სფეროკონუსები. თიხის სფეროკონუსებთან შედარებით, მათი რიცხვი ამჟამად ძალიან მცირეა. მინის სფეროკონუსურ ჭურჭელს, რომლებიც დაცულია ბერკლის კერძო კოლექციასა (ლონდონი) და კაიროს ისლამური ხელოვნების მუზეუმში, აქვს წარწერები. პირველ მათგანს - კეთილი სურვილების გამომხატველი, ხოლო მეორეს - XIV ს-ის ბოლოსა და XV ს. დასაწყისის წარწერა (Джанполадян Р.М., 1958, 211, სურ. 7). ბილიარში (ვოლოგისპირა ბულგარეთი) აღმოჩენილია ლითონის სფეროკონუსის ჩამოსასხმელი XIV-XV სს ქვის ყალიბი (Джанполадян Р. М. 1958, 202).

ჩვენი აზრით, თიხის, მინის თუ ლითონის სფეროკონუსების არსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ მრავალმხრივ მოხმარება-დანიშნულებას. ამის კარგ მაგალითს იძლევა მოსკოვში, კრემლის კედელთან აღმოჩენელი ორი სფეროკონუსი, რომელთაგან ერთში ვერცხლისწყალი იყო, მეორეში - დიმიტრი დონელის დროინდელი სიგელი (Городцев В. А, 1926, 162). ანისში აღმოჩენილთაგან ორში იყო თეთრი და მოყვითალო ფხვნილები (Орбели И.А., 1910,73), ხოლო დვინში - საცხისებური მასა და ყურძნის წიპწები (Джанполадян Р.М., 1958, 210).

სფეროკონუსების დათარიღების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სტრატიგრაფიასა და თანმხლებ მასალას. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით რუსთავში აღმოჩენილი სფეროკონუსები XI-XIII სს. თარიღდება. ამავე ხანებით ათარიღებს ვ. ჯაფარიძე დმანისსა და თბილისში აღმოჩენილ სფეროკონუსებს (ჯაფარიძე ვ. 1956, 22-23); IX-X სს. განაკუთვნებენ თბილისში, ერეკლე II მოედანზე აღმოჩენილ ნიმუშებს (გძელიშვილი ი. ტყეშელაშვილი ოთ., 1961, 45). გვიანი შუასაუკუნეებით არის დათარიღებული გრემში აღმოჩენილი სფეროკონუსები (ჭილაშვილი ლ., 1980, 123).

რაც შეეხება საქართველოს გარეთ აღმოჩენილ სფეროკონუსებს - სომხეთსა და აზერბაიჯანში ისინი დიდი რაოდენობით არის ნაპოვნი და დროის ხანგრძლივ მანძილზე ხმარებულნი. ანისისა და დვინის სფეროკონუსები დათარიღებულია X-XIII სს-ით. (Караханян Г.О., 1954,15; Джанполадян Р.М., 1958, 213), თუმცა ბ. შელკოვნიკოვი დვინის მასალაში IX საუკუნის ცალებს გამოყოფს (Шелковников В.,1952, 34). ორენყალაში გამოყოფილია IX-X სს. და XI-XIII სს. (Минкевич – Мустафаева Н.Б., 1959, 182; Ахмедов Г., 1959,222). ხორეზმში ისინი დათარიღებულია XII-XIV საუკუნეებით (Вактурская Н.Н., 1959, 313, სურ. 36,44). ო. ხოვანსკაიას აზრით, ვოლგის ბულგარეთში ისინი XV საუკუნის დასაწყისამდე ჩანს ხმარებაში. ნ. სიჩევას მიხედვით, სფეროკონუსების გავრცელების ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩო IX-XIV საუკუნეებია და ხმარებიდან მხოლოდ XVIII საუკუნეში გამოდის (Сычева Н.С., 1990, 10,11).

რუსთავში სფეროკონუსები, სადღეისოდ, XI საუკუნეზე უფრო ადრეულ ფენებში არ ჩანს. მათი შესწავლა მთელი საქართველოს მასშტაბით უთუოდ მეტ სიცხადეს შეიტანს ჩვენში ამ ჭურჭლის გავრცელება-დამზადების საკითხში.

ლიტერატურა:

გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ი., 1961; თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი

ჭილაშვილი ლ., 1980, კახეთის ქალაქები, თბილისი

ჯაფარიძე ვ., 1965, ქართული კერამიკა (XI-XIII სს.), თბილისი

Арциховский В., 1947, Введение в археологии, Москва

Ахмедов Г., 1972, Средневековый город Байлакан, Автореферат, Баку

Ахмедов Г., 1959, Неполивная керамика Орен-Кала IX-XIII вв., МИА, 67, Москва

Вактурская Н.Н., 1959, Классификация средневековой керамики Хорезма (IX-XVII в.в), Керамика Хорезма, Москва

Виноградов З., 1922, Сфероконические сосуды с узким горловым отверстием, Казанский музейный Вестник, № 2

Вяткин В. Л., 1926, Афрасиаб – Городище былого Самарканда, Самарканд –Ташкент

Городцев В., 1926, Древние мусульманские светильники в виде сфероконических глиняных сосудов, Труды ГИМ, вып. I

Гюзалян Л. 1959, Надписи на местной керамике из Орен-кала, МИА, 67, Москва

Джанполадян Р.М., 1958, Сфероконические сосуды из Двина и Ани, СА, №1, Москва

Казаринов В. А., 1880-1882, Описание Билярских и Болгарских городищ, ИОАИЭ, т. III.

Караханян Г.О., 1954, Неполивная орнаментированная керамика из раскопок Двина и Ани, Автореферат, Ереван

Кафадарян К., 1952, Город Двин и его раскопки, Ереван

Кверфельдт Э. К., 1947, Керамика Ближнего Востока, Ленинград

Ленц Э., 1904, О глиняных сосудах с коническим дном находимых в пределах мусульманского Востока, ЗВОРАО, т. XV, СПБ

Лихачев А., 1884, О загадочных сосудах сфероконической формы из Волжской Болгарии, Тр. IV, АС, т.I, Казань

Марр Н., 1934, Ани, Книжная история города и раскопки на месте городища, Ленинград

Минкевич-Мустафаева Н.В., 1959, Раскопки гончарных печей из городища Орен-Кала, МИА, 67, Москва

Орбели И. А., 1910, Каталог Анисского музея древности, вып. I. СПБ

Сычева Н.С., 1980, Декоративное искусство Средней Азии и Казахстана, Москва

Шелковников Б., 1952, Керамика и стекло из раскопок Двина, Труды Гос. Ист. Музея АН Армении, т. IV, Ереван

Hobson R.L., 1932, A Guide to the Islamic Pottery of the Near East, London.

№№ რ-59-80, 434

სფეროკონუსის კედლის ორი ნატეხი. მომწვანო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. თიხა განლექილია, წვრილმარცვლოვანი. განლექვის მიუხედავად კეცში საკმაო რაოდენობითაა შავი და მოთეთრო (კირქვა) მინარევები. კეცი მტკიცე აქვს, ზედაპირი ფოროვანი.

ფრაგმენტულობის მიუხედავად ფორმა დგინდება: იგი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ძირის ნაწილი აკლია. სფეროკონუსის მხრები შემკობილია რელიეფური ორნამენტით-დაძერწილი აქვს ოვალური ფორმის „ღილაკები“. იგი ყურძნის მტევნის მინაბაძს წარმოადგენს. ჭურჭლის ძირისკენ ოთხ რიგად კონცენტრული ღარი აქვს ამოკაწრული.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შემორჩენილი h-10სმ. უდ. d-9სმ.
კეცის სისქე-1სმ.
ციხე, თხრილი I, ქვეთხრილი 1.

№ რ-59-867

სფეროკონუსის გვერდის ნატეხი. მომწვანო-მონაცრისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი, წვრილმარცვლოვანი თიხისა. ზედაპირი მოსწორებული აქვს. შემორჩენილია ძირის მცირე ნაწილიც. პატარა ზომის ჭურჭელია. მხარზე შემორჩენილია ორი რელიეფური დანაძერწი, რომლის ნატვიფრი ორნამენტით არის შემკული. ორნამენტი განსხვავებულია. რელიეფურ დანაძერწებს შორის მრგვალი საბეჭდავით დატვიფრული ვარდულებია მოთავსებული. ძირთან ორი ღრმა ღარი შემოუყვება.

დამზადებულია ჩარხზე
(შიდა პირზე ჩანს ზოლები)

ზომები: შემორჩენილი h-9 სმ. შემორჩენილი უდიდესი
d-8,5 სმ. კ-სისქე-1-1,5 სმ. (ძირისკენ სქელდება) მრგვალი საბეჭდავით მიღებული ანაბეჭდის d-1,1 სმ.
ციხე-თხრილი I, -4 ქვეთხრილი.

№ რ-65-5989

სფეროკონუსის პირკედლის ნატეხი მომწვანო-მონაცრისფროდ გამომწვარი. თიხა წმინდა სტრუქტურისაა. ამის მიუხედავად აქვს მინარევები, იშვიათად საკმაოდ მსხვილი კენჭებიც. კეცის შიდა ნახევარზე მეტი მომწვანო-მონაცრისფროა; გარე ნახევარი კი - ნაცრისფერ-მოშავო. გარედან გადავლებული აქვს მომწვანო-მოყვითალო სითხე. ზოგან აცვენილია და გამოსჭვივის რუხი ფერი. შიდა პირი მოთეთრო-მონაცრისფრო აქვს. სფეროკონუსს აქვს დაბალი, შესქელებული, გამოყოფილი პირი, ვიწრო ნახვრეტით. პირი მცირედ დეფორმირებულია, ყელთან შემოუყვება ორი წიბო. კედლის შემორჩენილი ნაწილი მთლიანად დაფარულია რელიეფური ორნამენტით-გირჩის ფორმისა, გარშემო ამოღარულნი. ორნამენტი სცილდება კეცის ზედაპირს. ისინი დაძერწილნი უნდა იყვნენ, შესაძლოა ორნამენტი მთლიან ყალიბში იყოს ამოყვანილი. რელიეფურ ორნამენტს შორის მრგვალი საბეჭდავით ნატვიფრი ორნამენტია დატანილი სამი სწორი ხაზი და გარდიგარდმო სამ-სამი ღილაკი. ამგვარად უნდა ყოფილიყო შემკული ჭურჭლის მთელი ზედაპირი.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შემორჩ. h-4,2 სმ. პირ-ყელის h-2 სმ. პ. d-3 სმ. ნახვრეტის d-0,7 სმ. კ. ს.-1 სმ. უდიდესი d-9,8 სმ. ანაბეჭდის d-0,8 სმ.
ციხე-VI თხრილი

№ რ-65-6461

სფეროკონუსის კედლის ნატეხი. მომწვანო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. კეცი მტკიცე აქვს, წმინდა სტრუქტურის. მიუხედავად ამისა, კეცში არის კენჭოვანი მინარევები. ზედაპირი მომწვანოა. დიდი ზომის ჭურჭელი არ ჩანს. შემორჩენილია მუცლის ნაწილი, რომელიც შემკულია რელიეფური ორნამენტით-მოგრძო ღილაკებით და მრგვალი საბეჭდავით გამოყვანილი ნატვიფრი ორნამენტით; გამოსახულია წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი.

დამზადებულია ჩარხზე. ირგვლივ შეიმჩნევა ზოლები.

ზომები: სეგმენტის სიგრძე-6 სმ. კ. ს.-1,3 სმ. ნატვიფრის ორნამენტის d-1,2სმ.
ციხე-VI თხრილი.

№ რ-65-6096

სფეროკონუსის ძირის ნატეხი. ღია მოყავისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა. წვრილმარ-ცვლოვანი, საკმაოდ განლექილი. ალაგ-ალაგ აქვს კვარცის მინარევები. კეცის გარე ნაწილი (2მმ) შავლეგაა. ზედაპირზე გადავლებული აქვს მომწვანო-მონაცრისფრო სითხის თხელი ფენა. ალაგ-ალაგ ანგობი გადასულია და მოჩანს კეცის შავლეგა ფერი.

ძირის ნაწილი კონუსურია. გვერდები დაბრტყე-ლებული-წახნაგოვანი უნდა ჰქონოდა. ძირთან ირგვლივ ღრმა ფართო ღარი შემოუყვება.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შემორჩენილი h-4,5სმ; უდიდესი
სიგანე-8სმ.
კ. ს.-1-1,3 სმ.
ციხე-I თხრილი, 1-ლი ქვეთხრილი.

№ რ-65-5629

სფეროკონუსის ძირის ნატეხი. მონაცრისფრო-მომწვანოდ გამომწვარი თიხისა. წვრილმარ-ცვლოვანი. კეცი მტკიცე აქვს. კედლის შიდა ნახევარი რუხია. შიდაპირი დაფარულია მოთე-თრო-მონაცრისფრო ანგობის თხელი ფენით.

ძირი-კონუსური აქვს-შიგნიდან პირმოყრილი. ზედაპირი ფოროვანია უთანაბროდ დაჩხვლეტი-ლი, სრულად სადა.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შენარჩუნებული h-6სმ. შემორჩენილი
უდიდესი d-8,5 სმ. კ. ს.-ო,9სმ.
ციხე-I თხრილი, მე-3 ქვეთხრილი.

№ რმმ, ინვ. 1592

სფეროკონუსის კედლის ნატეხი.

ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, წვრილმარცვლოვანი, განლექილი. შიდაპირი მოთეთრო აქვს, გარე კი მოყვითალო-მომწვანო. შემორჩენილია მუცლის ნაწილი. ფართო დიამეტრიანი არ უნდა ყოფილიყო. ზედაპირზე შემორჩენილია სამი შვეული ქედი. ერთ მათგანზე შეიმჩნევა ჭდეები. ჭურჭელის ირგვლივ შემოუყვება ორი ღარი.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: ქორდის სიგრძე-7,5 სმ. კეცის სისქე-1სმ.
ნაქალაქარი-მე-11 თხრილი.

№ რ-61-4168

სფეროკონუსის კედლის ნატეხი, ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ზედაპირი მომწვანო-მონაცრისფრო აქვს. შიდაპირი კი-მოთეთრო-მონაცრისფრო. დიდი ზომის სქელკედლიანი ჭურჭელია. კეცი მტკიცე, განლექილი. მხარის ნაწილია შემორჩენილი. იგი მხარგანიერია. ზედაპირზე დაძერწილი აქვს დიდი ზომის შვეული ლილვაკები; შემორჩენილია ორი-ერთ მათგანს შუაზე ღარი დაუყვება, მეორეს - ღარის გარდი-გარდმო ირიბი ჭდეები აქვს, რაც მთლიანობაში წიწვოვან ორნამენტს გამოსახავს. შვეულ ლილვაკებს შორის სიცარიელე შევსებულია მრგვალი საბეჭდავით გამოყვანილი ორნამენტით-წრეში ჩამჯდარი ხუთი ღილაკი, რომელსაც ირგვლივ კბილანები შემოუყვება.

დამზადებულია ჩარხზე

ზომები: (13X8,5)სმ. კ. ს.-1,4-1,8 სმ.
ანაბეჭდის d-1,4 სმ. სეგმენტის სიგრძე-11სმ.
ციხე- XIII თხრილი. ზღუდის აღმოსავლეთ მხარეს.

რმმ, ინვ. № 1592

სფეროკონუსის პირ-კედლის ნატეხები.

ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. კეცი მტკიცე და მკვრივი აქვს. წვრილმარცვლოვანი, განლექილი. შიდაპირი მოთეთრო ფერის სითხის თხელი ფენითაა დაფარული, ხოლო ზედაპირი მოყვითალო-მომწვანო ფენით. ზედაპირზე ანგობის თხელი ფენა დიდ ნაწილზე აცვენილია და მოჩანს კეცის ფერი ნაცრისფერი-რუხი. ჭურჭელი ამოვლებული ყოფილა მომწვანო-მოყვითალო ხსნარში.

სფეროკონუსს აქვს ვიწრო, მაღალი პირ-ყელი.

ყელი წიბოიანია. მხარზე დაძერწილი აქვს შვეული და მორკალული ლილვაკები, რომლებიც ჭდეებითაა შემკული. ამოკაწრული ორნამენტი შეიმჩნევა ლილვაკებს შორისაც. გამოირჩევა მაღალი ყელით და შედარებით თხელი კედლით.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შემორჩენილი h-8 სმ. პ. d-2 სმ. ნახვრეტის d-0,6 სმ. კეცის სისქე- 0,8 სმ.
ნაქალაქარი, თხრილი XI.

№ რ-60-1632

სფეროკონუსის კედლის ნატეხი. ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, განლექილი, მტკიცე კეცით. აქვს მოსწორებული ზედაპირი. ძირისკენ მიმდებარე ნაწილია, დიდი ზომის ჭურჭლისა ჩანს.

შიდაპირი კეცთან შედარებით ღია ფერისაა.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შემორჩ. h-6 სმ. სეგმენტის სიგრძე-8,5სმ.
კ. ს.-1-1,5 სმ.
ციხე-VIII თხრილი

№ რ-61-3344

სფეროკონუსის კედლის ნატეხი. გამომწვარია მოშავო-ლეგად. შიდა პირი მოყავისფრო-მოვარდისფრო აქვს.

პატარა ზომისაა, მრგვალმუცლიანი. ყელთან შემოუყვება დაბალი ნაწიბური და ღარი. ყელს ქვემოთ, მხართან შემორჩენილია მრგვალი საბეჭდავით ამოტვიფრული ორნამენტი (ორ ადგილას). სრულად არც ერთი არ არის შემორჩენილი და ამიტომ ცუდად იკითხება. გამოსახულება ერთნაირი უნდა იყოს-წრეში ჩასმული ჭადრაკული ორნამენტი. სფეროკონუსის მუცლის ქვედა ნაწილში შემორჩენილია მრგვალი შტამპით დატანილი ნატვიფრი ორნამენტი. იგი გაცვეთილია, უფრო წარწერას წააგავს: არაბული დამწერლობა (?), დამღა (?)

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შემორჩენილი h-8სმ. სეგმენტის სიგრძე-4 სმ. კ. ს.-1სმ. ანაბეჭდის d-1,5სმ. დამღის (?) d-2 სმ.
ციხე- XII თხრილი.

№ რ-62-4360

სფეროკონუსის კედლის ნატეხი, მხარის ნაწილია. თიხა ღია მონაცრისფრო-მოყვითალოდაა გამომწვარი, წვრილმარცვლოვანია, განლექილი, მტკიცე კეციანი, სქელკედლიანი. ყელის მცირე ნაწილიც აქვს შემორჩენილი. ზედაპირი შემკულია დანაძერწებითა და ნატვიფრი ორნამენტით (ცუდად იკითხება).

შეიმჩნევა ტეხილი ხაზები და ღილაკები.

გამოყენებულია სამკუთხა საბეჭდავიც.

ჩარხზეა გამოყვანილი.

ზომები: კ. ს.-1,2-1,7 სმ.
ციხე-XI თხრილი.

№ რ-59-508, № 04-74-893



სფეროკონუსის კედლის ნატეხები. მოყვითალო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. წვრილმარ-ცვლოვანი, განლექილი. სადა ზედაპირით. დიდი ზომისაა.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შემორჩენილი h-10 სმ. სეგმენტის სიგრძე-13 სმ. კ. ს.-1,3-1,8 სმ.
ციხე-I თხრილი, მე-3 ქვეთხრილი და XIII თხრილი.

№ 04-81-5

სფეროკონუსის პირ-კედლის ნატეხი. მომწვანო-მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა. წვრილმარ-ცვლოვანი. აქვს წვრილი თეთრი მინარევები (კვარცის). კარგი განლექილი არ არის. ზედა-პირი ხაოიანია და მომწვანო-მონაცრისფრო იერი გადაკრავს. პირ-ყელი დაბალი აქვს, პირი გამოყოფილი და შესქელებული, ვიწრო ნახვრეტით. მხრებგანიერია, სადა.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შემორჩენილი h-3 სმ. პ. h-1,2 სმ. პ. d-3,5 სმ. ნახვრეტის d-1 სმ. კ. ს.-1 სმ.
ციხე-ჩრდილოეთი სექტორი.

№ რ-61-3244

სფეროკონუსის პირ-კედლის ნატეხი. მომწვანო-მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა, წვრილ-მარცვლოვანი. საკმაო რაოდენობით აქვს წვრილი მინარევები-ძალზე განლექილი არ არის. ზედაპირი ხაოიანია. პირ-ყელი დაბალი აქვს. პირი გამოყოფილი და შესქელებული, ვიწრო ნახვრეტით. მხრებ-განიერი, სადა.

ზომები: შემორჩ. h-3,5 სმ. პ. d-3 სმ. ნახვრეტის d-1 სმ. პირ-ყელის h-1,2 სმ. კ. ს.-0,9 სმ.
ციხე- X თხრილი

№ რ-65-6297

სფეროკონუსის კედლის ნატეხი. მონაცრისფროდ გამომწვარი, განლექილი თიხისა. კეცი მტკიცე აქვს.
შიდა პირი უფრო მოთეთროა. ძირის ნაწილია, მომრგვალებული, ოდნავ კონუსური. სადა ზედა-პირიანი.

დამზადებულია ჩარხზე.

ზომები: შემორჩ. h-8 სმ. კ. ს.-0,9-1 სმ.
ციხე-X თხრილი

№ 04-74-1366

სფეროკონუსის კედლის ნატეხი. მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ზედაპირი მოყვითალო-მომწვანო აქვს. ძირისკენ მიმდებარე ნაწილი უფრო შესქელებულია. შემოუყვება ორი ღრმა ღარი, შედარებით თხელკედლიანია.

ზომები: 7,5x 5 სმ. კ. ს.-0,7-0,9 სმ.
ციხე-X თხრილი.

№ 04-81-282

სფეროკონუსის პირის ნატეხი. მონაცრისფრად გამომწვარი თიხისა, წვრილმარცვლოვანი, ყელდაბალი, პირგამოყოფილი, ვიწრო ნახვრეტით.

ზომები: შემორჩ. h-1,5 სმ. პ. d-3 სმ.
ნახვრეტის d-0,8 სმ. კ. ს. ყელთან-0,9 სმ.
ციხე-ჩრდილოეთ სექტორი.

მ ე რ ი ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ქართული მინის წარმოების ისტორიისათვის

მინამ დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ამიტომაა რომ ძველი მინებისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში ყოველთვის დიდი იყო. ამა თუ იმ მატერიალური კულტურის ძეგლში აისახება როგორც ქვეყნის კულტურის საერთო დონე, ხალხის გემოვნება თუ მოთხოვნილება, ასევე თითოეული ხელოსნის, როგორც შემოქმედის ინდივიდუალობა. ამავე დროს, არქეოლოგიური მინა საკმაოდ კარგად აშუქებს მინის ტექნოლოგიისა და ტექნიკის საკითხებს. მისი შესაძლებლობები დღემდე ამოუწურავია. მინას იყენებდნენ და იყენებენ საოჯახო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, სააფთიაქო თუ სამშენებლო საქმეში; სამკაულისა თუ დეკორატიული ნივთების დასამზადებლად. მინის ბევრი ნაწარმი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს.

თავისი ძირითადი თავისებებით - გამჭვირვალობით და ქიმიური მდგრადობით, იგი თითქმის შეუცვლელი აღმოჩნდა. ნედლეული, რომლითაც მინა მაღალი ტემპერატურის დახმრებით მზადდება, მეტად იაფია. ეს არის კვარცის ქვიშა ანუ სილიციუმის ორჟანგი, კალციუმის კარბონატი და სოდა (Качалов А, 1959, 12).

ბუნებრივ მინას (ობსიდიანი, ტექტიტი, პერლიტი) ადამიანი ქვის ხანიდან მოყოლებული დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა (Арциховский А. В. 1954, 26-27). მინის ხელოვნური მიღება კი უფრო გვიან, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას ისწავლა. მესოპოტამიასა და ეგვიპტესთან ერთად კავკასია, კერძოდ, საქართველო მსოფლიოში მინის წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერადაა აღიარებული (Petrie F., 1926, 229-234; Berger E., 1927. 160-166).

ფიქრობენ, რომ მინისა და ჭიქურის აღმოჩენა და წარმოება მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, სწორედ ჭიქური წარმოადგენდა მინის წინამორბედს. ჭიქურის მიღება კი სულ ადვილი შესაძლებელი იყო კერამიკული თუ ლითონის წარმოების გარიჟრაჟზე (Флиттнер Н., 1922, 138, Блюмен Л. М., 1954, 6, Лукас А. 1958, 289, 694, Абдуразаков А. А., 1966, 12-13).

კერამიკის წარმოებისას ბუნებრივად მიიღებოდა მარცვლები - ნახევრად გამლღვარი სილისა და სოდისაგან, ხოლო ლითონის წარმოებისას, მისი ნარჩენი - წიდა. ესენი წარმოადგენდნენ პირველ მინას (Безбородов М. А., 1956, 6).

როგორც ცნობილია, საქართველოში მეტალურგია უძველესი საწყისის მქონეა (ჯავახიშვილი ივ., 1960, 3,8,10, ჩუბინიშვილი ტ., 1965, 8, აქვე იხ. ლიტერატურა). გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი მკვლევარი მინის წარმოებას ლითონის წარმოებას უკავშირებს; მათი აზრით, მინის წარმოება პირველად განვითარებული მეტალურგიის მქონე ქვეყნებში აღმოცენდა (Безбородов М. А., 1956, 3, უგრელიძე ნ., 1961, 3).

მინისა და ჭიქურის შედგენილობა, ძირითადად, ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავებაა მათ გამოყენებაში; ჭიქურით ყოველთვის სხვა საგნის ზედაპირს ფარავენ, მინა კი დამოუკიდებელ მასალას წარმოადგენს (Лукас А., 1958, 289).

ამგვარად, მინა, როგორც მასალა გაცილებით ადრე მიიღეს, ვიდრე დაიწყებოდა მისი შეგნებული წარმოება. თანდათან ხდებოდა ამ შემთხვევით მიღებული ახალი მასალის თავისებურებების შეცნობა, მისი წარმოების ხერხების შემუშავება; საჭირო იყო ნედლეულის შერჩევისა და მინის ხარშვის ტექნოლოგიის ცოდნა, შემდეგ კი მისგან ნაწარმის დამზადება. ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა. მინას ხარშავდნენ და მისგან ნაწარმს ამზადებდნენ სხვადასხვაგვარი ტექნოლოგიითა და ტექნიკით. მინის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები დამოკიდებული იყო მის შემადგენლობაში შემავალი კომპონენტების შეხამებაზე. როცა მინის მკეთებელი ხელოსნები ყოველივე ამას კარგად დაეუფლნენ, გადავიდნენ მინის წარმოების ახალ ეტაპზე. დაიწყეს მხატვრულ-ესთეტიკური პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება; წინ წამოიწია ისეთმა საკითხებმა, როგორიცაა ფერის აქტუალობა, ორნამენტის ნაირგვარობა, მინის ხარისხი (Качалов А., 1959, 72-73; კაპანაძე მ. და სხვ. 2004, 8-12, 19).

ვეცდებით მოკლედ წარმოვაჩინოთ მინის წარმოების განვითარების ისტორია სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყანაში.

სხვადასხვა ეპოქაში მინის წარმოების ცენტრები სხვადასხვაა. ძვ. წ. VIII – I საუკუნეებში ეგვიპტე და შუამდინარეთის ქვეყნები მიჩნეული იყო მინის წარმოების ცენტრებად. ბოლო დროის გამოკვლევებით გაირკვა, რომ ჩინეთში და ინდოეთში ძვ.წ. V ს-ში უკვე არსებობდა მინის წარმოება; ძვ. წ. III ს-ში კი მან ინდოეთში განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია (Безбородов М. А., 1956,306, კაპანაძე მ. და სხვ., 2004, 3-4, 12-13).

ადრეული მინისებრი ნაკეთობანი წარმოადგენდა მინისებრ და კრისტალურ სხეულთა შენაერთს. თავდაპირველი ხელოვნური მინა გაუმჭვირვალე იყო. არ არის ცნობილი როდის მიიღეს გაუმჭვირვალე მინა, მაგრამ მისი პირველი ნიმუშები ეგვიპტეში ძვ. წ. II ათასწლეულში გვხვდება (Лукас А., 1958, 304-305).

ეს არის ტუტანხამონის (XVIII დინასტია) სამარხში აღმოჩენილი მინის ფირფიტები, რომლითაც დაფარული იყო სხვადასხვა საგანზე მოთავსებული მინიატურული ნახატები. მინის ეს ფირფიტები ჩამოსხმულია (Nenburger A., 1919. 168-372). საკუთრივ მინისგან დამზადებული ნაკეთობანი ძვ. წ. I ათასწლეულისაა.

გაუმჭვირვალე მინისაგან ამზადებდნენ ძირითადად სამკაულს - მძივებს, ჩასასმელ თვლებს, საკიდებს, შემდეგ კი საბეჭდავებს და ჭურჭელს. მინის ჭურჭელი მაშინ იშვიათი იყო და მას ოქროს ფასი ჰქონდა. იგი გამოირჩეოდა ფერებით, შემკულობით, ფორმის მრავალფეროვნებით. მას ძირითადად ქვის, თიხის, ლითონის ჭურჭლის ფორმას აძლევდნენ. მინას ყალიბში ასხამდნენ ან წნეხდნენ. ეს მეთოდი ადრეანტიკურ ხანაში დაინერგა, განსაკუთრებით ძვ. წ. VI-IV სს გავრცელდა და ახალ წელთაღრიცხვამდე მიაღწია (კაპანაძე მ. და სხვ., 2004, 11-13).

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე საბერავი მილის გამოგონებამ დიდი გარდატეხა მოახდინა მინის წარმოებაში. აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ თუ ვინ გამოიგონა იგი - ეგვიპტელებმა, ფინიკიელებმა თუ რომაელებმა. უფრო გაზიარებულია ე. შმიდტის მოსაზრება, რომ საბერავი მილი გამოიგონეს სირიელებმა, კერძოდ ქ. სიდონის ხელოსნებმა (Кунина Н.З. 1997).

საბერავი მილის საშუალებით ჭურჭელს ამზადებდნენ თავისუფალი ბერვით ან ყალიბში ჩაბერვით. დაიწყეს სხვადასხვა მოყვანილობის, ზომის, სისქის და შემკულობის მქონე ნაწარმის მასიური დამზადება. ამის შესაძლებლობას ხელოსანს აძლევდა საბერავი მილი და თვით მინა, როგორც ნივთიერება.

თანდათან იქმნებოდა მინის წარმოების ახალ-ახალი ცენტრები. ელინიზმის დასასრულს (ძვ. წ. I. ს) ალექსანდრიიდან, რომელიც ეგვიპტური მინის წარმოების ცენტრს წარმოადგენდა, ხელოსნობის ეს დარგი გავრცელდა რომის იმპერიაში.

აქაურმა ხელოსნებმა გაითავისეს ყველაზე პროგრესული მეთოდები, რომელსაც მანამდე ეგვიპტური და სირიული მინის წარმოებაში იყენებდნენ. II-III სს რომი და მისი იმპერია გადაიქცა მინის წარმოების ახალ ცენტრად, საიდანაც მინის ნაწარმი გაჰქონდათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში (ლორთქიფანიძე ოთ. 1968, 74-76, კაპანაძე მ. და სხვ., 2004, 13,14).

იმპერიის დედაქალაქის კონსტანტინოპოლში გადატანისთანავე (330 წ), კონსტანტინე დიდმა იქ სხვადასხვა დარგის ხელოსნებთან ერთად მინის წარმოების ოსტატებიც გადაიყვანა. ასე წარმოიშვა ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთით მინის წარმოების ახალი და მძლავრი ცენტრი. VI საუკუნეში ბიზანტიაში განვითარდა გაუმჭვირვალე მინის წარმოება (ჭურჭლისა და სმალტისათვის). ბიზანტიას განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საერთოდ მინის წარმოების ხელოვნებასა და ტექნიკაში, კერძოდ, მოზაიკური ტექნიკის განვითარებასა და სრულყოფაში (კაპანაძე მ. და სხვ. 2004, 13).

აღვნიშნავთ ვენეციურ მინას, რომლის წარმოებაც XIII ს. დაიწყო ვენეციაში - უმთავრესად კუნძულ მურანოზე. ვენეცია გვიან შუასაუკუნეებშიც მინის წარმოების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. XV-XVI სს. ევროპის დეკორატიულ - გამოყენებით ხელოვნებაში ვენეციურმა მინამ (მხატვრული ჭურჭელი, ჭაღები, გრავირებული სარკეები) წამყვანი ადგილი დაიჭირა (ქსე ,4, 363). XVII საუკუნეში უფრო მტკიცე მინის აღმოჩენისა და გრავირების ტექნიკის განვითარების შემდეგ მინის წარმოების ცენტრმა გადაინაცვლა ჩეხეთში, სადაც მხატვრული რეწვა აქ უკვე XIV-XV საუკუნეებში იყო განვითარებული (ქსე, 11, 114).

***

როგორც აღვნიშნეთ, ძველი მინის ნაკეთობებისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. მისი შესწავლისათვის თავდაპირველად მხოლოდ ტიპოლოგიურ ანალიზს იყენებდნენ. დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი. ამიტომ, ამ მეთოდთან ერთად (XVIII ს. ბოლოდან) დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მინის, როგორც ნივთიერების მატერიალური ბუნების შესწავლას. ამ ორივე მეთოდის შერწყმით უფრო მეტად გახდა შესაძლებელი გარკვეულიყო არქეოლოგიური მინის წარმომავლობა, თარიღი, ტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხები, ლოკალური თავისებურებანი (Абдуразаков А.А., 1963, 57, Безбородов М. А., 1969, 9-30, Щапова Ю. Л., 1972,11-21, მისივე, 1975, 152; გეგენავა ა., და სხვ., 1979, 33, აქვე იხ. ლიტერატურა).

საქართველში არქეოლოგიური მინის საგანგებო კვლევას არცთუ ხანგრძლივი

ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ ეს კვლევა თავიდანვე და ერთდროულად ატარებდა როგორც ტიპოლოგიურ, ისე ქიმიურ - ტექნოლოგიურ ხასიათს. ამ გზით მინის პირველმა ქართველმა სპეციალისტმა ნინო უგრელიძემ და ქიმიკოსმა რუსუდან ბახტაძემ შეისწავლეს მცხეთა - სამთავროს IV-VIII სს მინის ჭურჭელი. ასევე წარიმართა მუშაობა შემდეგშიც (მ. საგინაშვილი და რ. ბახტაძე; რ. დოლაბერიძე და რ. ბახტაძე; მ. ჩხატარაშვილი და ა. გეგენავა- ს. პაპუაშვილი)

ცნობილია, რომ რ. ბახტაძე არის ერთ-ერთი პირველთაგანი იმ მკვლევართა შორის (ი. ოლჩაკი, ვ. გეიდმანი, ა. აბდურაზაკოვი, მ. ბეზბოროდოვი), რომლებმაც კვლევის მეთოდად, სადღეისოდ, ყველაზე უფრო სწორად მიჩნეული, ქიმიურ-რაოდენობითი და სპექტრულ-რაოდენობითი ანალიზების შერწყმა აირჩია (Безбородов М.А., 1969, 39,. აქვე იხ. ლიტერატურა). ამგვარად, რ. ბახტაძეს ეკუთვნის საქართველოში აღმოჩენილი მინის ქიმიური შემადგენლობისა და მისი ტექნოლოგიის საკითხების კვლევის დაწყება. ძვ. წ. III ათასწლეულიდან XIV საუკუნემდე დათარიღებულ ნიმუშებზე ჩატარებული დიდი მუშაობის შედეგად მან დაასკვნა, რომ ძველ საქართველოში მინის წარმოების ჩასახვის დროდ ძვ.წ. III ათსწლეული უნდა იქნეს მიჩნეული (ბახტაძე რ., 1964, 93), რაც დღემდე არ შეცვლილა.

ამ ბოლო ხანებში საკმაოდ დიდი რაოდენობით ჩატარდა არქეოლოგიური მინის ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლა (ძვ. წ. V -ახ.წ. VI ს.), რის შედეგადაც მივიღეთ ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს ახალ ეტაპს საქართველოს არქეოლოგიური მინის ქიმიისა და ტექნოლოგიის კვლევის საქმეში (კაპანაძე მ., 1999, 3-19, ავტორეფერატი). ამ კვლევებისა და ძველად ჩატარებულ ტიპოლოგიურ კვლევებთან შეჯერების შედეგად შესაძლებელი გახდა ადრე გაკეთებული დასკვნების დადასტურება, და ახალი დასკვნების გაკეთება (რასაც გზადაგზა აღვნიშნავთ).

ძველი ქართული მინები ნატრიუმ-კალციუმ-სილიკატური (Na20- Ca0 - Si02) მინების კლასს მიეკუთვნება. მისი ხარშვის ტემპერტურაა 12000, რაც შესაბამისობაშია იმ პერიოდის მსოფლიო მინების დამზადებასთან (ბახტაძე რ., 1964, 97; პაპუაშვილი ს. და სხვ., 1978, 99; გეგენავა ა. და სხვ., 1979, 34,35; კაპანაძე მ., 1999, 17). საგანგებოდ იქნა შესწავლილი ბრილის, სამთავროსა და ურბნისის ნიმუშების წარმოებისას გამოყენებული ნედლეული და გაკეთებულია დასკვნა, რომ ქართული მინები ნაკეთებია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით, რაც საქართველოში უხვად მოიპოვება (კაპანაძე მ., 1999,18; კაპანაძე მ. და სხვ., 2004, 87-107). ნ. უგრელიძე იმთავითვე აღნიშნავდა, რომ მცხეთაში მინის ადგილობრივ წარმოებას ხელს უწყობს მის მიდამოებში ამ წარმოებისათვის საჭირო მინერალური ნედლეულის საბადოების არსებობა (კვარცის ქვიშა-ავჭალაში, გლაუბერის მარილი - გლდანში, კირქვა - ძეგვში); რომ შემდეგშიც ამავე ნედლეულით სარგებლობდა XII-XIII სს. კარსნის მინის საწარმო (მცხეთის მახლობლად) და დღესაც ამით სარგებლობს ავჭალის მინის ქარხანა (უგრელიძე ნ. 1967, 91-92).

***

საქართველო ძველი კულტურული სამყაროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი ევროპის და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს, რაც ხელს უწყობდა მის სამეურნეო-

კულტურულ დაწინაურებას.

ქართულმა მიწამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოავლინა არა მარტო მრავალგვარი და მრავალფეროვანი მინის ნაწარმი, არამედ სხვადასხვა პერიოდის მინის საწარმოებიც, რაც არც ისე ხშირია მსოფლიო არქეოლოგიაში. ამდენად საშუალება გვაქვს მეტ-ნაკლები სისრულით თვალი გავადევნოთ ჩვენში უძველესი ტრადიციების მქონე ხელოსნობის ერთ-ერთ დარგს, ქართული მინის წარმოებას, რომელიც გარკვეულ ეტაპზე თავისი განვითარების უმაღლეს დონეს აღწევდა.

სადღეისოდ აღმოჩენილი უძველესი მინის მძივები (შიდა ქართლი - ურბნისი, ქვაცხელების ნამოსახლარი; მესხეთი - ამირანის გორის სამარხები). ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება (ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ., 1962, 42, 47, 58, 59, ტაბ. XXXIV; ჩუბინიშვილი ტ. 1963, 61-62, ტაბ. X; ბახტაძე რ., 1964, 10-11, 93); ძვ.წ. II ათასწლეულისაა (ძვ.წ. XVIII ს.) ჩასასმელი თვლები, რომლითაც შემკულია საქვეყნოდ ცნობილი თრიალეთის თასი (Куфтин Б.А., 1941,421; Жоржикашвили Л. Г., Гогадзе Э. М., 1974, 61,97, ტაბ. 89, №737; გოგაძე ე., 1972, 95, ტაბ. 24,5). მეტად მნიშვნელოვანია ძვ. წ. I ათასწლეულში (ძვ.წ. VIII-VI სს.) მინის მძივებისა და სხვ. სამკაულის აღმოჩენა საწარმო-ნამოსახლარზე ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ოჩხამურში (აფაქიძე ჯ. 1986, 657-660; კაპანაძე მ. და სხვ. 2004, 18,110). აღსანიშნავია, ძვ. წ. V-III სს. ბრილის სამაროვანზე სოფ. ღებთან (ზემო რაჭა) აღმოჩენილი მინის მძივები, რომლის ტიპოლოგიური და ქიმიური ანალიზების შედეგად დადგენილი იყო მათი ადგილობრივი წარმოება (გობეჯიშვილი გ., 1952, 183-190, ბახტაძე რ., 1964, 23-33), რაც დაადასტურა ბოლო ხანებში ჩატარებულმა ქიმიურ-ტექნოლოგიურმა კვლევამაც (კაპანაძე მ. 1999, 18); უძველესი მინის ჭურჭელი (ალგეთის ხეობა - სოფ. წინწყარო, წალკა, კუშჩი, ბრილი, ფიჭვნარი, ვანი, საირხე, სოფ. ენაგეთი - ალგეთის ხეობა, სოფ. ტახტიძირი - ქარელის რ-ნი, სოფ. შავსაყდარას II სამაროვანი - თეთრიწყაროს რ-ნი) განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებს (ძვ. წ.V-IV სს) (Куфтин Б. А., 1941,37, ტაბ. VIII; Куфтин Б. А., 1948, 89, სურ. 8; საგინაშვილი მ., გაგოშიძე ი., 1973, 81-98; გობეჯიშვილი გ., 1959, 198; Хоштария Н. В., 1962, 65-75, ლორთქიფანიძე ოთ., 1966, 87, ტაბ. XVII; ლორთქიფანიძე ოთ. 1972, 24, სურ. 215,216; ჩხაიძე ლ., 1979, 38-40; კახიძე ა., 1971, 16; კახიძე ა., 2008, 49-53; კახიძე ა., ვიკერსი მ., 2004, 78-82; ფირცხალავა მ., 1983, 79-86, 148, №№ 392-398; საგინაშვილი მ., 2000, 72-76). უძველესი მინის საბეჭდავები თარიღდება ძვ. წ. V – ახ. წ. I სს (ხოვლეგორა, მცხეთა-სამთავრო, წალკა-ნერონ-დერესი, არკნეთი, მეტეხი, ნიჩბისი, დუისი, ლოჭინი, გომარეთი, აბელია, სოხთა, ბრილი, ტუიაქოჩორა, უფლისციხე, კლდეეთი, ურბნისი (Максимова М.И, 1941, 466-467, Максимова М.И., 1950, №64,65, ლორთქიფანიძე მ., 1963, 136-137, ლორთქიფანიძე მ., 1969, 10-11, 121, №108; 48-52, ტაბ. VI.; ჯავახიშვილი ქ., 1972, 11, 80, №129, 130; ჯავახიშვილი ქ., 1975, 112-117; Гагошидзе Ю., 1975, 90-94, 103); უძველესი მინის კამეა - ძვ. წ. I - ახ. წ. I ს. დასაწყისი - ახალდაბა (ლორთქიფანიძე მ., 1961, 14-16, №6,7); უძველესი მინის საკინძის თავები - ახ. წ. I-II სს - მცხეთა-სამთავრო, - ურბნისი (საგინაშვილი მ. 1975, 56, სურ. I-II); უძველესი მინის ბეჭედი - ახ. წ. I-III სს. - მცხეთა (კალანდაძე ა., 1949, 269); უძველესი სარკმლის

მინა - ახ. წ. I-III სს. მცხეთა-არმაზისხევი, ურბნისი, ძალისა, ბიჭვინთა, სოხუმი, გონიო-აფსაროსი (კალანდაძე ა. 1937 და 1939; ჩხატარაშვილი მ., 1967, 11-12; შალიკაძე თ. 2004,69).

მ ი ნ ი ს ჭ ურ ჭ ე ლ ი

ჭურჭლის შესწავლას მატერიალური კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. "იგი საინტერესოა, როგორც ტექნიკის, ასევე მხატვრული შესრულებისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით" (ჯავახიშვილი ივ., 1965, 41). ქართულ მრავალგვაროვან და მრავალფეროვან ჭურჭელს შორის ერთ-ერთი საინტერესო და საყურადღებო მინის ჭურჭლია.

ძველ ქართულში მინას ერქვა „ჭიქა". შემდეგ ნივთიერების ეს სახელწოდება შეერქვა ჭურჭელს - სასმისს. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „თავდაპირველად ჭიქა მასალის მაუწყებელი იყო და შემდეგში „ჭიქისგან" გაკეთებული სასმურის კუთვნილ სახელად იქცა" (ჯავახიშვილი ივ., 1965. 55). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „მინა ჭიქა არს", ჭიქა-კაჟთა მიერ გამოდნობილი ჭურჭელია, (კაჟთა მიერ გამოდნობილი ხელოვნება და შიგ შთაბერვით შექმნა ჭურჭელთა)" (ორბელიანი ს., 1928, 213, 447, 307).

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ მინის წარმოება რთული ტექნოლოგიური პროცესია, რომელიც მოითხოვს მაღალ ტემპერატურას, ხოლო მისგან ნაწარმის მიღება - მძიმე ფიზიკურ შრომას. VI-VII სს ძეგლის იოანე მოსხის „ლიმონარში" ვკითხულობთ: „მე ჭიქისა მოქმედი ვიყავი და მხურვალებისა მისგან ცეცხლისა დავბრმი" (მოსხი ი., 1960, 37).

X-XI სს-ში გვხვდება „მინა", რაც სპარსულად მინანქარს, ჭიქურს, მოზაიკას ნიშნავს. როგორც ჩანს, ადრეულ ეტაპზე საქართველოში „მინა" უფრო ფერადი მინის ნაკეთობის ან მინანქარის აღსანიშნავად იხმარებოდა (კაპანაძე მ., 2004, 33. აქვე იხ. ლიტ.)

ახ.წ. პირველი საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთელ გვიანანტიკურ სამყაროში, მინის ჭურჭელი უკვე ფართოდაა გავრცელებული. საბერავი მინის გამოგონების შემდეგ იგი უფრო მრავალფეროვანი და მასობრივი გახდა, დროთა განმავლობაში ფუფუნების საგნიდან მასიურ, საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ერთ-ერთ სახეობად იქცა. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე VII ს. ერთ სამარხში 39 მინის ჭურჭელი აღმოჩნდა; ცხადია, სამარხი მინის მბერავს ან მენელსაცხებლე ოსტატს ეკუთვნოდა. იმ დროს მინის ჭურჭელი ისე იაფი ყოფილა, რომ მძარცველებს იგი ადგილზევე დაუტოვებიათ, რასაც აღნიშნავს ნ. უგრელიძე. ეს მანიშნებელიცაა იმის, რომ მცხეთაში მინის ჭურჭლის მასობრივი წარმოება ყოფილა (უგრელიძე ნ., 1967, 89,91).

გვიანანტიკურ ხანაში (I-IV სს) განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა კოლბისებური, მსხლისებრი, ყელმაღალი და ტანდაბრტყელებული ან ფიგურული პატარა ჭურჭელი, ე.წ. სანელსაცხებლეები, რომელიც დასაკრძალავ რიტუალთან იყო დაკავშირებული. საყოფაცხოვრებო ჭურჭლიდან გვხვდება თასები, თეფშები, სურები, დიდი ზომის ბოთლები და სხვა. მინის ეს ჭურჭელი უმთავრესად სამარხებიდან (მცხეთა-სამთავრო, არმაზისხევი, ავჭალა, კლდეეთი, ბორი, ზღუდერი, სარკინე, ურბნისი, კავთისხევი, ჟინვალი, სოხტა, ბიჭვინთა და სხვა) მომდინარეობს (საგინაშვილი მ., 1970, 10-40).

ამ პერიოდში მინის წარმოება ჩანს იბერიის დედაქალაქ მცხეთაში, ურბნისში, ბიჭვინთაში; მაგრამ ძალიან დიდი რაოდენობით შემოდის იმპორტული მინაც, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ

რომის იმპერიის მინის საწარმოო ცენტრებიდან (Лордкипанидзе О.Д., 1957, 143-152, 135; ლორთქიფანიძე ოთ., 1968, 74-76; ლომთათიძე გ., 1955, 352; აფაქიძე ა., 1963, 233-234; უგრელიძე ნ., 1967, 7-8; ლომთათიძე გ., 1956, 30-31; ჭილაშვილი ლ., 1964, 57; საგინაშილი მ., 1970, 45-47; კაპანაძე მ. და სხვა., 2004,124; Апакидзе А.М., Лордкипанидзе О. Д, 1960, 35; რამიშვილი რ., 1963, 74; ფუთურიძე რ., 1975, 157-158; საგინაშილი მ., 1974, 164-168).

გვიანანტიკური ხანის სტანდარტულ ფორმებთან შედარებით შუასაუკუნეებში, განსაკუთრებით კი, განვითარებულ შუასაუკუნეებში, მინის ნაწარმი უფრო მრავალფეროვანი გახდა. ესა თუ ის ქვეყანა, მართალია, განვითარების საერთო გზას მიჰყვებოდა, მაგრამ საერთოსთან ერთად ქმნიდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნაწარმს.

ადრეულ შუასაუკუნეებში მინის ნაწარმი უფრო მრავალრიცხოვანია. საყოფაცხოვრებო ჭურჭელთან ერთად გვხვდება საგანგებო დანიშნულების საგნებიც - ლამპარი, სარკმლის მინა. ისინი წარმოდგენილია როგორც აღმოსავლეთ (მცხეთა, ურბნისი, რუსთავი, თბილისი, ბოლნისი), ისე საქართველოს შავი ზღვისპირეთის (სოხუმი, ბიჭვინთა, გუდავა, ბობოყვათი, ციხისძირი) და შიდა რაიონების (ვაშნარი, ნოქალაქევი, ვარდციხე) ნაქალაქარების კულტურულ ფენებშიც და სამარხებშიც (ჩხატარაშვილი მ., 1978, 8-34; აქვე იხ.ლიტ.-რა).

უმეტეს მათგანში (მცხეთა, ურბნისი, რუსთავი, ბიჭვინთა, ვაშნარი, ყულევი) მინის ადგილობრივი წარმოება დასტურდება (უგრელიძე ნ., 1967, 90-91; ჩხატარაშვილი მ., 1978, 13-28; ჩხატარაშვილი მ., 1978, 79; ჩხატარაშვილი მ., 1987, 86-87).

გვიანანტიკური ხანის დასასრულს და განსაკუთრებით ადრეული შუასაუკუნეების დასაწყისში მინის ჭურჭლებიდან მრავალფეროვნებით გამოირჩევა სასმისები, ისინი დამზადებულია უფერული ან მომწვანო მინისგან, ბერვით და ყალიბში ჩამოსხმით. გვხვდება ღრმა ფიალისებრი, სადა ან ფაცეტებიანი, ფეხიანი (3 ქვეტიპად გამოყოფილი), დაბალი, ფიალისებრი ფერადი ან თავისივე ფერის ძაფებით შემკული და ე.წ. „ხალიანი“ სასმისები.

მეტად საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს ხალიანი მინა. ჭურჭელს დიდ მიმზიდველობას ანიჭებდა ზედ დადნობილი დიდ-პატარა, უმეტესად ლურჯი, იშვიათად მწვანე ხალების კომბინაცია, რომელიც ლითონის ჭურჭლის ძვირფასი ქვებით შემკობის იმიტაციას წარმოადგენდა. ამგვარ მინის ჭურჭელს ჭაღებში ჩასადგმელ ლამპრადაც იყენებდნენ, რაც ძალიან ეფექტური იქნებოდა.

ხალიანი მინა III, უფრო კი IV საუკუნიდან მთელ რომაულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული (Smith W., 1957, 152, №304). ამავე ხანიდანაა იგი ცნობილი საქართველოშიც (ლორთქიფანიძე ოთ., 1963, 98-100). ამგვარი ჭურჭელი დასავლეთ საქართველოს 16 პუნქტშია აღმოჩენილი, ყველაზე მრავლად კი ბიჭვინთასა და წებელდაში; დანარჩენებში (სოხუმი, გუდავა, ნოქალაქევი, ფიჭვნარი, ციხისძირი, გონიო, ვაშნარი, ქუთაისი, ვარძია, ლენჯერი - ზემო სვანეთი, სოფელი ლია - წალენჯიხის რაიონი; სოფელი ოქუმი - გალის რაიონი) - თითო-ოროლა. აღმოსავლეთ საქართველოს 3 პუნქტიდან (მცხეთა, რუსთავი, ურბნისი) 7-8 ჭურჭელი შეიძლება წარმოვადგინოთ (ჩხატარაშვილი მ., 1978, 19-21; აქვე იხ. ლიტ-რა; ინაიშილი ნ., 1993, 67-72; ჩართოლანი შ., 1990, 27-28). საქართველოში აღმოჩენილი ხალიანი მინა ზოგადად IV-VI სს. თარიღდება. მათი უმეტესობა შემოტანილია მახლობელი აღმოსავლეთის (სირია-პალესტინა) საწარმოო ცენტრებიდან (ჩხატარაშვილი მ., 1978, 21; ჩხატარაშვილი მ., 1987, 90; ინაიშილი ნ., 1993, 70); მაგრამ სასმისების ზოგიერთ ვარიანტს ნ. უგრელიძე ადგილობრივ, ბიჭვინთაში დამზადებულად თვლის (Угрелидзе Н, 1989, 71; ინაიშვილი ნ., 1993, 70). როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, ამ ხანებში აქ მინის წარმოების ნაშთებია დადასტურებული.

არსებობს მოსაზრება, რომ ჩრდილო კავკასიის სამაროვნებზე (გილიაჩი, კისლოვოდსკი) აღმოჩენილი ხალიანი მინა ვრცელდებოდა აღმოსავლეთ შავი- ზღვისპირეთის ცენტრებიდან (სოხუმი, ბიჭვინთა) წებელდაზე გავლით (Сорокина Н. П., 1979, 64; Воронов Ю., 1975, 77-78). ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს, რადგან ცნობილია ჩრდილოეთის გზებისა თუ გადასასვლელების არსებობა და მოქმედება.

ყოველთვის ინტერესს იწვევდა მინის ნაწარმის კიდევ ერთი ჯგუფი ე.წ. ფაცეტებიანი მინა (ჩხატარაშილი მ., 1968, 267-277), რომელიც ხანგრძლივად არსებობდა და დიდი იყო მისის გავრცელების არეც. ფაცეტებიანი მინა ახ. წ. I საუკუნიდან დასტურდება, ხოლო უფრო ფართოდ III საუკუნიდან გვხვდება. ამავე ხანიდანაა იგი საქართველოშიც.

გვიანანტიკური ხანის დაახლოებით 12-ოდე ასეთი ჭურჭელია აღმოჩენილი 7 პუნქტში (მცხეთა, ზემო ავჭალა, კლდეეთი, ურბნისი, ზღუდერი, ძალისა, ჭერემი). ისინი შემოტანილია რომის იმპერიის ცენტრებიდან (ჩხატარაშვილი მ., 1987, 79-82, აქვე იხ. ლიტ-რა).

ფ ა ც ე ტ ე ბ ი ა ნ ი მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება და დამახასიათებელია ადრეული შუასაუკუნეებისათვის (VI-VIII სს.). ზოგიერთ ქვეყანაში (ირანი) იგი განვითარებულ შუასაუკუნეებშიც არსებობს.

გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ფაცეტებიანი ჭურჭელი ორივე ყალიბშია ჩამოსხმული, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდება მინით, მოყვანილობით, ორნამენტით. მსგავსება მხოლოდ დამატებით ცივი ხერხით მხატვრულად დამუშავების ტექნიკაში და ორნამენტშია.

VI-VIII საუკუნეების ღრმა ფიალისებრი სასმისები, რომელებიც მრგვალი, ოვალური ან ოთხკუთხა ფაცეტებითაა შემკული, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში (ურბნისი, რუსთავი, მცხეთა, თბილისი, თრელი, ბოლნისი-ლამაზი გორა, ძველი ანაგა, სოფ. ხოპისი და ლიპი (თეთრიწყაროს რაიონი) გვხვდება; დასავლეთ საქართველოში კი - ბიჭვინთაში (ჩხატარაშვილი მ., 1978, 13-18; ჩხატარაშვილი მ., 1987, 83-87); ასეთივე ფორმის და მინის, მაგრამ სადა სასმისები გვაქვს რუსთავში, მცხეთაში, ურბნისში, ბოლნისში, ლამაზი გორაზე - მათ სხვაგან ანალოგი არ მოეძებნებათ (ჩხატარაშვილი მ., 1978, 18-19).

ამ ხანის ამიერკავკასიაში ფაცეტებიანი ჭურჭლების წარმოების ერთი ან რამდენიმე ცენტრი უნდა ყოფილიყო (ჩხატარაშვილი მ., 1978, 14-18; აქვე იხ. ლიტ.-რა). საქართველოში ასეთ ცენტრად ურბნისია მიჩნეული, რასაც მხარს უჭერს მინის ქიმიური ანალიზებიც (ჩხატარაშვილი მ., 1987, 86-88).

გვაქვს შემოტანილი ნიმუშებიც, რომელიც გამოირჩევა მინით, ჭურჭლისა და ფაცეტების ფორმით, საერთოდ, ნახელავით; ასეთებია: სასანური ირანიდან მცხეთაში, რუსთავში, ურბნისში, ხოლო ბიზანტიიდან ბიჭვინთაში შემოტანილი ჭურჭლები (ჩხატარაშვილი მ., 1978, 18).

როგორც დავინახეთ, გვიანანტიკურ და ადრეულ შუასაუკუნეებში მინის ჭურჭელს ამკობდნენ ბურცობებით, ჩანაღარებით, ფერადი ძაფებით, ხალებით, ფაცეტებით, რაც მას მხატვრულ ღირებულებას ანიჭებდა.

გვინდა აღვნიშნოთ მინის ნაწარმის კიდევ ერთი, მეტად საინტერესო ჯგუფი - **მინის ლამპრები,** რომლებიც საქართველოში თიხისა და ლითონის ჭრაქებთან ერთად, ფრიად გავრცელებული ჩანს.

მინის ლამპრებს აქ რომაული ხანიდან იყენებდნენ (Lamm C., 1928, 31-35; Сорокина Н.П., 1963, 156-158; Джанполадян Р. М., 1969 30). მისი ფართოდ გავრცელება დაუკავშირდა ბაზილიკების მშენებლობას, რაც თავის მხრივ, ქრისტიანობის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული (შდრ.Сорокина Н. П., 1963, 162-163).

მინის ლამპრები VI-VII საუკუნეებში განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ბიზანტიაში, მახლობელ აღმოსავლეთში, სირიაში, პალესტინაში, მესოპოტამიაში (Philippe, 1970, 64, 77). საქართველოში იგი ამავე ხანებიდან მოყოლებული შუასაუკუნეების მთელ მანძილზე გვხვდება.

ივ. ჯავახიშვილი ლამპარს, სანათურს, კანდელს ასახელებს „სამსახურებელ სიწმინდისა“ ანუ „საყდრის იარაღში“ (ჯავახიშვილი ივ., 1965, 54-55).

ქართული ენის განმარტებთ ლექსიკონში ვკითხულობთ: „სანათი - გასანათებელი პატრუქიანი მოწყობილობა - კანდელი, ლამპარი“.

ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობაში აღნიშნულია, რომ პორტაიტის ეკლესიაში იყო „ქორკანდელნი ჭიქისანი და ვერცხლისანი“ (ჯავახიშვილი ივ., 1965, 87). „ქორკანდელნი ჭიქისანი“ ე.ი. მინის კანდელები, მინის ლამპრები.

საქართველოში გვაქვს ორი ტიპის ლამპარი: ლითონის ბუდეში ჩასადგმელი, ფეხიანი, ღრმა თასები (ორი ქვეტიპით) და თასები, რომლებსაც გადმოკეცილ პირზე ყურები აქვს მილღობილი. აქ, VI-VII საუკუნეებში, განსაკუთრებით ფეხიანი ლამპრებია გავრცელებული (ბიჭვინთა, დმანისი, რუსთავი, უჯარმა, თბილისი, ბოლნისი - ლამაზი გორა, ურბნისი, მცხეთა, ორბეთის სახელოსნო).

ორივე ტიპის ლამპარი ზოგადად VI-IX სს. თარიღდება, მაგრამ მათი თარიღი ზუსტდება აღმოჩენის ადგილისა და ანალოგიების მიხედვით. გამოიყოფა შემოტანილი ნიმუშებიც ფერისა და ნახელავის მიხედვით (ჩხატარაშვილი მ., 1978, 29-32; ჩხატარაშვილი მ., 1987, 91-93).

ადრეულ შუასაუკუნეებში საქართველოში მინის ადგილობრივ წარმოებასთან (მცხეთა, ურბნისი, ბიჭვინთა, რუსთავი) ერთად საკმაო რაოდენობით შემოდის იმპორტული მინაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში მინის იმპორტი საკმაოდ კლებულობს და მატულობს ექსპორტი.

ადრეული შუასაუკუნეების მინის ჭურჭლის ზოგიერთი ტიპი (მაგ: ფეხიანი სასმისები) განაგრძობს არსებობას IX-X საუკუნეებში და მერე ქრება. ამავე დროს ჩნდება ახალი ტიპები, შემკობის ახალი სახეები, რომლებიც განიცდის შემდგომ განვითარებას.

IX-XIV საუკუნეების დასაწყისის მინის ჭურჭლში გამოიყოფა სუფრის, საპარფიუმერიო-სააფთიაქო და საგანგებო დანიშნულების ჭურჭელი (ალამბიკი, ლამპარი, შიბაქი).

სუფრის ჭურჭელში თავისი მრავალფეროვნებით ისევ **მინის სასმისები** გამოირჩევა. რვა ტიპიდან სამი ფიალისებრია, დამზადებული სხვადასხვა ელფერის მწვანე მინისაგან, თავისუფალი ბერვითაც და ყალიბში ჩაბერვითაც. სამივე ტიპი წარმოდგენილია VIII-IX სს. ორბეთის მინის საწარმოში, გვხვდება ნაქალაქართა (თბილისი, რუსთავი, უფლისციხე, ბოლნისი - ლამაზი გორა) კულტურულ ფენებშიც. როგორც ცნობილია, ორბეთული მინის საწარმოს ნაწარმი გაჰქონდათ ჩრდილო კავკასიაში (Кузнецов В. А., 1959, 102, 115; Крупнов Е. И., 1960, 115, 117).

XI-XIII სს. სასმისების ხუთივე ტიპი მიღებულია თავისუფალი ბერვით. მინა თეთრი, მწვანე ან მომწვანოა. თხელკედლიანი, სასმისთა ფორმა მრავალგვარი და მოხდენილია. ისევ გვხვდება

ფიალისებრი ან შედარებით მაღალი ჭიქისებრი სასმისები, მაგრამ ძირითად ტიპს წარმოადგენს ძირქუსლიანი მაღალი სასმისები, შემკული ძაფებითა და ხვეული კოპებით.

საკმაოდ ფართოა სასმისთა გავრცელების არეალი. ისინი წარმოდგენილია 17 პუნქტიდან, არა მარტო ნაქალაქარებიდან, არამედ ნასოფლარებიდანაც (ჩხატარაშვილი მ., 1978, 35-41; აქვე იხ. ლიტ.-რა; გაბრიაძე ა., 2000, 32; მინდორაშვილი დ., 2007, 104).

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ქუსლიან, მაღალ, პირფართო ე.წ. ძაბრისებრ სასმისებზე, რომლებიც დამზადებულია უფერო ან მომწვანო თხელკედლიანი მინისაგან და შემკულია ზედ დადნობილი ძაფებითა და ხვეული კოპებით, ხშირად ფერადით. ეს სასმისი კარგი მაგალითია გარე სამყაროსთან კავშირისა თუ ურთიერთგავლენისა, რის შემდეგაც ხდება ადგილობრივი ტიპის ჩამოყალიბება. ეს ე.წ. ძაბრისებრი სასმისები იმდენად განსხვავდება მეტ-ნაკლებად მსგავი სხვა ქვეყნების (ირანი, ბიზანტია, იტალია) სასმისებისაგან (Lamm C., 1935; Smith W., 1957, 249, №495; JGS, №10, 1968, 185, №20; Harden D., 1966, 71, 73-75, სურ. 2,7,9,10,15; Philippe T., 1970, 175, სურ. 87; Davidson G., 1940, 308, სურ. 11_{1-3}, 12_{1-3}; Ахраров И. Е., 1960, 25-26, სურ. 1,2; ჩხატარაშვილი მ., 1978, 39-40), იმდენად თავისებურია, დახვეწილი ფორმის, გემოვნებით შემკული და ისე მრავლადაა წარმოდგენილი, რომ იგი ქართულ ტიპად და ამ ხანის ქართული მინის წარმოებისათვის დამახასიათებლად მიგვაჩნია (ჩხატარაშვილი მ., 1978, 36-40, აქვე იხ. ლიტ.-რა).

სუფრის ჭურჭელს განეკუთვნება აგრეთვე მომწვანო მინის სურები, მუქი გაუმჭვირვალე მინის დაბალი, ცილინდრული სამარილეები, შემკული დაკბილული სარტყელებით და სხვ.

ამგვარად, ამ ხანის მოსახლეობის სუფრას თიხის მოუჭიქავ თუ მოჭიქულ ჯამებთან, ფიალებთან, სამარილეებთან, მოთეთრო თიხის თხელკედლიან კანელურებიან სასმისებთან ერთად, ამშვენებდა მინის ჭურჭელიც: მაღალი, მოხდენილი, დახვეწილი ფორმის და შემკულობის, ფიალები, სამარილეები, სურები და სხვ.

განვითარებულ შუასაუკუნეებში მინა იმდენად ფართოდაა შეჭრილი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში, რომ სუფრის ჭურჭელთან, სამკაულთან და სარკმლის მინასთან ერთად მისგან ამზადებდნენ სულ სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელს თუ საგნებს: საპარფიუმერიო - სააფთიაქო ჭურჭელს (სხავასხვა ზომის ფლაკონები, კოლბები და სხვა.), მათარას, ყურებიან ლამპრებს (ყურები ხშირად სხვა ფერის მინისგანაა), სააკვნე მოწყობილობას - შიბაქს (ჩხატარაშვილი მ., 1978, 43-48).

მინის სამკაული

სამკაულს ადამიანი უძველესი ხანიდან იყენებდა, თავდაპირველად ავგაროზის სახით. მას ამზადებდნენ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური მასალისაგან. ერთ-ერთი ასეთი იყო მინა, რომელსაც სხვა მასალებთან შედარებით, თავისი ბევრი ღირსების გამო, დიდი უპირატესობა ენიჭება: ნედლი მასალის სიიაფე და ადვილი მოპოვება; ცივ და გათხევადებულ მდგომარეობაში დამუშავების შესაძლებლობა, ფერთა გამის ფართო დიაპაზონი - ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ადრეული ხანიდანვე მინის გამოყენებას მასიური, მაგრამ ლამაზი ნივთების, მათ შორის სამკაულის წარმოებას.

მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით სამკაულის ერთ-ერთი დანიშნულებაა ადამიანის

გალამაზება; ამიტომ სამკაული ხშირად იცვლება ეპოქისა და მოდის მიხედვით. სამკაულის, კერძოდ, მინის სამკაულის შესწავლა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მხატვრული მინის წარმოების განვითარებას საუკუნეების განმავლობაში. მინისაგან ამზადებდნენ მძივებს, საკიდებს, თვლებს, ბეჭდებს, სამაჯურებს.

მ ი ნ ი ს მ ძ ი ვ ე ბ ი. მძივი მიეკუთვნება ყველაზე უძველეს სამკაულს. ისევე, როგორც ყველგან, საქართველოს სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები და მძივსაკიდები. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა პერიოდში ჭარბობს მინის მძივები.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მძივი ასეა განმარტებული: „მძივი ესე არს მრგ(ა)ლად ქმნილი ილეკრო, გინა ქვა, გინა ჭიქა გახვრეტილი მკედზე(დ) ასაცმელი. მძივი ეწოდების ამარატთა და ეგევითართა ქვათა დათლილთა და განხვრეტილთა, გინა ჭიქათა ჩამოსხმულთა, გინა წვლილთა იოტთა ჭიქისათა“ (ორბელიანი სულხან-საბა., 1966, 540).

როგორც ფიქრობენ, მინის წარმოება მძივების დამზადებით დაიწყო. მსოფლიოში უძველესი მინის მძივი, რომელიც განეკუთვნება ძვ.წ. IV ათასწლეულს, ნაპოვნია ეგვიპტეში (Львова З. А., 1959,20). საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი მინის მძივები კი განეკუთვნება ძვ.წ. III ათასწლეულს. როგორც ვიცით, სწორედ ეს პერიოდია მიჩნეული საქართველოში მინის წარმოების ჩასახვის დროდ (ბახტაძე რ., 1964, 93). ისე როგორც ყველგან, ეს მძივებიც დამზადებულია მინის ყველა კომპონენტის შემცველი ნახევრად შემდნარი, გაუმჭვირი მინის კაზმისაგან (ბახტაძე რ., 1964, 3). ძვ.წ. XV საუკუნიდან მინის წარმოების განვითარებასთან ერთად, გაუმჭვირი მინის გვერდით, ვრცელდება გამჭვირვალე მინისაგან ნაკეთები მძივებიც (ბახტაძე რ., 1964, 94).

კულტურულ ფენებთან შედარებით მძივები გაცილებით მრავლადაა როგორც მდიდრულ, ისე ღარიბულ სამარხებში (ძირითადად ქალის). სამარხში მძივების განლაგების მიხედვით ირკვევა, რომ ბრინჯაოს მავთულზე ან ცხენის ძუაზე აცმულ მინის მძივებს ხმარობდნენ ყელსაბამებად, როგორც ცალკე, ისე სხვა მძივებთან ერთად; ასევე ხმარობდნენ სამაჯურად და ფეხსაცმლის შესაკრავად; წვრილი, ერთგვაროვანი მძივებით ქარგავდნენ ტანსაცმელს, ქამრებს და ა.შ.; მინის მძივებს ხშირად იყენებდნენ ლითონის სამკაულის (საყურეების, სასაფეთქლეების, ბეჭდების) გასაწყობად.

ადრეანტიკური ხანის საქართველოს სამარხებში დიდი რაოდენობითაა მინის მძივები და მძივსაკიდები, მაგრამ საგანგებოდ გვინდა შევეხოთ ამ ხანის მძივ-სამკაულის საწარმო-ნამოსახლარის აღმოჩენის ფაქტს. საწარმო გაითხარა სოფ. ოჩხომურში (ჩხოროწყუს რაიონი), თარიღდება ძვ.წ. I ათასწლეულით (ძვ.წ. VIII-VI სს-ში). აქ ნახევარფაბრიკატისა თუ წუნის სახით აღმოჩნდა ბიკონუსური, აგრეთვე შავი და ლურჯი მინით ინკრუსტირებული, მოწითალო და შავი მინის სფერული მძივები; აგრეთვე ღია ცისფერი მინისაგან დამზადებული საკიდი (აფაქიძე ჯ., 1986, 657-660; კაპანაძე მ., და სხვა., 2004, 18, 110); ტიპოლოგიური და შემდგომში ქიმიურ-ტექნოლოგიური კვლევით დადასტურებულია მინის მძივების წარმოება ძვ.წ. V-III სს. ბრილში (სოფ. ღები, ზემო რაჭა). აქ, განსაკუთრებით ქალის სამარხებში ძალიან დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ნაირფერი და ნაირგვარი მინის მძივები (გობეჯიშილი გ., 1952, 183-190; ბახტაძე რ., 1964, 107; კაპანაძე მ., 1999, 16-18).

ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული მინის მძივების ფორმები თუ შემკობის ხერხები

ძირითადად მეორდება შემდგომ ხანებშიც; ამავე დროს ხდება ცვლილებებიც.

საქართველოში გვიანანტიკური ხანის სამარხებში (მცხეთა-სამთავრო, არმაზისხევი, ზემო ავჭალა, ურბნისი, კოღოთო, კლდეეთი, ქუშანაანთ გორა II, ჟინვალი, ახალი ჟინვალი, ვაშლიჯვარა, ტუიაქოჩორა, ნასტაკისი, მოდინახე) დიდი რაოდენობითაა მრავალგვარი და მრავალფეროვანი მინის მძივები. ამ ხანაში ფართოდ ვრცელდება ბიკონუსური მძივებიც.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ჟინვალში IV ს. სამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ყვითელი მინის რვიანისებრი და გამოსახულებიანი მძივები და მათთან ერთად ასეთივე მინის დატვიფრული ორნამენტით შემკული მედალიონები. მსგავსი ნიმუშები საქართველოს სხვა პუნქტებიდან ცნობილი არ არის. ფიქრობენ, რომ მძივები და, შესაძლოა, მედალიონებიც, ადგილობრივაა დამზადებული (ჩიხლაძე ვ., 2007, 86-87; Чихладзе В., 2004, 144-145).

ადრეული შუასაუკუნეების მძივებიც ძრითადად სამარხებიდან მომდინარეობს (მცხეთა-სამთავრო, რუსთავი, ურბნისი, თხოთის მთა, ტუიაქოჩორა, ქვემო ალევი, გველეთი, მოდინახე, არაგვის ხეობის სამარხებში და სხვა (Чхатарашвили М., 2004, 146). მათ შორის ნახევარზე მეტი მინისაა. ყველა დამზადებულია მყარ ღეროზე დამდნარი რბილი მინის მასის დახვევით. ამ ხანაში გვაქვს ერთფერი სადა და ორნამენტიანი მძივები და მრავალფერადები. ერთფერ, სადა მძივებში გვხვდება: მრგვალი, ცილინდრული, ბიკონუსური, მრგვალბრტყელი, ელიფსოიდური და სხვა. ზოგი დაღარულია, ზოგი მრავალწახნაგა. დიდი რაოდენობითაა პასტის იოტები. საინტერესო ჯგუფია მრავალ-ფერადი ე.წ. ინკრუსტირებული მძივები. მათი მუქი ზედაპირი შემკულია ფერადი მინის ფესტონებით ან ძაფებით.

აღნიშნული ხანის მინის მძივებს მრავლად მოეპოვებათ ანალოგიები სხვა ქვეყნებიდან. გვაქვს როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ნიმუშები ჩრდილო კავკასიიდან, ხმელთაშუაზღვისპირეთის თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან (Чхатарашвили М., 2004, 146).

განვითარებულ შუასაუკუნეებში მინის მძივები ადრეულ ხანასთან შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ ფორმის და შემკულობის მრავალგვარობით ხასიათდება. იგი გვხვდება როგორც კულტურულ ფენებში ისე სამარხებში.

განვითარებული შუასაუკუნეების დასაწყისში მინის მძივები (ინკრუსტირებული, სხვადასხვა ფორმის შავი, წვრილი და სხვ.) შედარებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ივრისპირა ქვაბების IX-XI სს. მასალებში. ამ ხანაში აქ ნახევრად კლდეში ნაკვეთ სოფლური ტიპის სამოსახლოში მინის წარმოებას (წუნდებული სამაჯურები, მინის წიდა) ვარაუდობენ (მჭედლიშვილი ბ., 1977, 162,164; მჭედლიშვილი ბ., 1978, 121).

რ. დოლაბერიძემ შეისწავლა განვითარებული შუასაუკუნეების მინის მძივები (დოლაბერიძე რ., 1985,45-59). დამზადების ტექნიკის მიხედვით მან 3 ჯგუფი გამოყო: მყარ ღეროზე მინის შერბილებული მასის დახვევა, მყარი მინის გამოჭრა-დამუშავება და მინის მასის გაჭიმვა. ჯგუფებში კი გამოყო ტიპები და სახეები (დოლაბერიძე რ., 1985, 46-55).

XI-XIII სს. მინის მძივების უმრავლესობა ადგილობრივაა დამზადებული; მათ ანალოგები ეძებნებათ სხვა ქვეყნებთან. ამ ხანის მინის მძივების წარმოების ნაშთები თითქოს არ არის მიკვლეული, მაგრამ, როგორც ცნობილია მინის დამზადების პრიმიტიული წესი, მათი ინდივიდუალური წარმოების პირობებს ქმნიდა სახელოსნოების გარეთ, მათ ბაზაზე (ნახევარფაბრიკატებით), რაც დადასტურებულია მსოფლიო არქეოლოგიაში.

განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოში მინის წარმოების მაღალი დონისა და საწარმოთა ფართო ქსელის არსებობაში ეს სრულიად შესაძლებელი იყო; დმანისის, რუსთავის და სხვა ნაქალაქარების საცხოვრებელ და სამურნეო ნაგებობებში გაბნეული მინის ზოდები, წარმოებისათვის საჭირო ნივთიერებები, ნახევარფაბრიკატები ღეროების სახით და სხვა აღმოჩენები ადასტურებენ ამ შესაძლებლობას (დოლაბერიძე რ., 1985, 58-59; აქვე იხ. ლიტ.-რა; ლომთათიძე გ., 1955, 188; ჭილაშილი ლ., 1958, 83-84).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთ მძივ-სამკაულთა, აგრეთვე სხვა სახის მცირე ზომის საგანთა მინის საწარმოებთან უნდა გვქონდეს საქმე IX-XI საუკუნეების ივრისპირა „ქვაბებში“ – „სახლებში“ (მჭედლიშვილი ბ., 1977, 158,162; მჭედლიშილი ბ., 1978, 121).

იქნებ აქვე გავიხსენოთ, ზემოთ აღნიშნული ძვ.წ. I ათასწლეულის (ძვ.წ. VIII-VI სს.) მინის მძივ-სამკაულის საწარმო-ნამოსახლარი, რომელიც გაითხარა სოფ. ოჩხომურში (ჩხოროწყუს რაიონი).

ნ. უგრელიძე აღნიშნავდა, რომ გარდა ქალაქებისა, მცირე სახელოსნოები ნამოსახლარებშიც ყოფილა და სწორედ ამ უკანასკნელ კატეგორიას მიაკუთვნებდა იგი მის მიერ გათხრილ ნატბეურის მინის პატარა საწარმოს (უგრელიძე ნ., 1961, 11-14; უგრელიძე ნ., 1963, 61-62, 66).

მ ი ნ ი ს ბ ე ჭ დ ე ბ ი. ბეჭედი სამკაულის თავისებური, საინტერესო და უძველესი სახეობაა. მას ამზადებდნენ ლითონისაგან, ქვისაგან, ძვლისაგან და მინისაგან.

პირველი სამკაული ბეჭედი, სათითე რგოლი, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ჩნდება. უძველესი დროიდან მოყოლებული ბეჭედს მრავალგვარი დანიშნულება ჰქონდა. მას ხმარობდნენ სამკაულად, საბეჭდავად, ინსიგნიად. ბეჭედი იყო ყმის პატრონისადმი მორჩილების ნიშანი, მშვიდობისა და მეგობრობის საწინდარი და სიყვარულის სიმბოლო (დოლაბერიძე რ., 1967, 166-175; აქვე იხ. ლიტ.-რა).

მინის სამკაული ბეჭედი, ნახევრადძვირფასი ქვებისგან დამზადებულ ბეჭდებთან ერთად, ისევე როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანში (Хачатрян Ж. Д., 1976, 122-123; Вайдов Р. М., 1961, 153; Нуриев А. Б., 1966, 11), საქართველოშიც გვიანანტიკურ ხანაში ვრცელდება და სამარხებიდან მომდინარეობს (მცხეთა-სამთავრო, ურბნისი, ჟინვალი). მათი შავი ან ყავისფერი რკალი მრგვალგანივკვეთიანია, გარედან დაკეჭნილი; აქვს თავისივე ან სხვა ფერის კონუსური შვერილი; ხოლო IV-V სს. მინის ბეჭდები (სამთავრო, მარტაზისხევი, ნეძიხი) ტიპოლოგიურად განსხვავებულია; მრგვალგანივკვეთიანი რკალი ზემოდან დაკბილული ან ინკრუსტირებულია. აღნიშნული ბეჭდები იმპორტულია (ჩხატარაშვილი მ., 2008, 62; აქვე იხ. ლიტ.-რა).

შემდგომ პერიოდში (VI-VIII სს.) მინის ბეჭდები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული და ტიპოლოგიურად განსხვავებულია. ძირითადად სამარხებშია, გვხვდება კულტურულ ფენებშიც (მცხეთა-სამთავრო, რუსთავი, ზემო ალევი, ურბნისი, კასპი, გველეთი, ლაღაანი, კართანა, ჟინვალი, ორჭოსანი-ახალციხის რაიონი, სოფ. უსახელო-ლეჩხუმი, ნასტაკისი, არაგვის ხეობის სამაროვნები: ჩინთი, ახალი ჟინვალის სამაროვანი II, ხერთვისის სამაროვანი II, ფიტავი).

VI-VIII სს. მინის ბეჭდები ფარაკიანი ბეჭდების ტიპს მიეკუთვნება და სამი სახეა გამოყოფილი: რკალი ერთ ადგილზე მცირედ ოვალურია, შეერთებისას დაბალი დაბრტყელება აქვს და სხვა ფერის ფარაკია დალღობილი. უფრო იშიათია I (რუსთავი, ალევი, ურბნისი, ლაღაანი-თითო ცალი; სამთავრო - რამდენიმე) და III ტიპი (რუსთავი, ჟინვალი, კართანა, ნასტიკისი), ხოლო უფრო გვარცელებულია II ტიპი. სწორედ ეს სახეობა ემსგავსება VIII-IX სს. ორბეთის

მინის საწარმოს ბეჭდებს (Чхатарашвили М. Н, 2004, 146-147). ორბეთის მინის საწარმოში აღმოჩენილი წარმოების ნაშთების მიხედვით შესაძლებელი გახდა თვალის გადევნება მათი დამზადების ტექნიკისათვის (უგრელიძე ნ., 1961, 9, ტაბ. 17; Угрелидзе Н.Н., 1989, 71-72, ტაბ. 1).

საქართველოში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ორბეთის მინის საწარმოზე ადრეული VI-VIII სს. მინის ბეჭდები; განსაკუთრებით ეს ითქმის არაგვის ხეობაზე (ჟინვალი, კართანა), რის გამოც აქ მინის ადგილობრივ წარმოებას ვარაუდობენ (ჩიხლაძე ვ., 1990, 6; რჩეულიშვილი გ., 1990, 118; რჩეულიშვილი გ., 2007, 147); ადგილობრივაა დამზადებული რუსთავის მინის ბეჭდებიც (ჩხატარაშვილი მ., 2008, 63).

ორბეთულის მსგავსი ბეჭდები ცნობილია ნასტაკისის, გიგიას სათიბისა და სოფ. თრანის ბადათგორის სამაროვნიდან, უფლისციხის, არეშისა და ნოქალაქევის კულტურული ფენებიდან. მხოლოდ გიგიას სათიბის სამაროვანზეა 20 ბეჭედი, დანარჩენებში - თითო ცალია. გამთხრელებს მიაჩნიათ, რომ ისინი ორბეთის მინის საწარმოდან უნდა მომდინარეობდეს (ჩხატარაშვილი მ., 2008, 62, აქვე იხ. ლიტ-რა).

XI-XIII სს. მინის ბეჭდები ძალზე ცოტა რაოდენობითაა აღმოჩენილი ჟინვალში, დმანისში, თბილისში. ისინი ცისფერი გაუმჭვირვალე მინისაგანაა დამზადებული და გაერთიანებულია ე.წ. ფარაკიანი ბეჭდების ჯგუფში. მათ ზედაპირი ღარებით და ბურცობებით აქვთ შემკული (დოლაბერიძე რ., 1967, 185-186; მარგველაშვილი მ., 1999, 21).

მ ი ნ ი ს ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი. მინის სამაჯურებიც გვიანანტიკური ხანიდანაა ცნობილი. საქართველოში კი, ჯერჯერობით, VI-VIII სს. გვხვდება: რუსთავში (კულტურული ფენები, სამარხები), რაც ქალაქის თავისებურებად იყო მიჩნეული და კართანას სამარხებში (ლომთათიძე გ., 1973, 537, 569; Рамишвили Р. М. И. Др., 1997, 99; Чхатарашвили М., 2004, 146-147). VIII-IX სს. კი იგი ფართოდ ვრცელდება. ამ ხანის ორბეთის მინის საწარმოში ბეჭდებთან ერთად სამაჯურებსაც ამზადებდნენ.

საქართველოში აღმოჩენილი მინის სამაჯურებში რ. დოლაბერიძემ გამოყო ოთხი ტექნოლოგიური ჯგუფი: 1. სამაჯურები, რომლებიც დამზადებულია მრგვალ-განივკვეთიანი ღეროს გაჭიმვით - მრგვალგანივკვეთიანი სადა სამაჯურები; 2. სამაჯურები, რომელთა გაჭიმვა ხდებოდა სიბრტყეზე მოთავსების შემდეგ - მათ აქვთ ბრტყელი შიდაპირი და ამობურცული (სადა ან ინკრუსტირებული) ან დაღარული ზედაპირი. 3. სამაჯურები - ფიგურული ღეროთი, მიღებული სამ ან ოთხწანაგა ყალიბში გატარებით; 4. გრეხილი სამაჯურები - მიიღება სხვადასხვა რაოდენობის ღარებიან ყალიბში გატარებული ღეროს გადაგრეხვით (დოლაბერიძე რ., 1969, 98-115).

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა იმ ტიპს, რომელიც VI-VIII საუკუნეებით თარიღდება და შემდეგშიც არსებობს, ემატება ახალი ტიპებიც; მრგვალგანივკვეთიანი სადა და გრეხილი სამაჯურების უმეტესი ტიპი შუასაუკუნეების მთელ მანძილზე გვხვდება, ზოგი კი დამახასიათებელია დროის ამა თუ იმ მონაკვეთისთვის. IX-XI სს. სამაჯურები კრიალა მინით და კარგი ნახელავით გამოირჩევა. უმეტესად წარმოდგენილია ზედაპირდაღარული ან ინკრუსტირებული და ჭრილში სამკუთხაგანიკვეთიანი სამაჯურები; ეს უკანასკნელი XI ს. შემდეგ თითქმის აღარ გვხვდება. XII ს. მრავალგანიკვეთიან სადა სამაჯურებზე ჩნდება კბილანები, აგრეთვე თეთრი ან ფერადი ძაფით შემკობა (გადახვევა ან სტრუქტურაში შეყვანა), უფრო იშიათად ამგვარი წესით

გრეხილებსაც ამკობდნენ. გრეხილებს ემატებათ ახალი ტიპებიც - ინტერვალებით გრეხილი და სხვა (ჩხატარაშვილი მ., 2007, 69).

აღსანიშნავია, რომ XII-XIII სს. საქართველოში მინის სამაჯურები ყველაზე უფრო გავრცელებული სამკაულია და გამოირჩევა მრავალფეროვნებით. უმეტესად შავი მინისაა, მაგრამ გვაქვს სხვადასხვა ელფერის მწვანე, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ღვინისფერი, გამჭვირვალე ან გაუმჭვირვალე მინისაგან დამზადებული სამაჯურები. ამას ემატება ინკრუსტირებული (შავი-ფერადი ლაქებით) და თეთრი ან ფერადი გადახვეული ძაფებით შემკული ნიმუშები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამა თუ იმ ტიპისათვის დამახასიათებელია ხოლმე რომელიმე ფერი, მაგ: დაღარულზედაპირიანი ან სამწახნაგა სამაჯურებისათვის ძალიან ლამაზი ლურჯი ფერი და სხვ. ასე რომ ფერი შეიძლება დეკორატიულ ელემენტად ჩაითვალოს (ჩხატარაშილი მ., 2007, 69-70).

ქალების სამარხებში აღმოჩენილი სამაჯურების მიხედვით გაირკვა, რომ ისინი ერთდროულად ერთიდან ოთხამდე სამაჯურს იკეთებდნენ; სამაჯურთა ფერები კი გემოვნებით იყო ურთიერთშეხამებული.

XIII ს. ბოლო - XIV ს. დასაწყისის ნატბეურის მინის საწარმოდან მომდინარე სამაჯურები შედარებით ერთგვაროვანი და მდარე ხარისხისაა. ძირითადად არის შავი ფერის, მრგვალგანივკვეთიანი, სადა, ზოგჯერ დაკბილული, აგრეთვე წვრილად და გაშლილად გრეხილები (უგრელიძე ნ., 1963, 64-65).

განვითარებულ შუასაუკუნეებში მინის სამკაული ექსპორტის საგანს წარმოადგენდა: ჩრდილო კავკასიაში მინის სამაჯურები და ბეჭდები, მინის ჭურჭლთან ერთად, საქართველოდან ვრცელდებოდა (Кусаева С.С., 1961, 59; დოლაბერიძე რ., 1973,46; Угрелидзе Н.Н., 1970, 306); ხოლო რუსეთის სამხრეთ ქალაქებში (ტმუტარაკანი, სარკელ-ბელაია-ვეჟა) - მინის სამაჯურები და ბეჭდები (Щапова Ю.Л., 1963, 107-108, 118-119; Лъвова З. А., 1959, 321-322); ვფიქრობ, ასევე გაჰქონდათ სარკელში ფირუზისფერი დახშული მინის დაღარული მძივებიც (ჩხატარაშვილი მ., 2007, 71).

ამავე ხანში გვაქვს შემოტანილი ნიმუშებიც; კერძოდ, ე.წ. „სტეკლიარუსი“, ფილიგრანული ვარდულებით შემკულ მძივებთან ერთად, ვენეციის მინის სახელოსნოს ნაწარმი უნდა იყოს, ხოლო ხელოვნური მარგალიტი - შესაძლოა არაბულ სამყაროს უკავშირდება (დოლაბერიძე რ., 1985, 51, 55-57). ბიზანტიური სახელოსნოს ნაწარმი წარმოდგენილია მინანქრის საღებავებით მოხატული სამაჯურების ორი ნიმუშით დასავლეთ საქართველოდან (პეტრა-ციხისძირი, ანაკოფიის ციხე) (დოლაბერიძე რ., 1969, 113-114).

როგორც დავინახეთ, განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოში მინის სამკაული ფართოდაა გავრცელებული, მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველაზე მარვალრიცხოვანია სამაჯურები; დასაწყისში - ბეჭდები, მძივებიც კი უფრო მრავლად XI-XIII საუკუნეებში გვხვდება.

ცნობილია, რომ ძველ რუსეთში მინის სამაჯურები ძირითადად ქალაქელი ქალების სამკაულს წარმოადგენდა (Арциховский А.В., 1930, 26-27). საქართველოში კი მინის სამაჯურები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი როგორც ქალაქებისა და ნასოფლარების კულტურულ ფენებში, ისე სამაროვნებზე. XII-XIII სს. საქართველოში მინის სამაჯურებმა დაჩრდილა ყველა სხვა მასალისაგან დამზადებული სამკაულის ეს სახეობა.

სარკმლის მინა

მინას სამშენებლო საქმეში უძველესი ხანიდან იყენებდნენ, განსაკუთრებით ფართოდ კი ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებიდან (Павлов В.В., Ходфсаш С.И., 1959, 179; Ланцетти А.Г., Нестеренко М.Л., 1972, 244-245) სარკმელში ჩასასმელად ის, ერთ-ერთი მთავარი თვისების - გამჭვირვალობის გამო, შეუცვლელიც კი აღმოჩნდა (Nenburger A., 1919, 168-372). მსოფლიოში აღმოჩენილი უძველესი სარკმლის მინა პომპეიდან ახ.წ. I საუკუნით თარიღდება (Левинсон Е.А., და სხა 1935, 13). სარკმლის მინას იყენებდნენ არამარტო ხმელთაშუაზღვისპირეთში, არამედ ევროპაშიც (II-III სს.) და ახლო აღმოსავლეთშიც (III-IV სს). იგი მრავლადაა ნაპოვნი რომის იმპერიის პროვინციებში, მათ შორის ჩრდილო შავი ზღვისპირეთის ნაქალაქარებში (ჩხატარაშვილი მ., 1978, 70, აქვე იხ. ლიტ.-რა). ამავე ხანიდან გვხვდება სარკმლის მინა საქართველოშიც.

უძველესი ქართული საცხოვრებელი სახლის - „დარბაზის“, აგრეთვე „ერდოსახლის“ სინათლის წყაროც და საკვამლე ხვრელიც „ერდო“ იყო. სახლის იმ ნაწილს, საიდანაც შენობაში სინათლე შედიოდა და კვამლი გამოდიოდა, ძველ ქართულში სარკმელი ერქვა. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით V ს. ძეგლში „წამებაი წმიდისა შუშანიკისი“ ნახსენები „სარკუმელი“ წარმოდგება სიტყვა „საკუმელისაგან“, რომელიც ნიშნავს საკვამლე ხვრელს. დროთა განმავლობაში ამ „სარკუმელისაგან“ მივიღეთ სარკმელი. თანდათან სახლებს გაუჩნდა გვერდითი სარკმლებიც. VI-VII სს. ძეგლის იოანე მოსხის „ლიმონარში“ მოხსეინებულია სენაკები ისეთი „სარკუმულებით“, რომლებიდანაც სინათლე უნდა შემოსულიყო, ამავე დროს შეიძლებოდა მათი გაღება და მისგან გადახედვა. ასეთივე მნიშვნელობითაა ნახსენები სარკმელი X-XI სს. საბუთებში და შემდეგაც; მაგ: „ვეფხისტყაოსანში“ (ჩხატარაშვილი მ., 1978, 71; აქვე იხ. ლიტ.-რა).

სულხან-საბა ორბელიანი სარკმელს ასე განმარტავს: „სარკმელი - სახლთ სასინათლო გარდა საჭურეტი“. ტერმინი „ფანჯარა“, რომელიც დღეს სარკმელს აღნიშნავს გვიანდელია (XVII ს.) და ქართული არ არის. სულხან-საბა ორბელიანის თქმით „ფანჯარა თურქთა ენაა“ (ორბელიანი სულხან-საბა., 1928, 298, 351).

საქართველოში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის სარკმლის მინა (მცხეთა, ურბნისი, ძალისა, სოხუმი, ბიჭვინთა, ციხისძირი, გონიო-აფსაროსი) სწორკუთხოვანი ფირფიტებია, ბრტყელი, გლუვი, არათანაბარი სისქისა (2-3 მმ) მომწვანო ან მოცისფრო, გამჭვირვალე, კრიალა - თარიღდება II-IV სს. იგი, ძირითადად, შემოტანილი უნდა იყოს რომის იმპერიის ერთ-ერთი აღმოსავლური საწარმოო ცენტრიდან, ხოლო ბიჭვინთასა და ურბნისში ვფიქრობთ დასაშვებია, მათი ადგილობრივი წარმოება, რასაც ადასტურებს ქიმიური ანალიზებიც (ჩხატარაშვილი მ., 1978, 73; პაპუაშვილი ს. და სხვა 1978, 109; შალიკაძე., 2004, 68-69).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მინის ადგილობრივი წარმოება ივარაუდება ურბნისში (III ს.) და ბიჭვინთაში (III-IV სს.). ამ ხანის სარკმლის მინა ძირითადად აბანოების, IV საუკუნიდან კი ტაძრების (ბიჭვინთა) ნანგრევებს შორის ჩნდებოდა (ჩხატარაშვილი მ., 1978, 73-75; აქვე იხ. ლიტ.-რა); გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ სადაც ამზადებდნენ მინის ჭურჭელს, იქვე მზადდებოდა სარკმლის მინაც.

სარკმლის მინის ფართოდ გამოყენება, ისევე როგორც მინის ლამპრები, უკავშირდება ქრისტიანობის გავრცელებას. სარკმლის მინის ე.წ. ვიტრაჟებით (ლათინური სიტყვაა, ნიშნავს

სარკმლის მინას) ძირითადად ამკობდნენ თავდაპირველ ქრისტიანულ ტაძრებს - ბაზილიკებს, ხოლო ნაირფეროვანი, მინის ლამპრები ამშვენებდა ტაძრებში ჩამოკიდებულ ჭაღებს (Шуази О., 1937, 4, 31; История Византии, 1967, 449).

გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ ივრის „ქვაბებზე“ IX-XI სს. მასალებში აღმოჩნდა კანდელის (ან საცეცხლურის) ჩამოსაკიდი ყუნწი და ჯაჭვის ელემენტი ბრინჯაოსი, ქვემოდან სამი შვერილით, რომელზედაც, ალბათ, ჯაჭვები მაგრდებოდა ლამპრების ჩამოსაკიდად (მჭედლიშვილი ბ., 1978,121; აქვე იხ. ლიტ.-რა).

ადრეული შუასაუკუნეების დასაწყისში (IV-VI სს.) სარკმლის მინა სწორკუთხოვანია, მწვანე და შაბიამნისფერი, გამჭვირვალე, კრიალა, ჩამოსხმით დამზადებული. იგი უხვადაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში (ბიჭვინთა, ფიჭვნარი, ციხისძირი, ნოქალაქევი, გუდავა, ვარდციხე, პატრიკეთი, გონიო-აფსაროსი) და ისევ ტაძრებსა და აბანოებს უკავშირდება. ბიჭვინთაში მისი ადგილობრივი წარმოება ივარაუდება (ჩხატარაშვილი მ., 1978, 74-77; შალიკაძე თ., 2004, 68-69; აქვე იხ. ლიტ-რა).

VI-VIII საუკუნეებში ორი სახის სარკმლის მინა გვხვდება; სწორკუთხოვანი, რომელიც სახეს იცვლის - სქელდება და მუქდება და მრგვალდება (ბერვით დამზადებული). ისინი მრავლადაა ვაშნარში და ყულევში. ვფიქრობთ, რომ მათ ადგილობრივ ამზადებდნენ, რაც დასტურდება ქიმიური ანალიზების შედეგადაც (ჩხატარაშვილი მ., 1978, 79; პაპუაშვილი ს., 1978, 109). ამ ხანის სარკმლის მინა ნაპოვნია აგრეთვე თბილისის დედაციხეზე, წრომში (ალებასტრის ჩარჩოში ჩარჩენილი) და აფხაზეთში (ხუაფი, ლიხნი) (ჩხატარაშვილი მ., 1978, 77-80; აქვე იხ. ლიტ-რა).

განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთ საქართველოში, VIII-IX სს. ორბეთის მინის საწარმოში აღმოჩენილი სარკმლის მინა. ეს არის გეომეტრიული ფორმის ყვითელი და მწვანე მინის ნატეხი. სამკუთხოვან ნატეხს სარკმლის ჩარჩოში უკეთ ჩასასმელად ორი კიდე საგანგებოდ აქვს დამუშავებული (Угрелидзе Н.Н., 1970, 305).

როგორც აღვნიშნეთ, VIII-IX საუკუნეებში საქართველოს გეომეტრიული ფორმის ფერადი სასარკმლე მინის ადგილობრივი წარმოება ყოფილა განვითარებული, რის გამოც იგი სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით არ ჩამოუვარდებოდა სხვა იმდროინდელ მოწინავე ქვეყნებს.

X-XI სს. სარკმლის მინა ისევ მრგვალია, რაც ჩანს ბიჭვინთისა და სამთავისის ტაძრების ჩარჩოებზე.

ზემოთ განხილულ სარკმლის მინებს ანალოგიები ეძებნება მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში აღმოჩენილ ნიმუშებს შორის; მაგრამ სრულიად განსხვავებულია XII-XIV საუკუნეების დასაწყისის სარკმლის მინა. იგი მრავლადაა აღმოჩენილი როგორც აღმოსავლეთ (დმანისი, გუდარეხი, ნადარბაზევი, რუსთავი, თბილისი, ყინწვისი, ალავერდი, ვარძია, კუჩულოს ციხე, ჟინვალი), ისე დასავლეთ საქართველოში (გეგუთი, ლიხნი, გერზეული) (ჩხატარაშვილი მ., 1978, 81-87; აქვე იხ. ლიტ-რა).

ამ ხანის სარკმლის მინა ტიპოლოგიურადაა განსხვავებული: კიდეგადმოკეცილი მრგვალი ფირფიტები მრავლფერადია (მსუყე ხასხასა ფერები) და მრავალგვარი ორნამენტითაა შემკული (5 ტიპი).

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, ჩვენში სარკმლის მინაზე მხატვრობა არ გავრცელებულა. ისევე, როგორც მთელი ქართული არქიტექტურა, განვითარებულ

შუასაუკუნეებში ვიტრაჟის ხელოვნებაც ჩვენში ადგილობრივი ტრადიციების გზით განვითარდა. სარკმლის მინაზე დატვიფრული ორნამენტი (მზე, ბადე, ვარდული, ვარსკვლავი, რომბი) ერწყმოდა სარკმელთა ნაპირების ქვაზე ნაკვეთ ორნამენტს. ორნამენტის ეს სახეები იმდროინდელ საქართველოში გვხვდება ქვაზე, ხეზე, ლითონზე, კერამიკაზე; ისინი დამოწმებულია ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც (ხეზე, ლითონზე, ქსოვილზე) (ჩხატარაშვილი მ., 1978, 87,94; აქვე იხ. ლიტერეტურა)

ამგვარად, XII- XIV საუკუნის დასაწყისის ქართული სარკმლის მინა ადგილობრივი ნაწარმია; ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქიმიური შემადგენლობით ახლოს დგას ერთმანეთთან განვითარებული შუასაუკუნეების ჭურჭელი და სარკმლის მინა, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ორივე სახეობა ადგილობრივი ქართული მინის წარმოების პროდუქტია (პაპუაშვილი ს. და სხვ. 1978, 109.) ამ ხანის სარკმლის მინა ექსპორტის საგანსაც წარმოადგენდა (სამხრეთი და ჩრდილოეთი კავკასია) (ჩხატარაშვილი მ., 1978, 87; აქვე იხ. ლიტერეტურა).

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსთავის ნაციხვარზე ამ ხანის საერო სასახლის თხრისას აღმოჩნდა სამშენებლო თაბაშირისაგან დამზადებული მინიანი თუ უმინო ჩარჩოს ნატეხები. აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ XII-XIII სს. ზოგი ტაძრის (კაბენის ღვთისმშობლის, ყინწვისის, საფარას წმ. საბას, ხოფის მონასტრის, ტიმოთესუბნის, ერთაწმინდის) სარკმელზე შემორჩენილია ჩარჩოები, რომელთაც მრგვალი ან ოთხკუთხა ვარდულის მსგავსი ამონაჭრები აქვს (ჩხატარაშვილი მ., 1978, 86. აქვე იხ. ლიტერეტურა)

გვიანი შუასაუკუნეების, კერძოდ XVI- XVIII საუკუნეების სარკმლის მინა მრავალფერადი სწორკუთხოვანი ან გეომეტრიული ფორმის ფირფიტებია (გრემი, მცხეთა თბილისი) (ჩხატარიშვილი მ. 1978, 88-90, აქვე იხ. ლიტერეტურა)

როგორც დავინახეთ, სარკმლის მინას ქართულ არქიტექტურაში ფართოდ იყენებდნენ, ძირითადად ტაძრების, სასახლეების, მდიდართა სახლებისა და საზოგადო დანიშნულების (აბანო) ნაგებობებისათვის. სარკმელში თუ კარში ჩასმული ფერადი მინა დიდ ეფექტს ახდენდა და მას არა მარტო პრაქტიკული, არამედ დეკორატიულ-ესთეტიკური დანიშნულებაც ჰქონდა.

ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული, გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით, სარკმლის მინა მშენებლობიდან არასოდეს გამქრალა და ყოველთვის ფუფუნების საგანს წარმოადგენდა.

***

მართალია, გზადაგზა ვუთითებდით, მაგრამ კიდევ ერთხელ საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ შუასაუკუნეების ნასოფლარებში აღმოჩენილი მინის ნაწარმის შესახებ, რაც კარგად ადასტურებს თუ რა ფართოდ ყოფილა გავრცელებული მინის ნაწარმის მოხმარება იმ დროის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში.

როგორც ვიცით, ნასოფლარების გათხრას ადრევე ექცეოდა ყურადღება და სხვა მასალასთან ერთად იყო მინის ნაწარმიც. განსაკუთრებით განვითარებული შუასაუკუნეების სამარხებში მრავლად ჩნდება მინის სამაჯურები (ლომთათიძე გ. 1989, 40, 41, 124; გძელიშვილი ი. 1966,187-198; Гзелишвили И. 1964, 50, 60, 66, 67, 78, 118, 119-121). შემდგომ და შემდგომ განვითარებულთან ერთად ითხრებოდა ადრეული შუასაუკუნეების ნასოფლარების კულტურული ფენებიც და სამაროვნებიც. ამ პერიოდშიც ჭარბობს მინის სამკაული, თუმცა არის მინის ჭურჭელიც.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ სოფელ ნეძიხის (არაგვის ხეობა) III-IV სს. სამაროვნის № 47 სამარხში (ც. რობაქიძე სამარხს IV საუკუნით ათარიღებს) აღმოჩენილი სირიული წარმოების მინის ცილინდრული სასმისი და ზემოთ ნახსენები, აგრეთვე IV საუკუნის ხალიანი მინა სოფ. ლენჯერის (ზემო სვანეთი) სამაროვნიდან (Рамишвили Р. М. и. др. 1978, 84-85. ტაბ. CXLVI – 4; ჩართოლანი შ., 1990, 27-28). როგორც ვიცით ნეძიხი გზაჯვარედინზე მდებარეობდა, ხალიანი მინა კი ჩრდილო კავკასიაში საქართველოდან გადიოდა. ამიტომ მინის ნაწარმის ასეთი ნიმუშების აღმოჩენა აღნიშნულ პუნქტებში საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

მოვიტანთ მინის ჭურჭლის აღმოჩენის სხვა შემთხვევებსაც პუნქტებში: ფაცეტებიანი მინა - სოფ. ხოპისი (თეთრიწყაროს რაიონი), კარსნის მინის საწარმო (მცხეთის რაიონი), ლამაზი გორის სამონასტრო კომპლექსი (ბოლნისთან), ძველი ანაგა (ხორნაბუჯის მიდამოები) და თრელის ნასოფლარი (ჩხატარაშვილი მ., 1978, 13-17; აქვე იხ. ლიტერატურა); აგრეთვე, სოფ. ლიპი (თეთრიწყაროს რაიონი) (Амиранашвили Дж. Ш., 1995, 37-38); ფეხიანი სასმისები - სოფ. მთისძირი, პალიასტომის ტბა - მთა მალთაყვასთან, სოფ. „ნატეხები“, სოფ. კეთილარი (ადგილი ნამარნუ), სოფ.გლდანი (ადგილი ხოდაბუნები) (გამყრელიძე გ. 1982, 117, 118, სურ.34; გამყრელიძე გ. 1987,114-115; სურ. 20; Микеладзе Т.К. 1987,39, ტაბ. XLVII- 1; პაჭიკაშვილი ნ., ჩხატარაშვილი მ, 2003, 36). განვითარებული შუასაუკუნეების მინის ჭურჭლებიდან გვაქვს ე.წ. ძაბრისებური სასმისები (იყალთო, სოფ. მატანის მლაშების გორის მარანი), ხოლო ფლაკონი - მარნეულიდან (ჩხატარაშვილი მ. 1987, 39, 41,45; აქვე იხ. ლიტერატურა). მინის ჭურჭლის პირი პატარა ყურითურთ -ნასოფლარ ისპაანიდან (ბოლნისის რაიონი) (ნასიძე გ. 1969, 78); სარკმლის მინაც კი აღმოჩნდა აბანოს თხრისას სოფ. კუჩულოს ციხეზე (ბოლნისის რაიონი) (Синауридзе М. 177, 43-44). ერწო-თიანეთის ნასოფლარების ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების სამაროვნებზე მრავლადაა აღმოჩენილი მინის სამკაული (ჯორბენაძე ბ. 1982, 45, 58-65, 76, 94-97). სოფ. განთიადთან (დმანისის რაიონი) ნაგზაურის ეკლესიებთან გათხრილ სამარხში აღმოჩნდა შავი მინის ბეჭედი, რომელსაც VIII ს. ბოლო - IX ს. დასაწყისით ათარიღებენ (კახიანი კ. და სხვ.; 2012, 7, 26-28).

უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან დიდი შრომა გასწია ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნასოფლარების შესწავლის საქმეში. შეუძლებელია ამ ნაშრომში ყველაფერი მოვიხსენიო, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ რამინ რამიშვილის თაოსნობით ჩატარდა ორი კონფერენცია და მისივე რედაქტორობით კონფერენციის მასალები გამოიცა 2001 და 2003 წელს: „შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, I-II”.

საინტერესოა, რომ მინის ნაწარმს იყენებდნენ შეწირვისათვის, მაგ. სვანეთში ლაგურკას ეკლესიაში დაცულია IV-V სს მინის ორი სანელსაცხებლე, ხოლო შეწირული XII-XIII სს სამაჯურები ცნობილია მარგალიანისა და კალას ეკლესიებიდან (ჩართოლანი შ., 1976. 52-53;) ასევე აღსანიშნავია, რომ თუშეთში სოფელ შენაქოში საკულტო დანიშნულების ადგილას ნიშტაყოს სამლოცველოზე, ხატისათვის შეწირულ ნივთებს შორის არის მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი მინის სამაჯურებიც; უმრავლესობას ე.წ. ინკრუსტირებული მინის სამაჯურები წარმოადგენს. აქ შესული მასალები უმთავრესად VII-XIII საუკუნეებში ექცევა (დოლაბერიძე რ. 1973,56-58). მინის ნაწარმს, როგორც საყოფაცხოვრებო ნივთებს იყენებდნენ მონასტრებშიც, მაგ. გეუგუთის მონასტერში, სადაც XI-XIV სს დიდძალი მასალაა, მინის ნაწარმსაც ასახელებენ (ბახტაძე ნ., 1998,11).

როგორც დავინახეთ, ნასოფლარებიდან მომდინარე სხვა მასალებთან ერთად საკმაოდ მოგროვდა მინის ნაწარმიც, რამაც ცხადჰყო, რომ სოფლის მცხოვრებლები სარგებლობდნენ ისეთივე მინის ნაწარმით, როგორითაც ქალაქები; ასევე ნათლად ჩანს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების მაღალი დონე.

განსხვავებით განვითარებული შუასაუკუნეების ნასოფლარებისაგან, მინის ნაწარმი აღარ გვხვდება გვიანდელი შუასაუკუნეების ნასოფლარების კულტურულ ფენებში თუ სამარხებში (ჩხატარაშვილი მ., 2001, 52-53).

***

მონღოლთა შემოსევების შედეგად ქვეყნის საერთო ეკონომიკურ-კულტურული დონის დაცემასთან ერთად, ეცემა ხელოსნური დარგები, მათ შორის მინის წარმოებაც. განადგურდა მრავალი საწარმო, მაგრამ ასე თუ ისე ცხოვრება გრძელდებოდა... გრძელდებოდა მინის წარმოებაც, ამის დამადასტურებელია თუნდაც XII ს. II ნახევრის და XIV ს. დასაწყისის ნატბეურის მინის საწარმოს გათხრები (უგრელიძე ნ.,1963, 61-68). ამ სოფლის ადგილზე არსებულ საწარმოში ამზადებდნენ მინის ჭურჭელს, სამაჯურებს, თუმცა ნაკლები ხარისხისას, ვიდრე XII-XIII სს ნიმუშებია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნატბეურის მინის საწარმოში, განსხვავებით ორბეთის მინის საწარმოსაგან, კარგად იყო შემონახული თაკარა- მინის სახარში ღუმელი, რომელიც კონსტრუქციით იმ დროის ღუმელებთან შედარებით სრულყოფილია (Угрелидзе Н.Н. 1970, 309; Угрелидзе Н.Н.1989, 73).

გარკვეული ხარვეზის შემდეგ მინის წარმოება ჩვენში ისევ უნდა დაწყებულიყო, რაც დასტურდება არქეოლოგიური მასალების (გრემი) მიხედვით (ჩხატარაშვილი მ., 1978, 71).

გვიანდელი შუასაუკუნეების მინის ნაწარმი (ჩხატარაშვილი მ., 1978, 49-61) წარმოდგენილია სუფრის ჭურჭლით, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალყელიანი სურები (რამდენიმე ტიპით და ქვეტიპით); ასევე დეკორატიული ჭურჭლით, რომელიც მდიდრულადაა შემკული ლურჯი მინით, რაც დამახასიათებელი იყო ამ ხანისათვის. გვაქვს აგრეთვე ქილა, მათარა, ლამპარი. ეს მასალა ზოგადად XVI-XVIII სს თარიღდება, ცალკეული ტიპები კი - უფრო კონკრეტულადაც.

ამ ხანის ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი თბილისის დედაციხეზე, კახეთის ყარაღაჯში, ასევე გრემში; თითო-ოროლა კი თბილისში - ერეკლე II მოედანზე და რუსთავში (ჩხატარაშვილი მ. 1987, 49-54). მინის ლამპარი აღმოჩნდა მცხეთაში, სვეტიცხოველთან (ეკუთვნის ტაძარს ან სასახლეს), თარიღდება XVII-XVIII სს (ჩხატარაშვილი მ., 1978, 95-96) და ნოქალაქევის სასახლეში (იაშვილი მ., ზამთარაძე მ., 1981,90). ორივე ყურებიანი ლამპრების ტიპს მიეკუთვნება.

ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების მინის ჭურჭლის ფორმები და შემკულობა ერთნაირია - აღმოსავლურია, მაგრამ მზადდება ადგილობრივ, რაც მას თავისებურ ელფერს აძლევს (ჩხატარაშვილი მ., 1974, 230).

ხელოსნობის აღმავლობასთან ერთად გამოცოცხლდა ვაჭრობაც. XVII საუკუნის საქართველოს ქალაქებიდან მხოლოდ თბილისი იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო გზასთან, ხოლო მისი საშუალებით მახლობელ და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან (გაბაშვილი ვ. 1957,183). გვაქვს შემოტანილი ნიმუშებიც (თბილისში, გრემში), რომლებიც გამოირჩევა მინით, ფერით, ნაკეთობით (ჩხატარაშვილი მ., 1978, 59). XVIII ს. დასაწყისის ანუკა ბატონიშვილის

მზითვის წიგნში ჩამოთვლილ შემოტანილ ირანულ საქონელს შორის მოიხსენიება „შირაზის მინა მრავალი“ (თაყაიშვილი ექ., 1910, 490). როგორც ცნობილია, ამ პერიოდში მინის წარმოების ცენტრი იყო ირანი, სადაც ყველაზე საუკეთესო ხარისხის მინის ნაწარმი მზადდებოდა. (კუცია კ., 1966, 39, 50-51; კაციტაძე 1972, 142-143).

სადღეისოდ გამოვლენილი წერილობითი წყაროების მიხედვით XVII საუკუნის თბილისში არ არის დასახელებული მინის წარმოება (მესხია შ. და სხვ., 1958, 159), ხოლო XVIII ს. 70-80 წლებში ასახელებენ მინის ქარხანას, რომელიც მდებარეობდა ქალაქის მეორე კვარტალში ე.ი. საკუთრივ თბილისში (მეჩეთსა და წმ. იოანეს ეკლესიას შორის) (Бадриашвили Н.И., 1934,91,93).

ასევე არ მოგვეპოვება არავითარი წერილობითი წყარო ძველი მინების დამზადების ტექნოლოგიის შესახებ. ამდენად, მეტად საინტერესო და საყურადღებოა XVIII ს. I მეოთხედის ძეგლის, ვახტანგ VI-ის „ქიმიის წიგნში“ ერთი პარაგრაფი „ფერად-ფერადი ჭიქების გაკეთება“ რომელშიც მოცემულია მინის მოდუღების რეცეპტები (ენუქიძე თ., კოკოჩაშვილი ვ., 1969, 3,7).

***

ჩვენ თვალი გავადევნეთ ქართული მინის წარმოების ჩასახვა - განვითარების გზას. ცხადია, ეს განვითარება არ ხდებოდა გარე სამყაროსგან მოწყვეტით. როგორც ვიცით, საქართველო, უძველესი ხანიდან მოყოლებული შუასაუკუნეების ჩათვლით, სატრანზიტო გზით ჩართული იყო საერთაშორისო ვაჭრობაში. ამის დასტურია წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური მასალა, მოგზაურთა ჩანაწერები, „მზითვის წიგნები“ და სხვ. ყველა ამ მონაცემების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, კერძოდ მინის ნაწარმის მაგალითზეც, კარგად, შეიძლება თვალი გაედევნოს თუ დროთა განმავლობაში როგორ იცვლებოდა ცალკეულ სახეობათა იმპორტისა და ექსპორტის შეფარდება, როგორ იცვლებოდა თვით სავაჭრო გზები დროისა და სიტუაციის მიხედვით.

მართალია, ჩვენ გზადაგზა ვუთითებდით მინის ნაწარმის შემოტანილ თუ აქედან გატანილ ნიმუშებს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ურიგო არ იქნებოდა თუ მთლიანობაში, უფრო თავმოყრილად აღვნიშნავთ მათ შესახებ და შევმატებთ ახალ ნიმუშებსაც.

როგორც ცნობილია, საქართველოში მინის ნაწარმის ჩასახვის დროდ - მინის მძივების აღმოჩენის მიხედვით, - ძვ.წ. III ათასწლეულია მიჩნეული. ამავე ხანიდან მოყოლებული მინის მძივები საქართველოში მრავლად გვხვდება, განსაკუთრებით ადრეანტიკურ ხანაში. როგორც აღვნიშნეთ ისინი ადგილობრივაა ნაწარმოები, სოფ. ღებში, ბრილის სამაროვანზე (ძვ.წ. V-III სს), ხოლო სოფელ ოჩხამურში არქეოლოგიურადაა დადასტურებული ძვ.წ. VIII-VI სს მინის მძივ - სამკაულის დამამზადებელი საწარმო - ნამოსახლარი.

ამ ხანებში საქართველო უკვე აქტიურად იყო ჩაბმული მეზობელი თუ შორეული ქვეყნების სავაჭრო ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. როგორც ფიქრობენ, იმ დროის მთელ სამყაროს ფერადი მინის ნაწარმით, მათ შორის მძივებით, სირია-ფინიკია ამარაგებდა. ჩვენშიც ბევრია იქაური ნიმუშები. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: სვანეთში სოფ. ჭუბერში ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილი ძვ. წ. VI-III საუკუნეების მძივ- სამკაულს შორის გვხვდება სირიის, ფინიკიისა და ეგვიპტის საწარმოო ცენტრებში დამზადებული მინის პოლიქრომული მძივებიც

(ჩართოლანი შ., 1996, 143-145).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გვიანანტიკურ ხანაში ივარაუდება მინის წარმოება, დიდი რაოდენობით, შემოდის იმპორტული მინა - ძირითადად სანელსაცხებლეები და ე.წ. ფაცეტებიანი მინა. ცნობილია, რომ I-III საუკუნეების საერთაშორისო ბაზარზე მინის ნაწარმის ყველაზე დიდი მიმწოდებელი სირია იყო. ჩვენში შემოსული იმპორტული მინაც, ძირითადად, სირიულ ნაწარმს წარმოადგენს (ლორთქიფანიძე ოთ., 1966, 74-76; საგინაშვილი მ., 1970, 47; საგინაშვილი მ., 1985, 69-89; ჩხატარაშვილი მ.,1978, 16-17; ჩხატარაშვილი მ., 1987, 79-80, 82; ჩიხლაძე ვ.,1990, 189).

შედარებით მცირე მასშტაბით, მაგრამ ეს ტრადიცია გრძელდება IV საუკუნეშიც, იმპორტული მინა წარმოდგენილია სანელსაცხებლეებით, სასმისებით, ბოთლებით, და სხვ. სადღეისოდ, ჩვენთვის ცნობილია IV საუკუნის სირიული ჭურჭელი შვიდი პუნქტიდან - მცხეთა, აღაიანი, ნეძიხი, რუსთავი, ჭერემი, ციხისძირი, ბიჭვინთა (ჩხატარაშვილი მ. 1999, 70-77, აქვე იხ. ლიტერატურა).

მცხეთიდან გვაქვს IV საუკუნის სანელსაცხებლე, რომელიც ქრისტიანული სიმბოლოებითაა შემკული (დავლიანიძე ც., 1967, 94-97; უგრელიძე ნ., 1967, 28-29, 45). ნ. უგრელიძე არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ცუდი ხარისხის მინისაგან და საკმაოდ დაუდევრად შესრულებული ნიმუში, ადგილობრივ იყოს ნაკეთები. ც. დავლიანიძე კი მრავალრიცხოვანი ანალოგიების მოტანის მიუხედავად, თავს იკავებს მისი წარმომავლობის გადაჭრით განსაზღვრისაგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ჭურჭელი სირიული უნდა იყოს, რასაც თანდართულ ანალოგიებთან ერთად, (და ამას ც. დავლიანიძე თავადაც აღნიშნავს, დავლიანიძე ც., 1967, 96) მხარს უნდა უჭერდეს ისიც, რომ საქართველოში იგი ერთადერთი ეგზემპლარია.

სირიული წარმომავლობის IV საუკუნის ცილინდრული ტიპის სასმისი აღმოჩნდა რუსთავში, სირიულ ბურცობებიან სანელსაცხებლეებთან ერთად, და ზემოთ ნახსენებ ნეძიხის სამაროვანზე (ჩხატარაშვილი მ. 1999, 74); მესამე - განსხვავებუილი ტიპის სირიული სასმისი - ფაცეტებიანი ფიალა კი - ჭერემში, IV ს-ის II ნახევრით დათარიღებულ სამარხში (საგინაშვილი მ.1998, 68-70). IV საუკუნის სირიულ ნაწარმად თვლიან ციხისძირში აღმოჩენილ ცილინდრულტანიან ბოთლს, რომელიც გეომეტრიული ორნამენტითაა გრავირებული (ინაიშვილი ნ.1993,65-66).

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, ევქარისტული დანიშნულების ჭურჭელი - პირგადაშლილი ფიალები შემკული გრავირებული გამოსახულებითა და წარწერებით, რომელიც სხვადასხვა ცენტრებიდან მომდინერეობს. ამათგან სამი ნიმუში IV საუკუნის სირიული ნაწარმია; ესენია: მცხეთა - სამთავროს სამაროვნიდან - ფარშევანგის გამოსახულებიანი და ბერძნულ წარწერიანი - „შესვი, იცოცხლე“ (უგრელიძე ნ.,1951, 301-314); ბიჭვინთის ნაქალაქარიდან (უგრელიძე ნ. 1987, 70-72) და ციხისძირიდან, ფიალის ფრაგმენტი (ინაიშვილი ნ.,1993, 64-65).

ბიჭვინთიდანაა იმპორტული მინის კიდევ ორი ჭურჭელი: ერთის - ბრტყელ ძირზე შემორჩენილია მწყემსისა და ბატკნის გამოსახულების ფრაგმენტები IV სუკუნისაა და მიჩნეულია კიოლნის სახელოსნოს ნაწარმად; მეორე ჭურჭლის ნატეხებზე (VI ს) ჩანს ერთმანეთის პირისპირ გამოსახული ორი ჭაბუკი (ტყუპები?); ფიქრობენ, რომ ეს აქვილეის (სამხრეთი იტალია) ნაწარმი უნდა იყოს (უგრელიძე ნ., 1987, 72-75). ბიჭვინთიდანაა სუფრის სასმისი (III ს. მიწ. - IV ს. დასაწ.), რომელიც, სავარაუდოდ, ალექსანდრიულ ნაწარმადაა მიჩნეული (უგრელიძე ნ., 1987, 68-70). როგორც დავინახეთ, ბიჭვინთაში იმპორტი წარმოდგენილია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მინის წარმოების ცენტრებიდან (სირია, ალექსანდრია, კიოლნი, აქვილეი)

მომდინარე ნიმუშებით.

გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ მ. საგინაშვილმა შემოტანილ მასალაში გამოყო მინის ჭურჭლის შედარებით მცირე კოლექცია, რომელიც მიაკუთვნა დასავლეთ ევროპის იმპორტს. იგი აღნიშნავს, რომ ისევე, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნების იმპორტი, ასევე დასავლურიც ვრცელდებოდა ქართლის სამეფოს სხვადასხვა პუნქტებში (მცხეთა, ურბნისი, ზღუდერი, სარკინე, კავთისხევი, დედოფლის გორა, სოხტა) - ახ.წ. I-III სს -ში, IVს-ის II ნახევრიდან კი ქრება. მისი აზრით, იბერიაში გავრცელებული დასავლური ნაწარმი საკუთრივ იტალიისა და რეინის საწარმოებში უნდა იყოს დამზადებული (საგინაშვილი მ., 1994, 25-26).

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული 19 ჭურჭლიდან 13 სირიულია და IV ს. თარიღდება, სირიული იმპორტი ქართლში, როგორც ჩანს, გზას იკვლევდა სამხრეთის მაგისტრალით. ამ გზის ერთი მონაკვეთი სომხეთზე გადიოდა: ტიგრანაკერტი-არტაშატი, აქედან კი უკავშირდებოდა ქართლის დედაქალაქს-მცხეთას, რომელიც სწორედ დიდი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობდა. მცხეთიდან იმპორტული საქონელი ფართოდ ვრცელდებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში (ლორთქიფანიძე ოთ. 1966, 76,100).

IV-VI საუკუნეებში კვლავ მახლობელი აღმოსავლეთის მინის საწარმოო ცენტრებიდან (სირია-პალესტინა) დიდი რაოდენობით შემოდის ე.წ.ხალიანი მინა. მის შესახებ ჩვენ ზემოთ შედარებით ვრცლად ვიმსჯელეთ. აღვნიშნეთ ისიც, რომ ნ. უგრელიძე ზოგიერთ ტიპს მიიჩნევს ადგილობრივ, ბიჭვინთაში დამზადებულად, რაც სავსებით დასაშვებია, რადგან აქ ამ ხანაში მინის წარმოება ივარაუდება. არსებობს აგრეთვე დამაჯერებელი მოსაზრება, რომ ჩრდილო კავკასიაში ხალიანი მინა ვრცელდებოდა საქართველოდან, კერძოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებიდან (სოხუმი-ბიჭვინთა) წებელდაზე გავლით (Сорокина Н.П. 1979, 64; Воронов Ю.Н. 1975, 77-78).

ფეხიანი სასმისებიც ჩვენში IV ს- დან ვრცელდება მთელ საქართველოში და არსებობს მთელი ადრეული შუასაუკუნეების მანძილზე. გვაქვს როგორც ადგილობრივი (უგრელიძე ნ., 1967, 90-91; ჩხატარაშვილი მ., 1978 ,24), ისე შემოტანილი ნიმუშები, რომლებიც გამოირჩევა ფერით, ნახელავით. ესენია ზურმუხტისფერი დამუხლულფეხიანი სასმისები და ყვითელი მინის ბურთულაბოლოიანი ფეხიანი ლამპრები. ისინი შემოტანილი უნდა იყოს მახლობელი აღმოსავლეთის რომელიმე საწარმოო ცენტრიდან, რასაც ადასტურებს ქიმიური ანალიზებიც. როგორც ცნობილია, ეს ფერები დამახასიათებელია ამ ცენტრების მინის წარმოებისათვის (ჩხატარაშვილი მ., 1978, 24, 29-31).

ფაცეტებიანი მინა არსებობას განაგრძობს ადრეულ შუასაუკუნეებშიც, ოღონდ განსხვავებული მინით, ფორმით და ორნამენტით. იგი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება; ზოგიერთ პუნქტში (მცხეთა, ურბნისი, რუსთავი) ადგილობრივი წარმოება ივარაუდება (ჩხატარაშვილი მ., 1978,17-18; ჩხატარაშვილი მ., 1987, 86-87). გვაქვს შემოტანილი ნიმუშებიც, რომელთა მინა და ნახელავი აშკარად გამოირჩევა სხვებისგან: მცხეთაში, რუსთავში და ურბნისში ისინი სასანური ირანიდან უნდა იყოს შემოტანილი (VI-VII სს), ხოლო ბიჭვინთაში - ბიზანტიიდან (VI ს) (ჩხატარაშვილი მ., 1978, 18; ჩხატარაშვილი მ. 1987, 87).

ამგვარად, ადრეულ შუასაუკუნეებში საქართველოში ადგილობრივ მინის წარმოებასთან ერთად, საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოდის იმპორტული მინაც. IV საუკუნეში ძირითადად სირიიდან, აგრეთვე - დასავლეთიდან. IV-VI საუკუნეებში - მახლობელი აღმოსაველეთის ცენტრებიდან (უმეტესად დას. საქართველოში); VI-VII საუკუნეებში კი - სასანური ირანიდან

(უმეტესად აღმ. საქართველოში).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში კლებულობს მინის იმპორტი და მატულობს მისი ექსპორტი. VII-IX საუკუნეებში საქართველოს მინის ექსპორტი ძირითადად ორბეთის მინის საწარმოს პროდუქციითაა წარმოდგენილი. ამ მართლაც უნიკალური მინის საწარმოდან ამიერ და იმიერკავკასიაში გაჰქონდათ რელიეფურ ორნამენტიანი ცილინდრული სასმისები, სამაჯურები, ბეჭდები; სომხეთში, დვინში - მინანქრით მოხატული მინის ჭურჭელი (უგრელიძე ნ., 1961, 11; Угрелидзе Н.Н., 1970, 306; Кузнецов В.А., 1962, 20-29; ლომთათიძე გ., 1977, 95; Джанполадян Р.М., 1974, 60, კატ. №34, В).

ამავე ხანისაა იმპორტული მინაც ე.წ. ტანწახნაგოვანი სანელსაცხებლეები: მრგვალმუცლიანი (VII-IX სს) თბილისიდანაა და ოთხწახნაგა (VIII- X სს) დმანისიდან და რუსთვაიდან. სამივე სანელსაცხებლე ირანიდან ან ერაყიდან შემოტანილად მიგვაჩნია (ჩხატარაშვილი მ., 1978, 9-10).

არის ერთი სპეცილაური დანიშნულების მინის ჭურჭელიც - ალამბიკი. იგი არ არის დამახასიათებელი ქართული მინის წარმოებისათვის. ამ ალქიმიური ჭურჭლის სულ სამი ნიმუში გვაქვს; ერთი მცხეთიდან, თარიღდება VI-VIII სს. I ნახევრით, წარმომავლობის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით (ჩხატარაშვილი მ., 1987, 93-94). ორი ალამბიკი კი რუსთავშია აღმოჩენილი და განვითარებულ შუასაუკუნეებს განეკუთვნება. ერთი IX-XI სს, ირანის ქალაქ რეის ნაწარმი უნდა იყოს, ხოლო მეორე - X-XI სს სომხური, კერძოდ, დვინური წარმოშობისაა. სადღეისოდ, საქართველოში სამიოდე ალამბიკი გვაქვს (და ასევე ცოტაა აღმოჩენილი თიხის სფეროკონუსები, რისთვისაც საჭირო იყო ეს ჭურჭელი (ჩხატარაშვილი მ., 1978, 33-34).

როგორც ვიცით, ქართული მინის წარმოება განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის ქართული სახელმწიფოს აყვავებისა და სიძლიერის ხანაში (XI-XIII სს). ამ ხანის მინის სასმისთა ხუთი ტიპიდან სამი ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. ასეთებია: XI-XII საუკუნეების კუთვნილი ძირზე სარტყელშემოვლებული, მომაღლო ვიწრო სასმისები (ჩრდილო კავკასია - ზმეისკის კატაკომბები). გამთხრელთა მიერ გამოთქმულია დამაჯერებელი მოსაზრება, რომ ამგვარი სასმისები და მინის სხვა ჭურჭელიც ამიერკავკასიური, კერძოდ, ქართული წარმოშობისა (Кузнецов В.А., 1959, 102,115; Крупнов Е.И.1960, 115-117). ასევე, საქართველოდან გაჰქონდათ სომხეთში (ანისი, დვინი) XII-XIII სს სასმისები: მაღალ ძირ-ქუსლიანი ჭიქები და ე. წ. ძაბრისებრი სასმისები (ჩხატარაშვილი მ., 1978, 38-39; ჩხატარაშვილი მ., 1969, 146; რამიშვილი რ., 1970, 100; Джанполадян Р.М., 1974, 64, № 71; Джанполадян Р.М., Калантарян А. А., 1988, 8 14, №51).

აქვე დავასახელებ, რომ შესაძლოა დვინიდან იყოს შემოტანილი XI-XII საუკუნეების კუთვნილი, ძირზე უსარტყელო სასმისთა 4 ნიმუში დმანისიდან; სხვაგან ასეთი არ გვეგულება (ჩხატარაშვილი მ., 1978, 37-38).

ცნობილია, რომ სამკაული ყოველთვის ექსპორიტის საგანს წარმოადგენდა. ასევეა მინის სამკაულიც. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ორბეთის მინის საწარმოდან ჭურჭელთან ერთად გაჰქონდათ სამკაულიც, ასე გრძელდებოდა განვითარებულ შუასაუკუნეების მანძილზე.

ამ ხანის მინის სამკაულის ექსპორტისა (ჩრდილო კავკასია, სომხეთი, რუსეთის ქალაქები) და იმპორტის (იტალიიდან - ვენეცია, არაბული სამყაროს თუ ბიზანტიური სახელოსნოებიდან) შესახებ ზემოთ აღვნიშნავდით.

ექსპორტის საგანს წარმოადგენდა ქართული მინის წარმოების კიდევ ერთი სახეობა- ფერადი, ორნამენტით შემკული სარკმლის მინა, რომელსაც სხვა ქვეყნებში ანალოგი არ მოეპოვება. ჩვენებური სარკმლის მინა გაუტანიათ ჩრდილო კავკასიაში - ქვემო არხიზი და სომხეთში - დვინი (ჩხატარაშვილი მ., 1978, 87; აქვე იხ. ლიტ.). ვფიქრობ, აქედან უნდა იყოს გატანილი ამ ბოლო ხანებში შამქორში აღმოჩენილი მსგავსი სარკმლის მინის ნიმუშებიც.[1]

როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ჩრდილოეთის გზა (დარიალისა) აკავშირებდა საქართველოს ჩრდილოეთის ქვეყნებთან თუ სამხრეთ რუსეთის ქალაქებთან. როგორც ჩანს, სწორედ ამ გზით ხვდებოდა იქ არქეოლოგიურად აღმოჩენილი ქართული მინის ნაწარმი.

აღსანიშნავია ისიც, რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში გაცილებით მეტია მინის ნაწარმის ექსპორტი, ვიდრე იმპორტი. აღნიშნულ ხანაში საქართველოში ქალაქად თუ სოფლად მინის წარმოების საკმაოდ ფართო მასშტაბები დასტურდება: ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში, კერძოდ, თბილისში და ალბათ არა მარტო თბილისში (სხვა ხელოსანთა კავშირებთან ერთად) არსებობდა მემინე ხელოსანთა კავშირიც (ჩხატარაშვილი მ., 1978, 69-70; აქვე იხ. ლიტ-რა). ნ. ბერძენიშვილი ამ ხანის საქართველოს სახელმწიფო წლიური შემოსავლის შემადგენელ ნაწილად მინის ნაწარმსაც ასახელებს (ბერძენიშვილი ნ., 1974, 114). ვფიქრობთ, ესეც ერთ-ერთი მოწმობაა იმისა, რომ მინის წარმოება სათანადო ორგანიზაციით ხდებოდა.

განვითარებულ შუასაუკუნეებში იმპორტ-ექსპორტის შესახებ შეგვიძლია მოვი-ზველიოთ წერილობითი წყაროებიც. მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის უცნობი ავტორი სპარსულ თხზულებაში „სამყაროს საკვირველებანი“ (კიკნაძე რ., 1978). იგი მოგვითხრობს XII ს. დასასრულისა და XIII ს. დასაწყისის თბილისის ხიდის მახლობლად მოწყობილ საბაზრო ადგილზე და გასაყიდად გამოტანილ მრავალგვარ საქონელს შორის ასახელებს: .... „მინა, ფიალები და კარგი ბროლის ნაწარმი“ (კიკნაძე რ., 1960, 134).

როგორც ჩანს, აქ დასახელებული მინა - მინის ნაწარმია; ფიალებში კი მოჭიქულ ჭიქებს გულისხმობენ (მიწიშვილი მ., 1969, 75-76). საერთოდ, მთელი აქ ჩამოთვლილი საქონელი საბაზრო პროდუქციაა, რომელიც გაჰქონდათ სხვა ქვეყნებში აქაურ თუ უცხოელ ვაჭრებს.

გვიან შუასაუკუნეებშიც საქართველოს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ ხანაშიც წერილობითი წყაროებიც მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდიან ექსპორტ-იმპორტის შესახებ. ყველაზე მეტი საქონელი ისევ ირანიდან შემოდიოდა: XVIII ს. დასაწყისის ანუკა ბატონიშვილის „მზითვის წიგნში“ ჩამოთვლილ ირანულ საქონელს შორის მოიხსენიება „შირაზის მინა მრავალი“ (თაყაიშვილი ექ., 1910, 490).

საქართველოში მინის ნაწარმის მაღალი დონის ფონზე, განვითარებულ შუასაუკუნეებში მინის იმპორტი შედარებით მცირეა, მაგრამ როგორც დავინახეთ მაინც არის (ბიზანტიიდან, იტალიიდან, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან). საკმაოდ ფართოა ექსპორტი - ქართული მინის ნაწარმი გაჰქონდათ, როგორც საშინაო (თბილისის), ისე საგარეო ბაზარზე (ამიერკავკასიაში, ჩრდილო კავკასიაში, სამხრეთ რუსეთში).

ამგვარად, მთელი შუასაუკუნეების მანძილზე საქართველოს ცხოველი კულტურული და

[1] ამის თქმის საფუძველს გვაძლევს როგორც ისტორიული ვითარება, ასევე ის, რომ სადღეისოდ მოპოვებული მასალების მიხედვით იგი მხოლოდ ქართული მინის ნაწარმისათვის არის დამახასიათებელი (ჩხატარაშვილი მ.1978, 81-87). შამქორის ნიმუშები გამოქვეყნებულია 2009 წლის შამქორის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგების კატალოგში და ათარიღებენ XI საუკუნით (აზერბაიჯანულ ენაზეა).

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა როგორც მეზობელ, ისე შორეულ ქვეყნებთან თუ საწარმო ცენტრებთან, რაც კარგად ჩანს მინის ნაწარმის მაგალითზეც. ექსპორტ-იმპორტული მინის მიხედვით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ, როგორც დროში, ისე სივრცეში იმ საერთაშორისო სავაჭრო სატრანზიტო გზას თუ ქვეყნის შიდა გზებს, რომლითაც დასერილი იყო ძველი საქართველოს ტერიტორია.

***

არქეოლოგიური მინა რომ ამა თუ იმ რეგიონს მივაკუთვნოთ, ამის მთავარი დამადასტურებელია მინის საწარმოს ან წარმოების ნაშთების არსებობა, ნედლეულის ბაზა და მინის თავისებურებანი. ჩვენ გზადაგზა აღვნიშნავდით ამ ნიშნების შესახებ. ახლა კი ხელახლა გადავავლოთ თვალი საქართველოში მინის წარმოების ჩასახვასა და განვითარებას.

საქართველოში მინის წარმოების დროდ ძვ. წ. III ათასწლეულია მიჩნეული. ძვ. წ. I ათასწლეულში (ძვ. წ. VIII-VI სს) არქეოლოგიურად დადასტურდა მინის მძივ-სამკაულის საწარმო-ნასახლარი სოფ. ოჩხამურში (ჩხოროწყუს რ-ნი), ხოლო ძვ. წ. VI-III საუკუნეებში მინის მძივების ადგილობრივი წარმოება სოფ. ბრილში (ზემო რაჭა).

აღსანიშნავია, რომ იბერიაში აღმოჩენილი ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები, რომელზეც გამოსახულია ნადირობისა და ომის სცენები, ხელოვნების პირველხარისხოვანი ნიმუშებია. მისი ადგილობრივი წარმოება დიდხანს არსებობდა, ხოლო ხმარებაშია ძვ. წ. V ს-ის ბოლოდან, ვიდრე ახ. წ. I ს-მდე (ლორთქიფანიძე მ., 1969, 49, 53). სწორედ ამ საბეჭდავებთან დაკავშირებით აღნიშნავენ ქიმიკოსები (მ. მაქსიმოვას საპასუხოდ), რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გარკვეული ტრადიციები, ხდება მინისა და მინისგან მიღებული ნაკეთობების წარმოება (კაპანაძე მ, და სხვ., 2004, 19).

გვიანანტიკურ ხანაში მინის წარმოებაა მცხეთაში, ურბნისში, ბიჭვინთაში (ავტორები იხ. ზემოთ); IV-VI საუკუნეებში ვარდიციხეში ივარაუდება მინის (ზოდები) წარმოება (ჯაფარიძე ვ., 1982, 38-39); ხოლო IV-VIII საუკუნეებში, როგორც ცნობილია, მცხეთაში სრულიად უეჭველია მინის ადგილობრივი წარმოება. დასავლეთ საქართველოში, VI-VIII საუკუნეებში ბიჭვინთაში, ყულევში, ვაშნარში სარკმლის მინას ადგილობრივ აწარმოებდნენ, რასაც ადასტურებს ქიმიური ანალიზებიც (ჩხატარაშვილი მ,. 1978, 79; პაპუაშვილი ს., 1978, 109).

განსხვავებით რუსეთის, შუა აზიის და სხვა ქვეყნებისაგან (Рыбаков Б. А., 1948, 114-115; Беленицкий А. М. и др., 1973, 285), სადაც მინის წარმოება მხოლოდ და მხოლოდ ქალაქურ ხელოსნობად ითვლებოდა, შუასაუკუნეების, კერძოდ, განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოში მინის წარმოება თვით საწარმოების თუ წარმოების ნაშთების (მინის ნადუღი და წვეთები, წიდა, წუნი ნაწარმი) სახით დასტურდება არა მხოლოდ დიდ ქალაქებში, როგორიც იყო დმანისი (მუსხელიშვილი ლ., 1938, 447-448; Джапаридзе В. В., 1971, 222), თბილისი (ლომთათიძე გ., 1955, 156-160; გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ოთ., 1961, 28-33), რუსთავის ნაქალაქარი და ნაციხვარი (ლომთათიძე გ., 1955, 181,194; უგრელიძე ნ., 1954, 52; ჭილაშვილი ლ., 1958, 55,84-85, 142, 175; ლომთათიძე გ., 1962, 52; ჩხატარაშვილი მ., 1969, 150-151), სავარაუდოდ - ქუთაისში (გაბრიაძე ა., 2000, 34) - არამედ სოფლებშიც: მინის საწარმოები აღმოჩენილია სოფელ ადგილებში - ორბეთი, ნატბეური, ნაბეღრები, ხაშმი (უგრელიძე ნ., 1961, 14), წორბისში -მდ. ფრონეს ზემო წელზე (Ткешелашвили О. В., 1991, 98-99);

კარსანში, მცხეთის მახლობლად, მინის საწარმოს ნაშთი მხოლოდ წარმოების გადანაყარითაა წარმოდგენილი და ავტორი მას XV-XVI სს-ით ათარიღებდა (ლემლეინი გ., 1945, 745), მაგრამ შემდეგ მას გ. ლომთათიძესთან საუბარში განუცხადებია, რომ იგი მზადაა ეს თარიღი XII-XIII სს-მდე გადაწიოს (ლომთათიძე გ., 1955,160); მინის წარმოებას ვარაუდობენ მონასტრებთან: ბოლნისი-ლამაზი გორა, გუდარეხი (Чхатарашвили М. Н., 1977, 23, ჩხატარაშვილი მ., 1982, 135-136); აგრეთვე ივრის სიონში და ძველ ანაგაში (რამიშვილი რ., 1970, 104; სინაურიძე მ., 1968, 85), ჟინვალში (მარგველაშვილი მ., 1999, 21-22; Чихладзе В., 2004, 144-145; ჩიხლაძე ვ., 2007, 86-87). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინკრუსტირებულ მინის სამაჯურებს კახეთსა და, შესაძლოა, თუშეთში ამზადებდნენ (დოლაბერიძე რ., 1973, 41); მინის წარმოების აშკარა ნაშთებთან გვაქვს საქმე ივრისპირა „ქვაბებზე“ (მჭედლიშვილი ბ., 1977, 162; მჭედლიშვილი ბ., 1978, 121).

როგორც დავინახეთ, საკმაოდ დიდია მინის გავრცელების თუ არსებობის არე როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მონასტრებში თუ ნაციხვარებზე.

არაბთა ბატონობის მოსპობის შემდეგ ისევე, როგორც მთელ აღმოსავლეთ ქვეყნებში, IX-X საუკუნეებში საქართველოც ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. იწყება ძველი ქალაქების აღორძინება, ვითარდება ვაჭრობა და ხელოსნობა, ჩნდება ახალი ქალაქები (გაბაშვილი ვ., 1957, 57, 118; ჭილაშვილი ლ., 1970, 71-87). აღმავლობას განიცდის მინის წარმოებაც. საკმარისია დავასახელოთ ისეთი დიდი და მაღალხარისხოვანი მინის საწარმო, როგორიცაა ორბეთი.

ამავე ხანაში მინის წარმოების აღმავლობას აღნიშნავენ სომხეთში (Джанполадян Р. М., 1974, 37), აზერბაიჯანში (Ахмедов Г., 1972, 54-58), ბიზანტიაში (История Византии, 1967, 134), შუა აზიაში (Абдуразаков А. А. и др., 1963, 34).

როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიოში არცთუ ხშირია მინის საწარმოების აღმოჩენა. ამდენად დიდია მნიშვნელობა ორბეთის VIII-IX საუკუნეების, ამ მართლაც უნიკალური საწარმოსი, რომელიც ნ. უგრელიძემ გათხარა. ორბეთში ამზადებდნენ ჭურჭელს, ბეჭდებს, სამკაულებს, სარკმლის მინას, სამოზაიკო „კენჭებს“. საწარმოს გადანაყარში დიდი რაოდენობით იყო ნაწარმის წუნი, მინის წვეთები და სხვა. აქვე აღმოჩნდა სამუშაო იარაღები, მაგალითად: ობსიდიანის პატარა „დანა“ რომლითაც აქაურ ოსტატებს მინის ჭურჭელზე გამოჰყავდათ (გრავირების წესით) სხვადასხვა ორნამენტი. მრავალფეროვან ნიმუშებს შორის აღსანიშნავია მინანქრით მოხატული სახეები, აგრეთვე წითელი და ჭრელი მინების აღმოჩენა. ცხადია, ორბეთელ ხელოსნებს შესანიშნავად სცოდნიათ მინის კაზმის დამზადება და მასში სხვადასხვა კომპონენტების შეყვანითა და ტემპერატურის შერჩევით სასურველი ფერის მიღება (Угрелидзе Н. Н., 1970, 306; Угрелидзе Н. Н., 1988, 29-30). სომხეთში აღმოჩენილი მინანქრით მოხატული ჭურჭლის შესახებ რ. ჯანფოლადიანი თვლის, რომ იგი შესაძლოა სწორედ ორბეთის სახელოსნოს ნაწარმი იყოს. მინანქრით მოხატული ჭურჭელი შემდგომ პერიოდში ჩვენში, ჯეჯერობით, არ აღმოჩენილა. მაგრამ დიდი განვითარება ჰპოვა ტიხრულმა მინანქარმა, რომლის ისტორია მოიცავს პერიოდს სწორედ VIII-IX საუკუნეებიდან XIII საუკუნის ჩათვლით და რამდენადმე მოგვიანო ხანასაც (XV ს.). ქართული მინანქრის თავისებურებები მას ერთი მხრივ განასხვავებს ბიზანტიურისაგან, მეორე მხრივ - აკავშირებს ქართული ხელოვნების სხვა დარგების ძეგლებთან - მონუმენტური ფერწერის, მინიატურისა და ჭედურობის ნიმუშებთან (ხუსკივაძე ლ., 1984, 8-10; ქსე, საქართველოს სსრ, 1981, 282).

გვინდა შევჩერდეთ შავ, მწვანე, ცისფერ და ოქროფერილ კუბური მოყვანილობის სამოზაიკო კენჭებზე. ორბეთის საწარმოში მათი აღმოჩენა, საქართველოს ტერიტორიაზე მათი წარმოების პირველი დადასტურებაა (უგრელიძე ნ., 1961, 10). ფერადი სმალტის ხელოვნებას ანტიკური ხანის მინის წარმოების ოსტატები უკვე კარგად ფლობდნენ; ხოლო ძვ. წ. III-I საუკუნეებში, სხვა მასალებთან ერთად, დაიწყეს მისი გამოყენება ტაძრებისა და სასახლეების მოსაპირკეთებლად (კაპანაძე მ. და სხვ., 2004, 19-20).

კედლის მოზაიკური მხატვრობა საქართველოშიც ძველთაგანვე იყო ცნობილი. მაგ.: მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრის მოზაიკა - VI ს; შორეთის და წრომის ტაძრების მოზაიკა - VII საუკუნე. აღსანიშნავია, რომ ორბეთის კენჭებს დიდი მსგავსება აქვს წრომის ტაძრის მოზაიკის კენჭებთან; და ბოლოს, XII საუკუნის კედლის მონუმენტური მხატვრობის ბრწყინვალე ნიმუში - გელათის მოზაიკა, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლს წარმოადგენს (Угрелидзе Н. Н., 1988, 30).

ქართული მინის წარმოების განსაკუთრებულ აღმავლობაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქართული ფეოდალური სახელმწიფოს აყვავებისა და სიძლიერის ხანაში (XII-XIII სს), როდესაც საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია მატერიალურმა და სულიერმა კულტურამ. იქმნება შედევრები პოეზიაში, ხუროთმოძღვრებაში, მონუმენტურ მხატვრობაში, ოქრომჭედლობაში, მინანქრისა თუ მოზაიკის ხელოვნებაში.

ქართული მინის წარმოება ცხადყოფს, რომ იგი ტოლს არ უდებდა ხელოვნების სხვა, უფრო დიდ დარგებს და მხარდამხარ მიჰყვებოდა მას. აღნიშნულ ეპოქაში იგი შედის ისე, რომ ფლობს მსოფლიო მინის წარმოების მთელ მიღწევებს. ამ პერიოდში მემინე ხელოსნები ამაღლებდნენ და ხვეწდნენ თავიანთ ოსტატობას, აფართოებდნენ ასორტიმენტს, ფართოდ იყენებდნენ თავისუფალ ბერვას თუ ფორმაში გამობერვას, რომლებიც დაკავშირებული იყო მასიურ წარმოებასთან და საბაზრო მოთხოვნილებასთან.

როგორც ჩანს, დიდ ქალაქებში რამდენიმე მინის საწარმო იყო. მაგ.: XII-XIII საუკუნეების თბილისში ორ ადგილას (სამასი არაგველის ბაღის და ერეკლე II სახელობის მოედნის ტერიტორია) კერამიკისა და მინის საწარმოები ერთმანეთის გვერდით და ერთროულად მოქმედებდა (ლომთათიძე გ., 1955, 142, 160; გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ოთ, 1961, 28-29, 31-33).

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ თხზულებაში „სამყაროს საკვირველებანი“ უცნობი ავტორი მოგვითხრობს თბილისში გამართული ბაზრობის შესახებ. მას აქ გამოტანილ საექსპორტო საგნებს შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ მინის ნაწარმიც მიაჩნია. ამ მხრივ საინტერესოა დავით აღმაშენებლის ანდერძში ნახსენები „მინა კადრებული“. როგორც ივ. ჯავახიშვილი განმარტავდა, „მინა კადრებული“- მინის უმაღლეს ხარისხზე მიუთითებს (ჯავახიშვილი ივ., 1965, 54, 55, 60). სწორედ „კადრებულ“, საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოდან გატანილი და დვინში აღმოჩენილი მაღალი, ე. წ. ძაბრისებრი მოყვანილობის მინის სასმისები.

საქართველოს მთელ შუასაუკუნეების მანძილზე ცხოველი კულტურული და სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა როგორც მეზობელ, ისე შორეულ ქვეყნებთან თუ საწარმო ცენტრებთან, რაც კარგად ჩანს მინის ნაწარმის მაგალითზეც: გამოიყოფა როგორც ჩვენში შემოტანილი, ისე აქედან გატანილი ნიმუშებში (Чхатарашвили М. Н; 2002, 179-180). ამ კავშირებისა და ურთიერთგავლენის მაჩვენებელია ისიც, რომ ზოგიერთი ფორმა, დამზადების ტექნიკა თუ შემკობის ხერხები საერთოა ამიერკავკასიისა, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის

ქვეყნების მინის წარმოებისათვის, მაგრამ ყველა ქვეყნის ხელოსანი თავისებურ ნაწარმს ქმნის.

ჩვენამდე მოღწეული შესანიშნავი ხელოვნებითა და გემოვნებით შესრულებული მინის ნაწარმის ნიმუშები - სამკაული იქნება ეს, ჭურჭელი თუ სარკმლის მინა, ადასტურებს, რომ მხატვრული ხელოსნობის ეს დარგი საქართველოში მაღალ საფეხურზე იდგა. აღსანიშნავია, რომ საერთო ქართულთან ერთად, გამოიყოფა საქართველოს ცალკეული პუნქტებისთვის დამახასიათებელი ტიპებიც.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ ხანაში ხელოსნობის ერთ-ერთ დარგში, მინის წარმოებაშიც, ასე კარგად და მკაფიოდ გამოჩნდა ქართული კულტურის ეროვნული სახე.

რომ არა მონღოლთა შემოსევა, ქართული მინის წარმოება განვითარების ახალ საფეხურზე ავიდოდა.

ისტორიულ წყაროებთან ერთად, არქეოლოგიური ძეგლები, მათ შორის არქეოლოგიური მინა, წარმოდგენას გვიქმნის თუ როგორ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ძველ საქართველოში.

ქართულ მიწაზე აღმოჩენილია მინის ნაწარმის - აგილობრივის თუ შემოტანილის -ისეთი მდიდრული კოლექციები (მცხეთაში, ბიჭვინთაში, რუსათვში და სხვ.), რომ ნამდვილად იმსახურებს სრულყოფილ გამოქვეყნებას, რათა დაიკავოს თავისი ადგილი მსოფლიო მინის წარმოების ისტორიაში. ამისთვის ძალზე სასურველია არქეოლოგთა და ქიმიკოსთა ძალისხმევის გაერთიანება.

ქართული მინის წარმოება ძველი მსოფლიო მინის წარმოების ორგანული, მაგრამ თავისთავადი ნაწილია.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანმა უძველესი ხანიდან დაიწყო ამ მეტად საინტერესო მასალის გამოყენება, მასალისა რომლის გარეშეც ძნელია წარმოიდგინოთ თანამედროვე ადამიანის არსებობა და მოღვაწეობა.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაარსებულია მხატვრული მინის კათედრა, სადაც ეუფლებიან მხატვრული მინის რთულ და საინტერესო ხელოვნებას. ძველი მინების შესწავლა საშუალებას მისცემს თანამედროვე ქართული მინის ოსტატებს გამოიყენონ ის ტექნიკური თუ მხატვრული ღირსებები და მიღწევები, რაც გააჩნდა ჩვენში უძველესი ტრადიციის მქონე ხელოსნობის ამ დარგს - ქართული მინის წარმოებას.

ლიტერატურა

აფაქიძე ა., 1963, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი.

აფაქიძე ჯ., 1986, ფერადი ქვისა და მინის მძივების წარმოების საკითხისათვის ძველ კოლხეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №3, თბილისი.

ბახტაძე რ., 1964, საქართველოს უძველესი მინების შესწავლისათვის, თბილისი.

ბახტაძე ნ., 1998, მუგუთის ქვაბების არქეოლოგიური კვლევის შედეგები, კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბილისი.

ბერძენიშვილი ნ., 1974, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბილისი.

გაბაშვილი ვ., 1957, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი.

გაბაშვილი ვ., 1966, XVI-XVIII ს.ს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლე- თის სავაჭრო ურთიერთობების შუქზე. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, თბილისი.

გაბრიაძე ა., 2000, განვითარებული შუა საუკუნეების მინის ნაწარმი ქუთაისის ნაქალაქარიდან. ძმ №4(111), თბილისი.

გამყრელიძე გ., 1982, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები (სოფელი მთისძირი), თბილისი.

გამყრელიძე გ., 1987, წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში, სმამ, ისტორიის სერია №1. თბილისი.

გეგენავა ა., პაპუაშვილი ს., ჩხატარაშვილი მ., 1978, საქართველოში აღმოჩენილი შუა საუკუნეთა მინის ჭურჭლის ქიმიური შედგენილობის გამოკვლევა, სას, II, თბილისი.

გობეჯიშვილი გ., 1952, ძველი ქართული სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №3 თბილისი.

გობეჯიშვილი გ., 1959, განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებში, „საქართველოს არქეოლოგია“, თბილისი.

გოგაძე ე., 1972, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი., თბილისი.

გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ოთ., 1961, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი.

გძელიშვილი ი., 1966, რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი, კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბილისი.

დავლიანიძე ც., 1967, 1941 წელს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი მცხეთაში, სსმმ, XXVII -B, თბილისი.

დოლაბერიძე რ., 1967, XI-XIII ს.ს. ბეჭდები, სსმმ, XXVII –B. თბილისი.

დოლაბერიძე რ., 1969, საქართველოს მინის სამაჯურები, სსმმ, XXVIII –B, თბილისი.

დოლაბერიძე რ., 1973, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბილისი.

დოლიძე ი., 1965, ქართული სამართლის ძეგლები, II , თბილისი.

ენუქიძე თ. კოკოჩაშვილი ვ., 1969, მეფე ვახტანგ VI-ის ქიმია, „მეცნიერება და ტექნიკა“, №8, თბილისი.

თაყაიშვილი ექ., 1910, საქართველოს სიძველენი,

იაშვილი მ., 1974,მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), თბილისი.

იაშვილი მ., 1976, საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (XVII-XIX ს.ს.), თბილისი.

იაშვილი მ., ზამთარაძე მ., 1981, ეგრისის მეფეთა სასახლე „ნოქალაქევი-არქეოპოლისი,“ I (1973-1977), თბილისი.

ინაიშვილი ნ., 1993, ციხისძირის ახ.წ. I-VI ს.ს. არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

კალანდაძე ალ., 1937, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში, „ენიმკის მოამბე“, ტ. II, ნაკვ. 3, თბილისი.

კალანდაძე ალ., 1939, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1938, „ენიმიკის მოამე“, ტ. IV, ნაკვ. 3, თბილისი.

კალანდაძე ალ., 1949, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, „მიმომხილველი“, I, თბილისი.

კაპანაძე მ., 1999, მინის ქიმია და ტექნოლოგია ძველ საქართველოში, ავტორეფერატი, თბილისი.

კაპანაძე მ., სარუხანიშვილი ა., ჩაგუნავა რ., 2004, მინის ქიმია და ტექნოლოგია ძველ საქართველოში, თბილისი.

კაციტაძე დ., 1972, მახლობელი აღმოსავლეთის საკითხები II, თბილისი.

კახიძე ა., 1971, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი.

კახიძე ა., ვიკერსი მ., 2004, საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი ექსპედიციის შედეგები (1998-2002 წ.წ.)- ფიჭვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი

კახიძე ა., 2008, ირანული მინის ჭურჭელი ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლიდან - „იბერია-კოლხეთი“, №4, თბილისი

კახიანი კ., ჭანიშვილი გ., კოპალიანი ჯ., მაჩაბელი კ., ალექსიძე ზ., ღლიღვაშვილი ე., პატარიძე ნ., 2012, ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან, თბილისი

კიკნაძე რ., 1960, XI-XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ი.ი.შ., V, ნაკვ. I, თბი- ლისი.

კიკნაძე რ., 1978, „სამყაროს საკვირველებანი“, ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. „საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები“, VI, თბილისი.

კუცია კ., 1966, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბილისი.

ლემლეინი გ., 1945, მინის საბერი წარმოების ნაშთი კარსანში, მცხეთის მახლობლად, სმამ, VI, №9, თბილისი.

ლორთქიფანიძე მ., 1961, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბილისი.

ლორთქიფანიძე მ., 1963, გვიან აქემენიდური ხანის მცირეაზიური საბეჭდავების იბერიული პირები-ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები, სსამ, №6, თბილისი.

ლორთქიფანიძე მ., 1969, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ., 1963, ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, მსკა, III, თბილისი

ლორთქიფანიძე ოთ., 1966, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ., 1968, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ., 1972, ვანის ნაქალაქარი, „ვანი“, I, არქეოლოგიური გათხრები 1947-1969, თბილისი.

ლომთათიძე გ., 1945, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბილისი.

ლომთათიძე გ., 1955, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებში, იიშ, I, თბილისი.

ლომთათიძე გ., 1955, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მსკა, I, თბილისი.

ლომთათიძე გ., 1955, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, I, თბილისი.

ლომთათიძე გ., 1956, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ურბნისის ნაქალაქარში, „მეცნიერება და ტექნიკა“, №1, თბილისი.

ლომთათიძე გ., 1961, რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი 1960 წელს, სას, თბილისი.

ლომთათიძე გ., 1964, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი, „მაცნე“ , №2, თბილისი.

ლომთათიძე გ., 1973, ყოფა და კულტურა არქეოლოგიური მასალების მიხედვით (VI- X ს.ს.), სინ, II, თბილისი.

მარგველაშვილი მ.,1999, ქალაქი ჟინვანი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), ავტორეფერატი, თბილისი.

მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა., 1958, თბილისის ისტორია, თბილისი.

მინდორაშვილი დ., 2007, კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა, „საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, I“, თბილისი.

მიწიშვილი მ., 1969, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, IX-XIII ს.ს., თბილისი.

მოსხი იოანე, 1960, ლიმონარი (სამოთხე), ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი (?)

მუსხელიშვილი ლ., 1938, დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი.

მჭედლიშვილი ბ., 1977, ივრისპირა „ქვაბების“ არქეოლოგიური დაზვერვები, სსმაე, V, თბილისი.

ნადირაძე ჯ., 1990, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი.

ნასიძე გ., 1969, რუსთაველის ხანის გლეხის სახლ-კარის განათხარი ქვემო ქართლში (ისპიანი, ბოლნისის რაიონი), ფსაძ, I, თბილისი.

ორბელიანი სულხან-საბა. 1966, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

პაპუაშვილი ს., გეგენავა ა., ჩხატარაშვილი მ., 1978, საქართველოში აღმოჩენილი სარკმლის მინის ქიმიური შედგენილობის გამორკვევა, ფსაძ, III, თბილისი.

პაჭიკაშვილი ნ., ჩხატარაშვილი მ., 2003, გლდანის ხეობის ნასოფლარები, შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, II კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბი-ლისი.

რამიშვილი რ., 1963, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში (III უბნის 1956- წლების გათხრების წინასწარი ანგარიში), მსკა, III, თბილისი.

რამიშვილი რ., 1970, ივრის რაიონის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი, თბილისი.

რჩეულიშვილი გ., 1990, ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

რჩეულიშვილი გ., 2007, ფშავის არაგვის ხეობის ეკონომიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობები გარე სამყაროსთან ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი.

საგინაშვილი მ., 1970, ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბილისი.

საგინაშვილი მ., გაგოშიძე ი., 1973, ალგეთის ფიალა, „მაცნე“, №4, თბილისი.

საგინაშვილი მ., 1974, მინის ჭურჭელი თბილისიდან, „მაცნე“ №4, თბილისი.

საგინაშვილი მ., 1975, საკინძისთავების ერთი სახეობის შესახებ, მმ №37, თბილისი

საგინაშვილი მ.,1985, რელიეფურორნამენტიანი მინის ჭურჭელი ურბნისის სამაროვნიდან, სას, III, თბილისი.

საგინაშილი მ., 1994, რომაული სამყარო და იბერია მინის ნაწარმის მიხედვით (დასავლური იმპორტი) - აკც-ს II სამეცნიერო სესია: „მსოფლიოს კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), მოხსენებათა თეზისები, თბილისი

საგინაშვილი მ., 1998, გვიანრომაული მინის ფიალა ჭერემიდან, „ძიებანი“, №2, თბილისი.

საგინაშვილი მ., 2000, მინის სანელსაცხებლეების - Kohl-Tube-ების გავრცელება საქართველოში, „ძიებანი“, V, თბილისი.

სინაურიძე მ., 1968, ქიზიყის 1938-1939 წ.წ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები, სსმმ, XXV – B, თბილისი.

უგრელიძე ნ., 1951, ფარშევანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან, „მიმომხილველი“, II, თბილისი.

უგრელიძე ნ., 1954, ფეოდალურ საქართველოში მინის წარმოების ისტორიისათვის (რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1949-1950 წ.წ. მოპოვებული მინის ჭურჭელი); ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა V სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბილისი.

უგრელიძე ნ., 1961, მინა ძველ საქართველოში, თბილისი.

უგრელიძე ნ., 1963, ნატბეურის მინის საწარმო, მსკა, III, თბილისი.

უგრელიძე ნ., 1967, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბილისი.

უგრელიძე ნ., 1987, მინის ოთხი გრავირებული ჭურჭელი ბიჭვინთის ნაქალაქარიდან, ფსაძ, V, თბილისი.

ფირცხალავა მ., 1983, მინის ჭურჭელი, „ვანი, არქეოლოგიური გათხრები“, VII, თბილისი.

ფუთურიძე რ., 1975, ბიჭვინთის შიდა ციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები (XVI, XVII, XVIII ნაკვეთების 1961-1967 წ.წ. გათხრები), „დიდი პიტიუნტი“, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, I, თბილისი.

შალიკაძე თ., 2004, გვიანანტიკური და ადრე შუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან, - „გონიო-აფსაროსი“, V, ბათუმი

ჩართოლანი შ., 1976, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბილისი.

ჩართოლანი შ., 1990, ახალმშენებლობა და არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში, ძმ, №1, თბილისი.

ჩართოლანი შ., 1996, ძველი სვანეთი, თბილისი.

ჩიხლაძე ვ., 1990, ჟინვალის კატაკომბები, პრეპრინტი, თბილისი.

ჩიხლაძე ვ., 1990, ჟინვალის სამაროვნის მინის ჭურჭელი,- არქეოლოგიური ძიებანი, VII-VIII, თბილისი.

ჩიხლაძე ვ., 1994, ჟინვალი და გარე სამყარო (ჟინვალის სამაროვნის მასალების მიხედვით), აკც-ის II სამეცნიერო სესია. „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მასალებ-ის მიხედვით), თბილისი.

ჩიხლაძე ვ., 2007, ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული მძივები, - საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი.

ჩხაიძე ლ., 1979, ახლად აღმოჩენილი იმპორტული სანელსაცხებლე ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამაროვნიდან, სდსძ, VIII, თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ., 1963, ამირანის გორა, თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ., 1965, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 1967, სარკმლის მინის ისტორიისათვის ძველ საქართველოში, ასპირა-ნტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 1968, ფოსოებით შემკული მინის ჭურჭელი კუხეთის რუსთავის განათხარიდან, კრ. „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 1969, შუასაუკუნეთა რუსთავში მინის წარმოების ისტორიისათვის, ფსაძ, I, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 1974, თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი გვიანფეოდალური ხანის მინის ჭურჭელი, ფსაძ, II, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 1978, მინის ჭურჭელი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 1978, საქართველოში აღმოჩენილი სარკმლის მინა, ფსაძ, III, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 1982, მინის ნაწარმი ლამაზი გორიდან, ფსაძ, IV, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 1987, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძართან აღმოჩენილი მინის ნაწარმი, ფსაძ, V, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 1999, მინის ჭურჭელი რუსთავიდან, ძიებანი №4, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 2001, მინის წარმოება და მოხმარება ქართულ სოფელში, შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, I კონფერენცია, თბილისი

ჩხატარაშვილი მ., 2007, მინის წარმოება და მოხმარება განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოში (IX-XIV ს.ს.), საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი.

ჩხატარაშვილი მ., 2008, მინის ათი ბეჭედი რუსთავიდან, - საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ჭილაშვილი ლ., 1958, ქალაქი რუსთავი, თბილისი.

ჭილაშვილი ლ., 1964, ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი.

ჭილაშვილი ლ., 1970, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბილისი.

ხუსკივაძე ლ., 1984, შუასაუკუნეების ტიხრული მინანქარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბილისი.

ჯავახიშვილი ქ., 1972, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი.

ჯავახიშვილი ქ., 1975, პართული საბეჭდავი ურბნისიდან, „მაცნე“ , №4, თბილისი,

ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ., 1962,

ჯავახიშვილი ივ., 1960, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი.

ჯავახვიშილი ივ., 1965, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბილისი.

ჯაფარიძე ვ.მ. 1982, გზებისა და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხისათვის ეგრისში (ვარდციხის არქეოლოგიური მასალების მიხედვით), ფსაძ, IV, თბილისი.

ჯორბენაძე ბ., 1982, ერწო-თიანეთი შუასაუკუნეებში, თბილისი.

Абдуразаков А.А., Безбородов М.А., Заднепровский Ю.А., 1963, Стеклоделие Средней Азии в древности и средневековье, Ташкент.

Абдуразаков А.А., Безбородов М.А., 1966, Средневековые стекла Средней Азии (опыт химической характеристики), Ташкент.

Амиранашвили ДЖ. Ш., Тушишвили Н.Н., 1995, Отчет о работе Липской експедиции, ПАИ в 1987 году, Тбилиси.

Апакидзе А.М., Лордкипанидзе О.Д. 1960, Отчет о работах Причерноморской археологической экспедиции в 1959 г., сас, თბილისი.

Арциховский А.В., 1954, Основы археологии, Москва.

Арциховский А.В., 1930 Курганы вятичей, РАНИОН, Москва

Ахмедов Г.М., 1972 Средневековый город Байлакан (Историко - археологическое исследо-вание), Автореферат, Баку

Бадриашвили Н.И., 1934, Тифлиси

Байерн Ф., 1872, Исследование древних гробниц близ г.Мцхета, Сб. „Сведений о Кавказе“, 2, Тифлис.

Безбородов М.А., 1956, Стеклоделие в Древней Руси, Минск.

Безбородов М.А.,1969, Химия и технология древних и средневековых стекол, Минск.

Беленицкий А.М., Бентович И.Б., Большаков О.Г. 1973 Средневековый город Средней Азии, Ленинград.

Блюмен Л.М., 1954, Глазури

Ваидов Р.М., 1961, Мингечаур III-VIII вв. Баку.

Воронов Ю.Н., 1975, Тайна цебельдинской долины, Москва.

Гагошидзе Ю.М., 1975, К датировке могилъника Нерон Дереси (с. Санта Цалкского района Грузинской ССР), მაცნე №2, თბილისი

Гзелишвили И.А., 1964., Железоплавильное производство в древней Груэии. Тбилиси.

Джанполадян Р.М., 1969, Новые данные о стеклоделие Двина, КСИА АН СССР, вып.120, Москва.

Джанполадян Р.М., 1974, Средневековое стекло Двина IX-XIII В.В. АПАр, 7, Ереван.

Джапаридзе В.В., 1971, Краткий отчет Дманисской археологической экспедиции Гос. Музея Грузии за 1970 год. Тезисы докладов посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР, Тбилиси.

Жоржикашвили Л.Г., Гогадзе Э.М., 1974, Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы (раскопки 1936 -1940, 1947- 1948 г.г), Тбилиси.

История Византии, I, 1967, Москва.

Качалов Н. 1959, Стекло, Москва.

Кузнецов В.А., 1959, К вопросу о позднеаланской культуры Северного Кавказа СА, №2 Москва.

Кунина Н.З., 1997, Античное стекло в собрании Эрмитажа, Санкт-Петербург.

Кусаева С.С., 1961, Аланский катакомбный могильник XI-XII в.в. у станицы Змейской. Мате-риалы по археологии и древней истории Северной Осетии, т. I, Орджоникидзе.

Крупнов Е.И., 1960, Новые источники по древней и средновековой истории Северного Кавказа, КСИИМК, вып. 78. Москва.

Куфтин Б.А., 1941, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси.

Куфтин Б. А., 1948, Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе, Тбилиси.

Ланцетти А. Г., Нестеренко М. Л., 1972, Изготовление художественного стекла, Москва.

Левинсон Е. А., Смирнов Б. А., Шелковников Б. А., Энтелис Ф. С., 1935, Художественное

стекло и его применение в архитектуре, Москва-Ленинград.

Ломтатидзе Г. А., Мамайашвили Н. Ф., Чхатарашвили М. Н., 1971, К вопросу о культурных связах средневековой Грузии с Ираном (по археологическим материалам), Искусство и археология Ирана, - Всесоюзная конференция (1969г.).

Лордткипанидзе О. Д., 1957, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I-III в.в. н.э. (К изучению экономики городов Иберии античного периода), თსუ შრომები, ტ. 65. თბილისი.

Лукас А., 1958, Материалы и ремесленные производства древнего Египта., Москва.

Львова З. А., 1959, Стеклянные браслеты и бусы из Саркела-Белой Вежи, МИА, №75, Москва-Ленинград.

Максимова М. И., 1941, Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии, ენიმკის მოამბე, X, Тбилиси.

Максимова М. И., 1950, Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, სსმმ, XVI-B, თბილისი.

Микеладзе Т. К. и др., 1987, О работах колхидской археологической экспедиции, ПАИ в 1984- 1985, Тбилиси.

Нуриев А. Б., 1966, Стеклянные изделия и их производство в Кавказской Албании, Автореферат, Баку.

Павлов В.В., Ходжаш С. И., 1959, Художественное ремесло древнего Египта, Москва.

Рамишвили Р. М. и др., 1987, Изучение Арагвского ущелья, ПАИ в 1984-1985, Тбилиси.

Рамишвили Р. М. и др., 1997, Археологические исследования в бассейне р. Арагви и верховьях р. Терги, ПАИ в 1988, Тбилиси.

Рунич А. П., 1976, Захоронение вождя эпохи раннего средневековья из Кисловодской котловины, СА, №3, Москва.

Рыбаков Б. А., 1948, Ремесло. История культуры древней Руси, I, Москва-Ленинград

Сагинашвили М. Н., 1972, Стекло в позднеантичной Иберии, Автореферат, Тбилиси.

Синауридзе М. И., 1977, Результаты археологического изучения болнисского района, Тбилиси.

Сорокина Н. П., 1963, Позднеантичное и раннесредневековое стекло с Таманского городища, «Керамика и стекло древней Тмутаракани», Москва.

Сорокина Н. П., 1971, О стеклянных сосудах с каплями синего стекла из Причерноморья, СА, №4, Москва.

Сорокина Н. П., 1979, Стеклянные сосуды IV-V в.в. и хронология цебельдинских могилъников, КСИА, № 158, Москва.

Ткешелашвили О. В., 1991, О работе Цорбисской экспедиции, ПАИ в 1986, Тбилиси.

Угрелидзе Н.Н., 1955, К истории производства стекла в древней Грузии (стеклянные сосуды IV-VIII веков н.э. из Самтаврского могилника), Автореферат, Тбилиси.

Угрелидзе Н.Н., 1970, Кавказ и сопределъные страны по материалам стеклоделательного производства, I Miegryhadowy Kongres Archeologii Stowiankiej, t. V, Nadbitka.

Угрелидзе Н.Н., 1988, Об одной стеклоделательной мастерской средневековой Грузии. На-учная конференция по археологии Кавказа, «Средневековые города и городская жизнь Кавказа (в свете археологических данных)», Тезисы докладов, Тбилиси.

Угрелидзе Н.Н., 1989, Стеклоделие древней Грузии, XV International Congress on Glass, Leni-ngrad; Ленинград.

Флиттнер Н.,1922, Стеколъно-керамическое мастерское Тель-Амарны, Ежегодник Российского института истории и искусства, т. I., Петербург.

Хачатрян Ж. Д., 1976, Гарни, V, Античный некрополь (результаты раскопок 1956-1972 г.г.), АрА, №5 Ереван.

Хоштария Н.В., 1962, Археологические раскопки в Вани, «კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II», თბილისი.

Чихладзе В., 2004, Медальоны, обнаруженные на жинвальском могилънике.- Археология, Этнология, Фольклористика Кавказа, Тбилиси.

Чхатарашвили М. Н., 1977, Стекло средневековой Грузии (посуда, оконное стекло), Автореферат, Тбилиси.

Чхатарашвили М. Н., 1988, Стекло развитой средневековой Грузии, - Научная конференция по археологии Кавказа, «Средневековые города и городская жизнь Кавказа» (в свете археологических данных), Тезисы докладов, Тбилиси.

Чхатарашвили М. Н., 2002, Грузия и внешний мир в эпоху развитого средневековья (по стеклянным изделиям),- Международная научная конференция «Археология (IV) и Этнология (III) Кавказа», Тбилиси.

Чхатарашвили М. Н., 2004, Раннесредневековые стеклянные украшения из г. Рустави, Международная научная конференция «Археология, Этнология, Фольклористика Кавказа», Тбилиси.

Шуази О., 1937, История архитектуры, II, Москва.

Щапова Ю. Л., 1963, Стеклянные изделия средневековой Тмутаракани-«Керамика и стекло древней Тмутаракани», Москва.

Щапова Ю.Л., 1972, Стекло Киевской Руси, Москва.

Щапова Ю. Л., 1975, Из истории древнейшей технологии стекла, «Очерки технологии древнейших производств», Москва.

Berger E., 1927, Glasbereitung und Glas-Rohstoffgemenge vor rweitausendfufhudert Jahren, Glastechniche Berichte, Bd. S., H. 4.

Davidson G. 1940, A Mediaval Glass-factory of Corinth-AJA, vol. XLIV, №3

Harden D., 1966, Come Glass Fragments, Mainly of the 12th-13th Century a.d. from Northern

Apu-lia. JGS, vol. VIII.

Journal of Glass Studies, vol. 10, 1968.

Lamm C., 1928, Das Glass von Samarra, Berlin.

Lamm C., 1935, Glass from Iran in the National Museum Stockholm, Stockholm-London.

Nenburger A., 1919, Die Technik des Alteztumes, Leipzig.

Petrie F., 1926, Glass in the Early Ages, Journal Society of Glass technology, vol. X, №39.

Philippe T., 1970, Le mode Byzantin dans I`histoire de la vereririe (Ve-XVIe siecle), Bologna.

Smith W., 1957, Glass from the Ancient World, New York.

ტაბულების აღწერა

I. მინისებური ნივთიერების მძივები ურბნისის სამაროვნიდან, ძვ.წ. III ათასწლეული.

II. ოქროს თასი მოოჭვილი მინისებური პასტის მძივებითა და სარდიონით, თრიალეთის ყორღანიდან, ძვ. წ. II ათასწლეული; შავი მინის სანელსაცხებლე და თეთრი მინის ჩამოსხმული ფიალა თრიალეთის სამარხებიდან - ძვ. წ. I ათასწლეული (ძვ. წ. V-IV სს).

III. ფერადი მინის ფიგურული სანელსაცხებლეები, რელიეფური ორნამენტით შემკული - ურბნისის სამარხებიდან, ახ. წ. I ს.; სურა ცისფერი მინისა, მცხეთა-სამთავრო, ახ. წ. II ს.

IV. სანელსაცხებლეები რუსთავის სამარხებიდან - IV-V სს.

V. ხალიანი მინის ჭურჭელი ციხისძირიდან, IV-V სს.; ფეხიანი ლამპარი იყალთოდან - VI-VII სს.; ფეხიანი სასმისი მცხეთა-სამთავროდან და ფაცეტებიანი სასმისი რუსთავიდან - VI-VIII სს.

VI. ორბეთის მინის საწარმოს გადანაყარი: მინის ბეჭდები, სამაჯურები, სმალტის სამოზაიკო კენჭები - VIII-IX სს.; 3 სანელსაცხებლე VI-VIII სს.

VII. მინის ჭურჭელი თბილისიდან, რუსთავიდან, სიონიდან - IX-XIII სს.

VIII. მინის სამკაული ორბეთის მინის საწარმოდან და შუასაუკუნეების ნაქალაქარებიდან, IX-XIII სს.

IX. სარკმლის მინა, სწორკუთხოვანი ფირფიტები ბიჭვინთიდან - IV ს.

X. სარკმლის მინა, მრგვალი და სწორკუთხოვანი ფირფიტები ყულევიდან - VI ს. II ნახ. – VIII ს. I ნახ.

XI. სარკმლის ჩარჩოს ნატეხი შიგ ჩარჩენილი მწვანე მინის კიდით (რეკონსტუქცია) და სარკმლის მინის დატვიფრულორნამენტიანი ფირფიტის ნატეხები რუსთავის ნაციხვარიდან - XII-XIII სს.

XII. წრომის ეკლესიის ჩარჩოს ნატეხი - VII ს.; ერთაწმინდის ეკლესიის სარკმელი - XII-XIII სს.

ტაბულა I



ტაბულა II

ტაბულა III

ტაბულა IV



ტაბულა V









ტაბულა VI

ტაბულა VII



ტაბულა VIII


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
0 1 2 3
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
0 1 2

ტაბულა IX



ტაბულა X



ტაბულა XI





ტაბულა XII





ი უ ლ ო ნ გ ა გ ო შ ი ძ ე

აბრეშუმის გზა და საქართველო

ტერმინი - ,,აბრეშუმის გზა" დიდად პოპულარული გახდა XX-XXI საუკუნეთა მიჯნის საქართველოში და ეს გამართლებულიც არის, რამდენადაც დღეს სწორედ საქართველოზე გადის ერთი მონაკვეთი შორეული აღმოსავლეთისა და ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი და ერთ-ერთი ყველაზე უფრო პერსპექტიული სავაჭრო-სატრანზიტო გზისა, რომელიც ნაწილობრივ უკვე ამოქმედდა და რომელსაც დღევანდელმა პოლიტიკოსებმა შორეული წარსულიდან მოხმობილი სახელი _ ,,აბრეშუმის გზა" უწოდეს.

აბრეშუმის დიდი გზა წარსულში, ანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებში ჩინეთს აკავშირებდა ხმელთაშუაზღვისპირეთთან და ამ გზით ძვირფასი ჩინური აბრეშუმის ქსოვილები წინააზიისა და ევროპის ქვეყნებში შეჰქონდათ. აბრეშუმის გზა ქრისტესშობამდე II-I საუკუნეში ამოქმედდა და მისი მთავარი მაგისტრალი, რომელიც საქართველოდან სამხრეთით, ირანის, ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე გადიოდა, ძველი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების - პართიისა და რომის, სასანელთა სპარსეთისა და ბიზანტიის, არაბთა ხალიფატის, სელჯუკთა, მონღოლთა და ოსმანთა იმპერიების გამუდმებული ზრუნვის ობიექტი, მასზე კონტროლი კი ურთიერთქიშპობისა და იმპერიებს შორის ომების ძირითადი მიზეზი იყო. შუასაუკუნეებში აბრეშუმის გზის ამ სამხრეთულ მარშრუტს დროდადრო ენაცვლებოდა ხოლმე გზის ჩრდილოური განშტოება, რომელიც ჩრდილოეთიდან უვლიდა კასპიის ზღვას და ჩრდილო კავკასიის გავლით შავიზღვის ნაპირებს აღწევდა.

გამოთქმულიაამოსაზრება,რომაბრეშუმისგზათავიდანვესაქართველოსადაამიერკავკასიაზეც გადიოდა, თუმცა აქამდე ვერავინ მოახერხა ამ მოსაზრების დოკუმენტურად დასაბუთება. კიდევ მეტი, დღემდე არ გაგვაჩნდა რაიმე ნივთიერი საბუთი იმის დასადასტურებლადაც კი, რომ ანტიკურ ხანაში საქართველო საერთოდ ჩართული იყო აბრეშუმით ვაჭრობაში.

მაგრამ 2005 წელს ნავსი გატყდა და საქართველოში ასეთი საბუთი აღმოჩნდა.

კულტურის, ძეგლთადაცვისა და სპორტის სამინისტრომ 2004 წელს განაახლა საველე არქეოლოგიური სამუშაოების 1992 წელს შეწყვეტილი დაფინანსება და საქართველოს ეროვნული მუზეუმის (ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმის) შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამაც განაახლა უსახსრობის გამო შეწყვეტილი არქეოლოგიური გათხრები ქარელის რაიონში, დედოფლისგორაზე, სადაც მიკვლეულია და 1986 წლიდან ითხრებოდა ანტიკური ხანის ქართლის მეფეთა სასახლის ნანგრევები. ქრისტესშობამდე II საუკუნის დასასრულს აშენებული ვრცელი სასახლე (ფართობი, დაახლ. 4000 კვ.მ) მიწისძვრამ და მიწისძვრით გამოწვეულმა ძლიერმა ხანძარმა იმსხვერპლა, დაახლოებით, ჩვენი წელთაღრიცხვის 80 წელს. კატასტროფა იმდენად უეცარი იყო, რომ სასახლიდან ვერაფრის გატანა ვერ მოუსწრიათ და შენობის ზედა სართულების ხანძარში დამწვარ-დადუღებულმა ნანგრევმა საიმედოდ დაფლა და დღემდე ხელუხლებლად შემოგვინახა პირველი სართულის ოთახები, მთელი თავისი შიგთავსით. პირველ სართულზე ცეცხლი ისე ძლიერი არ ყოფილა, როგორც ზევით, ამიტომ აქ ხის ნაკეთობები და ქსოვილებიც კი გადაურჩა განადგურებას, ხოლო ზედა სართულების ნანგრევი, რომლის სისქე ოთხ მეტრს აღწევს, დაუძლეველ წინაღობად იქცა განძის მაძიებელთათვის, რომლებმაც ვერა

და ვერ ჩააღწიეს სასახლის იატაკამდე. ამიტომ არის ესოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი დედოფლისგორის სამეფო სასახლის გათხრებით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა: ექსპედიციამ აქამდე სულ 22 ოთახი გათხარა და შედეგად მუზეუმში შეიტანა ათიათასზე მეტი ექსპონატი: შრომისა და საბრძოლო იარაღ-საჭურველი, სხვადასხვა ლითონის, მინის, ძვლის, ხისა და თიხის ჭურჭელი, ოქროს და ვერცხლის მონეტები, ნაირ-ნაირი სამკაული, საბეჭდავები და ანაბეჭდებიანი თიხის ბულები, კამათლები, კოჭები, ძვლის მოხატული ბანქოს მაგვარი სათამაშო-სამკითხავო ფირფიტები, დანახშირებული მარცვლეული, ავეჯის, ბადეების, ტანსაცმლის, სხვადასხვა ხილისა და საჭმლის ნაშთები და სხვ. ძნელია დაასახელო ადამიანისყოფაში სახმარი ისეთი ნივთი, დედოფლისგორის სასახლის გათხრისას რომ არ გვეპოვოს.

იმ ერთადერთმა №18 ოთახმა, რომლის გათხრა, მიუხედავად დაფინანსების სიმწირისა, 2005 წელს მაინც მოვახერხეთ, გაგვაოცა: ოთახის იატაკი მთლიანად დაფარული იყო სხვადასხვა სისქის თასმებითა და თოკებით, ოთახის ცენტრში კი საქსოვი დაზგის დანახშირებული ნაშთი აღმოჩნდა. აშკარაა, რომ საქმე გვქონდა ტექსტილის დამამზადებელ სახელოსნოსთან. კიდევ უფრო გამაოგნებელი შედეგი მოგვცა თოკებისა და ქსოვილების ნაშთების მიკროსკოპულმა ანალიზმა, რომელიც ჩაატარა პალეობიოლოგმა (პალინოლოგმა) ელისო ყვავაძემ: გარდა სელის, კანაფისა და ჭილისა, რაც ჩვეულებრივია საქართველოსთვის, იქ აღმოჩნდა ბამბა, ალბათ, ინდოეთიდან შემოტანილი, და აბრეშუმი!

გ. ლომთათიძეს მიაჩნდა, რომ აბრეშუმის წარმოება VI საუკუნეში დაიწყო, მაგრამ იმ დროს (ანტიკურ ხანაში) აბრეშუმი მხოლოდ ჩინეთში მზადდებოდა და ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩინელებს, რომლებიც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ და იცავდნენ აბრეშუმის წარმოების საიდუმლოს, ქვეყნიდან გასაყიდად აბრეშუმის ნართი გაეტანათ: გაცილებით უფრო სარფიანი იყო მზა პროდუქციის, ე.ი.ქსოვილების ექსპორტი. ამდენად, უფრო სავარაუდოა, რომ დედოფლისგორის სასახლის სახელოსნოში ჩინური აბრეშუმის ქსოვილს შლიდნენ და ხელახლა ქსოვდნენ მას ბამბასთან ერთად. ცნობილია, რომ აბრეშუმნარევი ბამბის ასეთ ქსოვილებს, როგორც უაღრესად ძვირადღირებული სუფთა (ჩინური) აბრეშუმის ქსოვილების შემცვლელს, ამზადებდნენ იმჟამინდელ რომში. როგორც ჩანს, საქართველოშიც მისდევდნენ ასეთ პრაქტიკას (თუმცა გულწრფელად რომ ითქვას, სრული დარწმუნებით ნართის ჩინეთიდან ექსპორტის შესაძლებლობის გამორიცხვაც არ შეიძლება).

რამდენად სწორია ჩვენი ეს ვარაუდი, ამას, იმედია, დედოფლისგორის სამეფო სასახლის შემდგომი არქეოლოგიური გათხრები გაარკვევს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ:

1. დედოფლისგორაზე აღმოჩენილია აბრეშუმი - პირველი ნივთიერი საბუთი იმისა, რომ საქართველო უკვე პირველ საუკუნეში ჩართული იყო აბრეშუმით საერთაშორისო ვაჭრობაში, ე.ი. დაკავშირებული იყო აბრეშუმის დიდ გზასთან თითქმის ამ უკანასკნელის ამოქმედებისთანავე.

2.დედოფლისგორის სამეფო სასახლეში აღმოჩენილი აბრეშუმი ჯერჯერობით უძველესია არათუ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში.

ინგა დემეტრაშვილი

ქვამტყორცნი იარაღების კვალი რუსთავის ნაქალაქარზე

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული განვითარებული შუასაუკუნეებისა და, ხშირ შემთხვევაში, გვიან შუასაუკუნეების საბრძოლო ხელოვნებაში დიდი ადგილი უკავია ქვამტყორცნ იარაღებს. შუასაუკუნეებში ამ მანქანებს მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ამ ეპოქაში ბრძოლის წარმოება ძირითადად საალყო ვითარებას გულისხმობს[1]. ეს მექანიზმები კი სწორედ საალყო ტექნიკას წარმოადგენდა.

ამ იარაღებს ძირითადად, ორ ტიპად ყოფენ: 1) ერთმხრიანი ქვამტყორცნი, თოკის ერთი ხვეულათი, შუასაუკუნეებში ამ იარაღს ტრებუშეტს უწოდებენ (ტაბ. I). 2) ორმხრიანი, თოკის ორი ხვეულათი და „ლულით“, რომელსაც ბერძნები კატაპულტს უწოდებდნენ (ტაბ. II).

ტრებუშეტი ხის გრძელ ძელს წარმოადგენდა, რომელიც სადგარზე იყო დამაგრებული და მასზე არათანაბრად - განაწილებული (ტაბ.1). მის მოკლე ბოლოზე თოკები იყო დამაგრებული, ხოლო გრძელზე - შურდული. ტრებუშეტის მოქმედებაში მოსაყვანად მსროლელები ექაჩებოდნენ თოკებს და მერე ერთბაშად უშვებდნენ. „სინქრონი“ ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანი იყო რამდენადაც ჭურვის სროლის ეფექტურობა ამაზე იყო დამოკიდებული. ეს მანქანები ჭურვებს ისროდნენ საშუალოდ 80 დან 200 მ - ის სიგრძეზე. ეს მანძილი საკმარისი იყო იმისთვის, რომ მეციხოვნეების მიერ ნასროლ ისრებს ვერ მიეღწიათ მსროლელებამდე (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სატყორცნ იარაღებს იყენებდნენ მეციხოვნეებიც).

კატაპულტის კონსტრუქცია შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან: ჩარჩო, „ლულა“ (ღარი) და ბაზისი (ტაბ II). ეს იარაღი წარმოადგენს სასხლეტიან მოწყობილობას, რომლის ორი დრეკადი ხვეულას ენერგია, თოკის დახმარებით, გადაეცემა სასროლ ჭურვს. ვერტიკალურად მდგარი ჩარჩო ფორმირდება ორი ჰორიზონტალური ღარიანი კარკასით – პერიტრეტებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ვერტიკალური, ორი შიდა და ორი გარე სვეტით. ორ შიდა სვეტს შორის მოთავსებულია „ლულა“, ხოლო შიდა და გარე სვეტებს შორის ვერტიკალურად გაჭიმულია თოკის ორი ხვეულა, მათში ჩადგმული ბერკეტებით. ორივე ხვეულას ერთნაირად დაჭიმვას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მცირე შეცდომაც კი აისახებოდა ჭურვის ტრაექტორიაზე.

რამდენადაც ეს იარაღები, ძირითადად, ხის კონსტრუქციებს წარმოადგენდა, არქეოლოგიურად მათი დადასტურება ვერ ხერხდება. მათი რეკონსტრუქციის ძირითად წყაროს წერილობითი ისტორიული მონაცემები[2] და ამ იარაღებიდან ნასროლი ჭურვები წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე შუასაუკუნეებში გამოყენებულ ქვამტყორცნ იარაღთა კვალი

---

[1] Philippe Contamine, War in the Middle Ages (oxford, 1984), 101

[2] Вестник Древней Истории, Греческие Полиоркетики. N 3-4, М., 1940; Вестник Древней Истории, Техника военного дела М., 1948; საალყო იარაღთა კონსტრუქციებისთვის იხ. აგრეთვე В.Ф. Шперк, Фортификация древнего мира. ტ. I. “ВИА” М., 1948; Б. Кемпбелл, Военная История Человечества, Искусство Осады. М., 2008; К. Носов, Военная История Человечества, Осадная Техника. М., 2010;
A. Mc Nicoll, La Fortification Dans L’histoire Du Monde Grec, Developments in Techniques of Siegecraft and Fortification in the Greek World, ca 400-100 B.C. Paris 1986

რამდენიმე ნაქალაქარზე შეინიშნება[3], მათ შორის რუსთავის ნაქალაქარზეც.

ქვამტყორცნ იარაღთა საილუსტრაციოდ რუსთავის ნაქალაქარის აღმოჩენები ძალიან საყურადღებოა. აქ მასალა, ძირითადად, წარმოდგენილია ჯურვებისა და შურდულის ქვების სახით. რუსთავის ქვის ბირთვები ხუთ ჯგუფად შეიძლება დაიყოს თავისი დიამეტრისა და წონის მიხედვით (ტაბ. III):

დიამეტრი	წონა
24სმ	14კგ
14-17სმ	5-6კგ
12-13სმ	1,8-2,7კგ
8-11სმ	750გრ-1,5კგ
5-7სმ	350-500გრ

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული გვიანშუასაუკუნეებამდე, იქამდე, სანამ ცეცხლსაფრ-ქვევი იარაღები შეიქმნებოდა გამოიყენებდნენ ქვამტყორცნ იარაღებს. ამ პერიოდის განმავლობაში ისინი ძირეულ ცვლილებას არ განიცდიან. რა თქმა უნდა, არც ჯურვები განიცდის ცვლილებას. ესე იგი, ის სტანდარტები, რაც ფილონ ბიზანტიელს აქვს მოცემული, ძვ.წ. III საუკუნეში არ იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავში აღმოჩენილი ქვის ბირთვები ზუსტად არ ემთხვევა ფილონის მონაცემებს[4], ისინი პროპორციულად მაინც ერთი და იგივეა. რუსთავის ჯურვები შედარებით მცირე ზომისაა, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ გამოყენებული ქვამტყორცნებიც არ არის დიდი. ეს ლოგიკურიცაა, რადგან მასშტაბური ზომის იარაღების გაკეთება უფრო რთული და ძვირი იყო და თანაც, რუსთავის ციხის წინააღმდეგ მათი გამოყენების საჭიროება არ არსებობდა.

ქვის ბირთვების ზომა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ქვამტყორცნთა კალიბრი განისაზღვრება ჯურვის წონის მიხედვით და გამოითვლება ფორმულით:

$K(\text{კალიბრი})=1.1\sqrt[3]{100\mu}$ [5]

სადაც μ აღნიშნავს ჯურვის მასას (მინებში[6]).

აქ აღმოჩენილი ჯურვების ზომებისა და მათი ფორმების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ მეციხოვნეების წინააღმდეგ გამოყენებული იყო ორივე სახეობის (ანუ ერთმხრიანი და ორმხრიანი) ქვამტყორცნი იარაღი. ბოლო ჯგუფის ბირთვები, ალბათ, შურდულის ქვებს წარმოადგენს. მეოთხე ჯგუფის ჯურვები (უკლებლივ ყველა) კარგად არის დამუშავებული. სავარაუდოდ, ეს ბირთვები ე.წ. კატაპულტით, ანუ ორმხრიანი იარაღით უნდა იყოს ნასროლი. ხოლო დანარჩენი, - ნაკლებად დამუშავებული ჯურვები ტრებუშეტით, ანუ ერთმხრიანი იარაღით (კატაპულტი ისვრის მხოლოდ იმ ზომის ჯურვს რაც კონკრეტულად მისთვის არის განკუთვნილი, ტრებუშეტი კი - ნებისმიერი ზომისა და ფორმის ჯურვს).

---

[3] საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჯურვებისთვის იხ. გ. გამყრელიძე, მ. ფირცხლავა, გ. ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. „არტანუჯი“. თბ., 2005. გვ:100; Г. Лордкипанидзе, К Истории Древней Колхиды, ”Ганатлеба” Тб., 1970. გვ. 34; Г.К. Шамба, Эшерское Городище. “Мецниереба” თბ., 1980. ტაბ. LXV

[4] მონაცემებისთვის იხ. Эллинистическая техника, И.И. Толстой , Издательство Академии Наук СССР. М.Л., 1948. გვ. 289.

[5] Эллинистическая Техника, И.И. Толстой , Издательство Академии Наук СССР. М.Л., 1948. გვ. 288

[6] მინი – წონის საზომი ერთეული 1მინი = 436გრ.

ისტორიული მონაცემების თანახმად, რუსთავის ნაქალაქარი მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა ყოფილიყო საალყო მდგომარეობაში[7]. ეს ვითარება არქეოლოგიურადაც დასტურდება. სასიმაგრო ზოლის თავდაპირველი კედლები ორჯერ არის გადაკეთებული, როგორც ჩანს, რეკონსტრუქცია ნგრევების შემდეგ გაუკეთეს (ტაბ. IV).

რუსთავის ციხის აღება საკმაოდ რთული უნდა ყოფილიყო. სირთულეს ქმნიდა ციხის მდებარეობა (ტაბ. 5). ციხე თითქმის სრულად ოთხივე მხრიდან წყლით იყო შემოსაზღვრული - დასავლეთი მხრიდან მდინარე მტკვრით, ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ხელოვნური არხით. წყალი მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან არ ჩამოუდიოდა, კარიბჭეც ამ მხარეს უნდა ყოფილიყო. ამგვარი მდებარეობით მისი აღება ნამდვილად გაუჭირდებოდათ.

ისტორიულ წყაროებში რუსთავის ციხის აღების სტრატეგიაზე ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა, სავარაუდო სურათის აღდგენა შესაძლებელია. თუ სარწმუნოდ ჩავთვლით იმ მოსაზრებას, რომ კარიბჭე სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა და ერთადერთ „მშრალ“ წერტილს ეს მხარე წარმოადგენდა, მაშინ ლოგიკურია თუ ვიფიქრებთ, რომ მტერი, ამ მხრიდან უნდა მოსდგომოდა ციხეს. მაგრამ აქ მომხვდურს საფრთხეს უქმნის არხის მეორე მხარეს არსებული ბორცვი, რომელზედაც ქალაქის დასახლება იყო. ეს შემაღლება ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენდა, რომელიც იცავდა კარიბჭეს მარჯვენა მხრიდან. კარიბჭეზე თავდასხმისას მოწინააღმდეგე ბორცვისკენ დგებოდა დაუცველი, მარჯვენა მხრით (ანუ ის მხარე რომლითაც ფარი არ ეკავათ), იქიდან კი მეციხოვნეებს მიზანში ჰყავდათ ამოღებული. ასე რომ, თავდამსხმელებს ჯერ ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს მდებარე „პლატფორმა“ უნდა დაეკავებინათ და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა ეფექტური კარიბჭეზე იერიშის მიტანა. ამ შემაღლების დაკავებას კიდევ ერთი დადებითი მხარე ჰქონდა. როგორც უკვე აღვნიშნე, ციხე წყლით იყო შემოსაზღვრული, ამდენად მის კედლებთან საალყო ტექნიკის განთავსებას ვერ მოახერხებდნენ. ასე რომ, ციხის „პარალელური“ ბორცვი არტილერიის განსათავსებლად საუკეთესო ადგილი იყო. სამწუხაროდ, დღევანდელი მონაცემებით რთულია დაკონკრეტებით რაიმეს თქმა და სრული სურათის აღდგენა.

რუსთავი შუასაუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქია. იგი მდებარეობს საქარავნო გზების გადაკვეთაზე და მისი პყრობით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, ხვადასხვა ეპოქაში ბევრი იყო დაინტერესებული. ამას ადასტურებს ციხეზე აღმოჩენილი ქვის ბირთვებიც. ცხადია, რუსთავი დიდი მნიშვნელობის რომ არ ყოფილიყო, აქ ბრძოლის კვალსაც ვერ მივაკვლევდით, მით უმეტეს, რომ ომის წარმოება ყოველთვის დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

რუსთავის ციხეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი და მომავალში ეს საკითხები უფრო ნათელი გახდება.

[7] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ.331-334 ტ; I. თბ; 1955; თინა არჩვაძე, ცისანა ჩიკოიძე, მერი ჩხატარაშვილი, რუსთავში გათხრილი საერო სასახლე, რუსთავი III, თბ. 2005

ლიტერატურა:

1. 1. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა ტ; I. თბ; 1955
2. 2. თ. არჩვაძე, ც. ჩიკოიძე, მ. ჩხატარაშვილი, რუთავში გათხრილი საერო სასახლე, კრ. რუსთავი Ш, თბ. 2005
3. 3. გ. გამყრელიძე, მ. ფირცხლავა, გ. ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. „არტანუჯი“. თბ., 2005
4. 4. Вестник Древней Истории, Греческие полиоркетики, N 3-4, М., 1940
5. 5. Вестник Древней Истории, Техника военного дела, М., 1948
6. 6. В.Ф. Шперк, Фортификация древнего мира, ტ. I. “ВИА” М., 1948
7. 7. Б. Кемпбелл, Военная история человечества, Искусство осады, М., 2008;
8. 8. К. Носов, Военная история человечества, Осадная техника, М., 2010;
9. 9. И.И. Толстой, Эллинистическая техника, Издательство Академии Наук СССР, М.Л., 1948
10. 10. Г. Лордкипанидзе, К Истории Древней Колхиды, ”Ганатлеба” Тб., 1970.
11. 11. Г.К. Шамба, Эшерское городище, “Мецниереба” თბ., 1980.
12. 12. Philippe Contamine, War in the Middle Ages; oxford, 1984
13. 13. A. Mc Nicoll, La Fortification Dans L’histoire Du Monde Grec, Developments in Techniques of Siegecraft and Fortification in the Greek World, ca 400-100 B.C. Paris 1986
14. 14. Scientific American, Ancient Catapults, March 1979

ტაბულები:

I - ტრებუშეტი

II - კატაპულტი

III - რუსთავის ჭურვების კლასიფიკაცია

IV - რუსთავის ციხე

V - რუსთავის ციხე-ქალაქი, ს. ჯაფარიძის ჩანახატი

ტაბულა I



ტაბულა II


TORSION SPRING
RIGID BOW ARM
UNIVERSAL JOINT
PEDESTAL
SLIDER
CLAW AND TRIGGER
CIRCULAR RATCHET
WINCH
STOCK

ტაბულა III











ტაბულა IV



შენახნაღლი და ხაოთხენრეაკეთ ობიექტები:

1 ზღუდე, 2 ამაზოები, 3 ხახახლე.

ტაბულა V



მ ა ნ ა ნ ა ხ ა ვ თ ა ს ი

რუსთავში აღმოჩენილი გულსაკიდი ჯვრები

ჯვრის სიმბოლიკა არაერთგვაროვანი იყო ცივილიზებული სამყაროს არსებობის სხვადასხვა ეტაპზე. მაგრამ ჯვარს განსაკუთრებით გამორჩეული ადგილი უჭირავს ქრისტიანულ რელიგიაში.

შუასაუკუნეებში გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების ჯვარი. მათ შორისაა გულსაკიდი ჯვრები. რუსთავში აღმოჩენილია ფორმის მიხედვით განსხვავებული 4 ტიპის გულსაკიდი ჯვარი.

I ტიპი: ჯვრები, რომელთა მკლავის ბოლოები შემკულია ოვალური ფორმის, ე.წ. „ცრემლებით“ (სურ. 1 და 2).

ამ ტიპის ჯვრები ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტიანულ ქვეყნებში. მრავლად გვხვდება მისი გამოსახულებები საქართველოს საკულტო არქიტექტურაშიც უკვე VI საუკუნიდან. მისი სახესხვაობები იჩენს თავს განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდშიც [დოლაბერიძე 1973, 22-23]. საზოგადოდ ამ ტიპის ჯვრის ფორმა ჩნდება IV საუკუნეში1, როცა ელენე დედოფლისა და იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით იესო ქრისტეს წამების ადგილზე, გოლგოთის მთაზე, აღმართეს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს ჯვარი - „სიდიდითა და გარეგნული ფორმით ზუსტად იმ წმინდა ჯვრის მსგავსი, რომელზეც აწამეს ქრისტე“ [Айналов 1895, 48]. მკვლევარ დ. აინალოვის აზრით, სწორედ ეს ჯვარია გამოსახული რომის წმ. პუდენციანას ეკლესიის 384-398 წლებით დათარიღებულ მოზაიკაზე [Айналов 1895, 45-48]. იგი ასე აღწერს ამ ჯვრის მორთულობას: „ ... ჯვრის მკლავები მოოჭვილია მსხვილი მარგალიტების ან, შესაძლოა, მთის ბროლის რიგებით, ხოლო მათი ბოლოები ოქროს დიდი ნუშისებური ცრემლების ფორმის (guttae) მორთულობით“ [Айналов 1895, 46]. ამ ჯვრის ქვედა მკლავი დანარჩენ მკლავებთან შედარებით ძალზე დაგრძელებულია, ხოლო ეს უკანასკნელნი სიდიდით ერთმანეთის ტოლია [Айналов 1895, 34. სურ. 5].

ამგვარად, ცრემლისებური მორთულობა თავდაპირველად ჩნდება „მეწამულ“ ჯვარზე, რომლის ქვედა მკლავი დაგრძელებულია დანარჩენ მკლავებთან შედარებით. მაგრამ, რადგანაც „ცრემლები“ ჯვრის სამკაულად იყო გამოყენებული, ამიტომ მალე ამგვარი მორთულობით დამშვენდა ტოლმკლავა „ჯვარი ძლევისაჲც“. ჩვენს ხელთ არსებული უცხოური წყაროების მიხედვით ჩანს, რომ V-VI საუკუნეებში უკვე გვხვდება ე.წ. „ცრემლებით“ შემკული როგორც ტოლმკლავა [Ross 1965, სურ. 64. ტაბ. XL, ჯვარი ეგვიპტიდან], ასევე დაგრძელებულ ქვედა მკლავიანი გულსაკიდი ჯვრები [Helene Stathatos 1963, ტაბ. XLVI, 241]. ეჩმიაძინის 989 წლის სახარების გარსაკრავის VI-VII საუკუნეების დიპტიხზე ჯვრის ამაღლების სცენაშიც გვხვდება ტოლმკლავა „ცრემლებიანი“ ჯვარი.

ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე შემორჩენილი ცრემლისებური ბურთულებით შემკული ჯვრების შესწავლა ასეთ სურათს იძლევა:

ა) „მეწამული“ ჯვარი (ქვედა მკლავი გრძელია დანარჩენებზე და ძალიან ჰგავს რუსთავის გულსაკიდ ჯვარს - სურ. 1) გამოსახულია შემდეგ ტაძრებზე: მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიაზე (VI ს.), წრომი (626-634 წწ) [შმერლინგი 1954, 30, 32], ატენის სიონის აგების თანადროულად მიჩნეული მოხატული ე.წ. „აყვავებული“ ჯვრები (VII ს.) [ატენი 1984, 15, სურ. 8,1; 8,2; 16, სურ. 9,1; 9,2], მარტვილის აღმოსავლეთის ფასადის ფრიზზე (VII ს) [Аладашвили 1977, 48,

სურ.50], ბედია (X-XI სს), პარხალი (X ს.), სამთავისი (1030 წ.), გუმბათი (X-XI სს), ახტალა (XIII ს.) [შმერლინგი 1954, 43, 47,64 56, 76-78], ვალე (X ს.) [ვ. ბერიძე 1950, ტაბ. $9_{2,3}$], ფოთოლეთის კანკელზე (X ს.) [Шмерлинг 1962, ტაბ. 22_2-23_{1-2}] და სხვა.

ბ) „ჯვარი ძლევისაჲ“ (ტოლმკლავა ჯვარი) გამოსახულია შემდეგ ტაძრებზე: მცხეთის დიდ ეკლესიაზე (VI-VII სს მიჯნა) [Аладашвили 1977, 35, სურ. 32], წრომის აგების თანადროულ მოხატულობაზე (626-634 წწ) [Шевякова 1983, 6 ტაბ. 12, 13], დავით გარეჯის კომპლექსის საბერეების ერთ-ერთი ეკლესიის ფრესკაზე (IX ს) [Шевякова 1983, 11 ტაბ. 30, 32], ზემო სკრა (X ს.), ხცისი (X-XI სს) დისევი (X ს), დიღომი (X-XI სს), მგელციხე (X ს.) [შმერლინგი 1954, 37, 48, 45, 44], კაცხი (XI ს.) [ვ. ბერიძე 1950, ტაბ. 29_1], სავანე (XI ს) [ვ. ბერიძე 1942, 119, ტაბ. 25] და სხვა.

ამრიგად, ქართული არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის შემორჩენილი ნიმუშების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ უადრესი ჯვარი, შემკული „ცრემლისებური“ ბურთულებით, არის ჯვრის მცირე ეკლესიაზე (VI ს.) და „მეწამულის“ ფორმისაა, ხოლო VII საუკუნიდან ასეთი შემკობა ახასიათებს როგორც „მეწამულს“, ასევე „ ძლევის“ ჯვარსაც. ამასთან, ისინი თანაარსებობენ განვითარებულ შუასაუკუნეებშიც. ხოლო გვიანი შუასაუკუნეების ხანაში მსგავსი შემკობა შემორჩა, უპირატესად, დიდი ზომის გამოსატან ე.წ. საპროცესიო ჯვარს. შესაბამისად, ცრემლისებური ბურთულებით დამშვენებული ჯვრების ქრონოლოგიური კლასიფიკაცია ჯვრის მკლავების სიდიდის მიხედვით ვერ ხერხდება.

რაც შეეხება რუსთავში აღმოჩენილ ამ ტიპის ჯვარს (სურ. 1, გამოქვეყნებულია ნაშრომში Иващенко 1988, 74-75, ტაბ. XXVII, 48). იგი მკლავების დამუშავების მიხედვით არ ჰგავს ჩვენთვის ცნობილ არცერთ საქართველოში ნაპოვნ გულსაკიდ ჯვარს. მას კიდეებზე მთლიანად შემოუყვება ჩაჭდევით გაკეთებული ხაზი, რომელიც ქმნის „ჩარჩოს“. მასში თითოეულ მკლავზე რელიეფურად ამოყვანილია (ამოსულია) ტოლგვერდა სამკუთხედი. გამოსახვის მანერით აღნიშნული სამკუთხედი მოგვაგონებს ე.წ. „ბოლნური“ ტოლმკლავა ჯვრისთვის დამახასიათებელი მედალიონის ტოლფერდა სამკუთხედებს. მსგავსი ხერხითაა დამუშავებული ჯვრები შემდეგი ეკლესიების ბარელიეფებზე: უკანგორი (VI ს.), აკვანება (VI ს.), წრომი (VII ს), პარხალი (X ს.), ბედია (X-XI სს) (სადაც აღნიშნული ტოლგვერდა სამკუთხედები ტყუპ-ტყუპადაა თითოეულ მკლავზე), გუმბათი (X-XI სს) [შმერლინგი 1954, 31, 29, 32, 34, 47, 56] და სხვა. გამოდის, რომ ვერც მკლავის დამუშავების ამგვარი ხერხი დაგვეხმარება რუსთავის აღნიშნული ჯვრის თარიღის დაზუსტებაში[2].

საყურადღებოა, რუსთავში აღმოჩენლი „ცრემლიანი“ ჯვრების ყუნწის დამუშავების მანერა. ორივე ჯვრის ყუნწი მრგვალი ფორმისაა. ოღონდ, ვერცხლის ჯვრის ყუნწზე ორივე მხრიდან 2 ვერტიკალური ღარია (სურ, 1), ხოლო სპილენძისაზე (სურ. 2) - 4 ღარი მხოლოდ წინა მხრიდან. ასეთი მეთოდით ყუნწის დამუშავება გავრცელებული ჩანს ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან ოქროს ნივთებზე, მაგალითად: დუმბერტონ ოუქის კოლექციის №15, 31 და 175 ნივთების (VI-VII სს) ყუნწები ორღარიანია, ხოლო № 36 (VI ს.) - ოთხღარიანია [Ross 1965]. საინტერესოა, რომ შენაქოს გულსაკიდი ჯვრების კოლექციაში (30 ერთეული) ამგვარი ყუნწი არ გვხვდება. სამაგიეროდ, შენაქოს ჯვრების ყუნწების უმრავლესობა ერთმანეთის მსგავსია. ალბათ, არ იქნებოდა აზრს მოკლებული გვეფიქრა, ერთი მხრივ, შენაქოს ჯვრების ერთიანი სახელოსნო ტრადიციის არსებობაზე და, მეორე მხრივ, რუსთავის ჯვრების საერთო სახელოსნო ტრადიციაზე,

რომელშიც თავი იჩინა VI-VII საუკუნეებისათვის დამახასიათებელმა თავისებურებებმა.

ამრიგად, რუსთავში აღმოჩენილი „ცრემლებით“ მორთული გულსაკიდი ჯვრების ტიპოლოგიური ანალიზი არ იძლევა არა მხოლოდ აღნიშნული ჯვრების, არამედ, საზოგადოდ, „ცრემლებიანი“ ჯვრების ფორმის მიხედვით დათარიღების საშუალებას. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღმოჩენის ვითარების გათვალისწინებას. ვერცხლის ჯვარი VI-VIII საუკუნეების სამაროვნის მე-10 ქვის სამარხში აღმოჩნდა. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე ამგვარი ჯვრის არსებობა VI საუკუნიდან ამყარებს კიდეც განსახილველი ჯვრის VI-VIII საუკუნეებით დათარიღების საფუძველს. მითუმეტეს, რომ ჩვენი დაკვირვებით, იგი ძალიან ჰგავს წრომის (VII ს) რელიეფურ ჯვარს.

სპილენძის გულსაკიდი ჯვარი (სურ. 2) აღმოჩნდა რუსთავის ციხის V უბანზე მე-3 ბურჯთან, XI საუკუნის სასახლიდან მისივე თანამედროვე აბანოსკენ მისასვლელი აგურფენილის ქვეშ, კერამიკისა და სხვადასხვა საგნების გროვაში. აგურფენილი გამართული იყო იმ კიბის ქვედა საფეხურთან, რომლითაც გაკეთებული იყო მეორე პერიოდის ზღუდეზე გადასასვლელი. ამრიგად, სტრატიგრაფიულად და თანმხლები მასალის მიხედვით, ეს ჯვარი შეიძლება დათარიღდეს IX-X საუკუნეებით. ამ თარიღს ამყარებს ისიც, რომ მისი მსგავსი ტყვიის ჯვარი შენაქოდან [დოლაბერიძე 1973, 29, ტაბ. I, 4] დათარიღებულია მთელი კომპლექსის მიხედვით VIII-X საუკუნეებით.

ამ ჯვარს აქვს ცენტრში, მკლავების გადაკვეთის ადგილზე ბუდე, ძვირფასი თვალის ჩასასმელად, ამჟამად ცარიელი[3]. ჯვარს კიდეებზე შემოუყვება ჯვრის სიბრტყიდან ამოწეული რელიეფური ზოლი, რომელიც დაყოფილია დაუდევრად გაკეთებული ირიბი თუ სწორი 2-3 მმ-ით დაშორებული ჩანაჭდევებით. იქმნება თოკისებური ორნამენტის ილუზია. შესაძლოა, ეს არის გამოსატანი საპროცესიო „ცრემლიანი“ ჯვრებისათვის დამახასიათებელი მორთულობის იმიტაცია, როცა ჯვარს კიდეებზე შემოუყვებოდა მარგალიტების მწკრივი თუ გრეხილი ორნამენტი [შეად. ჩუბინაშვილი 1959, სურ. 101, 534, 366, 149, 150]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალზე ძნელია, დავეთანხმოთ მკვლევარ მ. ლაბაძეს, რომელიც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „ა“ ფონდში დაცულ „ცრემლიან“ ჯვრებს №№ 77 და 1484, რომელთა აღმოჩენის ვითარება უცნობია, ათარიღებს მხოლოდ X-XIII საუკუნეებით [მ. ლაბაძე 1982, 189]. მისი დათარიღების საფუძველია VIII-X საუკუნეების მსგავსი არტეფაქტები შენაქოდან და სოფ. არახლოს XI-XIII საუკუნის დანგრეული სამარხიდან. იგი ასევე უთითებს რუსთავის ვერცხლის ჯვარსაც, მაგრამ არ ითვალისწინებს მ. ივაშჩენკოს მიერ განსაზღვრულ სამაროვნის თარიღს (VI-VIII სს) [Иващенко 1988, 75, 69].

ამრიგად, „ცრემლისებური“ ბურთულებით შემკული ჯვრების დათარიღება მათი თანმხლები მასალის ან აღმოჩენის ადგილის გაუთვალისწინებლად გაუმართლებელია და შესაძლოა, შეცდომამდე მიგვიყვანოს.

II ტიპი: ჯვარცმის გამოსახულებიანი გულსაკიდი ჯვარი (სურ. 4)

ჯვარცმის სცენა ქრისტიანულ სამყაროში ჩნდება V-VI საუკუნეებიდან. მისი ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი პირველი ნიმუშებია: წმ. საბინას ეკლესიის კარებზე რომში (V-VI სს), ლავრენტის ბიბლიოთეკაში დაცულ რაბულას 586 წ. სახარებაში, VI საუკუნის მონცას ამპულებზე [Уваров 1908, 120]. ამ ხანაში ჩამოყალიბდა ჯვარცმის ადრეული ტიპი, რომელიც X საუკუნის I ნახევრამდე იყო გაბატონებული - იესო ქრისტეს აცვია კოლობიუმი (ხან მუხლამდე, ხან კი ტერფამდე დაშვებული)[4].

აღნიშნული ადრეული ტიპის ჯვარცმას განეკუთვნება რუსთავში აღმოჩენილი გულსაკიდი ჯვრის გამოსახულება. ჯვრის მკლავები ბოლოებისკენ ოდნავ გაფართოებულია, საგრძნობლად დაგრძელებულია ქვედა მკლავი, ჯვარს კიდეებზე შემოუყვება ღრმა ღარი, მაცხოვრის თავს ზემოთ თავისუფლად დატოვებულია მართკუთხა არე. თავისი ფორმითა და შესრულების მანერით (გამოსახულება რელიეფურია, კონტურები ღრმა ღარებითაა შესრულებული) ძლიერ ჰგავს შენაქოში აღმოჩენილ IX-X საუკუნის დასაწყისის გულსაკიდ ჯვარს [დოლაბერიძე 1973, 16-17, ტაბ. I, 2]. მაგრამ რუსთავის ჯვარზე ქრისტეს თვალები გახელილი აქვს და მისი სახის გამომეტყველება ერთობ მრისხანე, პირქუშია. ძნელი სათქმელია, მისი ოსტატი განრისხებული მაცხოვარის გამოსახვისას რაიმე განსაკუთრებულ აზრს დებდა მასში, თუ ხელოსნის უნებურმა, არასწორად გაკეთებულმა პატარა შტრიხმა (წარბებს ქვემოთ შესმული დიდი მრგვალი თვალები) შეუცვალა გამომეტყველება ქრისტეს სახეს. ყოველ შემთხვევაში, მიღებული იყო ქრისტეს ან მშვიდი, ან ტანჯული სახით გამოსახვა. პირქუშსახიანი მაცხოვარის გამოსახულების პარალელი ვერსად მოვიძიეთ.

ფეხსაცმელები, ხელის მტევნები გამოსახულია სტილიზებულად. ხელების არაპროპორციულობა, წვერის ფორმა რუსთავის ჯვარს აახლოებს VIII-IX საუკუნეების ძეგლებთან, რომლებსაც უთითებს რ. დოლაბერიძე თავის ნაშრომში [დოლაბერიძე 1973, 20-21]

საქართველოში კოლობიუმიანი ქრისტეს ჯვარცმის სცენა გვხვდება წებელდის V-VII სს და გველდესის VIII-IX საუკუნეების კანკელის ფილებზე [Шмерлинг 1962, 64,74, ტაბ, II, 2; ტაბ. IV, 1], კაიშაურის ქვის მემორიალურ ჯვარზე (IX-X სს), საბერეების ეკლესიების ფრესკებზე (IX-X სს) [Шевякова 1983, ტაბ. 31,32], ხახულის კარედის IX საუკუნის მინანქარზე [ხუსკივაძე, 1988, 21, სურ.1], შენაქოს გულსაკიდ ჯვრებზე (IX-X სს) [დოლაბერიძე 1973, ტაბ. I, 1,2], ვანის ვილაიეთიდან (IX ს.) [საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ,,ა“ ფონდის 31483, იხ. ლაბაძე 1982, 186], ჩინთის სამაროვანიდან (VIII-X სს) და სხვა.

ზემოთნახსენები მაგალითები საშუალებას გვაძლევს დავათარიღოთ რუსთავის ჯვარი VIII-X საუკუნის I ნახევრით.

III ტიპი: მრგვალგანივკვეთიანი ვერცხლის ჯვარი (სურ. 3).

ჯვარი დაზიანებულია, აკლია ერთი მკლავი, შემორჩენილ ნაწილებზე არ ჩანს საკიდი. მკლავები თითქმის ტოლია. იგი მრგვალღეროიანია და მკლავის ბოლოებისაკენ მისი დიამეტრი თანდათანობით იზრდება. ძალზე მცირე ზომისაა (2×1,3 სმ). აღმოჩენილია რუსთავის ციხეზე, ზედაფენაში, არა აქვს თანმხლები მასალა. ამიტომ ძნელია მისი დათარიღება.

იგი წააგავს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ,,ა“ ფონდის 3646 გულსაკიდ ჯვარს (X-XII სს) [ლაბაძე 1982, 188], შენაქოს ვერცხლის ჯვარს [დოლაბერიძე 1973, 15, ტაბ. III,4] იმ განსხვავებით, რომ შენაქოს ჯვარს მკლავების გადაკვეთის ადგილზე აქვს თვალი და ამ ნიშნის მიხედვით ბიზანტიაში V-VI საუკუნეებში გავრცელებულ ოქროს ჯვარს ჰგავს.

ძნელია, ზუსტად დავათარიღოთ რუსთავის ეს ჯვარი, რადგანაც ფორმის სიმარტივის გამო მრგვალგანივკვეთიანი ჯვრები სხვადასხვა ეპოქაში არსებობდნენ.

IV ტიპი: ენკოლპიონი (გულსაკიდი-რელიკვარიუმი) (სურ. 5; გამოქვეყნებულია კრებულში რუსთავი 1988, ტაბ. XXXIX, 1,2,3)

ეს ჯვარი სამწილადია. შედგება ორი ჯვრის ფორმის ერთნაირი ზომის ფირფიტისა და ყუნწისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია თითოეული ნაწილის ბოლოში არსებულ

რგოლისებურ თავებში გაყრილი რკინის ღეროთი. ამ ადგილას იქმნება სახსარი და ჯვარი იხსნება. ასეთი ტიპის ჯვრებში ინახებოდა წმინდანთა ნაწილები, წმინდა მიწიდან წამოღებული სიწმინდეები [ვ. ბერიძე 1942, 658; Кондаков 1896, 43, შენ.1; Кондаков 1890, 67; Залесская 1988, 93] ან ჯვარი [Кондаков 1890, 67].

მსგავსი ენკოლპიონების დამზადების ადგილად ითვლება სირია-პალესტინის მონასტრები VI-VII საუკუნეებში, საიდანაც ისინი გაჰქონდათ წმ. მიწაზე ჩამოსულ პილიგრიმებს მთელ საქრისტიანოში. VI-XIV საუკუნეების ენკოლპიონები მრავლადაა აღმოჩენილი მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთში: ეგვიპტეში, სირიაში, საბერძნეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში კართაგენის ნანგრევებზე, იტალიაში, ყირიმში, კავკასიის სანაპიროებზე [Кондаков 1917, 258], ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ჩეხეთში, კიევის რუსეთში [Залесская 1988, 94]. ამიტომ ისინი მრავალი მკვლევარის შესწავლის საგანი გახდა [ლიტერატურა იხ. Залесская 1988, 94, შენ. 10]. ვ. ზალესსკაია თავის გამოკვლევაში მიდის დასკვნამდე, რომ IX-XI, XII საუკუნეებით დათარიღებული ენკოლპიონები ძალზე გვანან ადრეულებს, თუმცა აღნიშნულ ეპოქებში დამზადებული მინაბაძებია [Залесская 1988, 96-97]. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ კიევის რუსეთში ნაპოვნია ამ ტიპის ჯვრის ჩამოსასხმელი ყალიბები [Каргер 1958, ტაბ. XVII]. სირიული და მისი მიბაძვით შესრულებული გვიანდელი ხანის ენკოლპიონების ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური სრულფასოვანი კლასიფიკაცია, სამწუხაროდ, ჯერ არაა გაკეთებული [Корзухина 2003, გვ.14].

ამდენად, საინტერესოა რუსთავში აღმოჩენილი ენკოლპიონის წარმომავლობის გარკვევა. არის თუ არა იგი სირიული VI-VII საუკუნეების თუ მათი მიბაძვით IX-XI თუ XII საუკუნეებშია დამზადებული?

რუსთავის რელიკვარიუმის ერთ მხარეზე ოთხივე მკლავის ბოლოში 6 მმ დიამეტრის ნახვრეტია 1,5 მმ სიღრმის, თვალბუდისათვის. გათხრების დროს, როცა იგი აღმოჩნდა, ერთ-ერთ ნახვრეტში მომწვანო ფერის მინის თხელი ფირფიტა იყო. როგორც ჩანს, რუსთავის ენკოლპიონი იყო მინით ინკრუსტირებული. ამავე მხარეზე მკლავების გადაკვეთის ადგილას არის 9 მმ დიამეტრის წრიული ნახვრეტი. ალბათ, მასაც იგივე დანიშნულება ჰქონდა, რაც დანარჩენ ნახვრეტებს.

ამავე რელიკვარიუმის მეორე მხარეზე გამოსახულია წმ. მარიამ ღვთისმშობელი თანმხლები შესაბამისი ბერძნული წარწერით (MP ΘY ,,დედა ღვთისა“). გამოსახულება შესრულებულია გრავირებული შტრიხებით. წმ. მარიამი დგას ფრონტალურად ორანტას პოზაში (ხელები გაშლილი და მაღლა აღმართულია მლოცველის მდგომარეობაში) სტილიზებულ კიპარისებს შორის. მარიამ ორანტას გამოსახულებები ჯერ კიდევ კატაკომბების მხატვრობაში ჩნდება, ხოლო კიპარისის, პალმისა თუ სამოთხის სხვა ემბლემების (ყვავილების) თანხლებით ჩნდება III საუკუნის II ნახევრიდან [Кондаков 1917, 67}. ასეთი სცენებია გამოსახული IV საუკუნის მინის ჭურჭლების ფსკერზე ოქროს ფურცლებით, VI საუკუნის ვატიკანის მუზეუმის საპროცესიო ჯვრის ერთ-ერთ ადრეული ხანის მედალიონზე [Кондаков 1917, 76, სურ. 56; 77, სურ.57; 96, სურ. 74; 95, სურ. 71]. ამ სცენის იდეური აზრი ასეთია: მარიამი არის ამქვეყნიური ეკლესიის მფარველი, მისი სიმბოლო [Кондаков 1917, 323]. ამიტომ მალე, VI საუკუნიდან, წმ. მარიამი გამოისახებოდა დედოფლის ატრიბუტებით: სამეფო გვირგვინით, მდიდრული სამოსით, ძვირფასი სამკაულებით (ყელსაბამით, საყურეებით) მორთული, ფეხებზე წითელი წაღებით [Кондаков 1917, 323].

საყურეები ამკობს მას ზემოთნახსენებ მინის ჭურჭლებზეც.

რუსთავის ენკოლპიონზეც ღვთისმშობელი შემოსილია მდიდრულად ორნამენტირებული ტანსაცმლით, ყელზე, თითქოს, მძივის მწკრივიც ჩანს (ან, შესაძლოა, ძვირფასი სამოსის დეტალი იყოს). თავზე ზემოდან რკალი აკრავს, რომელიც ბოლოვდება კაუჭისებური ორნამენტით, რის გამოც, ძნელი მისახვედრია, ეს რკალი ნათლის გვირგვინია თუ თავსაბურავი. ვფიქრობთ, რომ იმ ნიმუშზე, საიდანაც რუსთავის ენკოლპიონის ოსტატს გადმოჰქონდა გამოსახულება, ღვთისმშობელს ეცვა დედოფლის სამოსი [შეად.Кондаков 1917, 259, სურ. 162] და ამკობდა მძივი, საყურეები, ეხურა თავსაბურავი, მაგრამ ოსტატმა ვერ შეძლო სამკაულისა და თავსაბურავის ერთდროულად გადმოცემა და ამიტომ გამოვიდა ესოდენ ძნელად ასახსნელი გამოსახულება. ეს რომ თავსაბურავია და არა ნათლის გვირგვინი, ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ერთ-ერთი მსგავსი ენკოლპიონის გამოსახულება, სადაც ასევე უცნაურად აპრეხილი ,,კაუჭებით“ მთავრდება სწორედ თავსაბურავი [Кондаков 1917, 261, 263, სურ. 165, 171]. მასზე გამოსახულია ჯვარიც, რაც მისი თავსაბურავის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. ასევე ჯვარი გამოისახებოდა ხოლმე მარიამის ტანსაცმლის მხრებსა და მაჯებზე ისევე, როგორც, მაგალითად, წმ. მარიამის ეკლესიის XI საუკუნის რელიეფზეა [Кондаков 1918, 86, სურ. 19]. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია და რუსთავის ენკოლპიონზე მარიამის თავსაბურავია გამოსახული, ეს ნიშნავს, რომ იგი შარავანდედის გარეშეა. მაგრამ ეს მაინც არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას, რადგანაც წმინდანების ნათლის გვირგვინის გარეშე გამოსახვის არაერთი შემთხვევაა ცნობილი ბიზანტიურ-სირიულ ძეგლებზე როგორც ადრეულ, ისევე გვიანდელ ეპოქებში.

აღსანიშნავია, რომ კიპარისებს შორის მარიამ-ორანტასა და იოანე ღვთისმეტყველის გამოსახულებები დამახასიათებელი იყო VI-VII საუკუნეებისათვის [Залесская 1988, 95].

ერთსა და იმავე ენკოლპიონზე ერთ მხარეზე მარიამ-ორანტასა და მეორე მხარეზე ჯვრისებურორნამენტიანი სტილიზებული რომბული ფორმის ვარდულის გამოსახვა არცთუ იშვიათი შემთხვევა იყო [Корзухина 2003, გვ. 50]. მსგავსი ენკოლპიონი შემთხვევით აღმოჩნდა უკრაინაში, ჩერნოვიცკის ოლქში, სოფ. ვასილევში 1998 წელს, დათარიღებულია X-XI საუკუნეებით, პირველად გამოაქვეყნა პივოვაროვმა. ა. პესკოვა საუბრობს, რომ მისი უახლოესი პარალელები აღმოჩენილია ხერსონესში, კავკასიაში, უნგრეთში [Корзухина 2003, გვ. 51, 53, ტაბ. 12, I,2/4]. კიპარისებს შორის გამოსახული მარიამ-ორანტას მსგავსი ენკოლპიონები აღმოჩნდა კიევის ზლატოვერხის მიხაილოვეცკის მონასტერში, ხერსონესში [Корзухина 2003, გვ. 49, ტაბ. 10, I,2/10; Залесская 1988, გვ.95, ენკოლპიონი X-218}.

ენკოლპიონების მკვლევარი გ. კორზუხინა გრავირებულ სწორმკლავებიან ენკოლპიონებს ე.წ. ,,სირიულს“ უწოდებს და თვლის, რომ მათი პროტოტიპი იყო სირიაში VI-VII საუკუნეებში დამზადებული რელიკვარიუმები მარიამ-ორანტას გამოსახულებებით [Корзухина 2003, გვ. 28]. სამწუხაროდ, იგი არ უთითებს კონკრეტულ VI-VII საუკუნეების სირიულ ჯვრებს. არც ჩვენ მიგვიწვდებოდა ხელი იმ უცხოურ ლიტერატურაზე, სადაც უშუალოდ ამ პერიოდის სირიული წარმოშობის ენკოლპიონებზეა საუბარი, რის გამოც არ მოგვეცა შესაძლებლობა უფრო მეტი სიზუსტით გვემსჯელა რუსთავის რელიკვარიუმის კონკრეტულ პარალელებზე. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსთავში აღმოჩენილი ენკოლპიონი უნდა იყოს უძველესი VI-VII საუკუნეების სირიული ნიმუშის მინაბაძი, რომელსაც მოგვიანო ხანის ოსტატი ამკობს მინის ინკრუსტაციით. ამ ჯვართან

ერთად ე.წ. ,,საეკლესიო განძში“, რომელიც მონღოლთა შემოსევის დროს (1265 წ.) დალეწილ თონეში ეყარა, იყო მონეტები. მათ შორის უძველესი არის ბიზანტიური 976-1025 წწ., ხოლო ყველაზე გვიანდელი - მონღოლური ფელსი XIII ს. 60-70-იანი წლებისა. მაშასადამე, რუსთავის ენკოლპიონი შეიძლება იყოს X-XIII საუკუნეების. მაგრამ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გულსაკიდი ჯვარი, სადაც ინახებოდა ქრისტიანული სიწმიდეები, უმეტესად ეპისკოპოსების კუთვნილი შეიძლებოდა ყოფილიყო. რადგან იგი განსაკუთრებული ფასეულობისა იყო, შესაძლოა, გამოიყენებოდა საუკუნეების განმავლობაში. თუ გავითვალისწინებთ ვასილევში აღმოჩენილი მსგავსი ენკოლპიონის თარიღს, შესაძლოა X-XI საუკუნეებითაც შემოისაზღვროს მისი თარიღი.

ამრიგად, რუსთავში აღმოჩენილი სხვადასხვა ტიპის გულსაკიდი ჯვრები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ რუსთავი და, საზოგადოდ, საქართველო იყო მსოფლიო საქრისტიანო სამყაროსთან მჭიდრო კავშირში და მის კულტურაზე აისახებოდა ყველა ის მოვლენა, რაც ხდებოდა ქრისტიანობის მსოფლიო ცენტრებში.

შენიშვნები

[1] ცნობილია ამ ტიპის IV-VI საუკუნეების ჯვარი აკროკორინთოდან [დოლაბერიძე 1973, 23].

[2] თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯვრის ფორმისა და მკლავების რელიეფურად ამოსული სამკუთხედების მიხედვითაც, რუსთავის ვერცხლის ჯვარი უფრო მეტად ჰგავს წრომის რელიეფურ ჯვარს, ვიდრე სხვა დანარჩენს.

[3] ცენტრში თვალის ჩასმა, შესაძლოა სათავეს იღებს გოლგოთაზე IV საუკუნეში აღმართული თვლებით მოოჭვილი ოქროს ჯვრიდან. თვლიანი გულსაკიდი ჯვრები ბიზანტიაში გავრცელებული ჩანს V-VI საუკუნეებიდან მაინც [ლიტერატურა იხ. დოლაბერიძე 1973, 15. შენიშვნა 28].

[4] იშვიათი გამონაკლისია ლონდონის V საუკუნის სპილოს ძვლის ფირფიტაზე გამოსახული ჯვარცმა, სადაც ქრისტეს ქსოვილით დაფარული აქვს მხოლოდ თეძოების არე [Покровский 1916, 12].

გამოყენებული ლიტერატურა

1. ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984
2. ვ. ბერიძე, სავანე, ქართული ხელოვნება, №1, თბ., 1942
3. ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, ქართული ხელოვნება, №3, თბ., 1950
4. რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბ., 1973
5. მ. ლაბაძე, გულსაკიდი ჯვრები, არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1982
6. ლ. ხუსკივაძე, შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბ., 1984
7. რუსთავი, არქეოლოგიური გათხრები 1946-1965, თბ., 1988
8. ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, ტექსტი, მასალის შერჩევა და ნახატები რ. შმერლინგისა, თბ., 1954
9. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, ილუსტრაციები, თბ., 1959

10. Айналов Д.В., Мозайки IV и V веков, С.П., 1895
11. Аладашвили Н.А., Монументальная скульптура Грузии: фигурные рельефы V-XI вв., М.,1977
12. Брокгауз А.Ф., Эфрон И.А., Энциклопедический словарь, т. XVI а, СПб., 1895
13. Иващенко М.М., Руставский могильник (Археологические раскопки в 1946 г.), რუსთავი, არქეოლოგიური გათხრები 1946-1965, თბ., 1988.
14. Залесская В.Н., Связи средневекового Херсонеса с Сирией и Малой Азией в X-XII веках, Восточное средиземноморье и Кавказ IV-XVI в.в., Л., 1988
15. Каргер М.К., Древний Киев, М.,1958.
16. Каталог собрания древностей графа А.С. Уварова, отд. VIII-XI, М.,1908.
17. Кондаков Н.П., Иконография Богоматери, т.I, СПб., 1917.
18. Кондаков Н.П., Иконография Богоматери, т.II, СПб., 1918
19. Кондаков Н.П., Русские клады, изследование древностей великокняжеского периода, т.I., 1896.
20. Кондаков Н.П., Описъ памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб.,1890
21. Корзухина Г.ф., Пескова А.А., Древнерусские энколпионы, нагрудные кресты-реликварии XI-XIII в.в., СПб., 2003.
22. Покровский Н.В., Церковная археология в связи с историею Христианского искусства, СПб., 1916.
23. Шевякова Т.С., Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тб.,1983.
24. Шмерлинг Р., Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб.,1962.
25. Collection Helene Stathatos, III, Objects antiques at Byzantions, Strasbourg, 1963
26. M. C. Ross, Catalogue of the Byzantine and Early Medieval Antiquities in the Dumberton Oaks Collection, vol. 2. Washington, 1965.



სურ. 1. რმმ 92-1, ვერცხლის ჯვარი, მ. ივაშჩენკოს მიერ რუსთავში 1946 წელს გათხრილი მე-10 ქვის სამარხიდან, ზომა 3,5 × 3,7 სმ საკიდის გარეშე, სხმული, ე. გომარელის ჩანახატი.



სურ. 2. რ-59-1215, სპილენძის ჯვარი, ცენტრში თვალბუდით, რუსთავი, ციხე, V უბანი, ზომა 5,2 × 6 სმ საკიდის გარეშე, სხმული.



სურ. 3. რ-59-681, ვერცხლის ჯვარი, რუსთავი, ციხე, I თხრილის მე-2 ქვეთხრილი, ზომა 1,3 × 2 სმ. სხმული, ე. გომარელის ჩანახატი.



სურ. 4. რმმ 58-227, ბრინჯაოს ჯვარი, შემთხვევითი მონაპოვარი არხისპირა დასახლების № 71 ბინის მიმდებარე მიწის დამუშავების დროს, ზომა 4,5 × 5,1 სმ, სხმული, ე. გომარელის ჩანახატი.



სურ. 5. რ-62-4765, ბრინჯაოს ენკოლპიონი, რუსთავი, ციხე, VI თხრილი, ზომა 5,1 × 7,2 სმ საკიდის გარეშე, სხმული, გრავირება, მწვანე მინით ინკრუსტაცია. ე. გომარელის ჩანახატი.

მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი

გიორგი ლომთათიძის
გარდასულ მოწაფეებზე

განუყრელი სამეული – ცისანა, მერი, თინა

მძიმე და ტკივილიანი გამოდგა უახლოესი თვეები რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის. ექსპედიციას თითქმის ერთდროულად, სულ რამდენიმე თვეში, გამოკლდნენ მისი თვალსაჩინო წევრები, შესანიშნავი არქეოლოგები და უკეთილშობილესი ქალბატონები ცისანა ჩიკოიძე და მერი ჩხატარაშვილი. ისინი, 1959 წელს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, როგორც თავად ხშირად იხსენებდნენ, რუსთავის ექსპედიციაში „შემთხვევითობის წყალობით“ მოხვდნენ. მათთან ერთად ექსპედიციაში ჩაირიცხა მათი კიდევ ერთი კურსელი და მეგობარი თინა არჩვაძე, რომელიც ადრე გარდაიცვალა (1998 წ). დროის გადმოსახედიდან შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ნიჭიერი და მშვენიერი ახალგაზრდა გოგოებისათვის გოგი ლომთათიძესა და რუსთავის არქეოლოგიასთან შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა. ექსპედიციური ცხოვრებითა და ბატონი გოგის დიდი ერუდიციით, პიროვნებით მოხიბლულმა სამივე ახალგაზრდამ პროფესიული მომავალი არქეოლოგიას, უმეტეს წილად კი რუსთავის არქეოლოგიურ კვლევა - ძიებას დაუკავშირა.

გოგი ლომთათიძე მოწაფეებთან ერთად
მარცხნიდან: გოგი ლომთათიძე, ლილი ფარცხალაძე, თინა არჩვაძე,
მერი ჩხატარაშვილი, ცისანა ჩიკოიძე, ლია კორძაია

იმ წელს საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის (შემდგომში არქეოლოგიის კვლევის ცენტრის) რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია, გიორგი ლომთათიძის თაოსნობით, რუსთავის ციხის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიან და გეგმაზომიერ არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა. ასევე, ითხრებოდა მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ახალი საცხოვრებელი კვარტალების მშენებლობისას გამოვლენილი ძველი ნაქალაქარის საცხოვრებელი უბნები და სამაროვნები. რუსთავის ექსპედიციაში ჩარიცხვისთანავე, მათ ბატონმა გოგიმ ცალ-ცალკე უბნების: ცისანას - VII, მერის - VI, თინას კი X უბნის გათხრა დაავალა. ისინი ხშირად მიყვებოდნენ, რომ გაოცებული იყვნენ ბატონი გოგის დიდი ნდობით, რომელმაც გამოუცდელ გოგოებს გასათხრელად რუსთავის ციხის მრავალფენიანი - ურთულესი ძეგლის შესწავლა ანდო; მიყვებოდნენ, როგორი ტაქტითა და სიყვარულით ასწავლიდა მათ გოგი ლომთათიძე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანაბანას, მოპოვებული მასალის აღწერას და საველე დავთრებში გატარებას. მოგვიანებით, სამივე მათგანი ისტორიის ინსტიტუტის შუასაუკუნეების განყოფილებაში ჩაირიცხნენ და გოგი ლომთათიძის ერთგული თანაშემწეები და კოლეგები გახდნენ. ისინი გოგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით თუ ორგანიზებით ჩატარებული თითქმის ყველა ექსპედიციის უცვლელი წევრები იყვნენ: 1959-62, 1965 წლებში მონაწილეობდნენ რუსთავის ციხის, 1960, 1968 წლებში კი ჯავახეთის ახალქალაქის შესწავლაში; 1962 წლიდან გოგი ლომთათიძის რჩევითა და დავალებით ცისანა ჩიკოიძე იწყებს თელავისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიურ შესწავლას. ცხადია, აქაც ცისანას თან ახლდნენ მისი კოლეგები და განუყრელი მეგობრები. მათ საკვალიფიკაციო თემატიკაც ბატონმა გოგიმ შეურჩია: ცისანას - თელავის, მერის - მინის, ხოლო თინას შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მოუჭიქავი კერამიკული ნაწარმის შესწავლა დაავალა. თუმცა, გოგი ლომთათიძე თავისი ბეჯითი მოწაფეების დისერტაციების დაცვასა და მათ სამეცნიერო წარმატებებს ვერ მოესწრო.... გოგი ლომთათიძე 1971 წელს გარდაიცვალა და ბევრი ოცნება და დაგეგმილი საქმე განუხორციელებელი დარჩა, მათ შორის რუსთავის არქეოლოგიური კვლევა, რომელიც მისი დიდი ძალისხმევით 1972 წელს უნდა განახლებულიყო. ეს მისია გოგი ლომთათიძის მოწაფეებმა იტვირთეს. მათ შორის, როგორც ყოველთვის, იყვნენ ცისანა ჩიკოიძე, თინა არჩვაძე, მერი ჩხატარაშვილი, ასევე ეკა ჯანდიერი, რომელიც რუსთავის ექსპედიციაში ერთი წლის შემდეგ 1960 წლიდან ჩაირიცხა. გოგი ლომთათიძის მოწაფეები და უახლოესი მეგობრები მათ შორის მარინა მიწიშვილი და ნუციკო უგრელიძე 1972-75 წლებში შეუდგნენ რუსთავში საველე სამუშაოების ხელმძღვანელობას. 1976-80 -იან წლებში პირველი სამეული ექსპედიციის საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი და წარმმართველი ძალა გახდა. 1977 წლიდან ცისანა ჩიკოიძე, თავისივე კოლეგებისა და მეგობრების ძალისხმევით, რუსთავის ექსპედიციას ჩაუდგა სათავეში, რომელსაც თითქმის 20 წელი, 2006 წლამდე ხელმძღვანელობდა. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათი თავდადებული შრომის წყალობით რუსთავის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა ქალაქის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი: ციხის ზღუდეები, ადრეული და შუასაუკუნეების სასახლეები აბანოებითურთ, სამაროვნები, სამეურნეო ნაგებობები და სხვ., რითაც ბევრი რამ ახალი შემატეს, როგორც რუსთავის რთულსა და ძნელ თავგადასავალს, ასევე საქართველოს ქალაქების საქალაქო ცხოვრების მრავალ მხარეს. დიდია მათი ღვაწლი ექსპედიციის სამეცნიერო მემკვიდრეობის მოწესრიგების საქმეშიც. მათი ძალისხმევით მომზადდა და გამოიცა რუსთავის არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი

სამი კრებული - „რუსთავი“. პირველ კრებულში გამოქვეყნდა რუსთავის პირველგამთხრელი არქეოლოგების მიხეილ ივაშჩენკოსა და გოგი ლომთათიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომები (М. Иващенко „Рустави“, археологическая разведка 1945 г., „Руставский могилъник“, археологические раскопки, 1946 г.; გ. ლომთათიძე ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, 1988). მეორეში - დაიბეჭდა რუსთავის ციხის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში გათხრილი სასიმაგრო ნაგებობებისა და ნამოსახლარების შესწავლის სამეცნიერო ანგარიშები (მ. ჩხატარაშვილი, „რუსთავის ციხის დასავლეთ უბანზე ჩატარებული მუშაობის შედეგები“ (1961-62, 1965, 1973-74 წწ.); მ. მიწიშვილი, „1972 წელს რუსთავის ციხეზე (სამხრეთის სექტორი) წარმოებული თხრის ანგარიში“, 1998), ხოლო მესამე მიეძღვნა რუსთავის ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილ შუასაუკუნეების სასახლის შესწავლის შედეგებს (თინა არჩვაძე, ცისანა ჩიკოიძე, მერი ჩხატარაშვილი „რუსთავში გათხრილი საერო სასახლე“, 2004). კიდევ ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდათ მათ, მიმდინარე წლის 26 ნოემბერს თავიანთი მასწავლებლის გიორგი ლომთათიძის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად ახალი კრებულის შედგენაზე მუშაობდნენ და ექსპედიციისთვის ემზადებოდნენ....

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ მშვენიერი ქალბატონების მაღალი კვალიფიკაცია. ისინი თავიანთი დარგის: ცისანა - ქალაქების, მერი - მინის ნაკეთობების, თინა კი მოუჭიქავი კერამიკის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ. სამაგალითო და ნამდვილად მისაბაძი იყო ასევე მათი მეგობრობა. უნივერსიტეტის მერხიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე ერთ ექსპედიციაში, ყოველთვის ერთად იყვნენ სამეცნიერო მივლინებებში თუ კონფერენციებსა და სესიებზე. მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და ურთიერთდამოკიდებულება, ჩვენთვის მათი ახალგაზრდა კოლეგებისთვის საინტერესო და ადამიანური ურთიერთობის დიდი სკოლა იყო, რომელმაც ჩვენზე დიდი გავლენა იქონია.

რუსთავის ექსპედიციის ერთგულ და თავდადებულ თანამშრომლებს: ცისანა ჩიკოიძეს, მერი ჩხატარაშვილსა და თინა არჩვაძეს კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლოთ რუსთავისა და შუასუკუნეების საქართველოს არქეოლოგიისათვის, დასანანია რომ ისინი დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან. მარადიული და ნათელი სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა მათ გარდასულ სულებს.

ნაზი პაჭიკაშვილი

ჩემი გულითადი მეგობარი – თინა არჩვაძე

(1935 – 1999)

თინა სტუდენტობიდანვე ჩვენი გამორჩეული მეგობარი იყო. ჯერ კარგად არცკი ვიცნობდი მას, როცა უნივერსიტეტის დერეფნებში მისი ხალისიანი სიცილ-კისკისი ანდამატივით გვიზიდავდა სამეგობროდ. შემდეგ იყო მასთან ჩემი შეხვედრა და დაახლოება კუხეთის რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ბ-ნ გოგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით. ეს იყო 1960 წელს.

იმ დროისათვის თინა და მისი თანაკურსელები რუსთავის ციხის გალავნის პერიმეტრზე განლაგებულ მათთვის მინდობილ უბნებს უვლიდნენ და მასწავლებლის, ბ-ნ გოგის მითითებით ძეგლის არქეოლოგიურ სტრატიგრაფიას და მშენებლობის წესებს ეცნობოდნენ. თინას მინდობილი ჰქონდა ციხეში შემოსასვლელი, ჯერჯერობით ერთადერთი, საცალფეხო კარის ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩართული კიბეებიანი გვირაბიანი კოშკის გათხრა. ამ მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო კვანძის გათხრა-შესწავლას თინამ განსაკუთრებული ყურადღებით, ფიზიკური და სულიერი ძალების მოხმობით, შესანიშნავად გაართვა თავი, ისე, რომ დღემდე ციხის ეს კვანძი არქეოლოგიურად დამთავრებულ ობიექტად მიიჩნევა. მისი მეცნიერული კვლევის ანგარიში კი გამოქვეყნებას ელის.

1960 წელს თინამ, ჩვენთან ერთად, ჯავახეთის ახალქალაქში გათხარა ქარვასლის კამაროვანი შენობა და საფუძვლიანი ანგარიში დაგვიტოვა. იგი გონიერი და დაკვირვებული ანალიტიკოსი იყო. ამის შემდეგ, 1961-1962 წწ-ში თინამ ასევე გათხარა რუსთავის ციხის აღმოსავლეთ, ორ-ზღუდეს შორის მოქცეული (XI-XIIIსს), აგურით ნაგები აბანო. 1962 წელს კი, ცისანა ჩიკოიძის თაოსნობით და მასთან ერთად, თინამ ასევე გათხარა ძველი თელავის სახელოსნო უბანი; 1968 წელს კი მათ ერთად იმუშავეს არტოზანის ნამოსახლარზე და აზომეს სამეკლესიანი ბაზილიკა. 1964 წელს მე და თინამ ერთად გავთხარეთ პირველადი – XI ს-ის გალავნის ზოლი კონტრფორსებითურთ და ნასახლართა ნაშთი სვეტიცხოვლის ეზოში (სამხრეთ-დასავლეთ მხარეს). ეს სიძველენი დღესაც ამშვენებს დიდებული ტაძრის გარემოს. თითქმის ყველაფერს ატყვია ჩვენი თინას გამრჯე ხელები, ფიქრის და უნარის ანაბეჭდი.

1965 წელს ბ-მა გოგი ლომთათიძემ კვლავ მიგვიწვია რუსთავის განახლებულ კამპანიაში. ამ დროს მან თინას განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის – ძველი სასახლის ნაშთების გამომზეურება დაავალა, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. სწორედ მის დროს აღმოჩნდა სასახლის ფრესკებით მოხატული კედლების ნანგრევები, წარწერიანი ქვები, მრავალფერად

მოხატულ-მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, მონეტები და სხვა მნიშვნელოვანი მასალა, რაც მომდევნო წლებშიც (უკვე ბ-ნი გოგის გარდაცვალების შემდეგ) გრძელდებოდა ცისანა ჩიკოიძის ხელმძღვანელობის დროს (1976-2006 წწ). 1973-1975 წწ-ში თინა ერთგულად გვედგა გვერდში მერი ჩხატარაშვილს და მე, როცა ითხრებოდა რუსთავის სამხრეთი (1972წ. ხელმძღ. მ. მიწიშვილი) და დასავლეთი ზღუდეები, ულამაზესი ალიზიანი ბურჯებით და კოშკებით (ხელმძ. ნ. უგრელიძე).

თინა ყოველთვის თავდაუზოგავად შრომობდა როგორც საველე, ისე კამერალურ საქმიანობაში. მას ბ-მა გოგიმ საკვალიფიკაციოდ დაავალა ,,აღმოსავლეთ საქართველოს მოუჭიქავი კერამიკის'' შესწავლა. თინამ მნიშვნელოვანი სტატიები მიუძღვნა ამ დარგის ცალკეულ სახეობებს: დაამუშავა და შეისწავლა რუსთავის მუზეუმში დაცული საფონდო მასალები; ასეთთა შორისაა: თიხის ორნამენტიანი სფეროკონუსები, აგრეთვე თიხის ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო სახეობა – დიდრონი, შეღებილ-,,დაფანჯრული'' ისარნები, სამზარეულო კერამიკა, ნაყალიბევი ორნამენტიანი თიხის ჩიბუხები და სხვა. თინამ შემოიარა თითქმის მთელი საქართველოს და ამიერკავკასიის სამუზეუმო ფონდები და საკუთარი ხელით გრაფიკულად ჩახატა მისთვის საყურადღებო ნიმუშები.

მან დატოვა საქართველოს ისტორიისათვის ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანი სადისერტაციო ნაშრომი, მაგრამ ხარისხის დაცვა-მინიჭება აღარ დასცალდა. ვერაგმა სენმა და ბედის უკუღმართობამ წაგვართვა იგი; თუმცა მის ნაშრომს მისი კოლეგები კვლავ გააცოცხლებენ და ქართულ სამეცნიერო არქეოლოგიას თინა არჩვაძის გვარიც დაამშვენებს.

მიუხედავად წუთისოფლის სიმუხთლისა, როცა თინამ პირად ცხოვრებაში მრავალი მძიმე წელი გადაიტანა, მან მშვენიერი ქალიშვილი გაზარდა და დაობლებული ოჯახი მყარ ნიადაგზე დააფუძნა: დღეს ნინო გიორგის ასული არჩვაძე თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მეცნიერების დოქტორი და პროფესორია და წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა; იგი თავისი ძლიერი ოჯახის ერთგული დედა და დიასახლისია, რითაც დედა – თინას სულიც ხარობს.

თინამ თავისი სულის სიუხვე არც ჩემს ოჯახს დააკლო: იგი ჩვენი ქრისტესმიერი ნათესავია – ჩემი დის, სალომეს ნათლია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. †

ეკა ჯანდიერი

ცისანა ჩიკოიძე

(1935-2013)



ჩვენი მეგობრობა უნივერსიტეტის პირველი კურსიდან დაიწყო, ისტორიის ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის ჯგუფში. ბევრი სასიამოვნო მოგონება დამრჩა იმ წლებიდან და ვერც კი მეყოფა დრო ჩამოსათვლელადაც კი, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლი იმ ტკბილ მოგონებას რომელიც თელავში, ჩიკოიძეების სახლში სტუმრობიდან დამრჩა. განა მარტო მე, ეს იყო ყველა ჩვენი ჯგუფელისთვის სასიამოვნო და საყვარელი ოჯახი: ძია ნიკო, დეიდა ლელიკო, ცისანას დეიდები - ზინა და ნინა ბოჭორიშვილები. მახსოვს ბებიას გაუნელებელი ტკივილი ლუბას უდროოდ სიკვდილის გამო. მეც ისევე მაწუხებდა თუმცა არ მოვსწრებივარ ნიჭიერ ეთნოგრაფსა და ისტორიკოსს - ლუბას.

ცისანა ერთადერთი ქალიშვილი ლამაზი, ეშხიანი და ნიჭით შემკული ქალი საოცარ სიმშვიდეს აფრქვევდა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის წლები, როდესაც ჩვენ, შუა ხანს მიღწეულებს თავს დაგვატყდა ახალი განსაცდელი,შფოთი ჩვენს სამშობლოში. აი, აქ გამოჩნდა, რომ ცისანა შეუცვლელი იყო ჩვენთვის. საკმარისი იყო თუნდაც ტელეფონით დავლაპარაკებულიყავი და მომესმინა მისი განსჯა ამა თუ იმ საკითხზე მაშინვე ვხვდებოდი, რომ არაფერი ისეთი არ ხდებოდა რისი გაანალიზებაც არ შეიძლებოდა და რაც ჩვენ ნებსით თუ უნებლიეთ არ გადაგვხდომია თავს ისევ ჩვენი მიზეზით.

სიკვდილამდე ორიოდე დღით ადრე ვინახულე საავადმყოფოში და ჩავჩურჩულე ჩემო საყვარელო, გეხვეწები არ მიმატოვო მეთქი, თითქოს ეს მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული, და მაშინვე მივხვდი, რომ ასე არ ეუბნებიან საყვარელ ადამიანს განსაცდელის ჟამს. თვალი არ გაუღია ისე წამოუვიდა ცრემლები.

ცისანას მეცნიერული მოღვაწეობის, საველე სამუშაოების და გათხრების შესახებ ბევრი არ თქმულა. მე დარწმუნებული ვარ, რომ შუასაუკუნეების არქეოლოგიაში მომუშავე ახალგაზრდები შემდეგში სათანადოდ შეაფასებენ მისი მოღვაწეობის შედეგებს თელავსა და რუსთავში.

თინა ქუთელია

მერი ჩხატარაშვილი

(1935-2014)

ივლისის მიწურულს სრულიად მოულოდნელად საქართველოს არქეოლოგიურ საზოგადოებას გამოაკლდა შუასაუკუნეების მინის ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი, რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის უცვლელი და უერთგულესი წევრი - არქეოლოგი, უკეთილშობილესი პიროვნება და დიდბუნებოვანი ადამიანი მერი ნიკოლოზის ასული ჩხატარაშვილი.

მერი ჩხატარაშვილი დაიბადა 1935 წლის 14 მარტს დაბა წითელწყაროში, ცნობილი ეკონომისტის ნიკოლოზ ჩხატარაშვილისა და პედაგოგის ქეთევან ფასეიშვილის ოჯახში. იგი, 1954 წელს, თბილისის №23 სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1959 წელს, 23 წლის ახალგაზრდა კურსელებსა და მეგობრებთან - თინა არჩვაძესა და ცისანა ჩიკოიძესთან ერთად ჩაირიცხა რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. აღნიშნულ წელს გიორგი ლომთათიძე რუსთავის არქეოლოგიური ესქპედიციის ხელმძღვანელი, რუსთავის ციხეზე ფართომასშტაბიან სამუშაოების ჩატარებას გეგმავდა. მერი ჩხატარაშვილს გიორგი ლომთათიძემ გასათხრელად ახალი უბანი (VI თხრილი) ჩააბარა. საინტერესო ძეგლით და ექსპედიციური ცხოვრებით მოხიბლულმა ახალგაზრდამ თავისი ბედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსთავსა და არქეოლოგიას. იმავე წლიდან მერი ჩხატარაშვილი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის (მოგვიანებით არქეოლოგიის კვლევის ცენტრის) შუასაუკუნეების განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. შემდეგ იგი გადაჰყავთ უფროს, ხოლო მოგვიანებით კი წამყვან მეცნიერ მუშაკად.

მერი ჩხტარაშვილი გ. ლომთათიძისავე რჩევით იწყებს მუშაობას ადრეული შუასაუკუნეების ფერმკრთალი კერამიკის შესწავლაზე და აქვეყნებს პირველ სამეცნიერო ნაშრომს, თუმცა საბოლოოდ სამეცნიერო თემატიკად საქართველოში აღმოჩენილ მინის ნაწარმს ირჩევს და 1977 წელს წარმატებით იცავს დისერტაციას თემაზე: „მინის ჭურჭელი შუასაუკუნეთა საქართველოში“, რომელიც, მალევე, 1978 წელს გამოიცა წიგნად. ნაშრომი ქართული მინის თემატიკაზე შესრულებული ერთ-ერთი საუკეთესო მონოგრაფიაა, რომელშიც დეტალური ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიური ანალიზისა და ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევის შერწყმისა და კონკრეტული ისტორიული ვითარების გათვალისწინებით ნაჩვენებია ქართული მინის განვითარების ისტორია, მისი როლი საქართველოს ნივთიერი კულტურისა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში.

გარდა მინის ჭურჭლისა მან თითქმის სრულყოფილად შეისწავლა როგორც რუსთავში, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული სარკმლის მინა და სამკაული, რომელთაც რამდენიმე ათეული სტატია მიუძღვნა; ისინი სისტემატიურად იბეჭდებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო გამოცემებში: „ძიებანი“, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, საერთაშორისო კონფრენციებისადმი მიძღვნილ კრებულებში „კავკასიის არქეოლოგია და ეთნოლოგია“ და სხვ.

დიდია მერი ჩხატარაშვილის ღვაწლი რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. იგი კარგი საველე მუშაკი, ძალზე მოწესრიგებული ადამიანი და ექსპედიციში წარმოშობილი ბევრი იდეის ბრწყინვალე შემსრულებელი იყო. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ექსპედიციის სამეცნიერო არქივისა და დოკუმენტაციის მოწესრიგებას, პუბლიკაციების მომზადებას, გამომცემლობებთან, ფოტოგრაფებთან და არქიტექტორებთან საქმიან ურთიერთობას. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის მას კუხეთის რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის საკვლევა-ძიებო სამუშაოებისადმი მიძღვნილი კრებულების - „რუსთავის“ (რუსთავი, 1988 წ.; რუსთავი II, 1988 წ.; რუსთავი III, 2004 წ.) მომზადებისა და გამოცემის საქმეში.

თითქმის 60 - წლიანი, თანამშრომლობის განმავლობაში, მერი ჩხატარაშვილმა შეძლო უზადო მეგობრობა გაეწია თავის კოლეგებისა და ექსპედიციის ყველა თანამშრომლისათვის. მათ შორის ვიყავით ჩვენც, მისი ახალგაზრდა კოლეგები, რომლებიც მოგვიანებით შევუერთდით რუსთავის ექსპედიციას. პირადად მე, არასოდეს დამავიწყდება მისი უთბილესი დახვედრა ექსპედიციაში, მისი თანადგომა და კოლეგიალობა, რომელიც მისი სიცოცხლის ბოლო წუთამდე უხინჯოდ გაგრძელდა. იგი იყო ერთგული და უღალატო ადამიანი, რომელსაც უზომოდ უყვარდა თავისი საქმე და სამშობლო, რომელსაც მთელი ცხოვრება ერთგულად ემსახურებოდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა აღსავსე იყო სიცოცხლის დიდი სურვილითა და ენერგიით. ბედნიერი იყო, როცა, ამ ზამთარს, რუსთავში, 2008 წელს შეწყვეტილი არქეოლოგიური სამუშაოების განახლების შესახებ ვამცნე და მუზეუმის ექსპედიციაში მოვიწვიე. იგი ჩვეული ენერგიით ჩაერთო რუსთავის ციხეზე, კერძოდ, სასახლის უბანზე განახლებულ სამუშაოებში. საველე სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს კი თავაუღებლად მუშაობდა სტატიაზე „მინის განვითარების ისტორია“. სტატია გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე დაასრულა. მას გიორგი ლომთათიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულისთვის ამზადებდა, რომლის გამოცემა მიმდინარე წლის 26 ნოემბერს, საიუბილეო სესიისთვის იგეგმებოდა... და უცებ, სრულიად მოულოდნელად 31 ივლისს, წავიდა ჩვენგან მერი ჩხატარაშვილი. მის მეგობრებს, კოლეგებს, რუსთავის არქეოლოგიურ ექპედიციას გამოაკლდა საუკეთესო კოლეგა, უკეთილშობილესი და სიკეთით მადლმოსილი ადამაინი.

დაე, უფალმა მიიბაროს და მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მერი ჩხატარაშვილის ნათელ სულს.

ნაზი პაჭიკაშვილი

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს – სოსო ჯაფარიძე

(1957-2013)

სულ რამდენიმე თვეა, რაც სამწუხაროდ, სოსო ჯაფარიძე ჩვენთან აღარ არის. მძიმე სენით ტანჯულმა მისმა სულმა ზეციურ საქართველოში, თავის სახელოვან წინაპართა შორის დაიმკვიდრა მარადიული სასუფეველი. ჩვენს ქალაქს და ჩვენ, მის უახლოეს მეგობრებს, კოლეგებს - რუსთავის ისტორიის მკვლევარებს, არქეოლოგიური ექსპედიციისა და მუზეუმის თანამშრომლებს, უამრავ ნაცნობსა და, უბრალოდ, ყველა რუსთაველს დააკლდა უკეთილშობილესი, დიდად ერუდირებული, არაჩვეულებრივი გარეგნობის ადამიანი. დასანანია, რომ ჩვენს ქვეყანას სწორედ დღეს გამოეცალა მუდამ ახალი ჩანაფიქრებითა და გეგმებით აღსავსე ნიჭიერი პიროვნება, უაღრესად მრავალმხრივი ისტორიკოს-არქეოლოგი. გასაოცრად მრავლისმთქმელია სოსოს, როგორც მეცნიერის, საველე-არქეოლოგის, შეუდარებელი ორგანიზატორის, თავისი ქალაქის კარგი მეურნისა და პატრიოტი ადამიანის მიერ განვლილი გზა.

იგი 1980 წელს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურდამთავრებული მოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. ნიჭიერი, დიდი იმედების მომცემი, ერუდირებული ახალგაზრდა, მაშინვე ჩაირიცხა კუხეთის (რუსთავის) არქეოლოგიურ ექსპედიციაში უფროსი ლაბორანტის, ხოლო 1982 წლიდან მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. თავად სოსო ხშირად ამბობდა და მეც ყოველთვის ვეთახმებოდი, რომ ჩვენ გაგვიმართლა, როცა უნივერსიტეტის შემდეგ, ცნობილი აქეოლოგიის, დიდი საზოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის - გოგი ლომთათიძის მიერ დაარსებულ კუხეთის (რუსთავის) არქეოლოგიურ ექპედიციაში მოგვიწია მუშაობა. აქ ჩვენ დაგვხვდნენ ბატონი გოგის მოწაფეები, არაჩვეულებრივი ადამიანები, ჩვენი ქალაქისა და საქართველოს ისტორიით გულანთებული მკვლევარები: ცისანა ჩიკოიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), მერი ჩხატარაშვილი, ეკა ჯანდიერი, თინა არჩვაძე. იყო არაერთი ექპედიცია - გათხრები რუსთავის ციხისა და ნაქალაქარის სხვადასხვა უბნებზე, მარტყოფში, ნორიოში, იაღლუჯაზე და ა. შ. საინტერესო აღმოჩენები, სიახლეებით გამოწვეული უამრავი წარუშლელი წუთები, ყოველდღიური რუტინული, მძიმე შრომაც რუსთავის მხურვალე მზის ქვეშ. საღამოს კი - ექსპედიციის ბაზაზე იყო გაცხარებული კამათი, აზრთა ჭიდილი ახლად გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებზე, ზოგადად ისტორიასა და ჩვენი სამშობლოს ბედზე.

რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია, რუსთავის ციხე, 1981 წელი.
ეკა ჯანდიერი, მერი ჩხატარაშვილი, ცისანა ჩიკოიძე,
ნოდარ ექვთიმიშვილი, სოსო ჯაფარიძე,

80-იანი წლები იდგა, უშიშროების სამსახურს ყველგან თვალი და ყური ჰქონდა მიდებული, მაშინ ხმამაღლა საქართველოს დამუკიდებლობაზე, თავისუფლებაზე, ვერავინ საუბრობდა. ეს ჩვენ ვერ გვაშინებდა. ჩვენ, სხვადასხვა გზებით ვახერხებდით არალეგალური ლიტერატურის მოპოვებას და მალულად ვაკითხებდით ჩვენს ზოგიერთ მუშას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს. ასე ვცდილობდით მათში პატრიოტიზმის ნაპერწკლის გაღვივებას. ექპედიცია ანდამატივით იზიდავდა ყველა თავისუფლებიმოყვარე ადამიანს, ე. წ. არაფორმალებს, დისიდენტებს, პატრიოტებს. შეკრებებზე ყველაზე მტკივნეულად განიხილებოდა ერთი საკითხი - საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქს, რომელიც V საუკუნიდან კუხეთის საეპისკოპოსო ცენტრი იყო, რუსთველი მღვდელმთავრის საკათედრო ტაძარი და კიდევ არაერთი ეკლესია ამშვენებდა, ჩვენს დროში მოქმედი ეკლესია არ ჰქონდა. გარეშე თუ შინაური მტრების ხელით განადგურებული, რუსთავის ნაქალაქარზე კომუნისტური იდეოლოგიითა და საბჭოური არქიტექტურული გემოვნებით, XX საუკუნის 40-იან წლებში აშენებულ, ე.წ. სოციალისტურ რუსთავში მხოლოდ უსახური, ცივი რკინაბეტონისა და ბარაკული ტიპის ნაგებობები იდგა.

ამიტომ გაჩნდა მომხიბლავი, მაგრამ იმ დროისათვის თითქმის უტოპიური, ახალი ეკლესიის აშენების იდეა. საბჭოთა ეპოქაში ეკლესიის აშენების შესაძლებლობისა არავის სჯეროდა, გარდა ამ იდეის გარშემო შემოკრებილ ადამიანთა მცირე ჯგუფისა, მათ შორის იყო სოსო ჯაფარიძე. მიზნის მისაღწევად პრობლემათა მთელი კასკადის დაძლევა და განუზომლად დიდი სამუშაო იყო შესასრულებელი: ნებართვის მიღება არამხოლოდ საბჭოთა საქართველოს, არამედ საბჭოთა კაშირის ცენტრალური ხელისუფლებისაგან. ახალი ეკლესიის აშენების ნებართვის მოთხოვნა სარისკო საქმე იყო, ამიტომ რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციაში სოსო ჯაფარიძის ინიციატივით მომზადდა მეცნერულად გამართული დასაბუთება ნაქალაქარზე არსებული ძველი ნაეკლესიარის რესტავრაციის აუცილებლობის თაობაზე. მისივე ძალისხმევით ქალაქში მოგროვდა მორწმუნე მრევლის ხელმოწერები (ასეთების მოძიება და ხელმოწერაზე დათანხმება ადვილი ნამდვილად არ იყო). დოკუმენტაციის მოგროვების შემდეგ მას მოუწია ყველაზე მძიმე ეტაპის გავლა, ბრძოლა ადგილობრივ, ცენტრალურ თუ საკავშირო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ პირებთან. 80-იანი წლების II ნახევრიდან ეროვნული მოძრაობის გააქტიურებით დამფრთახლმა საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ჩათრევას ჩაყოლა არჩია. 1988 წელს ძველი ეკლესიის რესტავრაციის აუცილებლობით შეფუთული, რეალურად კი ახალი ეკლესიის აშენებაზე ნებართვის მოთხოვნა მოსკოვში გადაიგზავნა. დადებითი პასუხის ჩამოსვლისთანავე, 1989 წლის მარტიდან, V საუკუნის ძველი ნაეკლესიარის (გაითხარა 1950-51 წლებში, მისი ნანგრევები მოქცეულია ქალაქის საავადმყოფოსა და წმ. ნინოს ქუჩის ქვეშ) მახლობლად ნაქალაქარზე დაიწყო ახალი ეკლესიისათვის გამოყოფილი ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა, რომელსაც სოსო ჯაფარიძე უძღვებოდა. ზოგადად, ძვირად ღირებული არქეოლოგიური სამუშაოები სრულდებოდა შიშველ ენთუზიაზმზე. არქეოლოგების გვერდიგვერდ რიგით მუშებად მუშაობდნენ ქალაქის კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და თითქმის ყველა დიდ-პატარა ქარხნისა და საწარმოების პირველი პირები, არაფორმალები, ედპს წევრები, პრობაციონერები, ქალაქის რიგითი მოქალაქეები. სოსოს ასევე უწევდა კოორდინაციის დამყარება საპატრიარქოსთან, მშენებელ-არქიტექტორებთან და ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელობასთან. ველზე მძიმე, დამღლელი შრომის მიუხედავად იგი აქტიურად იყო ჩართული 1989 წლის აპრილის პირველ დღეებში აზვირთებულ მიტინგებში. კარგად მახსოვს, 9 აპრილის მეორე დღეს სიონის ეკლესიის ეზოში შევიკრიბეთ გამეხებული, ახალგაზრდული ბრძოლის ჟინით სავსე პატარა გოგო-ბიჭები, გარდაცვლილებისა და დაჭრილების სიებს ვეცნობოდით და მზად ვიყავით რუსულ ტანკებს შევვარდნოდით... სოსო დაგვიდგა წინ, გაგვაჩერა, მხოლოდ მას ეყო გონიერება, დიდი ძალისხმევით ჩამოგვიყვანა რუსთავში. ხელში ისევ წერაქვი და ფუნჯი დაგვაკავებინა და გვითხრა ჩვენი ბრძოლის ველი ეხლა აქ არის, ხსნა კი ეს ტაძარია, რომელსაც აქ ავაშენებთო. არქეოლოგიური სამუშაოები გაიწელა, ეკლესიის მშენებლებს მოუთმენლობა დაეტყოთ, ამიტომ გადაწყდა იქვე ეზოში პატარა ბაზილიკა აგებულიყო. ეკლესია სამ თვეში დასრულდა და 1989 წლის 13 დეკემბერს უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს პატრიარქმა ილია II იგი ხარების სახელზე აკურთხა. თითქმის შვიდი საუკუნის შემდეგ რუსთავში კვლავ გაისმა საეკლესიო ზარის ხმა. ზეცას აღევლინა პირველი ლოცვა, ეკლესიის მაშენებელთა შორის გაიჟღერა სოსო ჯაფარიძის სახელმაც. დიდი საკათედრო ტაძარიც მალე დასრულდა და 1990 წლის 27 ივლისს ვახტანგ გორგასალის სახელზე ეკურთხა.

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სოსო ჯაფარიძე, რუსთავის ხარების ეკლესიის გახსნა, 1989 წლის 13 დეკემბერი.

დიდი ემოციების, ბრძოლისა და თავდაუზოგავი შრომის დღეებს, მძიმე 90-იანი წლები მოჰყვა. ეროვნული მოძრაობის გახლეჩვა, ლიდერების დაპირისპირება, სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება, დამრთგუნველად მოქმედებდა ზედმეტად პატიოსან და კეთილშობილ ადამიანზე. სოსო ამ დროს რუსთაველის საზოგადოების რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო, თუმცა პოლიტიკაში აქტიურად აღარ ერეოდა. და როცა 1992 წლის თებერვალში ქალაქ რუსთავის დროებითი მმართველობის ორგანოში გამგებლის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა შესთავაზეს, დიდხანს ყოყმანობდა. პოლიტიკიდან შორს ყოფნა და თავისი საყვარელი საქმიანობის - არქეოლოგიური კვლევითი საქმიანობა ერჩივნა. კარგად მახსოვს, ექსპედიციის წევრების, ჩვენი უფროსი კოლეგებისა და მეგობრების რჩევა: „ასეთ რთულ დროს სწორედაც ჯობს შენნაირი პატიოსანი და წესიერი ადამიანები მოხვდნენ მთავრობაში, იქიდან ქალაქსაც და მის ისტორიის კვლევასაც უკეთესად დაეხმარებიო“. ასე აღმოჩნდა სოსო ჯაფარიძე ქალაქის მთავრობაში, სადაც სხვადასხვა მაღალი თანამდებობა - მერის პირველი მოადგილის, პრემიერის პირველი მოადგილის და სხვა მაღალი პოსტები ეკავა, ძირითადად კულტურის სფეროს კურირებდა. მისი თაოსნობით ქალაქში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი

განხორციელდა. ხელს არც ქალაქის ისტორიის შეწავლას აკლებდა.

მისი ხელშეწყობით 1996-97 წწ. განახლდა ქალაქის არქეოლოგიური კვლევა. 1996 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და არქეოლოგიის კვლევის ცენტრის წამყვანი მეცნიერების, აკადემიკოსების: ოთარ ლორთქიფანიძის, დავით მუსხელიშვილის, ზაზა ალექსიძის და სხვათა მონაწილეობით, რუსთავში საზოგადოების ფართო ფენისათვის ჩატარდა ქალაქის ისტორიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 1998 წელს გამოიცა რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის კრებული „რუსთავი.“ მას ქალაქისათვის უფრო მეტი კეთილი და დიდი საქმეების კეთების უნარი ჰქონდა, მაგრამ 90-იან წლებში გამეფებული კორუფცია, სუსტი ეკონომიკური ვითარება აფერხებდა მის გეგმებსა და სურვილებს. პიროვნულად პატიოსანი, კეთილშობილი ადამიანისათვის ძნელი იყო გამკლავებოდა მერიის მაღალჩინოსანთა ინტრიგებსა და კორუფციულ საქმეებს. მუშაობა უჭირდა და 2001 წლის სექტემბერში პირადი განცხადებით დატოვა მაღალი თანამდებობა. მის ცხოვრებაში დიდი გულისტკივილის, ძველ ნაცნობ-მეგობართა მხრიდან უმადურობისა და გაუტანლობის მტანჯველი გრძნობით აღსავსე, მძიმე დეპრესიული წლები დადგა. ძნელად დაძლია დეპრესია, კვლავ არქეოლოგია მიეშველა. 2007 წელს მუშაობა დაიწყო რუსთავის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიურ ექპედიციაში. სოსო დაუბრუნდა საქმეს, რომელიც უყვარდა, რომელიც, როგორც ჩანს, არც არასოდეს არ

სოსო ჯაფარიძე, 2011 წ.
თიხის ჭურჭლების რესტავრაცია.

უნდა დაეთმო. არქეოლოგიური სამუშაოების გარდა იგი მუზეუმის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებასაც ხელმძღვანელობდა. ნიჭიერ მკვლევარს კარგად უჭრიდა კალამი, იყო კუხეთის (რუსთავის) ექსპედიციის არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის თანაავტორი (იხ. Полевые Исследования Кухетской Экспедиции, ПАИ в 1981 году; ასევე ПАИ в 1982, 1983- 1984, 1985, 1986, 1987-1988 гг., საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში, თბ.2004 წ). მისივე თანაავტორობით მომზადდა და საქართველოს მუზეუმების სერიით გამოიცა გზამკვლევი „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“ (2013 წ.).

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო სოსო ჯაფარიძის შემოქმედებით და პუბლიცისტურ ნამოღვაწარსაც. იგი იყო შესანიშნავი მექართულე, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების უზადო მცოდნე. თავადაც კარგად ხატავდა. მისი თაოსნობით მუზეუმში მოეწყო არაერთი გამოფენა. რესტავრაცია გაუკეთდა ასეულობით ექსპონატს.

ბოლო წლებში გატაცებით მუშაობდა ქალაქის არქეოლოგიური რუკის, რუსთავის ციხისა და ნაქალაქარის რეკონსტრუქციის გეგმებზე, დაინტერესებული იყო რუსთავის ეპარქიის ისტორიის კვლევით. დასანანია, რომ ამ თემაზე მხოლოდ ორი სტატიის გამოქვეყნება მოასწრო რუსთავისა და მარნეულის ეპარქიის ყოველთვიურ ჟურნალში „გზა ჭეშმარიტებისა“ (№9 (26), 09. 2011; № 10 (27), 10. 2011). ამავე ჟურნალში დაიბეჭდა მისი სტატიები: „პირველი ტაძრების მშენებლობა რუსთავში (№1(29), 01. 2012; №2 (30), 02. 2012,) „რუსთავის ციხე და არხი წარსულში და დღეს“ (№7, (35) 09. 2012).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სოსოს გულისხმიერი დამოკიდებულება ექსპედიციისა თუ მუზეუმის თანამშრომელთა მიმართ, განურჩევლად იმისა მეცნიერ-მკლევარები იყვნენ ისინი თუ რიგითი კოლეგები ან თუნდაც მუშები. არანაირი ქედმაღლობა, არანაირი ბარიერი, ყველას აზრის დაფასება და მოსმენა უყვარდა, ყველას მეგობარი და მასწავლებელი იყო. ამიტომაც ყველა მათგანს, განსაკუთრებით, კი ახალგაზრდებს გამორჩეულად უყვარდათ და პატივს სცემდნენ ბატონ სოსოს.

სოსო ჯაფარიძის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, ღირსეული მამულიშვილობა, პიროვნული ხიბლი, მისთვის დამახასიათებელი იუმორი, საყვარული საქმისადმი პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, მისი ნაღვაწი და ნაფიქრალი ბატონი სოსოს არდავიწყების უდავო საწინდარია. „დაე ცხონდებოდეს მისი სული ორსავე ცხოვრებასა შინა“.

ნ ა ზ ი პ ა ჭ ი კ ა შ ვ ი ლ ი

რუსთავის ისტორიული მუზეუმი
Rustavi Historical Museum

რუსთავი
RUSTAVI

IV

რედაქტორი: ნაზი პაჭიკაშვილი
Editor: Nazi Pachikashvili

ტირაჟი - 200

დაიბეჭდა შპს ”პოლიგრაფში”
Printed in “Polygraph”, ltd

თბილისი, Tbilisi
2014